საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge
ყოველკვირეული ჟურნალი №52(731) 4 იანვარი * ფასი 1,50 ლარი



გვ. 74
ვინ აგიჟებს და ვისზეა შეყვარებული ნოდიკო ტატიშვილი და როგორ ცდილობს ის ჯულიანასთან ნატურალური ემოციების გაჩენას

გვ. 75
როდის არ იყო თავის „კამკოტში" ზურა მანჯავიძე და რატომ ჰქონდათ მას და მზია ორველაშვილს „ნამოფრენები" და დიდი ორომტრიალი

გვ. 2
რის გამოა „დატორმუზებული" ვაჟა მანია და როგორ შეხვდა ის თავის ბერკლელ პედაგოგს ფილარმონიაში მასტერკლასზე

გვ. 66
რა აუხდენელი ოცნება აქვს ნინო ჩხეიძეს და ვისთან ერთად ჩაწერა მან რამდენიმე ახალი დუეტი



საახალწლო საჩუქარი – 2015 წლის კალენდარი



გვ. 79
რატომ აქვს ნუკა კვალიაშვილს სახლში ყველაფერი ალაგებული და ვისთვის შეუძლია მას თავის ბოლომდე გადადება



გვ. 18
როგორ ხდის რამაზო რომა ქალს სექსუალურად საინტერესოს და როგორ შეუქმნა მან ნინა წერიალაშვილსა და შორენა ბეგაშვილს სექსუალური, ქვირფასი, ვარსკვლავური „ლუქები"



რატომ ხდებიან მატერიალურად წარმატებულები ლალი მოროშკინას გვერდით მყოფი ადამიანები და რა სვანური შუალედის დაცვით ხვდება ის ახალ წელს

გვ. 78



გვ. 69
როგორ განკურნა „თოვლის ბაბუა" დათო როსტომაშვილმა სიცხიანი ბავშვი და რომელი საახალწლო ტრადიციის სჯერა მას განსაკუთრებით

# გილოცავთ ახალ წელს!

**შემოდგომაზე ბოსტონიდან საქართველოში ჩამოსულ ვაჟა მანიას თბილისში გარკვეული პერიოდის გატარება მოუწია, რადგან „ბერკლიში" სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით, პრობლემები ჰქონდა. თუმცა, იანვარში ის კვლავ მიემგზავრება სწავლის გასაგრძელებლად, მანამდე კი მონატრებულ მსმენელს ახალი წლის ღამეს თავისი ნამღერით დაატკბობს.**

# რის გამოა „დატორმუზებული" ვაჟა მანია და როგორ შეხვდა ის თავის ბერკლელ პედაგოგს ფილარმონიაში მასტერკლასზე

**ვაჟა მანია:** მაქსიმალურად ვცდილობდი, ფორმიდან არ ამოვვარდნილიყავი. როგორც მანამდე, ახლაც ისე ვაგრძელებდი ვარჯიშს, მეცადინეობას. ბერკლიში ბევრი რამ ვისწავლე, ისეთი რაღაცეები, რაც მანამდე არ ვიცოდი. ამიტომ, ხან რას ვაკეთებდი, ხან რას და უკვე ვიცი, ყოველდღე რა არის საჭირო, რა უნდა გავაკეთო. მოკლედ, ამ ყველაფერს ვასრულებ ბეჯითი მოსწავლესავით.

**– როგორც პიროვნება, ალბათ, კიდევ უფრო გაიზარდე, მეტად დამოუკიდებელი, მოტივირებული გახდი.**

– დამოუკიდებელი სულ ვიყავი და ყოველთვის იმას ვაკეთებდი, რასაც თავად გადავწყვეტდი. თუმცა, სხვისი აზრის გათვალისწინება მიყვარს და რჩევასაც ყოველთვის ვისმენ. საბოლოოდ კი, ზოგ-ზოგიერთების აზრს არ ვითვალისწინებ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, სხვის აზრს პატივს არ ვცემ. რაღაც ისე რომ არ იყოს, არ გამოვიდეს, სხვას უნდა დავაბრალო და მირჩევნია, თვითონ გადავწყვიტო და შესაბამისად, შედეგშიც საკუთარი თავი დავადანაშაულო, საკუთარ თავს დავაბრალო.

**– რით იყავი თბილისში დაკავებული, ბოსტონში აქტიური სწავლის შემდეგ?**

– ძირითადად, ხალხს მოვესიყვარულე. განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია. ამ ჩავარდნებსაც მივეჩვიე, ალბათ, ასე უნდა მოხდეს. თან, თბილისშიც ხომ უნდა ვიყო, აქაც ხომ ვენატრები ხალხს. შემგუებელი გავხდი, ცოტა ფიცხიც. ბევრ რამეზე გიწევს ფიქრი, წინ იხედები, ბევრი პრობლემაა. ცდილობ, გადაწყვიტო.

**– როდის აპირებ ბოსტონში გამგზავრებას? როგორც ვიცი, ამ ეტაპზე შენს სწავლასთან დაკავშირებული პრობლემა მოგვარებულია.**

– 7 იანვარს ვაპირებ გამგზავრებას. წესით ყველაფერი დალაგდა, მოგვარდა. ჯერ არ ვიცი, როდის დავბრუნდები. დიდი სურვილი მაქვს დიდხანს დავრჩე.

**– ჯერჯერობით ერთი სემესტრის გადასახადი დაგიფინანსეს?**

– კი, ერთი სემესტრის. რადგან ჩავარდნები მქონდა, მინდა გავაგრძელო – გადავაბა ზაფხულიც და შემოდგომაც. არ ვიცი, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, დაფინანსებაზე ვარ დამოკიდებული. მგონია, რომ ამ წასვლაზე უფრო მეტი საინტერესო რამ მოხდება, უფრო მეტი შემართება მაქვს. იმ პაუზამ, რაც ახლა მქონდა, ბევრ რამეზე დამაფიქრა, მუშაობის მხრივ არა, რადგან ისედაც ბევრს ვმუშაობ. სხვა კუთხით უფრო მეტი ნაბიჯები უნდა გადავდგა: თავის დახრა, საკუთარი თავის უკან დაყენება, უნდა დავივიწყო, იქ არ მოსწონთ ასეთი რაღაცეები. მეც არ მეხერხება, მაგრამ იმედია, შევძლებ. გული მიგრძნობს, რომ კარგი სემესტრი მექნება.

**– როგორი ინტუიცია გაქვს?**

– კარგი ინტუიცია მაქვს. ხშირად არ მღალატობს. ადამიანების ამოცნობაც მეხერხება: ვხვდები როგორი ადამიანია და ზოგჯერ იმასაც ვგრძნობ, რა უნდა ჩემგან. ახლა ინტუიცია მეუბნება, რომ კარგი წელი მექნება. აქამდე უფრო ბევრს ვმეცადინეობდი, ოთახში ვიყავი ჩაკეტილი, ახლა ვეცდები, უფრო გავიდე, ბევრ რაღაცაში მივიღო მონაწილეობა – ყველაფერი უნდა მოსინჯო. იქაურობა ძალიან მომენატრა. ამას წინათ ვიყავი ფილარმონიაში „ნიუ-იორკ ვოისის" მასტერკლასზე. ერთ-ერთი მომღერალი ჩემი მასწავლებელი იყო ბერკლიში. გამახსენდა როგორ მასწავლიდა ბერკლიში, როგორი იყო კლასში. ჩემი გამოცდაც მან ჩაიბარა და მიცნო. იქ მივხვდი, იქაური სიტუაცია, სწავლა როგორ მომენატრა. ბერკლის უნიკალურობა ისაა, რომ მასწავლებლების უმეტესობა სადღაც მღერის და არ არის გამორიცხული, თავის კონცერტზე წაგიყვანოს, გამღეროს. მერე იქ ვიღაც განახავს და ასე ხდება ყველაფერი. მეც შემომთავაზა ჩემმა მასწავლებელმა, რომ მის სოლო კონცერტზე მემღერა. ხომ წარმოგიდგენია, იქ რამდენი მუსიკოსი იქნებოდა, მაყურებელიც და კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მივიღე მონაწილეობა, რადგან იმ დროს თბილისში ვიყავი. ძალიან დამწყდა გული – სერიოზული შემოთავაზება იყო. მასწავლებელი ყველა სტუდენტს არ ეძახის, მათ შორის არჩევს და იმას ამღერებს თავის კონცერტზე. წინასწარ გამაფრთხილა: ხომ აქ იქნებიო, მაგრამ მაშინაც არ ვიცოდი ზუსტად. ეს წასვლა-წამოსვლა საბოლოოდ, პრობლემებს გიქმნის. ასეთ რამეს რომ აკლდები, მერე ავიწყდები იქ ხალხს. არ იციან როგორ ფორმაში ხარ, შეიძლება, სხვა აიყვანონ და ასე შემდეგ. ადრეც ვიცოდი და ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ადგილი იქ არის.



**ჩამოსვლები აუცილებელია, თან როდესაც ასეთი ადამიანია შენს გვერდით მას ყურადღება სჭირდება. თან გენატრება, გინდა ნახო, ერთად გაატაროთ დრო**

**– როგორი დამოკიდებულება გაქვს ახალ წელთან?**

– ძალიან კარგი. ერთხელ ამერიკაში მქონდა გამორჩეული ახალი წელი: თავად ვიყავი სანტა კლაუსი ტრომბონით, თან ახლო მეგობრების წრეში კარგად გავერთე. ბავშვობაში ძალიან მიყვარდა ახალი წელი და ნაძვის ხის მორთვა. ახლობელ სანტას სათამაშოები მოჰქონდა: ერთხელ დააკაკუნა და კარი რომ გავაღეთ, საჩუქრები დაგხვდა. ახლაც მყავს თოვლის ბაბუა და მეც ვარ ხოლმე სხვისი თოვლის ბაბუა, მაგრამ როგორი – ამას ვერ გეტყვი. რაღაც სურვილებს ვასრულებ. ისე, ახალი წლის ღამეს ყოველთვის ჩავუთქვამდი სურვილებს. იცი რას? – ამერიკაში მინდოდა წასვლა. კოლეჯში რომ დავდიოდი, იმის მერე მინდოდა წასვლა, თან ყველა მეგობარი მეუბნებოდა: შენ უნდა წახვიდეო. რატომ მეუბნებოდნენ ამას, ვერ ვხვდებოდი, რაღაც გამორჩეული და განსაკუთრებული არ ვიყავი. უფრო არარეალური მეგონა, მაგრამ ამისრულდა. ახლა ისეთი „დატორმუზებული" ვარ, მხოლოდ კონკრეტულ პრობლემებზე ვფიქრობ.

**– შენს პირად ცხოვრებაშიც სასიამოვნო სიახლეა: ძალიან კარგი გოგონა გყავს გვერდით. თუმცა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში გიწევთ ერთმანეთისგან შორს ყოფნა.**

– კი, პირადშიც ძალიან დიდი სიახლეები მაქვს. ეს პერიოდი, რომელიც ახლა ერთად გავატარეთ, ძალიან კარგი იყო. ჩამოსვლა აუცილებელია, თან, როდესაც ასეთი ადამიანია შენს გვერდით, მას ყურადღება სჭირდება.

**– მე ვიცი, რომ ნინი მუდმივად გვერდში გიდგას, გეხმარება.**

– მუდმივად ჩემს გვერდითაა. როცა გვერდით საყვარელი ადამიანი გყავს, შენი წარმატების დიდი ნაწილი მასზეც არის დამოკიდებული. ჩვენს შემთხვევაში ასეა, მას დიდი წვლილი მიუძღვის ბევრ რამეში და ეს კიდევ უფრო მეტად დასაფასებელია. ჩემი წარმატებები ძალიან უხარია, ისევე როგორც მე. შორს ყოფნა, რა თქმა უნდა, რთულია, არ არის მარტივი. უბრალოდ, ამ ეტაპზე არ გამოდის სხვანაირად. მეკითხებიან: ამას როგორ ახერხებთო. როცა საქმეს სჭირდება, ორივე გაგებით ვეკიდებით ამას. რაც მთავარია, ორივეს გვაქვს ერთად ყოფნის სურვილი და სანამ ეს სურვილი გვექნება, სულ ერთად ვიქნებით. ორივეს ჩვენ-ჩვენი მიზნები გვაქვს, ორივე დატვირთულები ვართ და ვცდილობთ, უფრო წინ წავიდეთ – განვვითარდეთ, მეტი წარმატება გვქონდეს. სხვათა შორის, მუსიკის მხრივ კარგ რჩევებს მაძლევს, ზოგჯერ მაკრიტიკებს. ხანდახან ვუჯერებ, ზოგჯერ კი ვბრაზდები და ვჩხუბობთ-ხოლმე – ეს ყველა ურთიერთობაში ხდება. თან, ჩვენ 3 წელია, ვიცნობთ ერთმანეთს და უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთის მეგობრები ვართ. ერთმანეთის გვესმის, კომფორტულად ვართ და გვიხარია ერთად ყოფნა. ისეთი ყურადღებიანია, რომ თუ ტელეფონზე ვერ ვუპასუხებ, შეიძლება, გაგიჟდეს, მიწიდან ამომთხაროს და გაიგოს, როგორ ვარ. ნერვიულობს ხოლმე ჩემზე, რადგან ძალიან თბილი და საყვარელი გოგოა.

**ნათია უტიაშვილი**

# ლეგენდარული ამერიკული ბრენდი – KFC უკვე საქართველოშია!

ლეგენდარული ამერიკული რესტორნების ქსელი KFC-ის („ქეი-ეფ-სი") პირველი რესტორანი თბილისში, პეკინის გამზირის #12-ში (ყოფილი რესტორანი „ნიკალა") გაიხსნა. 400 კვადრატული ფართის მქონე რესტორანი კომპანიის წარმომადგენლებმა საზეიმოდ გახსნეს. საღამოზე მიწვეულ სტუმრებს KFC უგემრიელესი ქათმის კერძებით გაუმასპინძლდა.



KFC (Kentucky fried chicken) ამერიკული სწრაფი კვების რესტორნების ქსელია, რომელიც სახელგანთქმულია ქათმის მომზადების ლეგენდარული, საიდუმლო რეცეპტით. ის 1930 წელს დაარსდა კენტუკის შტატში (აშშ) ჰარლამ სანდერსის მიერ, რომელმაც უმოკლეს ვადაში შეძლო, სახელი გაეთქვა თავისი რეცეპტებით არა მხოლოდ ამერიკაში, არამედ, მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

„KFC მასობრივი ბრენდია, რომელიც ქათმის მოყვარულებს მთელ მსოფლიოში აერთიანებს. მრავალფეროვანი მენიუ საშუალებას გვაძლევს, დავაკმაყოფილოთ ყველა გემოვნების ადამიანი. წარმოდგენილი იქნება ცხარე ან ორიგინალური, ფქვილში ამოვლებული უგემრიელესი შემწვარი ქათმის ნაჭრები, სენდვიჩების მრავალფეროვანი ასორტიმენტი, გარნირები, სალათები, ცხელი ვაფლი უგემრიელესი ნაყინით ან მომხმარებლის მიერ შერჩეული ტოპინგით, ჩიზქეიქი, სახელგანთქმული ყავის ასორტიმენტი და სხვა. ეს ყველაფერი – მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ ფასად", – აცხადებენ კომპანიაში.

KFC-ის რესტორნების ქსელს საქართველოში Iberia Food Company წარმოადგენს. ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც Iberia Food Company-სა და KFC-ის შორის გაფორმდა, მომდევნო სამი წლის განმავლობაში, როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვა ქალაქებში, KFC-ის 10 რესტორანი გაიხსნება.

„KFC-ის პირველი რესტორნის გახსნა საქართველოში მნიშვნელოვანი მოვლენაა. YUM ბრენდის დახმარებით, ფართო სპექტრის მოსამზადებელი სამუშაოები განხორციელდა: ეს იყო პროდუქციის მომწოდებლების ძიება, რომლებიც აკმაყოფილებდნენ მკაცრ მოთხოვნებს და ხარისხის სტანდარტს; ადგილმდებარეობის შერჩევა; რესტორნის მოწყობა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – KFC ჯგუფის შექმნა. დღესდღეობით რესტორანში 195 დასაჯდომი ადგილია მომხმარებლებისთვის, რომლებიც სრულად არის აღჭურვილი ბრენდის სტანდარტების მიხედვით. დღეს, როდესაც ყველაფერი გაშვებულია და მუშაობს, ოპტიმიზმით ვუყურებთ მომავალს და ვგეგმავთ დამატებით 10 რესტორნის გახსნას საქართველოში," – განაცხადა KFC-ის მარკეტინგის დირექტორმა ქეთევან მეფარიშვილმა.

თითქმის საუკუნოვანი ისტორიის მქონე ლეგენდარული ქსელი, უგემრიელესი მენიუთი, მსოფლიოს 115-ზე მეტ ქვეყანაში 18.000-ზე მეტ KFC-ის რესტორანს აერთიანებს. KFC ქათმის მომზადების რეცეპტი საიდუმლოდ ინახება კენტუკიში. მხოლოდ ამერიკაში, KFC-ის მენიუს ყოველდღიურად 8 მილიონზე მეტი ადამიანი აგემოვნებს.

## სარჩევი


რა ზიანს მიაყენებს საქართველოს რუსეთ-თურქეთის ახალი გაზსადენი და რატომ უდრის ერთი მილსადენი 100 000-იან არმიას ........ 6

მსოფლიოში ცნობილი უძლიერესი პარაფსიქოლოგი – კოლხი წინასწარმეტყველი ........ 7

რა შეცდომებს უშვებენ მშობლები შვილების აღზრდაში და რატომ იწვევს ზეზრუნვა ბავშვში უარყოფითი თვისებებისა და მავნე მიდრეკილებების გაჩენას ........ 8

როგორ მოუტანა ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტ ოთარ ნადარაიას ჩინოვნიკობის ხუთმა წელმა მილიონი ლარი ........ 9

რომელი მცენარეა სიყვარულში წარმატების მომტანი და სად კეთდება თბილისში საშიში გამოქვაბული ........ 11

როგორ შედგა ვირტუალური ინტერვიუ ნიკო გომელაურთან და რა არის მისთვის ქართველობა ........ 12

გამოქვაბულიდან – სოლიდარული საზოგადოებისკენ ........ 15

განსხვავება ლუდის სასიამოვნო სმასა და შედარებით უფრო სერიოზულ საქმიანობას – დეგუსტაციას შორის ........ 16

რომელ კერძს რომელი სასმელი უნდა მიაყოლოთ და როგორ უნდა აიცილოთ ნაბახუსევის უსიამოვნო სიმპტომები საახალწლო დღეებში ........ 19

რა პრინციპით ცდილობს ზოგიერთი ქალი კაცის სიყვარულის შენარჩუნებას და უმართლებთ თუ არა მათ ........ 20

ვინ იპოვა მამა და ნახევარძმები რუსეთიდან საქართველოში და სად შეხვდებიან დიდი ოჯახის წევრები ერთმანეთს ........ 21

როდის გადასცემს მშობელი საკუთარ მანკიერებებს შვილს და რა შემთხვევაში იწყება და მთავრდება ადამიანის აზროვნება პირის ღრუდან კუჭამდე ........ 22

რატომ გაუგზავნა ზურაბ წერეთელს თავდაცვის მინისტრმა ბაგებში ექვსი ჩამოწერილი რაკეტა ........ 26

რა უნდა მოვიმოქმედოთ ახალ წელს 12 საათზე და 2 იანვრის მაგიურ ღამეს, რომ ბედნიერი წელი გვქონდეს ........ 28

რა ვითარებაში გაიცნო თავდაპირველად იოსებ სტალინმა ლავრენტი ბერია ........ 34

რომელ პერიოდში ხდება ალკოჰოლის დალევა სახიფათო და რა კავშირშია ამასთან ზოდიაქოს კონკრეტული ნიშანი ........ 45

ადვოკატი გირჩევთ ........ 50

ვეტერინარის რჩევები ........ 51

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს . 51

მაფიის შვილობილი ........ 52

როგორ გაიშიფრა ქართველ მძარცველთა ბანდა, რომელმაც ახალი წლის ღამეს 13 კილოგრამი პლატინა და 16 კილოგრამი ოქრო მოიპარა ........ 56

როგორ დაგეგმა ქალმა საკუთარი გატაცების ინსცენირება საყვარელთან ერთად, რომელიც სასჯელს გაუპატიურებისთვის იხდიდა ........ 57

უნებლიე მკვლელობა ........ 62

რატომ დახოცეს კოლაელმა ქართველებმა შვილები, რომლებიც ეკლესიამ წმიდანებად შერაცხა ........ 64

რისთვის იყენებდნენ ძველად მაიას ტომის ინდიელები „მსხვერპლთა ჭას" ........ 65

რა უნდა გავითვალისწინოთ ახალი წლის დღეებში ზედმეტი კილოგრამებისა და სტრესის თავიდან ასაცილებლად და რატომ არ არის რაციონის მკვეთრად შეზღუდვა ახალი წლის შემდეგ საჭირო ........ 68

გაუკეთა თუ არა მართალმა იოსებმა პატარა მაცხოვარს გასართობად ჩიჩილაკი და რატომ აცხობდნენ ახალი წლის ღამეს ადამიანის ფორმის „ბასილას კვერებს" ........ 72

# უკუსვლა

## ანუ სამხრეთული დეჟავუ

ის-ის იყო, **მოვინელეთ, რომ ამ ჩვენი მეზობელი თურქეთის პრეზიდენტმა უგანა ათა თურქის გზას** და **იმასაც შევეჩვიეთ, რომ მისი მეუღლე თავსაფრით დადის და,** თქვენ წარმოიდგინეთ, **თვით ისიც კი უდრტვინველად მივიღეთ, რომ სტუდენტებს თმის შეღებვა, მაკიაჟი და ტატუც აუკრძალეს**, რომ ჩვენმა **სამხრეთელმა მეზობლებმა ახალი ინიციატივით გაგვაოცეს.**

კერძოდ, **თურქეთის პრეზიდენტმა** რეჯებ ტაიპ ერდოღანმა **განაცხადა, რომ კონტრაცეფციის გამოყენება**, არც მეტი, არც ნაკლები, **სახელმწიფო ღალატია!**

და, შესაბამისად, **მოსახლეობას მოუწოდა, რომ თითო ოჯახმა,** მინიმუმ, **სამ-სამი შვილი იყოლიოს** თურქეთის დემოგრაფიული სურათის გასაუმჯობესებლად.



მომყავს ციტატა მისი გამოსვლიდან: „მრავალი წლის განმავლობაში ხდებოდა ღალატი – კონტრაცეფციის გამოყენება. **ამით ცდილობდნენ ჩვენი ჯიშის გამრავლების შეჩერებას**. არადა, **შთამომავლობა აუცილებელია როგორც ეკონომიკურად, ისე სულიერად“.**

**უფრო ადრე**, იმავე ბ-ნმა ერდოღანმა ბრძანა, რომ **ქალი კაცის თანასწორი ვერ იქნება** და **ფემინიზმიც გააკრიტიკა**. 2012 წელს ცდილობდა აბორტისა და საკეისრო კვეთის აკრძალვას (ნეტავ, საკეისრო კვეთამ რაღა დაუშავა?!), თუმცა, ამაოდ.

მაგრამ **საქმეს ისეთი პირი უჩანს**, რომ **მალე ამასაც მოახერხებს.**

იმის გათვალისწინებით, რომ, სავარაუდოდ, **თურქეთი იმას უბრუნდება, საიდანაც გამოვიდა**, იბადება **რიტორიკული კითხვა: ყოველწლიურად 80 გოგო-ბიჭს არ მოგვთხოვდეს ხარკად** და, სახელდობრ, **თურქეთის მოქალაქეების მიერ სქესობრივი აქტის კონტრაცეფციის გარეშე ჩატარებას როგორმე გადავიტანთ.** –

# ნორმატივები რჩეულთათვის

## „არ დამღუპო, კოწია“

მართალია, **ახალი წელი ახლოვდება, თუმცა ჩვენი რჩეულები მუხლჩაუხრელად შრომობენ** (ბიუროს სხდომებსაც ატარებენ და თვით პარლამენტისასაც), თანაც, **არა მხოლოდ გონებრივად.** –

ასე, მაგალითად, გასულ კვირას **ბიუროს სხდომაზე ხალხის რჩეულები უმრავლესობა-უმცირესობიდან საგანელიძე და ბარამიძე დაუპირისპირდნენ** – ღვთის შეწევნით, **მხოლოდ სიტყვიერად**.

ხალხის **რჩეულისთვის შეუფერებელი ამ დიალოგის დეტალებზე არ შევჩერდები**, მხოლოდ **იმ პასაჟზე გავამახვილებ ყურადღებას**, როდესაც **უმცირესოელმა** ბ-ნმა **ბარამიძემ უმრავლესოელ** ბ-ნ **საგანელიძეს უთხრა – ფეხებსაც ვერ მომჭამო**.

მეორე მხრივ, თუმცა **ეს ინციდენტი მშვიდობიანად დასრულდა**, იმ თვალსაზრისით, რომ **დეპუტატის ფეხები არავის შეუჭამია**, მაგრამ, აი, **მეორე ინციდენტი**, აწ უკვე პარლამენტის სხდომაზე, **გაცილებით დრამატულად განვითარდა**, რამეთუ **რიგგარეშე სხდომაზე, ამჯერად რჩეულები უმრავლესობა-უმცირესობიდან – დავით ლორთქიფანიძე და ლევან ბეჟაშვილი შეებნენ ერთმანეთს**. მთლად **„ვეფხვისა და მოყმესავით“ ბდღვირი არ აუდენიათ**, მაგრამ **კუნთები შეათამაშეს**.

**კონფლიქტი მანდატურებმა განმუხტეს** და **ჩხუბია დეპუტატები დარბაზს გაარიდეს** (საერთოდაც, ეჭვი მაქვს, რომ ამ ჩვენს რჩეულებს კუნთები კამერების დანახვისას უთამაშებთ, იმიტომ რომ, მათ გარეშე ისე სიამტკბილობენ, ავთანდილი და ტარიელი გეგონება).

ხოლო, რადგან **ჩხუბი და დავიდარაბა ჩვენი საპარლამენტო ცხოვრების თანამდევად იქცა**, ვფიქრობ, უპრიანი იქნებოდა, **ეს ჩვენი დეპუტატები არა მხოლოდ ნარკოდამოკიდებულებაზე შეგვემოწმებინა,** არამედ, **მათთვის სავალდებულო გამხდარიყო ფიზიკურ მომზადებაზე ნორმატივების ჩაბარებაც**. ის მაინც გვეცოდინებოდა, **რომელ კუნთებათამაშებულზე ჩამოვსულიყავით ფსონს**. –

# „ეს ულვაში მომპარსეთ“

## წვერის ტაქტიკური როლი

გავრცელებული ინფორმაციით, ჩვენი **ოკეანისგაღმელი პარტნიორები იკვლევენ წვერის ტაქტიკურ მნიშვნელობას.** ეს საკითხი კი **აქტუალური ერაყისა და ავღანეთის ოპერაციის შემდგომ გამხდარა.**

სულ პირველად **ჩვენი დასავლელი პარტნიორების სპეცდანაყოფებს წვერი შენიღბვისთვის გამოუყენებიათ** – ადგილობრივ მოსახლეობას რომ დამსგავსებოდნენ. მიზანი კი **მრავალმხრივი ჰქონია**: წვერი სახეს **იცავს ქარისგან, მოყინვისგან**, **მტვრისგან** და, ამასთანავე, **წვერის პატრონს მძვინვარე გამომეტყველებითაც აჯილდოებს.**

მეტიც, პენტაგონის კვლევით, **წვერს, თურმე, პირდაპირი კავშირი აქვს საბრძოლო ეფექტიანობასთან.** კერძოდ, კვლევით ჯგუფს (Xegis Solutions) **გამოუკვლევია 100 სპეცრაზმელი: 25 წვერიანი, 25 უწვერო, 25 რეგულარული არმიის წვერი, რომელშიც აკრძალულია წვერი და 25-ც იმავე რეგულარული არმიიდან, რომლებსაც დართეს წვერის მოშვების ნება**. შედეგი კი გამაოგნებელი მიუღიათ: საბრძოლო მოქმედებებისას **არცერთი წვეროსანი არ დაჭრილა**!

თქვენ წარმოიდგინეთ, იმასაც კი ამბობენ, რომ **წვერის ტარება ზრდის ტესტესტერონის დონეს ორგანიზმში** (ტესტესტერონი, მოგეხსენებათ, მამაკაცური ჰორმონია), **რაც იწვევს ენდოკრინული სისტემის სტიმულირებას**, რის შედეგადაც **წვერიანი მამაკაცები ფიზიკურად უფრო ძლიერებიც არიან** და **უწვეროებზე ზუსტ და ეფექტიან გადაწყვეტილებებს იღებენ; ზედაც,** გაცილებით **ადეკვატურად იქცევიან სტრესულ სიტუაციაშიო**.

ამის გათვალისწინებით, **ამერიკულ ჯარში წვერის ტარება თითქოს სავალდებულო უნდა გახდეს**. ხოლო, **თუ ჩვენც დავუჯერებთ ჩვენი სულზე უტკბესი პარტნიორების გამოკვლევას**, იქნებ ჩვენს **ტერიტორიულ მთლიანობასაც ეშველოს** რამე, **თუკი ჩვენებურ სამხედრო მოსამსახურეებს წვერ-ულვაშს მოვაზრდევინებთ,** მით უფრო, რომ ღარიბები **ჭარბთმიანობით ბუნებამ უშურველად დაგვაჯილდოვა**?! –


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47






**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი კაპანაძე, ეთო ხურციძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეზუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52

სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53

დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com


ჟურნალში გამოყენებული სტატიებისა და ფოტოსურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე ისჯება კანონით

# ესროლეთ პირდაპირ ფეხებში!

## „ვეცი გახელებით ყმას თუ მებატონეს“

შესაძლოა, იმიტომ, რომ **პირველობა ჩამოართვეს, გასულ კვირას თავი (**უფრო ზუსტად – **კუნთოვანი ქსოვილი) უმცირესოელმა ხალხის რჩეულმა აკაკი ბობოხიძემაც გამოიდო** (არადა, უკვე ჩაწერილია ოქროს ასოებით მისი სახელი და გვარი საქართველოს პარლამენტარიზმის ისტორიაში, რადგან, კუნთების თამაში ისეთი უნდა, ეს ჩვენი რჩეული ბ-ნი ბობოხიძე რომ ათამაშებდა წინა მოწვევის პარლამენტში, როდესაც ხელის შემბრუნებლად თითქმის არავინ ჰყავდა ოპოზიციის მცირერიცხოვნობიდან გამომდინარე).



ჰოდა, რაკი ისე მოხდა, რომ **გასულ კვირას ყველა შეხლა-შემოხლამ მისი მონაწილეობის გარეშე ჩაიარა**, ისეთი **„სპიჩი“ „დაარტყა“** (მარტივად რომ ვთქვა, არაკორექტული სიტყვების გამოყენებით), რომ **დეპუტატები, თავდაპირველად, სიტყვიერად შეებნენ ერთმანეთს,** მოგვიანებით კი **საქმეში ხელ-ფეხიც ჩართეს**. საქმე თვით იქამდეც კი მივიდა, რომ **ერთურთს თავში მიკროფონები ურტყეს და** თვით „სასწრაფო დახმარებაც“ გამოიძახეს. –

ხოლო, **რაკი ჩხუბი იყო პრინციპით: ყველა – ყველაზე**, სავსებით **ბუნებრივია, რომ მანდატურებმა გაშველება ვერ მოახერხეს**, იმიტომ რომ, **ჯერ ერთი, ცოტანი არიან** და, **მეორეც, იმუნიტეტიანის გაშველება რავარია** (ხელი რომ უშნოდ წაევლო)?!

განსაკუთრებით **ყოფილმა მოჭიდავემ, ზვიადაურმა გამოიჩინა** თავი – ის **არაკორექტულსიტყვა კოლეგა ბობოხიძეს**, არც მეტი, არც ნაკლები, **თავზე დაახტა** (არადა – პარტერი არ აჯობებდა?!), რაც გასაგებს ხდის, **თუ რატომ უნდა გყავდეს ერთი მარკშეიდერი**, ამ კონკრეტულ შემთხვევაში – მოჭიდავე, **საარჩევნო სიაში** (იმას გარდა, რომ **2012 წლის მოწვევის პარლამენტის ხალხის რჩეულმა ზვიადაურმა ამ ნახტომით 2008 წლის მოწვევის იმ ხალხის რჩეულთა „სისხლიც აიღო“, ბ-ნი ბობოხიძე რომ უპრაგონოდ უბრაგუნებდა** პირდაპირ ეთერში).

აქედან გამომდინარე კი, ვფიქრობ, აუცილებელია, **პარლამენტის სხდომის მიმდინარეობისას მანდატურების ნაცვლად სესიათა დარბაზში ჩავაყენოთ სპეცრაზმი** ან **მანდატურები აღვჭურვოთ ელექტროხელკეტებით,** მხოლოდ და მხოლოდ **იმ ნათელი მიზნით, რომ ეს ჩვენი რჩეულები ვადის ამოწურვის ბოლოს დაუზიანებლები ჩავაბაროთ ოჯახის წევრებს**. –

P. S. ზემოთქმული მოწმობს, რომ **ოცდამეერთე საუკუნის ქართული „მუხამბაზის“ მოტივია** არა ის – „აბა, ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ“, არამედ – **აბა, დეპუტატის სკამზე მნახე, ვინა ვარ...**

# ზეგანკვეთურის ეშხით

## სანახაობის მოლოდინში

სავარაუდოდ, გამომდინარე **ოკუპანტური შეგონებიდან: „ხოროშო ჟიტ ეშჩო ლუჩშე“**, ამ ჩვენი **დედაქალაქის საკრებულომ,** თქვენ წარმოიდგინეთ, ბიუროს წევრთა უმრავლესობით, **მიიღო გადაწყვეტილება, რომ თბილისის საკრებულოს თანამდებობის პირებმა და აპარატის თანამშრომლებმა „ზეგეგმური შრომისთვის“ დანამატი მიიღონ.** –

ეს **საკითხი** საკრებულოს თავმჯდომარემ ბ-ნმა **ალიბეგაშვილმა წამოჭრა** და, თუმცა საკრებულოსვე ფრაქცია **„ქართული ოცნება – რესპუბლიკელების“ თავმჯდომარემ** ქ-ნმა **სამნიძემ განგაშის ზარები დაარისხა,** ამ დოკუმენტის მიღებით საკრებულოს რეგლამენტის 49-ე მუხლი დაირღვაო, **გადაწყვეტილება მიღებულია**.



აქვე შევნიშნავ, რომ **ქ-ნი სამნიძე თანახმაა, დანამატი აპარატის თანამშრომლებს მიეცეთ**. არადა, მიღებული გადაწყვეტილებით, **დანამატს მიიღებენ, სახელდობრ, საკრებულოს თავმჯდომარე, მისი ორი მოადგილე, ასევე, ფრაქციებისა და კომისიების თავმჯდომარეები** (იმიტომ, რომ მუშაობით წელი მოსწყდათ).

ამ გადაწყვეტილებით, აგრეთვე, **უკმაყოფილოა თბილისის ყოფილი ვიცე-მერი** და **აწ საკრებულოს რიგითი წევრი,** ქ-ნი სევდია **უგრეხელიძე,** შესაძლოა, იმიტომ, რომ **თავად ვერ მოხვდა დანამატიანთა სიაში**, ვინაიდან, **აქამომდე ხელისაუკანკალებლად იღებდა დანამატ-პრემიებს**.

მართალია, ჩვენ **„გვეშინია, ბატონო, არ გაგისკდეს მუცელი“,** მაგრამ თავად **ზეგანაკვეთურის მიმღებები**, **უშიშნი, ვითარცა უხორცონი, მზად არიან ამ მსხვერპლისთვის** და უბნობენ – „ზეგანაკვეთური მუშაობისთვის ადამიანებმა აუცილებლად უნდა მიიღონ დანამატი“.

მე არ შევუდგები იმის გარჩევას, რომ **ამ ჩვენს სახმოხელეებს არც პატივის ეშინით და არც პატიჟის**, მაგრამ, ვფიქრობ, **სამართლიანი იქნება, მოვთხოვოთ, მიჰბაძონ პარლამენტარებს** (რომლებმაც გასულ კვირას ძალა არ დაიშურეს ამომრჩევლისთვის წინასაახალწლო განწყობის შესაქმნელად) **და ერთი სანახაობა თბილისის საკრებულობმაც შემოგვთავაზოს ზეგანაკვეთური ანაზღაურების ეშხით**. –

# „არ იმრუშო“

## ანუ შეჩვეულს ნუ გადააჩვევ

იმას უკვე შევეჩვიეთ, რომ **რუსი „დუმელების“ ტვინში ერთმანეთზე საოცარი საკანონმდებლო ინიციატივები მწიფდება**, მაგრამ გასულ კვირას **აწ უკვე რუსულმა ეკლესიამაც გაგვაკვირვა** (ისედაც უკიდეგანოდ გაკვირვებულები).

სახელდობრ, **რუსულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ რუს ქალებს მოუწოდა, მაგალითი მუსლიმანი ქალებისგან აიღონ**.

კერძოდ, მოსკოვის საპატრიარქოს ოჯახის, დედებისა და ბავშვების დაცვის კომისიის თავკაცმა დმიტრი სმირნოვმა **რუს ქალებს მოუწოდა, დაიცვან მცნება – არ იმრუშო** (არადა, ეს იგივეა, **მოუწოდო რუს მამაკაცებს, არ დალიოთო** – ).

სასულიერო პირმა შენიშნა, **რომ პირველად ისტორიაში მუსლიმანთა ოჯახური ზნეობა აღემატება მონათლულთა ზნეობას**. ზედაც, დააკონკრეტა, რომ **მუსლიმანი ქალები, როგორც წესი, ქალწულები არიან,** მაშინ, როდესაც **ჩვენთან** (ანუ რუსეთში) **ეს ამბავი სულ ბოლოს1945 წელს ხდებოდაო** (დიდად მეეჭვება).



ასეა თუ ისე, **რუსი სასულიერო პირები დარწმუნებულები ბრძანდებიან, რომ**, თუკი რუსი ქალები მკაცრად დაიცავენ მეშვიდე მცნებას, **თითოეული რუსი ქალისთვის რიგში 20 მამაკაცი დადგება** (რათა 20? მაშ, რამდენი? – 100) და **მათგან შეეძლება, აირჩიოს მომავალი ქმარი.**

ჩვენ არ ვიცით, **გაიზიარებენ თუ არა რუსი ქალები მოსკოვის საპატრიარქოს შეგონებას** და **გაიხდიან თუ არა თავიანთი პარტნიორსავსე ცხოვრების დევიზად მეშვიდე მცნებას**, მაგრამ, ის კი აშკარაა, რომ ამ **ჩვენს სამხრეთით და ჩრდილოეთით ერთი მიმართულებით ამოძრავებულან.** –

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**რეგიონში ვითარება იძაბება – დასავლეთთან გართულებული ურთიერთობის გამო რუსეთმა მოკავშირედ თურქეთი შეიგულა, რაც, თავის მხრივ, დასავლეთთან არცთუ ჰარმონიული დამოკიდებულების მქონე თურქეთისთვისაც მომგებიანია. რადგან, როგორც ჩანს, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, თურქეთმა გადაწყვიტა, თავისი ამბიციები გამოამჟღავნოს და ლიდერის ადგილი დაიკავოს, რათა პოლიტიკურ გადანაწილებაში თამაშგარეთ არ დარჩეს. ამ ფონზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ცივილიზებული მსოფლიოს მიერ უარყოფილი პუტინის ვიზიტი თურქ კოლეგასთან. პრეზიდენტებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომ ის რუსული გაზი, რომელიც მოსკოვს „სამხრეთის ნაკადით" უნდა მიეწოდებინა, ევროპაში თურქეთის გავლით მოხვდება. მცირე ხანში თურქეთის მთავრობამ თითქოს უარყო ეს შეთანხმება და განაცხადეს, რომ მათთვის პრიორიტეტული ევროპისთვის არა რუსული, არამედ აზიური გაზის მიწოდებაა. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ მხარეები პოლიტიკურ თამაშში ჩაერთნენ, რომლის მიზანსა და მოტივებზე სოსო ცინცაძესთან ერთად ვისაუბრებთ.**

# რა ზიანს მიაყენებს საქართველოს რუსეთ-თურქეთის ახალი გაზსადენი და რატომ უდრის ერთი მილსადენი 100 000-იან არმიას

**– რა თამაშს თამაშობს თურქეთი?**

– თურქეთის ამ თამაშის სრული სურათი რომ შევქმნათ, საჭიროა მოკლე ისტორიული ექსკურსი: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთი უცებ აღმოჩნდა დიდ მოთამაშეთა შორის. უფრო სწორად, თვით თურქებისთვის მოულოდნელადაც კი, დასავლეთისთვის ძალიან საჭირო მოკავშირე და პარტნიორი აღმოჩნდა ირანთან ერთად, ირანზე მეტადაც. ამიტომ, როგორც კი შეიქმნა „ნატო", თურქეთს განეკუთვნა სამხრეთი ფლანგის, ქურდული ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, „მაყურებლის" როლი და თურქეთი 1952 წელს ვაშინგტონის 1949 წლის ხელშეკრულების – „ნატოს" შექმნის შესახებ – ყველა პუნქტის დარღვევით „ნატოს" წევრი გახდა ყოველგვარი „მაპისა" და ზედმეტი პროცედურების გარეშე. ამის შემდეგ, სანამ საბჭოთა კავშირი არსებობდა, თურქეთი იყო „ნატოს" გვირგვინის ყველაზე დიდი ბრილიანტი. საბჭოთა კავშირს „ნატო" სამხრეთიდან უპირისპირდებოდა თურქეთით და რუსეთს არ უშვებდა სამხრეთის თბილი ზღვებისკენ. თუმცა ძალიან ლმობიერი სავიზო რეჟიმი ჰქონდა თურქეთს ევროკავშირთან, მათ, კი რატომღაც, მაინც გერმანია ამოირჩიეს. ომის შემდგომ გერმანიაში მოთხოვნა იყო მამაკაცებზე, სჭირდებოდათ მუშახელი და თურქებით გაივსო გერმანია, რაც დღესაც გრძელდება. შემდეგ თურქეთს გაუჩნდა ევროკავშირის ამბიცია. მას ასოცირების ხელშეკრულება, დაახლოებით, 40 წლის წინათ გაუფორმეს, მაგრამ ჟისკარ დესტენმა, საფრანგეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა და ევროკავშირის პრეზიდენტობის პირველმა კანდიდატმა, განაცხადა, რომ თურქეთი არასდროს ყოფილა ევროპული ქვეყანა და საჭიროა კარი ჩავუკეტოთ ევროკავშირისკენო, რამაც გაანაწყენა თურქეთი. მით უფრო, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მისი ხვედრითი წონა შემცირდა.



**ერდოღანი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ევროკავშირში თურქეთს არასდროს მიიღებენ, თუმცა ამის მისახვედრად თურქეთს დასჭირდა 40 წელი**

გავიხსენოთ უფრო ადრინდელი მოვლენებიც: პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ვერსალში დადგა საკითხი, რომ თურქები უნდა გაესახლებინათ აზიაში და უნდა დამდგარიყო ბიზანტიის იმპერიის აღდგენის საკითხი, მაგრამ მოხდა კურიოზი. ამ იდეის გენერატორი იყო საბერძნეთის ახალგაზრდა მეფე ალექსანდრე, გერმანიის იმპერატორის, ვილჰელმ მეორის, დის ქმარი. როდესაც გერმანია დამარცხდა პირველ მსოფლიო ომში, მეფე გადადგა, არადა, ამაზე იყო მთელი გეგმა აგებული. იდეის ავტორობა ეკუთვნოდათ საფრანგეთის პრემიერ კლემანსოს, ინგლისის პრემიერ ლოიდ ჯორჯსა და ამერიკის პრეზიდენტ უდრო ვილსონს. მაგრამ საბერძნეთის ახალგაზრდა მეფე სასახლის ბაღში მაიმუნს ეთამაშებოდა, მაიმუნი დაავადებული ყოფილა, დაკაწრა მეფე, ის დაიღუპა და გეგმა ჩაიშალა. ანეკდოტური რამ მოხდა.

**– მაიმუნს გადაურჩენია, ესე იგი, თურქეთი.**

– დიახ, შემდეგ თვითონ ვერსალშიც აირია ვითარება: ამერიკის კონგრესმა ვერსალის ხელშეკრულების რატიფიკაცია არ მოახდინა, ამიტომ ამერიკა „ერთა ლიგაში" არ შეუშვეს. ვილსონს სისხლი ჩაექცა, ინსულტი დაემართა. მართალია, პრეზიდენტობიდან არ გადადგა, მაგრამ ვაი ისეთ პრეზიდენტობას, ლოგინში იყო ჩავარდნილი. კლემანსომ არჩევნები წააგო, ლოიდ ჯორჯიც შეიცვალა და სიტუაცია აირია. შემდეგ თურქეთში მოხდა რევოლუცია. მოვიდა ათა თურქი, შეეკრა ბოლშევიკებს და თურქეთი გადარჩა.

**– და ათა თურქმა ცივილიზებულ რელსებზე დააყენა ქვეყანა.**

– ეგ ზღაპარია, ათა თურქმა უბრალოდ ოსმალეთის იმპერია გააუქმა, მაგრამ თურანის იდეოლოგი იყო და თვალი ეჭირა შუა აზიაზე.

**– იმ თვალსაზრისით ვთქვი, რომ მომთაბარე უისტორიო ტომი თანამედროვე, მოდერნიზებულ სახელმწიფოდ აქცია.**

– ვესტერნიზაცია მოახდინა, ცოტა ევროპას დაუახლოვა. მაგრამ თურქეთს გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ევროკავშირის მისაღებში აყურყუტებენ. ერდოღანს ეს ყელში ამოუვიდა და შებრუნდა რუსეთისკენ. ამაზე ევროპა ცოტა დაფრთხა და ორი კვირის წინათ ევროკავშირის უმაღლესი დონის დელეგაცია სასწრაფოდ ჩაფრინდა თურქეთში. ეს პუტინის ერთდღიანი ვიზიტის შემდეგ მოხდა. მაგრამ ვერ მიაღწიეს პრინციპულ შეთანხმებას, რადგან ერდოღანის პირობაზე, მიმიღებთ თუ არა ევროკავშირშიო, კვლავ იგივე საუბარი დაუწყეს, როგორც ჩვენ, რომ უნდა გაატაროთ რეფორმები და ასე შემდეგ. მაგრამ თურქეთი საქართველო არ არის და არც ერდოღანია მიშა სააკაშვილი ან ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება. გარდა ამისა, თურქეთი უზარმაზარი ქვეყანაა.

**– მისი შეიარაღებული ძალები მსოფლიოს პირველ ათეულშია სიძლიერის მიხედვით.**

– „ნატოში" ერთ-ერთი ლიდერია რაოდენობით, მაგრამ აქვს პრობლემები დემოკრატიის თვალსაზრისით; აქვს ქურთების პრობლემაც, რომელიც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია მის თავზე. ერდოღანი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ევროკავშირში თურქეთს არასდროს მიიღებენ, თუმცა ამის მისახვედრად თურქეთს დასჭირდა 40 წელი.

**– ევროკავშირთან თურქეთისა და რუსეთის დამოკიდებულება გასაგებია, მაგრამ თურქეთი და რუსეთი როგორ გაიყოფენ გავლენის სფეროებს, მათ შორის, კავკასიას?**

## აკაკი წერეთლის ცრემლიანი და ტკივილიანი მონატრება



აკაკი, შვილო, გაუსაძლისია ჩვენი ცხოვრება უშენოდ. ყველაფერი უეცრად შეწყდა, განადგურდა. შენი ულამაზესი სიცოცხლე, რომელიც ასე გიყვარდა, ერთმა წუთმა შეცვალა, მაგრამ, შენდამი ჩვენს სიყვარულს ვერაფერი შეცვლის, შვილო! ვაი შენს დედას, შვილო! შენ ის ტკივილი ხარ, დროსთან ერთად რომ იზრდება. განუხორციელებელი დარჩა შენი ოცნება, რომ პატარა ნუგეში მაინც დაგვეტოვებინა ჩვენთვის. მეოთხედ მოვიდა ახალი წელი უშენოდ. მოვალთ შენთან და მოგილოცავთ უშენოდ მოსულ ახალ წელს.

**ა-ხლაც უშენოდ მეოთხედ ვხვდებით,**
**კ-ვნესით და გოდებით**
**ა-ხალ წელს. ჩვენ**
**კ-არგს აღარაფერს ველოდებით;**
**ი-სედაც ვიცით ყოველდღე.**

შვილო, გწამდეს, ჩვენს სიყვარულს დრო ვერ მოერევა და, სანამ სული გვიდგას მე და მამაშენს, შენს საფლავთან არასდროს შეწყდება ჩვენი ფეხის ხმა. ვილოცებთ შენი სულისთვის, შენთან მუდამ ინათებს სანთელი და შენს მონატრებას არასოდეს ექნება დასასრული.

**შენი მშობლები: ციალა და თენგიზ წერეთლები**

– კონიუნქტურა ისეთია, რომ ორივე სჭირდება ერთმანეთს. რუსეთს თურქეთი სჭირდება, რადგან პუტინი კარგავს დასავლეთს. მან ერთი დიდი სტრატეგიული ჩამნაცვლებელი თითქოს მოძებნა – ჩინეთი, მაგრამ ჩინეთი უნდა დაბალანსდეს, იმიტომ რომ, ჩინეთი ორლესური მახვილია. ჩინელებმა თავაზიანი ღიმილით ნახევარი ციმბირი უკვე აითვისეს და შემთხვევითი არ არის, რომ მოსკოვში ბოლო პერიოდში გაჩნდა ექსტრავაგანტური იდეა – დედაქალაქის მოსკოვიდან ციმბირში გადატანა. იცით, რომ რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლეობა არათანაბრადაა განაწილებული: რუსეთის ევროპულ ნაწილშია თავმოყრილი რუსეთის მოსახლეობის ორი მესამედი, ციმბირი კი ცარიელია. იქ მხოლოდ დათვები და ჩინელები არიან. მალე ჩინელები იმ დათვებსაც შეჭამენ და ბოლო-ბოლო მხოლოდ ჩინელები დარჩებიან. ამდენად, რუსეთს სჭირდება ჩინეთის გაწონასწორება თურქეთით. თავის მხრივ, თურქეთსაც სჭირდება რუსეთი, ვინაიდან ევროპა მაინც ეჭვით უყურებს თურქეთს. მოკლედ რომ ვთქვა: თურქებს არ მიიჩნევენ ევროპელებად, მაგრამ, მეორე მხრივ, რუსეთსა და თურქეთს შორის ეროვნული ინტერესების ისტორიული კონფლიქტია. ამ რეგიონს და, გნებავთ, ბალკანეთსაც თურქეთი და რუსეთი ვერასდროს გაიყოფენ. მე არ მგონია, მსოფლიოში კიდევ იყოს ორი ქვეყანა, რომლებსაც ამდენი ეომათ ერთმანეთთან. დღეს სულ სხვა მდგომარეობაა: მსოფლიოში თანდათანობით წინა პლანზე გამოდის დიპლომატიის ახალი განშტოება – ენერგოდიპლომატია, რაც გასულ საუკუნეშიც კი არ ყოფილა, არათუ უფრო ადრე. დღეს ერთ სტრატეგიულ გაზსადენს იმდენი ძალა აქვს, რამდენიც ასიათასიან არმიას. პუტინს კარგი ცხოვრების გამო არ უთქვამს უარი „სამხრეთის ნაკადზე“. იძულებული იყო. მიხვდა, რომ ევროპა ამას არ დაუშვებდა.

**– დაასწრო.**

– რუსეთისთვის „სამხრეთის ნაკადის“ მთელი ეშხი ის იყო, რომ მიელო ევროპის გაზგამანაწილებელი სისტემა. მაგრამ ევროკავშირმა მიიღო საკანონმდებლო პაკეტი, რომ არ შეიძლება, ერთი ქვეყანა იყოს გაზის მიმწოდებელიც და გამანაწილებელიც. ეს გამიჯვნა რუსეთისთვის წამგებიანი იყო და პუტინი იძულებული გახდა, უარი ეთქვა. მაგრამ არის მეორე ვარიანტი – თურქეთის გავლით მიწოდება, ამ გაზსადენის მთელი ეშხი ისაა, რომ რუსეთი გვერდს აუვლის უკრაინას. მართალია, პუტინი ბაქიბუქობს, რომ უკრაინას გავაქრობო, მაგრამ იცის, რომ უკრაინა უკრაინად დარჩება და ის რუსეთისადმი მეგობრული აღარასდროს იქნება, ამიტომ უკრაინაზე გამავალი გაზსადენი რუსეთისთვის მუდმივი საფრთხეა და აქ ერდოღანს ხელში ჩაუვარდა გაუჭრელი კოზირი რუსეთთან ურთიერთობაში. ახლა უკვე ერდოღანი კარნახობს პირობებს.

**– თან, ორივეს: რუსეთსაც და ევროპასაც.**

– დიახ. ოტომანთა იმპერია რატომ გადარჩა? იმიტომ რომ, თურქული დიპლომატია ეს არის თამაში წინააღმდეგობებზე. თურქეთი მუდამ თამაშობდა ინგლისისა და რუსეთის, საფრანგეთისა და რუსეთის, გერმანიისა და რუსეთის წინააღმდეგობებზე და ისტორიას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ რუსეთი თურქეთს ამარცხებდა ომებში, მაგრამ ზავი იდებოდა ინგლისელებისა და ფრანგების კარნახით. რუსეთმა ვერ ისარგებლა ვერც ერთი გამარჯვებით. დღესაც ასეა. კლასიკაა, თუ როგორ თამაშობს დღეს თურქეთი ევროპისა და რუსეთის წინააღმდეგობებზე, თუმცა სხვა საქმეა, სადამდე მივლენ.

**– რატომ ჩაიციკლნენ ამ ევროკავშირის წევრობაზე. თურქეთი აწარმოებს თითქმის ყველა მსოფლიო ბრენდის პატენტს, რაც ნიშნავს, რომ მათი ეკონომიკური განვითარების დონე აკმაყოფილებს ევროსტანდარტს. რად უნდათ დამატებითი ვალდებულებები წევრობით?**

– თურქეთი დიდი ბაზარია ევროპისთვის, მაგრამ ევროკავშირი უფრო მნიშვნელოვანი ბაზარია თურქეთისთვის. თურქეთს ბაზარიც უნდა, ევროკავშირში უვიზო გადაადგილებაც და, საერთოდ, ევროკავშირის წევრობა კიდევ უამრავ პრივილეგიასაც გულისხმობს. ამას გარდა, თურქეთს მაინც აქვს უკმარისობის გრძნობა, რომ მათ არ თვლიან ევროპელებად. არადა, ერდოღანი გარეგნულად ხომ რაფინირებული ევროპელია?!

**– რასაც ვერ ვიტყვით მის თავსაფრიან თანამეცხედრეზე.**

– და ამავე დროს ერდოღანის „პიერ კარდენის” კოსტიუმებს მიღმა ისლამისტი იმალება. რატომ არის ერდოღანის წინააღმდეგ პროტესტი? იმიტომ რომ მაინც ისლამიზმისკენ მიჰყავს თურქეთი. ერდოღანმა ათა თურქის კურსს გადაუხვია.

**– მუდმივად უპირისპირდებოდა სამხედროებს და რამდენიმე წლის წინათ, გვახსოვს სამხედრო მაღალჩინოსნების მასობრივი დაპატიმრებები.**

– დიახ და, მე თუ მკითხავთ, სისულელე გააკეთა ამერიკამ: თავი მოიკლეს, სანამ ერდოღანი გენერლებს არ დაერია და არმია პოლიტიკას არ ჩამოაშორა. ორჯერ გამოვიდა თურქეთის ახალ ისტორიაში არმია ყაზარმებიდან. ორჯერვე ისლამისტები გაყარა და ისევ დაბრუნდა ყაზარმაში. თურქ სამხედროებს არასდროს აუღიათ ხელისუფლება, განსხვავებით სხვა ქვეყნებისგან. ისინი ათა თურქის კურსს აღადგენდნენ და ისევ ყაზარმაში შედიოდნენ, მაგრამ ამერიკელებმა არ მოისვენეს და აი, შედეგიც.

**– როგორ შეძლებენ თურქეთი და რუსეთი პარტნიორობას? რამდენად მტკიცეა მათი ალიანსი?**

– ისინი არ ენდობიან ერთმანეთს და არიან კონკურენტები. მათი საკონკურენციო არეალია სამხრეთი კავკასია, კერძოდ, საქართველო და აზერბაიჯანი, რადგან სომხეთი უკვე რუსეთის ჯიბეშია.

**– ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი: ეს ეჭვიანი კავშირი რუსეთსა და თურქეთს შორის და მათი დაპირისპირება დასავლეთთან, ჩვენ დაცულობას იწვევს უნებლიეთ?**

– დაცულობას ჩვენ ეს მოგვცემს მაშინ, თუ ჩვენი ქართული დიპლომატია იქნება ძალიან მოქნილი, კრეატიული და მდიდარი ინტელექტით, მაგრამ იქიდან, რაც ჩამოვთვალე, დღეს ქართულ დიპლომატიას არაფერი გააჩნია. ქართული დიპლომატია ორივე ხელით უნდა ჩაბღაუჭებოდა პუტინის შემოთავაზებას, დავსხდეთ, ვილაპარაკოთო. მაგრამ, ეტყობა, არ აქვს საკუთარ თავის იმედი, რომ შეძლებს დიალოგის დაწყებას პუტინთან და ამავე დროს არ გაანაწყენებს ევროპელ პარტნიორებს და ევროპულ კურსსაც შეინარჩუნებს. ამიტომ, როგორც რუსები იტყვიან, „პოდალშე ოტ გრეხა“, უარი თქვეს. რუსეთთან ავიღეთ სულელური კურსი: ყველაფერი ან არაფერი. ჯერ დაგვიბრუნეთ აფხაზეთი და ცხინვალი და მერე ვილაპარაკოთ დანარჩენზეო. მეორე მხრივ, ვნახოთ, რა ხდება ბათუმში: იქ თურქები ისე ვერ გრძნობენ თავს, როგორ სხვა ქვეყანაში და არ აქვთ განცდა, რომ უნდა დაემორჩილონ ადგილობრივ კანონმდებლობას. არადა, ჩვენ ხომ არ ვართ ამერიკა? ამერიკა იტანს ჩინურ, ინდურ, მექსიკურ თუ სხვა უბნებს, რომლებიც თავ-თავიანთი წესებით ცხოვრობენ. ამერიკა გიგანტია, ჩვენ კი ერთი მუჭა ვართ. ასე რომ, მე არ ვიცი, სად არის ჩვენი ადგილი ამ გიგანტების მეგობრობა-ჭიდაობაში. მე არ მინახავს არც ერთი სემინარი თუ კონფერენცია არც აკადემიურ და არც საუნივერსიტეტო წრეებში, სადაც ამ პრობლემებზე იმსჯელებდნენ. ასე რომ, არ ვიცით, სად არის საქართველოს ადგილი დიდი კავკასიის ამ გეოპოლიტიკურ პა-სეანსში. ვხედავთ, რომ ძალიან საინტერესო პროცესები მიდის მოსკოვსა და ანკარას შორის და გამორიცხულია, ეს რიკოშეტით მაინც არ შეეხოს საქართველოს.

**ნინო ხაჩიძე**


## მსოფლიოში ცნობილი უძლიერესი პარაფსიქოლოგი – კოლხი წინასწარმეტყველი

**კოლხი ნათია**: „სრულიად საქართველოს ვულოცავ შობა-ახალ წელს, ბედნიერების, სიმშვიდის, სტაბილურობის მომტანი ყოფილიყოს 2015 წელი ჩვენი ხალხისთვის. ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას არასოდეს მოაკლდება უფლის მფარველობა. ჩვენ ყველა უნდა გავერთიანდეთ და ვილოცოთ ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის, მხოლოდ რწმენა და ლოცვა გადაგვარჩენს. ჩემი მიზანი პოპულარობა არ არის, არამედ ვეხმარები ადამიანებს და მათი ბედნიერებით მეც უზომოდ ბედნიერი ვარ“.



***კოლხი ნათია ხსნის ჯადოს, ჩაკეტილ ბედს, გათვალვას, ლოცავს ბარაქაზე, წმენდს აურას, ამზადებს თილისმას, რომელიც მუდმივია.***

**კახა ო-ძე, *50 წლის (ბიზნესმენი):*** კოლხმა ნათიამ სასწაული მოახდინა ჩემთვის, ბიზნესი, რომელიც ჩემი ძირითადი შემოსავლის წყარო იყო, მისი წყალობით აღვადგინე, ნელ-ნელა ჩემმა ოჯახმა ფინანსურად ამოისუნთქა, სხვაც ბევრი პირადული პრობლემა მომიგვარდა. მთავარია, რწმენით მიხვიდეთ მასთან. სიტყვები არ მყოფნის მადლიერების გამოსახატავად.

**ეკა კ-შვილი**, ***67 წლის (თბილისი):*** მოხსნის მერე, უამრავი პრობლემა მომეხსნა ოჯახში, ვიზა ჩამირტყეს, რომელი ერთი ჩამოვთვალო... 2 თვის წინ ქალიშვილი გამითხოვდა.

**ოთარი, *60 წლის, მძღოლი (თბილისი):*** მოხსნის მერე, ჩემი პრობლემები ავადმყოფობასთან ერთად გაქრა, სასწაულია პირდაპირ. უღრმესი მადლობა კოლხ ნათიას.

**ანა მ-ძე**, ***33 წლის (თბილისი):*** 10 წელი უშვილო ვიყავი, რა აღარ ვცადე... კოლხი ნათია სასწაულებს ახდენს, მისი წყალობით, მე დღეს პატარა ლაზარეს დედა ვარ.

**თამრიკო, *43 წლის (ქუთაისი):*** რაც ქალბატონ ნათიასთან მივედი, სახლისა და მიწის კარგ ფასში გაყიდვა შევძელი, ვიზაც ჩამირტყეს, ახლა კანადაში ვარ. ჩემმა ოჯახმა ფინანსურად ამოისუნთქა.

**ელენე**, ***38 წლის, ექიმი:*** კოლხი ნათიას წყალობით, გაყიდული სახლ-კარი ნელ-ნელა დავიბრუნე. მთავარია, რწმენით მიხვიდეთ მასთან და ყველა პრობლემა უკან დარჩება.

**ანონიმურობა დაცულია.**

**ტელ: 599-98-74-25; 514-45-18-81**
**Skype bulvarzelioni**

**ის, რომ არასრულწლოვნები აქტიურად თამაშობენ აზარტულ თამაშებს, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. თუმცა ეს საყველპურო აზრი ახლახან კვლევამაც გაამყარა. კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციამ – „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“ – არასრულწლოვნები გამოიკითხა და აღმოჩნდა, რომ გამოკითხული 100-მდე არასრულწლოვნიდან 67-მა კითხვაზე, ხართ თუ არა ონლაინ და ოფლაინ კაზინოებისა და ტოტალიზატორების მომხმარებელი, დადებითი პასუხი გასცა. აზარტულ თამაშებს ან ძალიან მდიდრები თამაშობენ, გართობის, ან ძალიან ღარიბები, გამდიდრების მიზნით, თუმცა სათამაშო ბიზნესი იმისთვის არ შექმნილა, რომ მოთამაშეები გაამდიდროს, პირიქით – ეს ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ბიზნესია მსოფლიოში. ამის მიუხედავადაც, სათამაშო ბიზნესს მომხმარებელი არ აკლია, მათ შორის, ქართველი არასრულწლოვნების სახითაც. რა საფრთხეს შეიცავს ეს ტენდენცია და, საერთოდაც, რატომ ებმებიან ადამიანები სათამაშო მახეში? – თემას ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ დიმიტრი ნადირაშვილთან ერთად განვიხილავთ.**

# რა შეცდომებს უშვებენ მშობლები შვილების აღზრდაში და რატომ იწვევს ზეზრუნვა ბავშვში უარყოფითი თვისებებისა და მავნე მიდრეკილებების გაჩენას

**– რა იწვევს აზარტული თამაშისადმი მიდრეკილებას და რატომ არიან რისკჯგუფში მოზარდები?**

– ეს მოვლენა ფსიქოლოგიაში ცნობილია, როგორც გარკვეული ფსიქიკური მიჯაჭვულობა აზარტული თამაშისადმი, რასაც ძალიან მძიმე შედეგები მოაქვს. როგორც უამრავი სხვა დაავადების შემთხვევაში, ეს ფსიქოლოგიური მიჯაჭვულობაც საჭიროებს დახმარებას ნებისმიერ ასაკში და განსაკუთრებით, ახალგაზრდებში. მნიშვნელოვანია, რომ ეს ახალგაზრდების სენია, რადგან მათ არ აქვთ ჩამოყალიბებული, როგორც ფსიქოლოგები იტყვიან, დისპოზიციური განწყობები, ანუ ქცევითი ნორმები და პიროვნებისთვის მნიშვნელოვანი ფასეულობები.

**– მარტივად რომ ვთქვათ: არ იციან, რა არის სწორი და რა არასწორი, რის გაკეთება ღირს და რის – არა?**

– დიახ. ვინ არის, რას წარმოადგენს, რა ფასეულობები აქვს, როგორია მისი სოციალური სახე საზოგადოებასთან, მეგობრებთან, მშობლებთან მიმართებაში. დისპოზიციურ განწყობებზე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ, როდესაც ახალგაზრდას, მოზარდს არ აქვს ჩამოყალიბებული დისპოზიციური განწყობები, ის ადვილად შეიძლება, მოექცეს იმ სიტუაციური განწყობების ზეგავლენის ქვეშ, რომლებიც თავისი სტერეოტიპულობით არანაირი სიღრმითა და სინამდვილით არ გამოირჩევიან. მაგალითად: ასეთი სტერეოტიპია, რომ თამაში კარგია, რადგან შეიძლება, მოიგო და გამდიდრდე. ასეთი აზრი გავრცელებულია გარკვეულ წრეში და სათამაშო დაწესებულებების რეკლამები სწორედ ასეთი სტეროტიპებით მუშაობენ და მოუწოდებენ ადამიანებს, ითამაშონ, გაერთონ, რომ აზარტული თამაში დიდი გართობა და დიდი სიამოვნებაა; რომ ეს დამახასიათებელია წარმატებული და ღირსეული ადამიანებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ, გაატარონ დრო ასეთ ქცევაში და დააჯილდოონ თავიანთი თავი მოგებით წარმატების მიღწევით. რა თქმა უნდა, ეს სტერეოტიპული აზრები მოკლებულია სიმართლეს და სიტუაციურ განწყობებზეა ორიენტირებული და მხოლოდ „თინეიჯერი“ შეიძლება, წამოეგოს მას და იცხოვროს ასეთი პრინციპით.



**შეიძლება, მოგების სიხშირე მცირე იყოს, მაგრამ მოგების მოლოდინი ასულდგმულებს მოზარდის მოწყვლად ფსიქიკას და ადვილად აწყებინებს თამაშს. ანუ მოგება მის მიერ განცდილია, როგორც წარმატება და სიხარული**

**– აქვე ვიტყვი, ჩემს, ანუ მოთამაშის მოგებასა და სიამოვნებაზე რომ იყოს ორიენტირებული სათამაშო ბიზნესი, მაშინ ის არ იქნებოდა ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი. ამდენად, ის ცალსახად სწორედ ჩემს გაბრიყვებაზეა ორიენტირებული.**

– რა თქმა უნდა, მაგრამ ეს ის სიმართლეა, რასაც მალავს კაზინო და სათამაშო დაწესებულება. ის ამბობს იმას, რაც მე ჩამოვთვალე და რაც მოქმედებს საზოგადოებაზე, ოღონდ არა ჩამოყალიბებული განწყობების მქონე ადამიანზე. მაგრამ მოზარდზე ასეთი აზრები იოლად ახდენს გავლენას და ადვილი წარმოსადგენია, რომ საბოლოოდ ის გახდება თამაშზე ამგვარი მიჯაჭვულობის მსხვერპლი, რაც ნარკომანიის მსგავს მიჯაჭვულობას წარმოადგენს. ადამიანს აღარ შეუძლია, არ ითამაშოს, არ იტრიალოს ამ მორევში, მიუხედავად იმისა, რომ ეს დიდი ტრაგედიაა: ასეთი ადამიანი კარგავს ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს, მათ ნდობას. ვიმეორებ, თავისი არსით, ეს ძალიან ჰგავს ნარკოდამოკიდებულებას.

**– არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანების ნაწილი ფიზიოლოგიურად არის მიდრეკილი ნიკოტინისადმი, ნარკოტიკისა თუ ალკოჰოლისადმი. ამიტომ შეიძლება, სვამდეს, ეწეოდეს ან იკეთებდეს, მაგრამ დაანებოს თავი, მაშინ, როდესაც, თუ მიდრეკილი ერთხელ მაინც გასინჯავს, დამოკიდებული ხდება. ახასიათებს ანალოგიური რამ თამაშისადმი მიდრეკილებას: ეს მიდრეკილება იმთავითვე დევს ადამიანში თუ შემდეგ ყალიბდება?**

– ანალოგია არის, ეს შეიძლება, დაემართოს ნებისმიერს, მაგრამ განსაკუთრებით იმ ასაკში, როდესაც ყველაზე მყიფედაა მოცემული ადამიანის შინაგანი საყრდენები, როდესაც არ არსებობს პიროვნების ფსიქოლოგიური ჩონჩხი. ამიტომ, რადგან არ აქვს შესაბამისი ძალა და ნებისყოფა, ასეთ ასაკში შესაძლოა, ადვილად მოექცეს გავლენის ქვეშ და, საბოლოოდ, ეს გახდება ფსიქოლოგიური პრობლემა, რომლის მიმართაც ძალიან მოწყვლადი ხდება ამგვარი „თინეიჯერი“ და უჭირს, დამოუკიდებლად გაუმკლავდეს, საჭიროა ჩარევა მშობლების, ხშირად – ფსიქოლოგების, ანუ გარკვეულწილად აუცილებელია ფსიქოთერაპიული მკურნალობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კიდევ უფრო უსუსურები შეიძლება, გახდნენ და დაიღუპონ კიდეც და ასეთი ფაქტი უამრავია.

**– აზარტული თამაში ნარკოტიკს შეადარეთ. თუ ნარკოტიკის მიღება ასოცირდება სიამოვნებასთან, ეიფორიასთან, თუმცა მხოლოდ დასაწყისში, იმიტომ შემდეგ დოზის გაზრდა ხდება აუცილებელი იმავე შედეგის მისაღებად, რაც, როგორც წესი, ცუდად მთავრდება, აზარტული თამაშების შემთხვევაში რა არის მიზანი, რა სიამოვნებას იღებს მოთამაშე, რაც მიაჯაჭვავს მას თამაშს?**

– უპირველესად, ეს არის გარკვეული აზრი და რწმენა, რომლის გათავისებაც მოზარდს უქმნის დადებით განწყობას თამაშისადმი. ის, რომ თამაში მისთვის არის სიამოვნების წყარო და მას დადებითი განწყობა აქვს ამ ქცევის მიმართ, რადგან თამაშის დაწყება მისთვის არის მოლოდინი სიამოვნების მიღებისა.

**– ანუ მოგების მოლოდინი?**

– დიახ, მოგების და დაჯილდოების მოლოდინია მისთვის მიმზიდველი, რაც საკმარისია იმისთვის, რომ დაიწყოს ამგვარი ქცევა.

**– მაგრამ მოგება ხომ აუცილებელია? თუ სიამოვნება არ მიგრძნია ერთხელ მაინც, შეიძლება, მუდმივად მოლოდინის იმედით გავაგრძელო ასეთი ქცევა წლების განმავლობაში?**

– რა თქმა უნდა, მოგება განამტკიცებს ამგვარ ქცევას და ჩვეულებრივ არის კიდეც მოგებები, რაც იწვევს დიდ სიამოვნებას. შეიძლება, მოგების სიხშირე მცირე იყოს, მაგრამ მოგების მოლოდინი ასულდგმულებს მის მოწყვლად ფსიქიკას და ადვილად აწყებინებს თამაშს. ანუ მოგება მის მიერ განცდილია, როგორც წარმატება და სიხარული. ამასთან ერთად ისიცაა, რომ ფული ასეთი მოზარდისთვის განცდილია ზერელედ, ფულისადმი აქვს ნეგატიური დამოკიდებულება. მისთვის ფული არაფერს ნიშნავს. რა თქმა უნდა, საბოლოოდ, ასეთი განწყობები იწვევს იმას, რომ წაგებები შესაძლოა იმდენად მტკივნეული გახდეს, თავიც მოაკვლევინოს, მაგრამ, როდესაც ადამიანს ფულისადმი ზერელე და არაადეკვატური დამოკიდებულება აქვს, ადვილად იწყებს თამაშს. როგორც წესი, ხშირად ეს არ არის მის მიერ მოპოვებული ფული, არის მშობლების ან ნაჩუქარი და ამდენად, დამოკიდებულება ამგვარი ფულისადმი არის ზედაპირული. ანუ, ერთი მხრივ, სიამოვნება, მეორე მხრივ, ფულისადმი ზერელე დამოკიდებულება, დიდი ამბავი, თუ წააგო, ქმნის იმ პრელუდიას, რომლის შედეგადაც მოზარდი ებმება ამ მორევში და შედეგად წაგებები შესაძლოა იყო კოლოსალური. ანუ პროცესი იწყება სიამოვნებით და მთავრდება დიდი უსიამოვნებით. ამ ტრაგიკულ განცდებში მოზარდი ხშირად ისეა გამწარებული, რომ განაგრძობს თამაშს, სანამ შეუძლია – უკანასკნელ თეთრამდე. ეს არის გამწარებული, აზრდაკარგული ადამიანის ქცევა და ასეთი ადამიანი განწირულია წაგებისთვის: მას არ აქვს საღი აზრი, ლოგიკური აზროვნება, სიტუაციის ადეკვატური აღქმა, მას უნდა მოგება, მაგრამ სრულიად არაადეკვატურია მოგებისთვის. ამიტომ ასეთი ადამიანები განწირულნი არიან, ყველაფერი წააგონ და მართლაც ყველაფერს აგებენ, რაც კიდევ უფრო საშიშია მათთვის. ისინი არიან მდგომარეობაში, როდესაც ვერ აკონტროლებენ საკუთარ თავს, თუ რას და რატომ აკეთებენ. უბრალოდ განაგრძობენ ასეთ ქცევას იმის გამო, რომ აღარ შეუძლიათ, მოსწყდნენ თამაშის წყაროს და არა მარტო მაშინ

# როგორ მოუტანა ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტ ოთარ ნადარაიას ჩინოვნიკობის ხუთმა წელმა მილიონი ლარი

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი და ვიცე-პრეზიდენტი ოთარ ნადარაია 1977 წელსაა დაბადებული. მის ოფიციალურ ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ მან 2000 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფაკულტეტი მითითებული არ არის, თუმცა ნათქვამია, რომ მიენიჭა ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2003 წელს მელქაძის სახელობის სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაც დაუმთავრებია, ხოლო 2008 წელს – უილიამს კოლეჯის (აშშ) მაგისტრატურა ეკონომიკაში. მისი სამუშაო გამოცდილება პირდაპირ საგარეო საქმეთა სამინისტროში იწყება 2001 წელს, საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის მთავარი სპეციალისტობით, ხოლო 26 წლის ასაკში, ანუ 2003 წელს, უკვე დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის პრორექტორი იყო. პარალელურად (2005 წლამდე) – ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მაკროეკონომიკურ გამოკვლევათა განყოფილების მკვლევარი ეკონომისტიც, შემდეგ – მონეტარული პოლიტიკის განყოფილების მთავარი ეკონომისტი, ასევე, ზედამხედველობის დეპარტამენტის დოკუმენტური ზედამხედველობის განყოფილების წამყვანი ეკონომისტი და განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელიც. 2006 წლის სექტემბრიდან 2008 წლის მაისამდე საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის დეპარტამენტის დოკუმენტური ზედამხედველობის განყოფილების უფროსად იმუშავა. თუმცა იმავე წელს საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის მოადგილედ დაინიშნა. 2009 წლის დეკემბრიდან დღემდე კი საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი და ვიცე–პრეზიდენტია.

ოთარ ნადარაიას მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 2010 წლით თარიღდება, რომელიც მან ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის ამპლუაში შეავსო. ის იმხანად მშობლებთან ერთად ცხოვრობდა. ოჯახის უძრავი ქონება ოთარ ნადარაიას მამას, ნუგზარ ნადარაიას ეკუთვნოდა. კერძოდ: ბინა თბილისში, ზაქარიაძის ქუჩაზე და საცხოვრებელი სახლები ფოთსა და ზესტაფონში; ასევე, მიწის ნაკვეთი თბილისის ზღვის მიმდებარედ. დედას, მანანა ქორიძეს კი ჰყავდა 1998 წლის ავტომანქანა „ფოლკსვაგენი“. ოთარ ნადარაიამ, როგორც საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის მოადგილემ, 2009 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით, 96 144 ლარი აიღო; დეკემბერში, როგორც ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა – 10 000 ლარი და როგორც ეროვნული ბანკის საბჭოს წევრმა – 3 500 ლარი. მანანა ქორიძემ, როგორც ჩაჩავას სახელობის მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტის წამყვანმა სპეციალისტმა – 5 500 ლარი და როგორც დავით აღმაშენებლის სახელობის



უნივერსიტეტის ლექტორმა – 1 500 ლარი. ნუგზარ ნადარაიამ კი, როგორც პენსიონერმა – 6 000 ლარი. 2010 წლის დეკლარაციით ვიგებთ, რომ ოთარ ნადარაია დაოჯახდა 1985 წელს დაბადებულ ნათია გიგაურზე. ოჯახის უძრავი ქონება კვლავ ნუგზარ ნადარაიას საკუთრებაა და ის გაზრდილია, კერძოდ, მიწის ნაკვეთებით ფოთსა და ზესტაფონში (1 200-1 200 კვ. მ.). მანანა ქორიძეს კვლავ ჰყავს ავტომანქანა და 45 000 ლარსაც ინახავს „პროკრედიტბანკის“ ანაბარზე. ოთარ ნადარაია არის შპს „თანხმობის“ დამფუძნებელი, რამაც მას 2010 წელს 11 439 ლარის შემოსავალი მოუტანა. რაც შეეხება 2010 წლის შემოსავლებს: ოთარ ნადარაიამ, როგორც ეროვნული ბანკის საბჭოს წევრმა, 40 526 ლარი აიღო, ხოლო, როგორც ვიცე-პრეზიდენტმა – 150 404 ლარი; ნუგზარ ნადარაიამ, როგორც პენსიონერმა, კვლავ 6 000 ლარი; მანანა ქორიძემ, როგორც წამყვანმა სპეციალისტმა – 5 000, როგორც ლექტორმა – 2 000 ლარი; ხოლო ნათია გიგაურმა, როგორც კონტროლის პალატის სპეციალისტმა – 7 000 ლარი.

2011 წლის განმავლობაში ნადარაიების ქონება არ შეცვლილა, ერთი ისაა, მანანა ქორიძეს ანაბარზე მაშინ უკვე 55 000 ლარი ჰქონდა. ოთარ ნადარაიას კი შპს „თანხმობის“ დამფუძნებლობამ 10 712 ლარი მოუტანა. რაც შეეხება სხვა შემოსავლებს: 2011 წლის განმავლობაში ოთარ ნადარაიამ, როგორც ეროვნული ბანკის საბჭოს წევრმა, 42 000 ლარი აიღო, როგორც ვიცე-პრეზიდენტმა, 130 00 ლარი; მანანა ქორიძემ იმავე სამუშაო ადგილებზე, 5 000 და 3 000 ლარი, ხოლო ნუგზარ ნადარაიამ, როგორც პენსიონერმა, კვლავ 6 000 ლარი. 2011 წელს ოთარ ნადარაიას შეეძინა ქალიშვილი – ნინო.

2012 წელს მანანა ქორიძეს ანაბარზე უკვე 65 000 ლარი ჰქონდა, ოთარ ნადარაიას შემოსავალმა კი შპს „თანხმობიდან“ 7 735 ლარი შეადგინა. იმავე წელს, მან, როგორც ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა და საბჭოს წევრმა, 151 560 და 42 000 ლარი აიღო; მანანა ქორიძემ კი – 5 000 და 3 000 ლარი, ნუგზარ ნადარაიამ – ისევ 6 000 ლარი წლიურ პენსიად.

ოთარ ნადარაიას მიერ შევსებული ბოლო დეკლარაცია 2014 წლით თარიღდება. უცვლელია ოჯახის წევრთა შემადგენლობა და უძრავი ქონების ოდენობა. მატებაა მოძრავ ქონებაში: 1950 წელს დაბადებულ მანანა ქორიძეს, გარდა ზემოხსენებული „ფოლკსვაგენისა“, ჰყავს 2011 წლის „ტოიოტა კოროლა“ და ანაბარზე აწ უკვე 75 000 ლარი ერიცხება. ოთარ ნადარაიას შპს „თანხმობამ“ კი მხოლოდ 6 000 ლარი შესძინა. ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტობამ – 164 560 ლარი, საბჭოს წევრობამ – 42 000 ლარი. მანანა ქორიძემ კვლავ 5 000 და 3 000 ლარი აიღო, თუმცა დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში ლექტორად დასაქმებულა ოთარ ნადარაიას მეუღლე ნათია გიგაურიც, რომლის წლიურ შემოსავალს 4 000 ლარი შეუდგენია.

**ნინო ხაჩიძე**

---

როდესაც უკანასკნელ თეთრს აგებენ, არამედ შეუძლიათ, კიდევ იშოვონ ფული და ისევ დაუბრუნდნენ თამაშს, იმ იმედით, რომ წარმატებას მიაღწევენ, იმდენად არაადეკვატურია მათი შეფასების სისტემა.

**– რა შეიძლება, ვურჩიოთ მშობლებს, რომ თავიანთ შვილებს ააცილონ აზარტული თამაშებისადმი მიჯაჭვულობა?**

– ჩვენ მიერ დახასიათებულ ადამიანებს ახასიათებთ სიტუაციური განწყობების მიმართ მოწყვლადობა, იმპულსურობა, ცდუნებისადმი არამდგრადობა. საკმარისია, წამოვიდეს ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური იმპულსები, რომლებიც უბიძგებს თამაშისკენ, რომ ისინი უძლურები არიან, წინ აღუდგნენ ასეთ სურვილს. ძალა, რომლითაც შესაძლებელია ასეთი იმპულსებისთვის წინააღმდეგობის გაწევა, არის ნებისყოფა. რაც ფსიქოლოგიურად, „მინდასგან“ განსხვავებით ნიშნავს „უნდას“. „მინდასა“ და „უნდას“ დაპირისპირებაში თამაშისადმი მოწყვლადი მოზარდში ძლიერია „მინდა“, ნებისმყოფიან მოზარდში კი დომინანტია, „უნდა“, ანუ მიზანმეწონილია და ამიტომ გაცილებით ადვილად ერევა იმპულსურ სურვილებს. ასეთ მოზარდს, როდესაც აქვს სურვილი, ითამაშოს ან დრო ფუჭად დახარჯოს, შეუძლია, თავისი ძალა და ენერგია მიმართოს სწავლაზე ან იმარხულოს. ესე იგი, რელიგიურობაც, ამ თვალსაზრით, ნებისყოფის აღზრდაა, თუ როგორ უნდა მოიქცეს, რომ მიაღწიოს სათანადო შედეგს. ამდენად, მშობლებს უნდა ესმოდეთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი როლი აქვთ ნებელობის გავარჯიშებაში.

**– ანუ, როგორც ყველაფერ სხვაში, ნებისყოფას აზარტული თამაშებისგან თავდაცვის საუკეთესო იარაღი ნებისყოფაა?**

– ნებისყოფა და პასუხისმგებლობა. ამიტომ სწორედ ნებისყოფისა და პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებაა მთავარი პრობლემა სკოლისა და სტუდენტობის ასაკში. დაწყებული იმით, როგორ ახერხებს ბავშვი, მოუაროს თავის თავს: თვითონ ჩაიცვას თუ სხვამ ჩააცვას; თავისი ჩანთა, მძიმე თუ მსუბუქი, თავად ატაროს; მშობელი მას მისი ნიჭისა და ინტერესის გამოხატვაში უნდა ეხმარებოდეს.

**– სამწუხაროდ, ჩვენ ეგოისტ ბავშვებს ვზრდით და შემდეგ გვიკვირს.**

– თვითონ მოზარდი უნდა აკეთებდეს არჩევანს და არ უნდა აკეთებდნენ არჩევანს მის ნაცვლად, რადგან მისი ჩანთის ტარება შეიძლება, გადაიზარდოს იმაში, რომ მშობლებმა გადაუწყვიტონ, თუ ვინ უნდა მოეწონოს და ვისთან იმეგობროს. შემდეგ უკვე – როგორი ცოლი მოიყვანოს ან როგორ კაცზე გათხოვდეს. როდესაც ბავშვს ართმევენ ინიციატივას, ამას შეიძლება, მოჰყვეს უსიამოვნებები. ჩვენს თემას რომ დავუბრუნდეთ: აზარტულ თამაშებს ეჯაჭვებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მოკლებულნი არიან პასუხისმგებლობის გრძნობას, დამოუკიდებლობას, ავტონომიურობას. ამდენად, მშობლები გარკვეული თვალსაზრისით, იმკიან შედეგს თავისი შვილების სახით. ხშირად ბავშვზე ზეზრუნვა იწვევს სწორედ ამ პასუხისმგებლობის წართმევას, არადა ჰგონიათ, რომ კარგს აკეთებენ გადამეტებული ზრუნვით, მაშინ, როდესაც პირიქით, ეს იწვევს ტრაგიკულ შედეგს; ადამიანებს, რომლებიც მოკლებულები არიან საკუთარ თავზე ზრუნვას, არ გააჩნიათ საკუთარი მსოფლმხედველობა, საკუთარი დამოკიდებულებები, გემოვნება და განცდები, რის შედეგადაც იქცევიან თავისი შეხედულებების საწინააღმდეგოდ. საბოლოოდ კი, ეს გაუცხოებაა საკუთარ ბუნებასთან. ერთი სიტყვით, აზარტულ თამაშებში ჩაზმული ადამიანები საჭიროებენ ფსიქოლოგების დახმარებას და ეს არის იმ შეცდომების გაცნობიერება, რომლებიც დაშვებულია მათ აღზრდა-განვითარებაში.

**ნინო ხაჩიძე**


# ნდობის ტელეფონი

# 0 9 0 2 2 0 0 2 0 0

# SMS – 93094



**დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან**

**ზარი ფასიანია**

**ნოდარ ჯავახიშვილი სახელმწიფო სამსახურს ხანგრძლივი ტაიმ-აუტის შემდეგ დაუბრუნდა – ცნობილ ბანკირს ახლა უკვე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის რანგში მოუწევს საქმიანობა. მის ახალ პოსტს საზოგადოებაში ახალი მითქმა-მოთქმაც მოჰყვა: სახელისუფლებო ელიტა უნდა გააკონტროლოსო. ასეთი ხმები მის ცხოვრებაში უკვე ჩვეულებად იქცა – ბოლო წლებში, რაც ექსპრემიერმა საკუთარი ბანკი ანდო, ყველაზე გავლენიანი კაცის იმიჯი აქვს. თუმცა, ამაზე და კადრს მიღმა დარჩენილ მისი ცხოვრების იმ ისტორიებზე, რომელსაც ჩვენი რესპონდენტი დღემდე ვერ შეელია, ის თავად გიამბობთ.**

# როგორ გადაიკვეთა ნოდარ ჯავახიშვილის ცხოვრება ბიძინა ივანიშვილთან პირველად და რა „განრიგი" ჰქონდა მას პატიმრობის დროს ციხეში

**ნოდარ ჯავახიშვილი**: იმის მიუხედავად, რომ ჩემი ცხოვრების რაღაც ეტაპზე კომერციულ სტრუქტურაში მუშაობა მომიწია, შინაგანად მაინც უფრო ჩინოვნიკი ვარ, ჩინოვნიკი, რომელიც სახელმწიფოს უნდა ემსახუროს. ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე პოსტზე წარუმატებელი ვიყავი, მაგრამ მე უფრო შედეგიანი სახელმწიფოს სამსახურში ვარ. მახსენდება ის პერიოდი, როცა წლების წინ სახელმწიფო ბანკიდან მომიწია წამოსვლა. მაშინ ჯერ ეროვნული ბანკი არ არსებობდა, წელიწად-ნახევარი ვიმუშავე „ბინსოცბანკის" ისნის განყოფილების მმართველად. ბანკის მმართველი ორიენტირებული უნდა იყოს, რომ მოგება მიიღოს. მე ვიჯექი და ინსტრუქციებს ვწერდი, რომელსაც ვუგზავნიდი ეროვნულ ბანკს, თუ რა უშლიდა ხელს ბანკის საქმიანობას. ჩემთვის ქვეყნის მომგებიანობა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე კონკრეტული კომერციული სტრუქტურის. ჩემი ცხოვრების ძირითადი ნაწილი სახელმწიფო ბანკში მაქვს გატარებული. ჯერ კიდევ უნივერსიტეტში ვსწავლობდი, როცა პრაქტიკაზე გამიშვეს სახელმწიფო ბანკის რუსთავის განყოფილებაში. იქაურმა მმართველმა, ბატონმა გივი გვასალიამ, რომელიც მიმაჩნია, რომ ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი გამორჩეული აღმზრდელია და სწორ გზაზე სწორედ მან დამაყენა, პრაქტიკანტს ძალიან სერიოზული საკავშირო დავალება მომცა. რუსთავში იყო ქარხანა ცენტროლიტი და ამ ქარხნის ზარალიანობის მიზეზების შესწავლა და ანალიზი უნდა გამეკეთებინა. რა ვიცოდი, რომ ეს იყო ჩემი პირველი „გამოცდა" – გავაკეთე შესანიშნავი ანალიზი, რომელიც ბატონმა გივიმ თბილისში გამოაგზავნა. თბილისში ჩემი ანალიზი რომ ნახეს, გაოცდნენ. როცა თბილისიდან დაურეკეს ბატონ გივის, რომელმაც ჯერ არ იცოდა, კარგს ეუბნებოდნენ რამეს თუ ცუდს, მან ცოტა „იეშმაკა" და მათ უთხრა: შეუძლოდ ვიყავი, ერთი პრაქტიკანტი მყავს, იმას დავავალე ამ ანალიზის გაკეთებაო. თბილისიდან უთხრეს, რას ამბობთ, რა პრაქტიკანტი, ეგ ბიჭი აქ გამოაგზავნეთო. მაშინ ძალიან რთული პერიოდი გვქონდა ოჯახში. პირველი ბავშვიც გვყავდა, ძალიან გვიჭირდა. ამ ანალიზის წყალობით, ბატონმა გივიმ შტატშიც ჩამსვა და სამუშაოდ თბილისშიც გადმომიყვანეს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, როცა ახალციხეში გამაგზავნეს სამხედრო კურსებზე, მე უკვე რესპუბლიკური ბანკის უფროსი ეკონომისტი ვიყავი, მქონდა ხელფასი – 135 მანეთი და ზოგიერთი სტაჟიანი თანამშრომელი გულზე სკდებოდა, როგორ მისცეს ამხელა ხელფასიო *(იცინის)*.

**– ბოლო ორი წელია, ხმები, რომ ძალიან გავლენიანი ხართ ბიძინა ივანიშვილის კარზე, ლეგენდებად იქცა. თქვენი აქ გადმოყვანაც სახელისუფლებო ელიტის გაკონტროლების მცდელობას დაუკავშირეს. მართლა ასეა ეს ამბავი?**

– ხმები, რომ ბიძინა ივანიშვილი ჩემთან თათბირობს ყველაფერზე, ძალიან გაზვიადებულია. ჩვენს ურთიერთობაზე მოგახსენებთ, მაგრამ იქამდე გეტყვით, რომ მე კაცის კაცი არასდროს ვყოფილვარ. თუმცა, არაერთხელ იყო ამის მცდელობა. სხვათა შორის, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც თავის დროზე ეროვნული ბანკი დავტოვე, ესეც იყო, რომ მე არავის კაცი არ გავხდი. მე ძალიან ვაფასებ ბიძინა ივანიშვილის ნდობას, მაგრამ, ამის მიუხედავად, ჩემთვის ძნელია საკუთარ თავს დავუძახო ბიძინას მეგობარი. თუმცა, ეს პიროვნება მიყვარს და მისგან ყოველთვის დიდ სითბოს ვგრძნობდი. ჩვენ მანამდე არანაირი ურთიერთობა არ გვქონია, ბიძინა ივანიშვილი თვალით არ მყავდა ნანახი. ჩვენი გზები პირველად გადაიკვეთა წლების წინ, როცა




მე ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ვიყავი. ბატონმა ბიძინამ დამირეკა მოსკოვიდან. ბანკი „ქართუ" ახალი შექმნილი იყო, პატარა პრობლემები გაჩნდა კაპიტალის შევსებასთან დაკავშირებით. ბატონმა ბიძინამ მთხოვა, ფულს მალე ჩამოვრიცხავ, იქამდე, ეგებ ბანკს სანქცია არ მიუყენოთო. ვუთხარი, მე საერთოდ არ გიცნობთ, მაგრამ ჩემს ქვეყნას სჭირდება ისეთი ბანკი, რომლის უკანაც ფინანსურად ძლიერი ადამიანი დგას-მეთქი. ეს იყო და ეს. იმ ცნობილი განცხადების შემდეგ, რაც ბატონმა ბიძინამ გააკეთა, მე დამიკავშირდა მისი ძმა, ალიკო, რომელიც ჩემი უნივერსიტეტისდროინდელი მეგობარია. რვა წელი იყო გასული, რაც უმუშევარი ვიყავი. მე ჩავთვალე, რომ ბანკში კი არ მივდიოდი სამუშაოდ, ეს იყო რეალური შანსი, გვერდით დავდგომოდი მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მებრძოლ კაცს. რომელ პოსტს შემომთავაზებდნენ, ამას ჩემთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა.

**– მას ღამღამობით მართლა ხვდებით სოლოლაკის სასახლეში „საიდუმლო თათბირებზე"?**

– არა, რამდენი ხანია, მასთან შეხვედრა ვერც კი მოვახერხე. როცა ირაკლი ღარიბაშვილმა მითხრა, რომ მე ამ პოსტზე ვჭირდები, მოსაფიქრებლად ორი დღე მოვთხოვე. არ ვარ იმ ასაკში, ახალი ცხოვრება დავიწყო. ჩემი მისიაა, შევისწავლო ტენდერები, დავხვეწო ეს სისტემა უკეთესად, ვიდრე დღესაა და როცა ჩავთვლი, რომ გასაკეთებელი გავაკეთე, წავალ, იმიტომ რომ, ეს არაა ჩემი საქმე. ჩემთვის ახლა ზედმეტია ასეთი დატვირთვა, მაგრამ როცა გეუბნებიან, საჭირო ხარო და არ უნდათ არგუმენტის მოსმენა, რომ იმდენი აღარ შემიძლია რაც შემეძლო, სხვა გზა არაა.

**– თქვენს ცხოვრებაში იყო რთული პერიოდებიც, მაშინ, როცა დაგატოვებინეს ეროვნული ბანკი.**

– ეს საქართველოში, სამწუხაროდ, ჩვეულებრივი ამბავია. როცა პირველად თანამდებობა დავტოვე 1992 წელი იყო. რთული დრო იყო ქვეყნისთვის, გაუგონარი რამეები ხდებოდა. ჩავთვალე, რომ სახელმწიფო ბანკში, საიდანაც ფული ტომრებით გაჰქონდათ გაუგებარ პიროვნებებს, მე არ უნდა მემუშავა. ეტყობა, ძალიან გულუბრყვილო ვიყავი, მე წამოვედი, თუმცა პასუხი არავისთვის მოუთხოვიათ იმ ფულის გამო, ამის გამო და არც არავინ დასჯილა. ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის დროს, კარგა ხანს „მეთამაშა" აწ განსვენებული ედუარდ შევარდნაძე – არც გავუთავისუფლებივარ ეროვნული ბანკიდან და არც დამამტკიცა. შვიდი წლის ვადით ის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელად არ დამამტკიცებდა, იცოდა, რომ მერე ჩემი გამოშვება იოლი არ იქნებოდა. ორწელიწადნახევარი ვიყავი ეროვნული ბანკის დაუმტკიცებელი პრეზიდენტი, ოღონდ კანონი უკვე შეცვლილი იყო და ეს ხდებოდა უკანონოდ. სულ ვხუმრობდი, რომ გინესის რეკორდების წიგნში ვარ შესაყვანი-მეთქი. აღმოჩნდა, რომ ქართულ ლარს ხელი მოაწერა და მიმოქცევაში გამოუშვა, ფულადი რეფორმა ჩაატარა ადამიანმა, რომელიც იურდიულად და ლეგიტიმურად არაფერს წარმოადგენდა და ფაქტობრივად, უმუშევარი იყო.

**– 2004-2005 წლებში ექვსი თვე გაატარეთ პატიმრობაში, ამბობენ, რომ საპატიმროშიც გავლენიანი პატიმარი იყავით და საკანში თქვენი წესებიც კი გქონდათ.**

– გავლენიანის რა მოგახსენოთ, ექვსი თვე ვიჯექი ციხეში, მაგრამ არც ერთ ბადრაგს უბატონოდ ხმა არ გაუცია, ყველა პატივს მცემდა. ეს იქამდე უნდა მოიპოვო, სანამ დაგიჭერენ. სხვა მხრივ არანაირი შეღავათი არ მქონია, ორთაჭალაში ვიხდ-

**(გაგრძელება მე-13 გვერდზე)**

**თბილისის ბოტანიკური ბაღის ისტორია საუკუნეებს მოიცავს თავისი ტრადიციებით და ხელისუფლების ცვლილებებთან ერთად, ისიც ყოველთვის განიცდიდა პროგრესსა თუ რეგრესს. თუმცა, ჩემი ინტერესი ამ ბაღში არსებულმა მითიურმა მცენარეებმა გამოიწვია, რომელთა ჯადოსნურ ძალაზე არაერთხელ მსმენია. ადგილზე მისულს კი სულ სხვანაირი ბაღი დამხვდა, გასუფთავებული, დავარცხნილი და მოვლილი. მაგრამ, ვფიქრობ, სტატია განსაკუთრებით საინტერესო შეყვარებული წყვილებისთვის, ბარაქის მაძიებელთათვის და სტუდენტებისთვის იქნება.**

# რომელი მცენარეა სიყვარულში წარმატების მომტანი და სად კეთდება თბილისში საშიში გამოქვაბული

**– ქალბატონო ნინო, ქალაქის მასშტაბით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ვამზადებ მასალას, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ბოტანიკურ ბაღში თოვლის ბაბუის დასახლებაა. სიმართლე გითხრათ, ცოტა კრიტიკულად და სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, მაგრამ, რომ შემოვედი, სულ სხვანაირი ბოტანიკური ბაღი დამხვდა. მეჩვენება, თუ მართლა დასუფთავებულია?**

ნინო გოცაძე *(საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორი):* არ გეჩვენებათ. სამი თვეა, რაც დირექტორის თანამდებობა დავიკავე და პირველი, რაც გავაკეთეთ, ეს იყო წლების განმავლობაში ნაგროვები ნარჩენების გატანა. ჯერ კიდევ ამ დრომდე არ არის სრულად გასუფთავებული, მაგრამ მცენარეებმა სუნთქვა დაიწყეს. ასევე, დავაგეთ ასფალტის საფარი, მოვაწესრიგეთ წყალგაყვანილობის მილები.

**– გასულ წლებთან შედარებით, როგორი ტენდენციაა დამთვალიერებლების მხრიდან, არდანაგვიანების კულტურამ მოიმატა თუ იკლო?**

– ამას ახლა ვაკვირდებით, მაგრამ ეს, იციით, როგორი თემაა? ნებისმიერ ჩვენგანს დაბინძურებულ ადგილას გვიადვილდება კიდევ უფრო დაბინძურება. ანუ იქ, სადაც ნარჩენები ყრია, ადვილად შევმატებთ ხოლმე ნაგავს. მაგრამ ახლა, უკვე, როცა დასუფთავდა ყველაფერი, ბუნებრივია, იმ ადგილებში ცელოფნის ან სიგარეტის კოლოფის დაგდება, მოერიდება ადამიანს. თანაც, ნაგვის ურნები დავდგით ყველგან, რომ ვინმემ არ თქვას, აბა სად ჩავაგდოო.

**– კარგი იქნება, უპირველესად, საპირფარეშოების პრობლემა მოაგვაროთ. ევროპელობაზე გვაქვს პრეტენზია, ლამისაა, მსოფლიო ტურისტულ ცენტრად ვაცხადებდით თავს და ამ დროს ქალაქის არცერთ წერტილში არ დგას ტუალეტი.**

– გეთანხმებით. ამაზე უკვე ვიზრუნეთ და დაწყებულია სასმელი წყლის გაყვანილობის და საკანალიზაციო სისტემაზე მუშაობა, რომ ეს პრობლემა აღარ იყოს. გარდა ამისა, კიდევ უამრავი პროექტი გვაქვს, რომელიც განხორციელების სტადიაშია. გვინდა, ძველი ფრანგული ორანჟერიის აღდგენა-რესტავრირება. ასევე ვაპირებთ საშიში გამოქვაბულის გაკეთებას, რომლის დეტალებზე საუბრისგან ჯერ თავს შევიკავებ. გვაქვს ბავშვებზე გათვლილი პროექტებიც, რადგან ჩვენი დიდი სურვილია, ბავშვებში გავაღვივოთ ამ ბაღის და ზოგადად, ბოტანიკის მიმართ ინტერესი. აუცილებელია, პატარაობიდანვე იცოდნენ, რატომ და როგორ უნდა მოუარონ მცენარეებს.

**– მცენარეების ჯიშები სხვადასხვა ქვეყნიდანაც შემოგაქვთ თუ ადგილზე ხდება მათი გამოყვანა?**

– 2011 წლიდან ბაღი გახდა „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ სტატუსის მქონე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ააიპ). გაწევრიანებულები ვართ, მსოფლიო ბოტანიკური ბაღების ასოციაციაში. ეს გვეხმარება, შევცვალოთ ან შევიძინოთ თესლები და ნერგები. ჩვენი თანამშრომლები სეზონურად დადიან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ექსპედიციებში, სადაც ხდება თესლების შეგროვება. შემდეგ ამ თესლებიდან გამოგვყავს მცენარეები ბაღის ბოტანიკური კოლექციის გასამდიდრებლად. ამ ეტაპზე 3 500-ზე მეტი სახეობის ღია გრუნტის მცენარე გვაქვს. ვმუშაობთ ბაღის კოლექციების გამდიდრება-განახლებაზე. საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში, გარდა ადგილობრივი და ინტროდუცირებული სახეობებისა და ჯიშებისა, ფუნქციონირებს ტროპიკული ორანჟერეა, სადაც 1 000-ზე მეტი სახეობის მცენარეა თავმოყრილი. მინდა აღვნიშნო, რომ ასოციაცია „ქართუ“ 20 წელზე მეტია, ფინანსურ დახმარებას უწევს ბოტანიკურ ბაღს, რათა გაუმჯობესდეს ბაღის ინფრასტრუქტურა. ამას გარდა, მცენარეების ნაწილი ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გადმოსცა ბაღს საჩუქრად.



**„უსირცხვილო“ მხოლოდ შეყვარებულებმა ან ცოლ-ქმარმა უნდა მიირთვან**

**– გაქვთ თუ არა ისეთი უცანური მცენარეები, რომლებიც თქვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს?**

– ყველა მცენარე ყურადღებას და განსაკუთრებულ მოვლას საჭიროებს, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, ორი ხე აღმოჩნდა, რომელიც განსაკუთრებულად უნდა დავიცვათ. ერთი, ეს არის მარწყვის ხე, რომელიც საინტერესოა, როგორც ვიზუალურად, ისე თავისი სასარგებლო თვისებებით. მეორეა გინკგო ბილობა, რომელსაც განსაკუთრებით საგამოცდო პერიოდში ანადგურებენ. მაგრამ წელს ყველაზე მეტად კიდევ ერთი მცენარის განადგურების მეშინია, რომელიც გარდა იმისა, რომ ბარაქის მომტანი ყოფილა, თურმე, ცხვარსაც ჰყვარებია და წარმოგიდგენიათ, რა მოხდება ამ საახალწლოდ? ამიტომაც დაცვა განსაკუთრებით გვყავს ამ სამ მცენარესთან დაკავშირებით გაფრთხილებული.

**– ანუ, ცრურწმენების გამო ანადგურებენ ამ მცენარეებს?**

– დიახ. მარწყვის ხეს, რომელსაც მეორენაირად „უსირცხვილოს“ ეძახიან, თურმე, სიყვარულში წარმატების მომტანი ყოფილა, მხოლოდ შეყვარებულებმა ან ცოლ-ქმარმა უნდა მიირთვან. გინკგო ბილობას კი ძირითადად სტუდენტები და აბიტურიენტები ანადგურებენ მეხსიერების გასაუმჯობესებლად. რეალურად მას მართლა აქვს სამკურნალო თვისებები, მაგრამ ვერაფერს გეტყვით ამ ხეების ერთი ფოთლის ან ნაყოფის ჭამით, რამდენად მყარდება სიყვარული ან მეხსიერება. თუმცა, რადგან ხალხი და არცთუ ისე მცირე ნაწილი ამას იყენებს, ვალდებულები ვართ, განსაკუთრებით დავიცვათ ეს მცენარეები.

**– თქვენს ადგილას, მე სათითაო ფოთოლს და ნაყოფს გავყიდიდი.**

– გაყიდვის რა მოგახსენოთ, მაგრამ სურვილი გვაქვს, გავხსნათ ხელის მოწერის სარიტუალო მომსახურება ჩვენს ახალ ორანჟერეაში, რომლის პროექტი ახლა მზადდება. ვფიქრობთ, სიყვარულის ხის ნაყოფი ნეფე-პატარძალს სიმბოლურად მივართვათ.

**– მე სულაც არ ვუყურებ ასეთ ცრურწმენებს სკეპტიკურად და მჯერა მსგავსი სიმბოლიკების. როცა შეყვარებული მეყოლება, აუცილებლად მოვალ და იმედია, უარს არ მეტყვით?**

– *(იცინის)* მეგონა, უკვე დაოჯახებული იყავით და თუ კი ჩვენი, ეგრეთ წოდებული, სიყვარულის ხე ამ პრობლემას მოგიგვარებთ, მზად ვარ დახმარებისთვის, მაგრამ მთლად ჩვენი ხის იმედზე ნუ იქნებით. ჩვენი თანამშრომლების უმრავლესობა, ვინც ამ მცენარეებს უვლის, დაუოჯახებელია და როგორ დავიჯერო, არ ჰქონიათ სურვილი, ერთხელ მაინც მოეწყვიტათ და ეჭამათ ეს სიყვარულის ნაყოფი?

**– შეიძლება, მათ არ სჯეროდათ ამ ნაყოფის ძალის, მაგრამ რა საინტერესოა – თქვენ თქვით, თანამშრომლების ნაწილი დასაოჯახებელიაო. თქვენი აზრით, მცენარეები ხომ არ განსაზღვრავენ ადამიანის ბედს?**

– არ მგონია, ეს მცენარეების ბრალი იყოს. მე ვფიქრობ, ყველა სფეროში ასეა. როდესაც ადამიანი მთლიანად სამუშაოზეა ორიენტირებული, მით უმეტეს, თუ ეს სამეცნიერო საქმიანობაა, იქ ოჯახზე ფიქრისთვის დრო აღარ რჩებათ. წლები კი თავისთვის მიქრის. მეცნიერების არცთუ მცირე ნაწილი დაუოჯახებელი რჩება. ალბათ, ეს იმიტომ ხდება, რომ ვერ ახერხებს ადამიანი, ოჯახსაც და ასეთი ტიპის საქმესაც, ერთნაირად ყურადღებით მოეკიდოს და ამიტომ, რომელიღაც ყოველთვის რჩება დაზარალებული.

**– არადა, ოდითგანვე, ბოტანიკური ბაღი**

**(გაგრძელება მე-13 გვერდზე)**

# როგორ შედგა ვირტუალური ინტერვიუ ნიკო გომელაურთან და რა არის მისთვის ქართველობა

*... ჩვენ ავირჩიეთ ერთხელ ბარაბა*
*და იმის მერე ვაწყდებით ნაღმებს...*
*სიჩუმე ხეთქავს ყურის ბარაბანს,*
*მცდარი ვნებებით ვიგუდავ ნაღველს...*

*რაც ამ რუბრიკას მივყავი ხელი, მას შემდეგ სულ ვფიქრობ, როგორი იქნებოდა ინტერვიუ, რომელსაც ნიკო გომელაურთან ჩავწერდი...*

*სამწუხაროდ, ნიკო დღეს აღარ არის. მაგრამ ცოცხლობენ და ადამიანებივით სუნთქავენ მისი ლექსები... ჩანაწერები... ჩემს კითხვებზე პასუხებიც სწორედ მათში ვიპოვე...*

**– რას ნიშნავს, იყო ქართველი... ვინ ვართ ჩვენ – ქართველები და არის ამაში რამე განსაკუთრებული?!**

– ჩვენ ვართ ყოველთვის მართლები, როგორც ცხოვრებამ გვაჩვენა...

თუ ხარ ნამდვილი ქართველი, ოსტატს მოსჭერი მარჯვენა!

გვაქვს ჭეშმარიტი წადილი, ერს სამუდამო ხსნილი აქვს,

თუ ხარ ქართველი ნამდვილი, მიდი, ესროლე ილიას!

ყველაზე მწვანე – მდელოა! ყველაზე ბრძენი – ნახირი!

თუ ნაღდი საქართველოა, ძმისთვის ალესე მახვილი!

ერი რა გადაღლილია ნაცარში ქექვას განაგებს...

ვინც საქართველოს შვილია, ის მახათს არ დააბლაგვებს!!!

... ახლა ზუსტად იმ ასაკში ვარ, ყველაფერზე ერთად ვფიქრობ. ასე ვთქვათ, მწიფე ასაკი მაქვს, 39 წლის ვარ. ზუსტად ის პერიოდია, როცა არც მოხუცი ხარ, მაგრამ არც ახალგაზრდა და მთელი მსოფლიოს პრობლემები გაწუხებს... თუმცა ეს საინტერესო პროცესია, რომელიც არანაირად არ მთრგუნავს...

**– რა გთრგუნავთ... ანუ, ჩვენი პრობლემა, რომელიც გაწუხებთ...**

– ხშირად, ჩვენ ქრისტიანობას გაუაზრებელი პირჯვრის გადაწერითა და სანთლის დანთებით გამოვხატავთ. არადა, მთავარია, ის გააკეთოთ, რასაც ათი მცნება გვასწავლის.

**– ამბობენ, რომ დღეს ქართველებს ძალიან გვაკლია სიყვარული.**

– სიყვარული არის ყველაფერში, რასაც უნდა აკეთებდე. ეს ჩემი ცხოვრების პრინციპია. სხვაგვარად ცხოვრება წარმოუდგენელია – უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ქვეყანაზე ბოროტებისთვის კი არა, სიყვარულისთვის ვართ გაჩენილები... თანაც, არა მგონია, რომ სიყვარულის დასამტკიცებლად ბევრი სიტყვა იყოს საჭირო. ადამიანებს თვალებში გვაქვს სიყვარულის მუხტი და ამის გასხივება უსიტყვოდაც შეგვიძლია. მე სიყვარულს ლექსით ვუხსნი, მაგრამ აუცილებელი არ არის, ეს ლექსი სიყვარულზე იყოს.

**– ჩვენი, ქართველების მთავარი შეცდომა...**

– რა შტერიო – დააბრალა ძმას...
დავთვერიო – დააბრალა სმას...
მეხვევაო – დააბრალა ქალს...
ვერ ხვდებაო – დააბრალა ხალხს...
არ მყოფნისო – დააბრალა ფულს...
მაყვირებსო – დააბრალა პულსს...
კარგიაო – დააბრალა ცუდს,
ნაღდიაო – დააბრალა ცრუს...
მოკლედ, ყველაფერი ასე, დააბრალა სხვას...

ვინღა აღარ მომიტყუებია – ქალი, ბავშვი... ერთი ღმერთი ვერ მოვატყუე ვერაფრით... ადამიანი ხომ მთელი ცხოვრება ცდილობს, ღმერთი მოატყუოს. მერე კმაყოფილი სახით დაიარება იმ ილუზიით, თითქოს გამოუვიდა. როცა იტყუები, უპირველესად, საკუთარ თავს ატყუებ და ბოლოს პირადი დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება გრჩება. როცა საკუთარი თავით, საქციელით უკმაყოფილო ხარ, ეს ყველაზე ცუდია. ყველაზე კარგად თვითონ იცის ადამიანმა, რომ ცუდად მოიქცა. ეს კი საშინელი შეგრძნებაა...



**– კიდევ რა გვჭირს ქართველებს საშინელი?**

– მოიწყინა ქვეყანამ უკვე კარგა ხანია,
სიმართლის მთქმელს ვერ ნახავ, ველარც ნაღდი ბანია.
ველარ გაგვირჩევია უცნობი და ნაცნობი,
მომავალი ჩვენია – მომავალი ღვარცოფი!

**ვინღა აღარ მომიტყუებია – ქალი, ბავშვი... ერთი ღმერთი ვერ მოვატყუე ვერაფრით...**

მომავალი მეხია! მომავალი გვალვაა!
მუმლი გადაგვეხვია! წინ – ჩირგვებში მალვაა!..
ჭკუა აღმართს ვერა ხნავს...
გულწრფელობის გვრცხვენია...
და ამ ჩემს კარგ ქვეყანას, მასზედ მოუწყენია...

ბევრჯერ მიტირია. სამშობლო მატირებს ყველაზე მეტად. ფიზიკურ ტკივილს ვუძლებ, ემოციას – არა. ვტირი, როცა ჩემი სამშობლოს ძალის მოკრება მახარებს და მაშინაც, როცა მის სისუსტეს ვხედავ.

სამშობლო მართლაც ჩემი ხატია!
ამ ხატს რამდენი ჭუჭყი ატყვია?!

**– ქართველის მთავარი ნაკლი...**

– ირგვლივ რომ ვიყურები, მაოცებს ეს ნაცია – ჩემი ჩათვლით, უკლებლივ, სუყველა ზარმაცია.

მოზრდილსაც და მოხუცსაც, ქალია თუ კაცია,

დაუკარგავს ნამუსი, მასთან ერთად გრაცია.

მაგრამ ვერ გავამტყუნებ, გვშია და შეგვაცია.

ალბათ, რას არ იკადრებ, ძონძები თუ გაცვია...

**– ანუ, ჩვენი მთავარი პრობლემა სოციალური გარემოა და ხშირად ცუდებიც ამიტომ ვართ?**

– ღმერთს არ სცალია, თავში რომ გვირტყას, რომ დაგვიმტკიცოს: რა მართალია,

გულმოწყალევ! დაგვიგდებს სიტყვას, უცოდველობით გადამთვრალია...

ჩვენ კი გვცალია, რომ ვიმეტიჩროთ... რა გვეჩქარება? რა გვენაღვლება?

სხვისი ლურსმნები რატომ შევირჭოთ? – უკვე შეირჭო „ცოდვის ამლებმა"...

**– საქართველო... სა-ქარ-თვე-ლო... ემოცია, რომელიც ამ სიტყვიდან მოდის...**

– ჩემი ქვეყანა – მზიანი, კოხტა... ჩემი ქვეყანა ნახევრად მოკვდა...

ჩემი ქვეყანა მუჭში ეტევა... ჩემი ქვეყანა – გულის შეტევა...

ჩემი ქვეყანა ხელგაშლილია... ჩემი ქვეყანა სულ დასჯილია...

ჩემი ქვეყანა – ჯართის დარაჯი... მე ვრჩები, შენ კი, თუ გსურს, გაა...

*P. S. ასე მითხრეს – ცოტა ბევრი სლენგიაო. ასე მკითხეს – ავანგარდიზმია თუ პოსტმოდერნიზმიო... მგონი, უბრალოდ, პატრიოტიზმია...*

**– პატრიოტიზმზეც მინდოდა მეკითხა... რა არის ეს? ვართ კი პატრიოტები, სწორად გვესმის მისი მნიშვნელობა... და გაოცებენ ადამიანები?**

– ჩემს ქალაქში არაფერი მაოცებს. შუაღამეს მზის სხივიც თუ მაკოცებს.

აქ ხომ შავი საყვარელი ფერია. აქ შენი ძმა, თურმე, შენი მტერია.

აქ არ ხარობს თავმდაბლობის ნარგავი. აქ ტაძრებში შეიტანეს ნაგავი.

აქ სიზმრები აღარ არის ფერადი. აქ ღალატი გახდა მრავალჯერადი.

აქ სიყვარულს ჩაგითვლიან ბოდვაში. აქ ხომ ახლა ბოზობაა მოდაში.

აქ მესვება მათხოვრების არმია. აქ სიყალბე უმთავრესი შარმია.

აქ უნიჭო სიმღერები ხიტია. აქ „ბებერი ალაზანში კიდია" (?!)

აქ პოეტებს გაურბიან მუზები. აქ გესვრიან, თუ არ წაიკუზები...

ჩემს ქალაქში ყველაფერი მოსულა, აქ ჯამლეტამ ჯონდო დააორსულა!

**– მართლა ასე ცუდად არის ყველაფერი? არაფერი გვაქვს, რითიც ვიამაყებდით და ვიტყოდით – ჩვენ ქართველები ვართ!**

– კავკასია! კავკასია! მზიასია! ზეზვასია!
ქართველობა სხვა ფასია! ქართველობა – ეს კლასია!
ეს პასია!... ეს თასია!..
ქართველობა ყველასია!

**ნინო წულუკიძე**

# როგორ გადაიკვეთა ნოდარ ჯავახიშვილის ცხოვრება ბიძინა ივანიშვილთან პირველად და რა „განრიგი" ჰქონდა მას პატიმრობის დროს ციხეში

(მე-10 გვერდიდან)

იდი სასჯელს, შვიდი პატიმარი ვიყავით ერთ საკანში. მაშინ საჭმლის შეგზავნა, ეგრეთ წოდებული „პერედაჩი" შეუზღუდავი იყო. ჩემს მეგობრებს და ახლობლებს ერთი პრობლემა გაუჩნდათ. ციხეში მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ: შენს ცოლთან ჩაგვიწყე საქმე, „პერედაჩის" შემოტანაზე, გვეუბნება, ყველა დღე დაკავებულიაო. ასე იყო ეს და კარგად მახსოვს. ერთი საიდუმლოც უნდა გაგანდოთ, ხანდაზმულობის ვადა გასულია და ვერავინ მომედავება ამის გამო – კარგი კვება კი არა, ციხეში ორჯერ ღვინოც კი გამოვხადე ვაშლისგან. ჩვენს კამერაში იჯდა ზესტაფონის ღვინის ქარხნის მფლობელი და დირექტორი, თორნიკე ბარბაქაძე. ერთადერთი, რაც იქ გვენატრებოდა, იყო ღვინო. სულ ორჯერ მოახერხეს ღვინის შემოგზავნა – ერთხელ ჩემი შვილიშვილის დაბადება აღვნიშნეთ, ჩემმა ბიჭმა შემოგვიგზავნა სამი ლიტრი ღვინო; ერთხელ თორნიკეს შვილებმა მოახერხეს სამი ლიტრი ღვინის შემოგზავნა. მე ქიზიყელი კაცი ვარ. ვერ ვიტყვი, სასმელზე ვგიჟდები, მაგრამ კაცმა ექვსი თვე ღვინო არ დალიოს, წარმოუდგენელია. სულ ვეუბნებოდი თორნიკეს, კაცო, ღვინის ქარხნის დირექტორი ხარ, ღვინის დაყენება კი ვიცით და რამე მოვიფიქროთ-მეთქი. მე ძალიან მიყვარდა ვაშლის ღვინო – სიდრი. ფულის ბეჭდვის პერიოდში ხშირად მიწევდა ჩასვლა საფრანგეთში და პირველად იქ გავსინჯე მაღალი ხარისხის სიდრი. საკანში ვაშლის მეტი რა გვქონდა, მოვატანინე კიდევ უფრო მეტი. კამერაში ახალგაზრდა ბიჭები გვყავდა. ვუთხარი, აბა, ახლა ეს ვაშლი უნდა გავხეხოთ-მეთქი. ციხეში წყლის პრობლემა იყო, სასმელ წყალს ყველას სახლებიდან გვიგზავნიდნენ. ცარიელ ხუთლიტრიან ჭურჭელს ვინახავდით, ამ ჭურჭელში ჩავასხით გაწურული ვაშლი. სიცივეში ვერ დადუღდებოდა, გადავაფარეთ „ადიალები" და ასე შევინახეთ. კამერის ყველა წევრი ვალდებული იყო, თუ ნარიდან ადგებოდა, ერთი ჩაიდანი ცხელი წყალი შეედგა ღვინისთვის. გასათბობად. უნიკალური ღვინო გამოგვივიდა, ლიტრიანებში დახუფული შევინახეთ. ბუნებრივად დაიგაზა, შამპანურივით იყო. მათი გახსნის უფლება კამერაში ჩემ გარდა არავის ჰქონდა – თითო ბოთლს თხუთმეტი წუთი ვხსნიდი, რომ არ დაღვრილიყო. ერთხელ გავხსენით ერთი ბოთლი. დავთქვით, რომ მხოლოდ ერთი ბოთლი უნდა დაგველია, მაგრამ იმ საღამოს ცხრავე ბოთლი დავლიეთ. *(იცინის)*

**– ამბობენ, რომ მიწაზე მუშაობა ძალიან გიყვართ და გლდანში, სადაც ცხოვრობთ, ნამდვილი წალკოტი მოგიწყვიათ.**

– პატარა, საოჯახო, მაგრამ კარგი ფერმა მაქვს. ქათმებიც მყავს, ღორებიც. ინდაურებიც მყავდა, მაგრამ რატომღაც ყველა დაიხოცა. მხოლოდ ერთი ცალი გადარჩა, რომელიც დავკალით და ახლა მაცივრის საყინულეშია „შენახული". ჩემი მეგობრები ხშირად მაშაყირებენ, თოხის და ბარის კაცი ხარო. 20 წლის წინ, ალბათ, ინფარქტს მივიღებდი და დღეს ცოცხალი აღარ ვიქნებოდი, გლდანი რომ არ მქონოდა. ბავშვობის დიდი ნაწილი გლდანში მაქვს გატარებული. დედა გლდანელი მყავს, იქაა დასაფლავებული. ძალიან მინდოდა, მის სიახლოვეს მიწა და სახლი მქონოდა. ამიტომაც ვიყიდე ეს ნაკვეთი თავისი სახლით. გზის მეორე მხარეს გაჩეხილი ტყე იყო, შემოვლობე იქაურობა, რომ ძროხა არ გადასულიყო და მუხის ამონაყარი არ გაეფუჭებინა. მთელი ჩემი საძმაკაცო დამცინოდა – მაშინ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ვიყავი. მეხვეწებოდნენ, დიღმის გზაზე რამდენიც გინდა, იმდენ მიწას მოგცემთო, უარი ვთქვი, ის ხრიოკი ადგილი ვამჯობინე, სადაც ახლა კარგი ტყეა. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ვიყავი და იმ დროს სოფელში ნახირში ვარ ნამყოფი. სოფელში ვისაც ძროხა ჰყავს, მორიგეობით დადის ნახირში, ამიტომ მეც მომიწია ნახირში წასვლა ბიძაჩემთან ერთად. შესანიშნავად გავატარე ის კვირა ბუნჩულა საქონელთან ერთად ტყეში. მამაჩემი სხვა სფეროში მოღვაწეობდა, მაგრამ მიწა მასაც უყვარდა. ყოველდღე სამსახურის შემდეგ სახლში გავივლი, ვივახშმებ და მერე გლდანში მივდივარ. ჩემს შვილიშვილს, პატარა ნოდარ ჯავახიშვილს უყვარს ძალიან იქაურობა. ახლა ცუდი დროა, გვიან თენდება, თუმცა შვიდ საათზე მაინც ფეხზე ვარ. ზაფხულობით ხუთ საათზე ვდგებოდი, ვვარჯიშობდი, მერე საათი, საათ-ნახევარი წავიმუშავებდი და ისე მივდიოდი სამსახურში. შაბათ-კვირას მთლიანად გლდანში ვატარებ. ფიზიკურად ძლიერი მამაკაცი ვარ, მაგრამ ჩემს ნაკვეთში ისეთი მიწაა, ხანდახან ერთი ორმოს ამოთხრას მთელი დღე ვუნდები. ჩემს ნაკვეთში კიტრიც მომყავს, პომიდორიც, ჩემი ხელით გაშენებული ტალავერი მაქვს, ცოტა ღვინოსაც ვწურავ ოჯახისთვის.

**– დიდი მეოჯახე ყოფილხართ.**

– უფრო კარგი პაპა ვარ, ვიდრე – მეოჯახე ვიყავი ოდესმე. მშვიდი და სიყვარულით აღსავსე მეუღლე მყავს, არასდროს გამოუხატავს პრეტენზია. მე არ ვფიქრობ, რომ მეუღლეში გამიმართლა, თავიდანვე გააზრებულად გადავდგი ეს ნაბიჯი. ჩემ გვერდით ცხოვრება არ იყო იოლი, მაგრამ მეუღლეს ყოველთვის ესმოდა ჩემი. შვილებიც ისე გავზარდე, რომ ცხოვრებაში მთავარი ფული კი არა – ღირსებაა. ერთი ორჯერ კი მითხრეს საყვედურივით – ყველაზე მეტად როცა გვჭირდებოდი, მაშინ არ იყავი ჩვენ გვერდითო. მაგრამ მგონია, გავიდა დრო და მიხვდნენ, რომ მათი მამა არ იყო შეჭიდებული იოლ საქმეებს. არ შეიძლება, შვილებს ეს არ ეამაყებოდეთ. ჩემი ქალიშვილი ლონდონში ცხოვრობს. იქ დაამთავრა ორი უნივერსიტეტი, იქვე გათხოვდა და ზრდის შვილებს. უნიჭიერესი გოგონაა, მეგონა, მარგარეტ ტეტჩერი გახდებოდა, რადგან ჰქონდა ამის მონაცემები. მაგრამ, სამწუხაროდ, უფრო დიასახლისად და დედად დარჩა. ჩემი ვაჟი ამ შენობაში მუშაობს.

**– ნეპოტიზმში არ დაგადანაშაულონ.**

– ნაციონალები ამას რომ გაიგებენ, შეიძლება, თქვან კიდეც ასე, მაგრამ ვერ მომედავებიან. ამ შენობაშია „თი ბი სი ბანკიც," სადაც ჩემი ვაჟი მუშაობს. ისიც ბანკირია, მახსოვს, ძალიან უნდოდა იურისტობა, მაგრამ მერე ჩემი გზა აირჩია. ჩემზე კარგი მასწავლებელი ვინ იქნებოდა მისთვის. ერთხანს ბიზნესში წასვლაც გადაწყვიტა, მაგრამ ცხვირი წაიმტვრია, ისევ ბანკს დაუბრუნდა და საბოლოოდ, მაინც ჩემი გზა გააგრძელა.

**თამუნა სამადაშვილი**

# რომელი მცენარეა სიყვარულში წარმატების მომტანი და სად კეთდება თბილისში საშიში გამოქვაბული

(მე-11 გვერდიდან)

**წყვილების თავშესაქცევი და სასეირნო ადგილი იყო.**

– ბოტანიკური ბაღის ისტორია თითქმის 500 წელს მოიცავს. ეს იყო დიდგვაროვანთა ბაღი, სადაც ისინი სეირნობდნენ და მათთვის ერთგვარ კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. აქ იმართებოდა კულტურული ღონისძიებები. სხვათა შორის, თბილისობის დღესასწაულიც სათავეს აქედან იღებს. მაშინდელი თბილისობა სწორედ ბოტანიკურ ბაღში იმართებოდა. მეცნიერულ დონეზე ბოტანიკური დატვირთვა ბაღს ცოტა მოგვიანებით მიეცა. თავდაპირველად, ბაღში ძირითადად უცხოელი ბოტანიკოსები მოღვაწეობდნენ. სწორედ მაშინ გაძლიერდა სამეცნიერო მიმართულება, რადგან აქ მოიპოვებოდა სამკურნალო მცენარეები, რომელიც მუშავდებოდა და მზადდებოდა წამლები. აქედან გამომდინარე, იმ დროისთვის სამეფო ბაღი გადაკეთდა საავფთიაქო ბაღად. უფრო მოგვიანებით, მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, მეფისნაცვალ გრაფ ვორონცოვის ბრძანებულებით, სააფთიაქო ბაღს დაერქვა ბოტანიკური ბაღი.

**– ქალბატონო ნინო, ახლახან ჩამოყალიბდა „ბაღის მეგობრების ჯგუფი" და საიდან გაჩნდა ეს იდეა?**

– წლებია, ბაღში ვარჯიშობენ ძველი სპორტსმენები, რომლებიც საკუთარი სახლივით უვლიან და ეხმარებიან ბაღს. მქონდა მათთან შეხვედრის სურვილი. ეს შეხვედრა შედგა. მივაწოდეთ ინიციატივა, ჩამოგვეყალიბებინა „ბოტანიკური ბაღის მეგობრების ჯგუფი". ორმხრივი შეთანხმებით, შედგა ჯგუფი, რომლის საპატიო წევრები ეს ადამიანები გახდნენ. ვიმედოვნებთ, მომავალში ჯგუფის წევრების ოდენობა გაიზრდება. ნებისმიერ მსურველს შეუძლია, გახდეს ბაღის მეგობარი და თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის აღორძინების საქმეში.

**ბესო მახარაშვილი**

**დიდი ხანია, თბილისი ასეთი სასიამოვნო სიახლის მომსწრე არ ყოფილა. პირველი ის, რომ სულ ახლახან ტელესივრცეში, კონკრეტულად კი – „საზოგადოებრივ მაუწყებელზე", განსხვავებული გადაცემა გაჩნდა – „მშვიდობით, იარაღოს", რომელმაც, სახელწოდებიდან და ახალი სახეებიდან გამომდინარე, უმალ მიიქცია ყველას ყურადღება. ყურადღება მიიქციეს რესპონდენტებმაც, რომელთა შორის იყო ბიძინა ივანიშვილი. იდეის ავტორი და წამყვანია საფრანგეთში მცხოვრები, კინორეჟისორ თემურ ბაბლუანის უფროსი ქალიშვილი – ოლიკო ბაბლუანი. მეორე სიახლე, რომელიც ოლიკო ბაბლუანის ასევე გასული კვირის გადაცემის ერთ-ერთი მთავარი თემაა, არის ირინა პოპიაშვილისა (ნიუ-იორკის „ნიუმან-პოპიაშვილი გალერეის"დამაარსებელი და დამოუკიდებელი კურატორი) და თამარ ღვაბერიძის (მარკეტინგის სპეციალისტი) ერთობლივი ინოვაციური პროექტი – „ვიტრინის" ფორმატში საგამოფენო გალერეის წარმოდგენა. დიზაინის საგამოფენო სივრცე თბილისში ცნობილი, ეგრეთ წოდებული მელიქ აზარიანცის სახლის ვიტრინებია. აქვე აღვნიშნავ, რომ ბაბლუანები ინტერვიუს, როგორც წესი, არასდროს იძლევიან, მაგრამ, ოლიკო ბაბლუანმა ჩვენი ჟურნალისთვის გამონაკლისი დაუშვა და თავის გადაცემასთან და სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით გვესაუბრა.**

# როგორ აერთიანებს გადაცემაში „მშვიდობით იარაღო" ადამიანებს ოლიკო ბაბლუანი, მიჰყავს თუ არა წამყვანს გადაცემა ბიძინა ივანიშვილის სასახლიდან და რას აკეთებს მისთვის მამუკა ხაზარაძე

**– მგონია, რომ ადვილი არ არის, ერთ მშვენიერ დღეს, ადგე და გააკეთო გადაცემა, თუნდაც ძალიან კარგი ჟურნალისტი იყო. ყველაფერს ახლავს თავისი პატარ-პატარა სირთულეები. თქვენს შემთხვევაში რა და როგორ მოხდა, ვინ დაგეხმარათ იდეის განხორციელებაში?**

– აბსოლუტურად არავინ არ დამხმარებია. რამდენიმე წელი ვითვისებდი მედიაგანვითარებას. შევქმენი რამდენიმე საავტორო პროექტი. „მშვიდობით, იარაღო!" ერთ-ერთი მათგანია. მინდოდა, განსხვავებული სფეროს ადამიანები შემეკრიბა ერთად და ესაუბრათ ასევე განსხვავებულ საზოგადოებრივ და სოციალურ თემებზე. ტელევიზია ყოველთვის მიზიდავდა. მიუხედავად იმისა რომ ოჯახში ყველანი კინოსფეროში ვმუშაობდით, მე მაინც ტელევიზიისკენ მქონდა მიდრეკილება. ზუსტად ვიცოდი, რა მინდოდა. დავწერე პროექტი, გავაცანი „პირველ არხს," გამოიყო თანხები, გაკეთდა ჯგუფი და შევუდექით მუშაობას. მამუკა ხაზარაძე დამიდგა გვერდით, რომ ამ გადაცემას ეარსება.

**– გადაცემას ძალიან არაორდინარული სახელწოდება აქვს – „მშვიდობით, იარაღო!". საიდან გაჩნდა ამ სახელწოდების იდეა, ჰემინგუეის ნაწარმოებიდან ხომ არა?**

– ძალიან მიყვარს ჰემინგუეი. როცა მისი ეს ნაწარმოები წავიკითხე, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. შემდეგ როდესაც გადაცემას ჩავუღრმავდი და გადავწყვიტე, ეს კონკრეტული პროექტი ჯერ საქართველოში გამეკეთებინა, კიდევ უფრო გამიმყარდა ამ იდეის საფუძველი, რომ ეს სახელი დამერქმია. პლუს, ომების შემდეგ ბევრი აგრესია იყო ქვეყანაში და, მინდოდა, ამ ფრაზით, პოზიტიური მესიჯი გაგვეჟღერებინა.



**– ანუ, ეს იყო ერთგვარი მესიჯი.**

– დიახ, გადატანითი და პირდაპირი მნიშვნელობით, ეს იყო მესიჯი, რომ, დროა, დავემშვიდობოთ აგრესიას, ყველაფერ იმას, რაც შეიძლება ადამიანის ფსიქიკისთვის იყოს დესტრუქციული და მივესალმოთ ყველაფერ კონსტრუქციულს.

**– როგორც კი გაჩნდა თქვენი გადაცემის ანონსი თბილისში გავრცელდა ხმა, რომ გადაცემები ბიძინა ივანიშვილის სასახლიდან მიგყავთ. ასეა?**

– რა თქმა უნდა, ეს არის სიცრუე და, ალბათ, კიდევ იქნება სხვა ჭორები. გეტყვით. მე არ მინდოდა, სტუდიაში გვქონოდა ჩაწერები ამიტომ, ვქირავეთ ძალიან ლამაზი ბინა ვერაზე, რაშიც მამუკა ხაზარაძე დაგვეხმარა. მამუკას ძალიან მოსწონდა და უნდოდა, ამ პროექტს ეარსება, შესაბამისად, უნდოდა, ლამაზი გარემო შეგვერჩია და შევარჩიეთ ბინა, რომელიც მდებარეობს ზანდუკელის ქუჩა №5-ში. ბიძინა კი, ჩვენთან მოვიდა სახლში სტუმრად. ასევე, ყოფილი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, ნიკა რურუა, მაიკლ ჰოფმანი...

**– გადაცემაში მხოლოდ გამორჩეული ცნობილი სახეები იქნებიან ხოლმე თუ სხვა ადამიანებიც?**

– გვყავს განსხვავებული სფეროს წარმომადგენლებიც, მაგალითად, მეხანძრე, ექიმები, დედები, რომლებმაც აქ ოჯახები დატოვეს და უცხოეთში წავიდნენ სამუშაოდ; გალერისტები – ირინა პოპიაშვილი და თამუნა ღვაბერიძე, რომლებმაც შექმნეს თანამედროვე ხელოვნება – „ვიტრინები ყველასთვის." გადაცემის კონცეპტიც ეს არის – იმისთვის არსებობს, რომ საინტერესო ხალხი გააცნოს მაყურებელს. ასევე, გადაცემაში მყავდა მევენახე გიორგი ნათენაძე, რომელიც არის გენიალური ტიპი, 28 მესხური ჯიშის ვაზი აღმოაჩინა და ძალიან საინტერესო იყო მისი მოსმენა. მგონია, რაც მეტს დავეხმარებით ასეთ ადამიანებს ჩვენი გადაცემით, მათი პროფესიონალური განვითარებისთვის და ქვეყნისთვისაც მნიშვნელოვანია. მოკლედ, ფორმატიდან გამომდინარე, გადაცემაში ყოველთვის არის ერთი ადამიანი, რომელიც გავლენას ახდენს მაყურებლის ცნობიერებაზე და არიან განსხვავებული სფეროს წარმომადგენლები. უკვე ჩაწერილი გვაქვს გადაცემა, სადაც სტუმრად გვყავდა ამერიკელი ცნობილი კინორეჟისორი მაიკლ ჰოფმანი. გადაცემის დასასრულს ყოველთვის გვაქვს სადილი და ყველა ერთად ვსადილობთ.

**– ჩემი აზრით, გადაცემის ეს დასკვნითი ნაწილიც ორიგინალურია.**

– ეს არის ჩვეულებრივი სადილი. საერთოდ, სუფრა აერთიანებს ადამიანებს. მაგალითად, სადმე რომ მიდიხართ სტუმრად, მერე ხომ იტყვით, რა საინტერესო ადამიანი გავიცანიო. იდეურად, ჩვენი გადაცემაც ეს არის – შექმნას მყუდრო, შინაურული ატმოსფერო, სადაც ადამიანები უფრო თავისუფლად იგრძნობენ თავს; კომუნიკაციაც, რა თქმა უნდა, ადვილად ხდება.



**– თბილისში ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი ხართ, ამიტომ, მკითხველს თქვენ შესახებ პატარა ინფორმაციას მივაწვდით: დაამთავრეთ თეატრალური უნივერსიტეტი; შემდეგ იყო სორბონის უნივერსიტეტში ენისა და განვითარების კურსი; პარიზის ინსტიტუტის ისტორიული ფაკულტეტი; დაეუფლეთ მედიაგანვითარების კურსებს. თამაშობდით ფილმებში: „მემკვიდრეობა", „მშვიდობიანი კავშირები", „კრიმინალთა ჯარი", „გაიღიმეთ", „სიყვარული აქცენტით", „ბრაკო"; ხართ სატელევიზიო პროგრამის „მსოფლიო საზღვრების გარეშე" – ავტორი... გვიამბეთ, როგორ დაიმკვიდრეთ თავი ევროპაში?**

– მამამ თავიდანვე გადაწყვიტა, რომ ევროპაში წავსულიყავით სასწავლებლად და, აქედან გამომდინარე, გადავურჩით იმ ცუდ სიტუაციას, რაც იმ დროს საქართველოში იყო. ომისშემდგომ პერიოდში ძალიან რთული იყო ამ ქვეყანაში ცხოვრება. თუ დღეს რამეს ვაკეთებთ და წარმოვადგენთ მე და ჩემი ძმები, ეს იმის დამსახურებაა, რომ მშობლებმა 90-იან წლებში საფრანგეთში გაგვიშვეს. ადვილი არ იყო, რა თქმა უნდა. რომ ჩავედით, ძალიან ბევრს ვსწავლობდით და ვმუშაობდით. ჯერ უნდა გვესწავლა ენა. შემდეგ ჩავაბარეთ ინსტიტუტებში; ჩემმა ძმებმა აირჩიეს კინოსარეჟისორო და სამსახიობო. თავიდან მაინტერესებდა, რას წარმოადგენდა ეს ქვეყანა და შემდეგ ისტორიულიდან გადავედი თეატრალურში. საფრანგეთში თავდაპირველად ჩვენ ჩავედით, შემდეგ ჩამოვიდნენ დედა და მამა. ყველაზე რთული მაინც ის არის, როცა საკუთარ ქვეყანაში არ ცხოვრობ და უნდა გააკეთო ადაპტაცია სხვა კულტურასთან. მეგობრები გვეხმარებოდა, რა თქმა უნდა, იმიტომ რომ, სკოლა ახალი დამთავრებული გქონდა, აქედან რომ წავედით. შემდეგ ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა, თუმცა უკვე დიდები ვართ იმისთვის, რომ სამეგობროზე ვილაპარაკოთ. მედიის განვითარება მაინტერესებდა ყოველთვის – ის, რასაც ახლა აქ ვაკეთებ. მყავს ორი გოგონა – 10 და 18 წლის. ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის მაინც დედის საქმეა, შემდეგ – სამსახურის საქმეები და, სულ ბოლოს – პირადი.

**ეკა პატარაია**

# გამოქვაბულიდან – სოლიდარული საზოგადოებისკენ

*ნომრის სტუმარია უჩა ვახანია, აღმასრულებელი დირექტორი არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანებისა – „კოალიცია შინმოვლა საქართველოში“.*

**– ბატონო უჩა, პირველ ყოვლისა, მკითხველს წარუდგინეთ თქვენი ორგანიზაცია.**

– „კოალიცია შინმოვლა საქართველოში“ არის კვალიფიციური შინმოვლის მიმწოდებელი ორგანიზაციების გაერთიანება. მისი მიზანია საქართველოში შინმოვლის ინსტიტუციური განვითარება. საქართველოში არის 9 კვალიფიციური შინმოვლის მიმწოდებელი ორგანიზაცია და მათგან 7 – კოალიციის წევრია.

**– როგორია თქვენი ისტორია, რამ განაპირობა ერთობლივი საქმიანობის აუცილებლობა, მით უმეტეს, რომ ჩვენში გაერთიანებები სტაბილურობით არ გამოირჩევიან?**

– 1990-იანი წლებში, უცხოელი დონორების მხარდაჭერით, რამდენიმე ქართულმა ორგანიზაციამ დაიწყო ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომის დამკვიდრება და მაშინდელი პერიოდისთვის უცხო მომსახურებების განვითარება. თუმცა, დიდი ხნის განმავლობაში ეს მომსახურებები შეზღუდული მასშტაბის, დონორებზე დამოკიდებულ მოდელებად რჩებოდა. 2006 წელს წამყვანმა შინმოვლის ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს ძალისხმევის გაერთიანება და შექმნეს კოალიცია. თქვენ მიერ აღნიშნული სირთულის მიუხედავად, შინმოვლის ორგანიზაციებმა მაღალი კულტურა გამოავლინეს და უცხოელი დონორებისა და ექსპერტების მხარდაჭერით მოახერხეს მდგრადი და მზარდი გაერთიანების ჩამოყალიბება. ერთობლივი ძალისხმევით მოვიპოვეთ ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატი – ISO 9001:2008 (მინიჭებულია SocialCert GmbH-ის მიერ, რომელსაც გერმანიის 500-ზე მეტ სამედიცინო-სოციალურ დაწესებულებაში დანერგილი აქვს ხარისხის მართვის სისტემა); გავხდით საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელის – Interdiac-ის წევრი, რეგიონული ქსელის HomeCare Europe-ის ნამდვილი წევრი (ერთადერთი ორგანიზაცია ევროკავშირის არაწევრი ქვეყნიდან); ახლახან მივიღეთ გაწევრიანების ოფიციალური მიწვევა საერთაშორისო მეგაქსელში – IAHSA-ში (International Association of Homes and Services for Ageing); პარტნიორ კოალიციებთან ერთად დავაფუძნეთ „საქართველოს ზრუნვის პლატფორმა“, ინტენსიურად ვმონაწილეობთ რეგიონული და საერთაშორისო ფორუმების საქმიანობაში. განვითარების ეტაპების გავლისა და ახალი ორგანიზაციების შემოერთების შემდეგ, კოალიცია გადაიქცა ეროვნულ დარგობრივ გაერთიანებად.

**– შთამბეჭდავია, თუმცა, თქვენ უფრო საგარეო საქმიანობებს გაუსვით ხაზი. მკითხველისთვის საინტერესო იქნება, რას აკეთებთ საქართველოში?**

– კოალიციის წევრი ორგანიზაციები თითქმის ოცი წელია, ახორციელებენ შინმოვლის პროგრამებს. ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებული საქმიანობები შეიძლება გაიყოს ორ მიმართულებად: შინმოვლის ქართული მოდელის შემუშავება და მისი დანერგვის ლობირება.

დასავლეთის ქვეყნებში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე, კოალიციამ შეიმუშავა და სხვადასხვა რეგიონში გამოსცადა შინმოვლის ქართული მოდელის ყველა კომპონენტი. ამრიგად, არსებობს მტკიცებულებებზე დამყარებული შინმოვლის ქართული მოდელი, რომელიც მზად არის ამ პრაქტიკის დასანერგად ქვეყნის მასშტაბით. პარალელურად, ვმუშაობთ პარლამენტთან, ჯანდაცვის სამინისტროსთან, მუნიციპალიტეტებთან. შინმოვლის დანერგვის პროცესი დაწყებულია რამდენიმე მუნიციპალიტეტში, თუმცა საჭიროება ძალიან მაღალია და აუცილებელია ამ პროცესის ინტენსიფიკაცია და ინსტიტუციონალიზაცია, მით უმეტეს მაშინ, როცა დონორები გადიან ჩვენი ქვეყნიდან და სულ უფრო ძნელდება სერვისის დაფინანსება.

**– დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს ლექსიკონში გაჩნდა ტერმინი „შინმოვლა.” კარგი იქნება, თუ თქვენგან მოვისმენთ მის მნიშვნელობას.**

– ტერმინი „შინმოვლა” იყო კოალიციური შეთანხმების შედეგი, როგორც home care-ს ქართული შესატყვისი. მანამდე კოალიციის წევრები იყენებდნენ სხვადასხვა ტერმინს, მაგალითად: „სახლად მოვლა,” „პატრონაჟი ბინაზე,” „შინზრუნვა” და სხვა. შინმოვლა არის მოვლის საჭიროების მქონე პირისთვის სამედიცინო და სოციალური მომსახურების მიწოდება საცხოვრებელ ადგილზე; ეს არის ხანგრძლივი მოვლის ერთ-ერთი სახე, რომელიც ფარავს მოსარგებლეთა არანაკლებ ორ მესამედს და არის განსაკუთრებით ეფექტური როგორც ჰუმანური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. მიღებულია გამოთქმა, რომ, შინმოვლის პროგრამა უფრო იაფია, ვიდრე მისი არარსებობა. მართლაც, ის მნიშვნელოვნად განტვირთავს ჯანდაცვის სისტემას, ეფექტურად ანაცვლებს, უპირველეს ყოვლისა,



პირველადი ჯანდაცვის თუ ჰოსპიტალური სექტორის ძვირ მომსახურებებს. ეს განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო ჯანდაცვის დანერგვის შემდეგ. განვითარებულ ქვეყნებში შინმოვლა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემების ერთ-ერთი ყველაზე კარგად განვითარებული და სწრაფად მზარდი სეგმენტია. ხანგრძლივი მოვლის სხვა სახეებია, მაგალითად, დღის ცენტრი, მოვლის სახლი, პანსიონატი, ხელშეწყობით ცხოვრება, სარეაბილიტაციო ცენტრი, განტვირთვის მოვლა, ჰოსპისი და სხვა, რაც განვითარებულ ქვეყნებში ეგრეთ წოდებულ ინტეგრირებული ზრუნვის ნაწილს წარმოადგენს და განაპირობებს იმას, რომ მოსარგებლე ყოველთვის იღებს მისთვის საჭირო მომსახურებას რესურსების ოპტიმალური ხარჯვის ფონზე. კოალიციის წევრებს აქვთ ხანგრძლივი მოვლის სხვადასხვა მომსახურებების გამოცდილება. რაც შეეხება სახელმწიფო პროგრამებს, ფრაგმენტულად არის განვითარებული ხანგრძლივი მოვლის ზოგიერთი სახე, ზოგი კი საერთოდ არ გვაქვს.

**– გთხოვთ, დააზუსტოთ, რას ნიშნავს „მოვლის საჭიროების მქონე”, ანუ, ვინ არიან შინმოვლის მოსარგებლეები და რა მომსახურებას სთავაზობთ მათ?**

– მოვლის საჭიროება აქვს ადამიანს, რომელიც დამოუკიდებლად ვერ ასრულებს ეგრეთ წოდებულ ყოველდღიურ საქმიანობებს (ADL), მაგალითად: დაბანა, კვება, გადაადგილება; ან – ყოველდღიურ ინსტრუმენტულ საქმიანობებს (IADL), მაგალითად: ნივთების ყიდვა, სახლის დალაგება, მედიკამენტების დამოუკიდებლად მიღება.

ადრე თუ გვიან, მოკლე თუ ხანგრძლივი ვადით, ყველა ოჯახისა თუ ადამიანის წინაშე დგება ეს საჭიროება. საქართველოში ხანგრძლივი მოვლის პოტენციური მომხმარებლების რაოდენობა 2 პროცენტზე მეტია, ანუ, დაახლოებით 80 ათასი. ამას ემატება ეგრეთ წოდებული „არაფორმალური მომვლელები“, ანუ, ოჯახის წევრები (უხშირესად – მეუღლე, შვილი ან მშობელი), რომლებიც, სტატისტიკის თანახმად, საშუალოდ შვიდი წელი იმყოფებიან ამ მძიმე ფიზიკური და ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ; მოკლებულნი არიან კარიერისა და პირადი ცხოვრების მოწყობის საშუალებას. ხშირია ეგრეთ წოდებული „გადაწვის ფენომენი“. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანების მხარდამჭერი პროგრამები ჩვენში არ არსებობს.

შინმოვლის მიწოდება ხორციელდება მრავალდარგობრივი გუნდის მიერ (უფრო გავრცელებული ფორმაა ბარბარიზმი – „მულტიდისციპლინარული გუნდი”), შემთხვევის მართვის მეთოდით (აქაც ბარბარიზმი ჭარბობს – ქეის მენეჯმენტი”). გუნდის წევრები არიან: ექიმი, ექთანი, სოციალური მუშაკი, ტექნიკური ასისტენტი და საყოფაცხოვრებო ასისტენტი. კოორდინატორის ხელმძღვანელობით გუნდის თითოეული წევრი მოსარგებლეს აწვდის აუცილებელ პროფილურ მომსახურებას, კერძოდ, საექიმო და საექთნო დახმარებას, ძირეულ მოვლას (ზემოთ აღნიშნულ ყოველდღიურ საქმიანობებში დახმარება), სოციალურ და საყოფაცხოვრებო დახმარებას, არაფორმალური მომვლელის განათლებასა და მხარდაჭერას.

**– ძალიან საჭირო საქმეა, წარმატებებს გისურვებთ. დასასრულ, რას ეტყვით ჩვენს მკითხველს?**

– პრობლემათა იერარქია პრიორიტეტულობას უნდა ემყარებოდეს, ანუ, უპირველესი უნდა იყოს იმ ადამიანებზე ზრუნვა, ვინც ყველაზე უარეს მდგომარეობაშია. განა რა შეიძლება იყოს უფრო მძიმე, ვიდრე ის, რომ ლოგინს მიჯაჭვულ ადამიანს არავინ ეხმარება საკვების მიღებაში, ან ტუალეტში გასვლაში; ან, კიდევ უარესი – უჩნდება ნაწოლები, კონტრაქტურები, აქვს გაუსაძლისი ტკივილი და მრავალი სხვა, ადამიანის ღირსებასთან შეუთავსებელი მდგომარეობა. ჩვენი საქმიანობისას ვხედავთ ისეთ პრობლემებს, რაც სხვათათვის უცნობიც არის და წარმოუდგენელიც და ეს არასდროს სააშკარაოზე არ გამოგვაქვს. ხშირად ვაწყდებით ფრაზას: „ფული არ გვაქვს“, რასაც უპასუხისმგებლობის ფორმად მივიჩნევთ. საქმის კეთება არასდროს იწყება ფულის დახარჯვის სურვილით – თავისუფალი ფული ბუნებაში არ არსებობს. ჯერ გაცნობიერდება პრობლემა, ანუ, რა არ მოგწონს; შემდეგ ჩნდება მიზანი – ანუ, როგორ მოაგვარებდი ამ პრობლემას; ამის შემდეგ – მეთოდი, ანუ, რა უნდა გააკეთო და, სულ ბოლოს არის ბიუჯეტი. ერთი სიტყვით, ყველაზე ცუდად მყოფ თანამოქალაქეებზე ზრუნვა ქვეყნის უპირველესი პრიორიტეტების ნუსხაში უნდა იყოს და შესაბამისი ბიუჯეტიც გამოიძებნება.

ლამაზია შადრევანიც და საახალწლოდ მორთული ქალაქიც, მაგრამ, უნდა გვახსოვდეს, რომ დახურული კარებისა და ფანჯრების მიღმა არიან ადამიანები, რომელთა გოდება ჩვენამდე ვერ აღწევს და ის მცირეოდენი კეთილდღეობა, რაც საზოგადოებას გააჩნია, მათაც უნდა გაუნაწილოს და ხელი გაუწოდოს. ეს არის არა კეთილი ნება, არამედ ვალდებულება, რომელიც ჩნდება უძლურებაში მყოფი ადამიანების უფლებების დასაცავად.

ჩვენ ხშირად მოგვყავს ცნობილი ანთროპოლოგის მარგარეტ მიდის სიტყვები: „საზოგადოების განვითარების დონე განისაზღვრება იმით, თუ როგორ ზრუნავს თავის სუსტ და დაუცველ წევრებზე“. გამოქვაბულის ადამიანი დაავადებულ თუ დაშავებულ თანამოძმეზე არ ზრუნავდა, რაკი მას საერთო მეურნეობაში სათანადო წვლილის შეტანა აღარ შეეძლო. ჩვენი მიზანია, საზოგადოებაში აღდგეს და განვითარდეს ტრადიციული თანადგომის კულტურა, რათა გადავდგათ ნაბიჯი სოლიდარული საზოგადოებისკენ. სწორედ ეს იქნება ჩვენი საახალწლო სურვილი თანამოქალაქეების მიმართ.

*მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის ქ. 187ა; 231- 62-02; ucha@homecare.ge*

**ლუდის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ არსებობს განსხვავება სასიამოვნო სმასა და შედარებით უფრო სერიოზულ საქმიანობას - დეგუსტაციას შორის. სმა ჩვეულებრივი და მადისაღმძვრელი პროცესია, მაშინ როცა დეგუსტაციას თავისი სტრუქტურა გააჩნია. სმა ბუნებრივად ხორციელდება, ხოლო დეგუსტაციას სჭირდება ტრენინგი და ძალისხმევა. ამაში დახელოვნება კი ლუდის სამყაროში უამრავ შეუცნობელ კარს აღებს, სერიოზულობას და პრესტიჟულობას ანიჭებს დეგუსტატორს.**

# განსხვავება ლუდის სასიამოვნო სმასა და შედარებით უფრო სერიოზულ საქმიანობას - დეგუსტაციას შორის

მაინც რას ნიშნავს ეს? დეგუსტაციის მიზანია, თქვენ წინ არსებული ლუდის შესახებ მოიპოვოთ, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალური ინფორმაცია. დეგუსტაციას გააჩნია მიზანი და სასურველი შედეგი და ის შეიძლება, მრავალფეროვანი იყოს. ლუდსახარშის დეგუსტატორები ხარისხის კონტროლის განხორციელებისას, ცდილობენ, გამოავლინონ ზედმეტი არომატი და თუნდაც ნებისმიერი გადახრა ლუდის გემოვნური მახასიათებლებიდან. ლუდის ჩამოსხმის სპეციალისტებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი პრობლემები, რომელთა ძირეულ მიზეზებს შორისაა შენახვის ვადა ან ჩამოსასხმელი სისტემის პრობლემები.

მიდგომის მიუხედავად ჩვენ ყველანი ვმუშაობთ ჩვენი გონებისა და სხეულის კონკრეტული ინსტრუმენტებით, სტრუქტურული კომპონენტებით. დახვეწილი ტექნიკით, ტრენინგითა და პრაქტიკით, ჩვენ შეგვიძლია, დიდი ინფორმაციის მიღება ლუდის მცირე ნიმუშიდანაც კი. რამდენიმე მარტივი წესი და პრაქტიკა სამუშაოს შესრულებადს ხდის.

მოდი, დავიწყოთ ჭიქით. თეთრი ღვინისთვის განკუთვნილი ჭიქა იდეალურია, მაგრამ მილიონობით ლუდის ნიმუშის მოთავსება და შეფასება ხდება პლასტმასის გამჭვირვალე ჭიქებში. იმის მიუხედავად, თუ რომელ ჭურჭელს გამოიყენებთ, ნუ შეავსებთ მას მესამედზე მეტად. თქვენ უნდა დატოვოთ გარკვეული თავისუფალი სივრცე არომატის შესაგრძნობად. დარწმუნდით, რომ ლუდს აქვს სათანადო ტემპერატურა: ლაგერებს და ღია ფერის ელებს გაყინვის ტემპერატურაზე რამდენიმე გრადუსით მაღალი, ხოლო შედარებით უფრო მძიმე ლუდებს ცივი სარდაფის ტემპერატურა.



გახსოვდეთ, რომ ლუდი სწრაფად თბება ჩამოსხმის შემდეგ. თუ ლუდი ზედმეტად ცივია, შემოაჭდეთ ხელი ჭიქას და კანის მინასთან კონტაქტის შედეგად ის მალე გათბება.

„ახლახან საკმაოდ, გამიმართლა და სამი დღე გავატარე Cicerone–ს სერტიფიცირების პროგრამის პერსონალთან ერთად Aroxa–ს პრეზიდენტ დოქტორ ბილ სიმპსონის ხელმძღვანელობით," - წერს ერთ-ერთი დეგუსტატორი.

კომპანია აწარმოებს სადეგუსტაციო ნიმუშების ასაღებ მასალას ლუდისთვის და



სხვა დარგებისთვის. მისი პირველი ინსტრუქცია იყო ლუდის ნიმუშის შემცველი ჭიქის აღება და მისი დატრიალება საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით, 45 ბრუნი წუთში სიჩქარით. „ეს საჭიროა თქვენი კუნთების მეხსიერებისთვის", – აღნიშნა მან. „მსურს თქვენმა ტვინმა იცოდეს, როდესაც ამას აკეთებთ, იმყოფებით დეგუსტაციის რეჟიმში."

„დეგუსტაციაში მონაწილე ფსიქოლოგიურ პროცესებში ჩაღრმავება ცოტათი კატების მწყემსვას წააგავს. წარმატების მისაღწევად უნდა ვიმუშაოთ ტვინის სხვადასხვა უბნებთან, მაგრამ ყველა როდია ჩვენი ცნობიერების კონტროლის ქვეშ. ბევრი, მაგალითად, ნუშისებრი სხეულის მსგავსად, განაპირობებს ჩვენი ემოციების ჩრდილოვანი მხარის ფორმირებას. თქვენ უნდა გამოსცადოთ ეს ფსიქოლოგიური პროცესები და დარწმუნდეთ, რომ ტრენინგით, პრაქტიკითა და გამოცდილებით, ისინი შეიძლება გახდნენ დეგუსტაციის ინსტრუმენტები თქვენთვის," – იხსენიებენ გამოცდილი დეგუსტატორები.

**რჩევა 1**

აუცილებელია, თქვენ იმყოფებოდეთ დეგუსტაციის და არა სმის რეჟიმში. მნიშვნელობა აქვს დეგუსტაციას წყნარ გარემოში, სადაც ყურადღება სხვა რამეზე არ გეფანტებათ. დეგუსტაციის ფურცელი საშუალებას გაძლევთ, ყურადღება გაამახვილოთ ლუდის ყოველ მახასიათებელზე და შესაძლოა, შეგახსენოთ კიდეც ყურადღების გამახვილება კონკრეტულ არომატებზე. უბის წიგნაკის ცარიელი ფურცელიც კი, შეიძლება, გამოსადეგი იყოს. სიტყვების უბრალო დაწერა ფურცელზე, გაიძულებთ, რომ დეგუსტაციის დროს ყურადღება დეტალებზე გაამახვილოთ, ხოლო დაწერილი სიტყვებისთვის თვალის შევლება, გაგახსენებთ იმ მოსაზრებებს, რომლებიც ტვინში ჩნდება სხვადასხვა გზების საშუალებით და ამატებს კიდევ ერთ შრეს – ცოდნასა და გამოცდილებას.

**რჩევა 2**

უპირველესად, თუ შესაძლებელია, ლუდი თვითონვე დაისხით. ის პირდაპირ ჭიქის შუაგულში ჩაასხით, რომ ქაფი წარმოიქმნას. დააკვირდით. გრძნობთ რაიმე სურნელს მაგიდაზე მდგარი ჭიქიდან? აიღეთ ჭიქა და შეეცადეთ, იქიდან მომდინარე არომატმა თქვენი ცხვირი გაიაროს. ეს არის ტექნიკა, რომელსაც „ჩავლითი" დეგუსტაცია ეწოდება. როგორ სურნელს გრძნობთ? შესაძლოა უცნაურია, მაგრამ ლუდში წარმოდგენილია



ძალზე არამყარი ნაერთები, რომელთა სურნელის შეგრძნობა ყველაზე უკეთესად, გარკვეული მანძილიდან შეიძლება და მიეცით თქვენს ცხვირს საშუალება, შეეჩვიოს მათ.

**რჩევა 3**

შემდეგ ჭიქა ცხვირთან მიიტანეთ და რამდენიმე მოკლე შესუნთქვა გააკეთეთ. რა შენიშნეთ? შეეცადეთ, ის, თუ რას გრძნობთ, დაყოთ შემდეგ კატეგორიებად: პურის, ალაოს, ნამცხვრის, კარამელის, დამწვარი შაქრის, ტოსტის, ან შესაძლოა, სვიის მცენარეული, ყვავილოვანი ან ხილის ნოტები, თუნდაც საფუარის სანელებლიანი, ხილის ან შერეული ნოტები. თუ თქვენ ვერ მიიღეთ სასურველი ინფორმაცია, ცალი ხელი ჭიქას დააფარეთ ზევიდან და დაატრიალეთ. შემდეგ ხელი მოაშორეთ ჭიქას და იმავდროულად, დაყნოსეთ. თუ ლუდი ცივია, ცოტა შეათბეთ. თუ არომატი თქვენში მოგონებებს აღძრავს, მიჰყევით მას წყაროსკენ. შესაძლოა, ეს საკონდიტროს, ბებიის სამზარეულოს ან სხვა რამეს გახსენებთ. საკმაოდ ხშირად, ეს საკმარისია, რომ კონკრეტული სიტყვა დაასახელოთ.

ამოცანა ასეთია: ლუდში შემავალი ქიმიური ნაერთების დასახელება შეძლებისდაგვარად. ამის განსახორციელებლად, ახალგაზრდა დეგუსტატორებს აკლიათ მომზადება და გამოცდილება. ამიტომ, თუ თქვენ დამწყები ხართ, ნება მიეცით თქვენს შთაბეჭდილებებსა და ემოციებს, გაგიტაცონ შესაბამისი მიმართულებით. ჩაინიშნეთ მაქსიმალურად ბევრი დეტალი და განაგრძეთ.

**რჩევა 4**

დაუთმეთ დრო ლუდზე დაკვირვებას. მადის აღმძვრელია თუ არა ის? არის თუ არა ქაფი ბევრი და მდგრადი? როგორია მისი გამჭვირვალობა და ფერი? მაგრამ, ნუ დახარჯავთ ბევრ დროს ლუდის ვიზუალურ მხარეზე დაკვირვებისთვის. საშუალო ადამიანს შეუძლია ფერში მცირე განსხვავებების დაფიქსირება უფრო უკეთ, ვიდრე არომატების განსხვავება. რას ნიშნავს ეს? თვალები განსაზღვრავს მოლოდინს, ხოლო ჩვენი შინაგანი მხარე გაარკვევს, არის თუ არა ეს მახასიათებლები წარმოდგენილი. შავი ლუდი? მას უნდა ჰქონდეს ცოტა დამწვრის გემო, ხომ მართალია? ჩამოუსხამს თუ არა ვინმეს თქვენთვის შავი ინდური და სტანდარტული ელი ისე, რომ სითხე არ დაგენახათ? მათი განსხვავება უფრო რთულია, ვიდრე გგონიათ. მომზადებული დეგუსტატორები და ლუდის შემფასებლები მუდმივად მუშაობენ, რომ საკუთარმა თვალმა ისინი შეცდომაში არ შეიყვანოს.

**რჩევა 5**

ახლა მოსვით. გახსოვდეთ, რომ გემო იცვლება ყოველ წამში. ჭეშმარიტად სვიის შემცველი ლუდის შემთხვევაში, შეიძლება, მთელი წუთი ან მეტი დასჭირდეს სრული შედეგის მიღებას. მჟავიანობა აღინიშნება მომენტალურად, შემდეგ სიტკბოს ნიშნები შეიმჩნევა და აი, სიმწარეც იგრძნობა, რომელიც თანდათანობით ძლიერდება. ნუ იჩქარებთ გადაყლაპვას. მიეცით ლუდს პირის ღრუში გათბობის საშუალება და შემდეგ ნელ-ნელა გადაყლაპეთ. აღნიშნულის პარალელურად, ჩაისუნთქეთ ნაზად, დახურული ტუჩებით. ეს არის რეტრონაზალური გემო და ის ააქტიურებს თქვენი ყნოსვის სისტემის ნაწილს, აგზავნის სიგნალებს, რომლებიც აღიქმება უფრო მეტად გემოდ, ვიდრე არომატად. ეს კი ძლიერ მორგებულია ნაცნობ შეგრძნებებზე და უპირატესობებზე. ხშირად



თქვენ შეგიძლიათ ამ ტექნიკის გამოყენებით დამატებითი ინფორმაციის მოპოვება.

**რჩევა 6**

დეგუსტაციის დროს, ასევე მნიშვნელოვანია, ყურადღება მიაქციოთ ლუდის ტექსტურას ან გემოს. ლუდი კოლოიდური სითხეა, რომელიც გარკვეულად, გათხელებული ჟელეს მსგავსია: ცილის მოლეკულების ბადე ქმნის სიბლანტეს, რომელიც პასუხისმგებელია ლუდის ტექსტურაზე. გაზირებაც თვალსაჩინო მახასიათებელია. ძლიერ ლუდებში ალკოჰოლი შეიძლება იყოს „ცხელი“ ან პილპილისებრი. ნებისმიერი მწკლარტე გემო ყველაზე მეტად შესამჩნევი იქნება დაგემოვნების დასასრულს.



**რჩევა 7**

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ენით განვასხვავოთ შენაგრძნობი გემო, მაგალითად – ტკბილი, მწარე და მჟავე არომატებისგან. თითქოს ეს იოლია, მაგრამ კაპიტან კერკის პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ, ჩვენ მანქანები არ ვართ. ჩვენი ტვინი აერთიანებს გემოს და არომატს, განსაკუთრებით, როცა რაიმე გვაქვს პირის ღრუში. განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდება მათ გამოყოფას ერთმანეთისგან.

**რჩევა 8**

დეგუსტაციის ბოლოს კი, როცა ლუდმა დატოვა თქვენი პირის ღრუ, მაგრამ გემო დარჩა შესაძლოა, გარკვეული სიმწარის ან სხვა, თუნდაც, მთრიმლავი შეგრძნების გემოს კონცეფციას აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული და შესაძლოა, დასრულების შემდგომი ეტაპიც მნიშვნელოვანი იყოს. ჭეშმარიტად დიდებულ ლუდს აქვს დიდებული გემო და სურნელი მთელი პროცესის განმავლობაში.

**პრაქტიკის მნიშვნელობა**

პროცესი არ შეიძლება, გადაჭარბებული იყოს. იმისთვის, რომ დახელოვნდეთ, აუცილებელია რეგულარულად მიიღოთ მონაწილეობა ფორმალიზებულ დეგუსტაციებში. ყველაზე საუკეთესო გზა? შეაფასეთ სახლში მოხარშული ლუდი. კლუბების უმრავლესობას აქვს ყოველწლიური შეჯიბრებები (შესაძლოა, თქვენს ქვეყანაშიც იყოს რამდენიმე ასეთი კონკურსი). ამ კონკურსების მოსაწყობად, სერიოზულ დეგუსტატორებზე ყოველთვის მოთხოვნაა. მნიშვნელობა არა აქვს, თქვენ თვითონ ხარშავთ ლუდს თუ არა. თუმცა, ნებისმიერი ადამიანისთვის, ექსპერტი დეგუსტატორი რომ გახდეს, მნიშვნელოვანია, მონაწილეობა მიიღოს ხარშვის პროცესში როგორც ასისტენტმა ან დამკვირვებელმა მაინც. ლუდის შემფასებელთა სერტიფიცირების პროგრამა (BJCP.org) მნიშვნელოვანი და საინტერესოა. მართალია, რეგულარული მეცადინეობები პროგრამის ფარგლებში, არ არის გათვალისწინებული. ხელმისაწვდომია უფასო სასწავლო მასალები და ისინი, ვინ გეგმავს სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას. მათ მიერ იქმნება სასწავლო ჯგუფები სპონტანურად. რეგულარულად აწყობენ შეხვედრებს და განიხილავენ ლუდის ტიპებს.

**დაბოლოს**

მოემზადეთ ხანგრძლივი პროცესისთვის. არ არსებობს მოკლე გზა ამ ხელოვნების დასახვეწად. მე ამ საქმიანობით 25 წელზე მეტი, დაკავებული ვარ და ყოველი დეგუსტაციის შემდეგ, მუდმივად ვსწავლობ რაიმეს, სრულიად ახალს ჩემთვის. ეს მთელი ცხოვრების განმავლობაში მიმდინარე პროცესია, რომელსაც ბოლო არ უჩანს. ამ გზაზე, ასევე, გიყალიბდებათ რწმენა საკუთარი თავისადმი, რაც დეგუსტაციას სახალისო პროცესად აქცევს.

ნუ დანებდებით. ერთ დღესაც, სადილის დროს, ინსტიქტურად აიღებთ წყლის ჭიქას, დაატრიალებთ მას საათის ისრის საწინააღმდეგოდ და დაიწყებთ კრიტიკული ყნოსვის სერიას, სანამ რეალობას დაუბრუნდებით. ამ მომენტში, თქვენ მიხვდებით, რომ უკვე დეგუსტატორი ხართ.

*ალკოჰოლის დიდი ოდენობით მიღება ვნებს ჯანმრთელობას*

**ის ყოველთვის პოზიტიური, ენერგიული, ხალისიანია და თავის განწყობას გადასცემს სხვებსაც. მის სამოსში გამოწყობილი ქალი უფრო თავდაჯერებული, ლამაზი, სექსუალური და დამაინტრიგებელია. ეს დიზაინერი რამაზო რომაა, რომელსაც არანაირი სირთულე არ აშინებს – არც ცხოვრების თავიდან დაწყება და არც ახალ გამოწვევებთან პირისპირ დარჩენა.**

# როგორ ხდის რამაზო რომა ქალს სექსუალურს, საინტერესოს და თამამს და როგორ შეუქმნა მან ნინა წკრიალაშვილსა და შორენა ბეგაშვილს სექსუალური, ძვირფასი, ვარსკვლავური „ლუქები“

**რამაზო რომა**: ახალ წელს დუბაიში ვაპირებ შეხვედრას და ზოგადად, დუბაისთან დაკავშირებით, კარგი გეგმები მაქვს. შემოთავაზებაა – დუბაიში გავხსნა მოდის სახლი. უფრო მეტად beachwear-ზე ვმუშაობ და ამ ქვეყანაში ეს ძალიან აქტუალურია. სტამბულში იყვნენ ჩამოსულები, ნახეს ჩემი beachwear-ები, ძალიან მოეწონათ. შემომთავაზეს, რომ დუბაიში გავხსნა მოდის სახლი. გარდა ამისა, ვაპირებ „ფეშენ-ვიქზე“ მონაწილეობას და ვმუშაობ საზაფხულო კოლექციაზე, რომლის გამოფენა ან ჩვენება დუბაიში მექნება. ცოტა ხნის წინ საქართველოში მქონდა ოტ-კუტიურის გადაღება. ჩემი მეგობარი ვალენტინა, რომელიც ტოპ-მოდელია, სპეციალურად ჩემთვის ჩამოვიდა საქართველოში და ჯიჯიმ გადაგვიღო ძალიან საინტერესო, ლამაზი ფოტოები. ეს იდეა სტამბულში დაიბადა და სამი დღით ჩამოვფრინდით საქართველოში. თამამი, მხიარული, საახალწლო ფოტოები გამოვიდა. ვალენტინას ჩემი სამოსი აცვია, რომელიც ამ გადაღებისთვის შეიქმნა და გამოყენებული მაქვს: შიფონი, ტყავი, სვაროვსკის თვლები, ლითონის ელემენტები. ძალიან ლამაზი გამოვიდა და ეს ფოტოები დაიბეჭდება სტამბულში, ერთ-ერთი ცნობილი ჟურნალის „ქუალითის“ ყდაზე. ვალენტინას დიდი ხანია, ვიცნობ. ის საკმაოდ წარმატებულად მუშაობს მოსკოვში, სტამბულში. შემოთავაზება ჰქონდა ამ ჟურნალიდან და შემდეგ რედაქტორმა მე მიმიწვია. თან, რედაქტორიც ჩემი მეგობარია, ისევე როგორც ვალენტინა.

**– ცოტა ხნის წინ, ნინა წკრიალაშვილმა კლიპი გადაიღო, სადაც ნინას და შორენა ბეგაშვილის ჩაცმულობაზე შენ იზრუნე.**

– მომღერალი არ უნდა იყოს „დაკეტილი“. უცხოეთში მომღერლები არ არიან „დაკეტილები“, დახურულები. მომღერალი, ვარსკვლავი უნდა იყოს – სექსუალური, საინტერესო, ვარსკვლავური, ძვირფასი. დახურულ კაბაში სახლის გოგო – სახლში უნდა დარჩეს. თუ ვარსკვლავია, უნდა ანათებდეს – მე ასე ვხედავ მომღერლებს. საქართველოში თუ სხვანაირად ხედავენ, ეს მათი პრობლემაა. შორენასაც და ნინასაც კლიპში ჩემი კაბები აცვიათ და პლუს ამას, მე გავუკეთე სთაილინგი – სექსუალური, ძვირფასი და ვარსკვლავური იმიჯი რომ ჰქონოდათ. ქალი სილამაზეა, სილუეტი და მე ვაჩენ იმას, რაც ქალს ლამაზი აქვს. ქალს, შეიძლება, რაღაც მინუსები ჰქონდეს, მაგრამ თუ გემოვნება აქვს, მისთვის მუშაობს სტილისტი, დიზაინერი, ის ყველაფერს ისე გააკეთებს, რომ ქალი უფრო ლამაზი გახდება – მის სილამაზეს გამოაჩენს და მინუსს დაფარავს. ქალი ყოველთვის დამაინტრიგებელი უნდა იყოს. თან, როცა სცენაზე დგას, ხომ უნდა შეინარჩუნოს თავისი პუბლიკა და მისთვის საინტერესო იყოს.

**– როგორი იყო ნინასთან და შორენასთან მუშაობა?**

– ძალიან დამჯერები იყვნენ და ზოგადად, მიადვილდება მომღერლებთან მუშაობა. ამ ყველაფერს ისინი ისე იღებენ და აკეთებენ, როგორც მე მინდა.

**– შენს ჩამოსვლას საქართველოში ხმაური მოჰყვება ხოლმე.**

– თუმცა, მე ამას დიდად არ ვაქცევ ყურადღებას. ყველაფერი თავისით ხდება და მიხარია... რატომაც არა. ქართველი ვარ, მაგრამ უცხოეთში ვცხოვრობ და სხვა ხედვა, სხვა ხელწერა მაქვს. როდესაც რაღაცას ვაკეთებ და ეს მერე აჟიოტაჟს იწვევს, ეს იმიტომ ხდება, რომ მე საქართველოში არ ვცხოვრობ და შეიძლება, რაღაცეებს არ ვითვალისწინებ.

**– როგორ ქალებთან გიყვარს მუშაობა, როგორი ქალია შენთვის განსაკუთრებულად საინტერესო?**

– მერლინ მონროა ჩემთვის ყველაზე საინტერესო. თუმცა, ყველა ქალს ვერგები, რადგან ეს არის ჩემი პროფესია. ნებისმიერი ქალისგან შემიძლია, შევქმნა საინტერესო ქალი, რომელიც წავა კონცერტზე ან დაბადების დღეზე, საღამოზე და



ცოტა ხნის წინ საქართველოში მქონდა ოტ-კუტიურის გადაღება. ჩემი მეგობარი ვალენტინა, რომელიც ტოპ-მოდელია სპეციალურად ჩემთვის ჩამოვიდა საქართველოში

აუცილებლად მიიქცევს ყურადღებას. სხვათა შორის, ნინა წკრიალაშვილის „ლუქი“ რომ გავაკეთე, თავიდან არ მოსწონდა: ასე არ ავიწევ თმას, ასე არ მომწონსო. დიდი ბრძოლის მერე, ბოლო „ლუქი“ რომ ნახა, მითხრა: ცხოვრებაში ასეთი არ ვყოფილვარ, სასწაული ქალი ვარო. შორენა ძალიან კარგი გოგოა. მივესალმები იმას, რომ საქართველოში მისნაირი თამამი ქალი არ არსებობს.

**დახურულ კაბაში სახლის გოგო სახლში უნდა დარჩეს. თუ ვარსკვლავია, უნდა ანათებდეს – მე ასე ვხედავ მომღერლებს**

**– რა გეგმები გაქვს კიდევ საქართველოსთან დაკავშირებით?**

– დათუნა სულიკაშვილს ვუკერავ კოსტიუმებს, რომელსაც ლოს-ანჯელესში ერთ-ერთ, ძალიან მნიშვნელოვან საღამოზე ჩაიცვამს. მითხრა: ისეთი კოსტიუმები უნდა შემიკერო, რომ ლოს-ანჯელესში ყველა გაგიჟდესო. მე ჩამაბარა თავისი „ლუქები“, რადგან დათუნას ძალიან ვგრძნობ, ჩემი მეგობარია, ყველაფერი მომწონს ამ ადამიანის: როგორც პიროვნება, მისი ცხოვრების წესი. ორიგინალური ადამიანია და ძალიან ნიჭიერი. ვფიქრობ, მას საქართველოში დიდხანს არ გააჩერებენ. ასე რომ, სანამ აქ არის, მანამდე უნდა დავაფასოთ. მისნაირი საქართველოში ჯერჯერობით არავინაა. მე რეალურად ვაფასებ ყველაფერს და თუ ხარ ასეთი – გაღიარებ. შეიძლება, მეგობარი იყო, მიყვარდე მეგობრულად, მაგრამ არ გაღიარო, რადგან მე ჩემი ხედვები მაქვს.

**– ისევ თურქეთში აპირებ წასვლას. ალბათ, გარკვეული გეგმები გაქვს?**

– თურქეთში ჟურნალის ყდას ვაკეთებ, რომელზეც უკვე გესაუბრე. რადგან ძირითადად beachwear-ზე ვმუშაობ, ამიტომ ჩემი აქტიური ცხოვრება მოდის სფეროში უფრო გაზაფხულზე იწყება. ეს იქნება: დუბაი, ანტალია, ბოდრუმი და ასე შემდეგ. ზამთარი დიდად არ მიყვარს, რადგან ცივა. სიცივე კი არ მიყვარს. ამიტომაც მივდივარ დუბაიში. იცი, როგორი პიროვნება ვარ: როცა რომელიმე ქვეყანას ვიპყრობ, მერე ის აღარ მაინტერესებს. ახლა ასე ვარ თურქეთის მიმართ, ცოტა მომბეზრდა. ახალი ქვეყანა, ახალი ხალხი, ახალი ბაზარი მაინტერესებს.

**– დუბაის დაპყრობა გინდა?**

– ეს ცოტა ხმამაღლა ჟღერს. ყოველ შემთხვევაში, ვეცდები, რომ რაღაც გავაკეთო. დამაინტრიგებელია, როდესაც ჩადიხარ ახალ ქვეყანაში, ყველაფერს იწყებ თავიდან – ეს მსიამოვნებს. ჩემი შინაგანი ლტოლვაა, გამიცნონ იმათაც, ვინც არ მიცნობს, მინდა, მოვეწონო მათ და უფრო მეტს ვმუშაობ. ახალი ქვეყანა უფრო ბევრს გამუშავებს, მეტად ცდილობ. მე მომწონს სირთულეები, რადგან ეს ყველაფერს გაძლევს და რაც მთავარია, აფასებ იმას, რაც გაქვს, რისთვისაც მიგიღწევია.

**– რა მიგაჩნია შენს ყველაზე დიდ წარმატებად?**

– ჩემთვის ყველაზე დიდი წარმატებაა ის, რომ საკუთარ თავს ვაფასებ, პატივს ვცემ. სხვა შემთხვევაში სხვებსაც ვერ დავაფასებ. მე ძლიერი პიროვნება ვარ, ბევრი გადავიტანე, მაგრამ სიცოცხლე ყოველთვის მიხარია. ალბათ 60 წლის რომ ვიქნები, მაშინაც ყველაფერს თავიდან დავიწყებ. შემიძლია, საკუთარი თავის მართვა: რაღაც მოხდა, არა უშავს, ხვალ თავიდან დავიწყებ, რადგან ამ ცხოვრებაში სასირცხვილო არაფერია. საქართველოს ღიმილი, პოზიტივი აკლია და მინდა, ერთმანეთს მივცეთ ეს ღიმილი, პოზიტივი.

**– ახალი წლისგან რას ელოდები, ეს დღე შენთვისაც ასოცირდება სიახლესთან, ახლის დაწყებასთან?**

– დიდი მოლოდინი მაქვს, განწყობა – სასწაული. ველოდები ახალ წელს, ახალ გარემოს, განწყობას. ახალი წელი რომ დგება, ახალი უნდა მოხდეს ჩემს ცხოვრებაში.

**– თოვლის ბაბუა ხარ ვინმესთვის?**

– არა, თოვლის ბაბუები მოგვყავს ჩვენ: თოვლის ბაბუა, მოდი!

**ნათია უტიაშვილი**

**ახალ წელს, ყველა ოჯახში, სუფრა ტრადიციული კერძებით, ტკბილეულითა და სასმელებითაა სავსე. ყველა ცდილობს, ეს ღამე სასიამოვნო და დიდხანს დასამახსოვრებელი იყოს. დიასახლისები მთელი დღეები ემზადებიან, რომ ახლობელი და საყვარელი ადამიანები საკუთარი კულინარიული შემოქმედებით მოხიბლონ. ახალ წელს, ვცდილობთ, მივირთვათ საჭმელი, დავაყოლოთ სასმელი, ჩავიტკბარუნოთ პირი ტკბილეულით და მეორე დღისთვისაც შემოვინახოთ თავი. ძნელია, ამ დღესასწაულზე სწორად შევარჩიოთ სასმელი, რომელიც ყველა საახალწლო კერძს მოუხდება. თან, ისე, რომ მეორე დღეს ნაბახუსევმაც არ შეგვაწუხოს და ამით სადღესასწაულო განწყობა არ მოვიშხამოთ. თუ როგორ შევარჩიოთ სადღესასწაულოდ სასმელი, რომელ კერძს რა მოუხდება და რა მივაყოლოთ; როგორ დავლიოთ ალკოჰოლი ისე, რომ მეორე დღეს კარგად ვიგრძნოთ თავი, ამ თემებთან დაკავშირებით გვესაუბრება სომელიე თეიმურაზ ბენიძე.**

# რომელ კერძს რომელი სასმელი უნდა მიაყოლოთ და როგორ უნდა აიცილოთ ნაბახუსევის უსიამოვნო სიმპტომები საახალწლო დღეებში

**თეიმურაზ ბენიძე**: ახალი წლისთვის სასმელი ყურადღებით და საგულდაგულოდ უნდა შეარჩიოთ. არ შეიძლება, ნებისმიერ კერძს, ნებისმიერი სასმელი მიაყოლოთ და ასე ისიამოვნოთ. გირჩევთ, სადღესასწაულო სუფრისთვის არჩევანი ნახევრად ტკბილ, ცქრიალა ღვინოზე ან ტკბილ შამპანურზე შეაჩეროთ. აქვე გეტყვით, რომ შამპანური, ნებისმიერ სადღესასწაულო სუფრაზე უნივერსალურია. ახალი წლის ღამეს შეგიძლიათ, შამპანურით მომზადებულ კოქტეილებსაც გაუსინჯოთ გემო ან ის თეთრ ღვინოში აურიოთ და ისე დალიოთ.

**– იქნებ, ასეთი კოქტეილის რეცეპტიც გვითხრათ, რომელიც შამპანურით მზადდება და საახალწლო სუფრისთვისაა მისაღები?**

– ასეთი კოქტეილია „კირ როიალ“. ახალი წლის ღამეს ის შეუდარებელი, უგემრიელესი და ულამაზესია. ასე მოამზადეთ: ოცდაათი გრამი შავი ქლიავის ლიქიორი ჩაასხით მაღალფეხიან ფუჟერში და დაასხით ქაფქაფა, შუშხუნა შამპანური. სასმელი დატკბება, მიიღებს იასამნისფერს და სასიამოვნო და ფანტასტიკური დალევაა. სხვათა შორის, მას მადისაღმძვრელი ეფექტი აქვს და სუფრასთან დაჯდომისთანავე შეგიძლიათ, დააგემოვნოთ. ამის შემდეგ თამამად გადადით თეთრ ან წითელ ღვინოზე. საერთოდ, სასურველია, არჩევანი თეთრ, მშრალ, კასრში დავარგებულ, ხავერდოვან ღვინოზე შეაჩეროთ. ახალი წლის ღამეს მისი დალევისას, გაგვახსენდება ტროპიკული ხილის სურნელი და არომატი. შესახედავად კი, მისი ოქროსფერი ლამაზად ჯდება სუფრის ეტიკეტში. 14-15 გრადუსზე ჩაციებული უნდა მიირთვათ გაშლილი, ფეხიანი ჭიქიდან, რომლის ზედაპირიც ოდნავ ვიწროვდება.

**– ხის სტიქიის თხის წელიწადი მოდის. როგორც ასტროლოგები გვეუბნებიან, სუფრაზე რეკომენდებულია ხორცეული და თევზი. ამ პროდუქტებიდან მომზადებულ კერძებს კი დამეთანხმებით, წითელი ღვინო უხდება. და, ზოგადად, რომელ კერძს, რომელი ალკოჰოლიანი სასმელი უხდება?**

– საახალწლო სუფრაზე თევზი აუცილებლად უნდა იყოს და, გირჩევთ, ის ბაჟეში ჩააწყოთ. ზამთარს ნიგვზიანი კერძები უხდება და არა მაგალითად, კალმახი ბროწეულის წვენში ან სხვა რომელიმე სოუსის გარნირით. თეთრი ღვინო კი ნიგვზიან კერძებს უხდება. აი, კუჭმაჭს, კუპატს, მწვადს და ხორცისგან მომზადებულ სხვა კერძე-



ბს, აუცილებლად წითელი ღვინო უნდა მიაყოლოთ. თევზისგან მომზადებულ კერძებს წითელი ღვინო ნამდვილად არ უხდება. ის მის გემოს გააფუჭებს, ვერ აღიქვამთ კერძის მთავარ აზრს, ჯობია, თეთრი ღვინო მიაყოლოთ. რაც შეეხება სალათას და ფხალეულს, რომელიც სადღესასწაულო სუფრის განუყრელი ნაწილია, მათ არც ერთი ალკოჰოლური სასმელი არ უხდება და ეს

**გირჩევთ, სადღესასწაულო სუფრისთვის არჩევანი ნახევრად ტკბილ, ცქრიალა ღვინოზე ან ტკბილ შამპანურზე შეაჩეროთ**

გაითვალისწინეთ. თუ გინდათ, გოზინაყის, ტორტის, ნამცხვრის თუ შოკოლადიანი კანფეტებისგან მიღებული სიამოვნება დიდხანს გაგყვეთ, მიაყოლეთ ცქრიალა შამპანური ან თეთრი, ნახევრად ტკბილი ღვინო და არა – ტკბილი ლიქიორი.

**– სადღესასწაულო სუფრის მერე, ბევრს თავის ტკივილი აწუხებს, რასაც „პახმელიას“ ვეძახით. ამისგან რომ თავი დავიზღვიოთ, რას გვირჩევთ?**

– დიახ, მართალია, საახალწლო სუფრის შემდეგ, ბევრს სტკივა თავი, ამტვრევს ძვლებში, უგუნებოდ და შეუძლოდაა. ეს გადამეტებულად მიღებული ალკოჰოლის ბრალია და ამ დროს 50 გრამი ჭაჭა ჩაარტყით, მიაყოლეთ შემწვარი ყველი, ხაჭაპური, წვნიანი კერძი და დაიძინეთ. თუ დამიჯერებთ, საღამოს ჩიტივით იქნებით *(იცინის).* ცუდია, როცა არ იციან, სუფრასთან რომელ კერძს რომელი სასმელი მიაყოლონ.

**– სამწუხაროდ, სტუმრად მისულს სხვა გზა და, ხშირ შემთხვევაში, სხვა არჩევანიც არ გაქვს, ყველა კერძი ერთ კონკრეტულ სასმელთან უნდა დააგემოვნო.**

– ასე, ვერც კერძის გემოთი ისიამოვნებთ და ვერც სასმელს აღიქვამთ როგორც საჭიროა. მაგრამ, თუ მასპინძელი სუფრის მრავალფეროვნებას გთავაზობთ, არჩევანი სწორად უნდა გააკეთოთ. მაგალითად, ბაჟეს, ბადრიჯანს, ნიგვზიან კერძებს, ხაჭაპურს, პომიდორს და კიტრს რომ წითელი ღვინო არ უნდა მიაყოლოთ, ეს აუცილებლად უნდა დაიმახსოვროთ და გაითვალისწინოთ. ასეთ კერძებს თეთრი ღვინოები უხდება ისევე, როგორც ფრინველის ხორცს, თევზსა და ყველეულს. წითელი ღვინო კი კეცზე მომზადებულ კუჭმაჭს, მწვადს, ხბოს ჩაშუშულს და სხვადასხვა ხორცისგან მომზადებულ კერძს უნდა მიაყოლოთ. დამეთანხმეთ, ღვინისა და კერძის გემო სიამოვნებას უნდა განიჭებდეს და არა პირიქით, ვერ აღიქვამდე რას ჭამ და სვამ. მით უმეტეს ახალ წელს, საზეიმო სუფრასთან მოკალათებული.

**– დაბოლოს, ერთი სამარხვო, გემრიელი კერძის რეცეპტიც გვითხარით, რომელიც ადვილად მზადდება და საახალწლო სუფრასაც დაამშვენებს.**

– ასეთია, ინგლისური სამარხვო კერძი „მსუბუქი შოკი“. მისი მომზადების წესი ასეთია: ორი თავი ხახვი და სამი ცალი მოზრდილი სტაფილო დაჭერით წვრილად და მოშუშეთ ზეთში. ხახვი არ უნდა გაყავისფრდეს, უბრალოდ, უნდა დარბილდეს. ამას დაამატეთ სამი ჭიქა წინასწარ მოხარშული, ცივ წყალში გავლებული ბრინჯი და ერთი ქილა სოკო. ეს ყველაფერი მოშუშეთ კვლავ და შეაზავეთ მხოლოდ შავი პილპილითა და მარილით. აქვე გეტყვით ქართული სამარხვო კერძის რეცეპტსაც. მისთვის დაგჭირდებათ: ერთი თავი კომბოსტო, ორი ცალი მოზრდილი ფორთოხალი, ნიახური, 1,5 ჭიქა ნიგვზის ლებნები, 1 ქილა სამარხვო მაიონეზი. მისი მომზადების წესი ასეთია: კომბოსტო წვრილად და გრძლად დაჭერით, ფორთოხალი კი საშუალო ზომის კუბიკებად, ნიგვზის ლებნები შუაზე გატეხეთ. დაჭერით ნიახური და ეს ყველაფერი ამოურიეთ კარგად, მოასხით სამარხვო მაიონეზი, აურიეთ კვლავ და შემდეგ, დაახლოებით, ნახევარი საათით შედგით მაცივარში. დამიჯერეთ, ეს სამარხვო, უგემრიელესი, შოკის მომგვრელი, უმაგრესი და უუცნაურესი საჭმელია.

**ნონა დათეშიძე**

# რა პრინციპით ცდილობს ზოგიერთი ქალი კაცის სიყვარულის შენარჩუნებას და უმართლებთ თუ არა მათ



**როცა საქმე მამაკაცს ეხება, ქალების პრობლემები ძირითადად ერთმანეთს ჰგავს, თუმცა, მთავარი მაინც სუსტი სქესის სუბიექტური დამოკიდებულებაა სიყვარულისა და ერთგულების საკითხებზე. მოდის სიყვარული, მერე კი სადღაც უჩინარდება და ქალი ამას ვერ ეგუება. ყველა შეყვარებულ ქალს უნდა, შეინარჩუნოს ის, ვის გვერდით ცხოვრებაც უხარია. ზოგი ამას ზღვარს გადასული სიყვარულით ცდილობს, ზოგი – შანტაჟით, ზოგსაც თავისი, ინდივიდუალური მეთოდიკა გააჩნია, მიზანი კი ყოველთვის ერთნაირია – საყვარელი მამაკაცის სიყვარულისა და ერთგულების შენარჩუნება, თუმცა გაამართლებს თუ არა ეს მცდელობა, ამის წინასწარ პროგნოზირება რთულია.**

თეიკო *(34 წლის):* ყოველთვის ვამბობდი, რომ ქალს ძალიან ბევრი მოეთხოვება, შესაბამისად, რთულია, იყო ქალი. გარკვეულ ასაკს რომ მივაღწევთ, მას შემდეგ სულ ბრძოლა გვიწევს; მნიშვნელობა არ აქვს, გინდა ლამაზი იყავი, გინდა მახინჯი, ამით საქმის არსი არ იცვლება. ძილშიც კი ფორმაში უნდა იყო.

**– გარეგნულ იერსახეს გულისხმობთ?**

– ყველაფერს ვგულისხმობ. ვერ მოუშვები ვერც გათხოვებამდე და, მით უმეტეს, ვერც გათხოვების შემდეგ. ორი სქესის ურთიერთობა ხელჩართული ბრძოლაა, მით უფრო – ოჯახში. არავინ თქვას, თუ ცოლქმარს ერთმანეთი უყვარს, ასე არ ხდებაო. ასეა და ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. ხუთი წელია, მყავს ქმარი, მაქვს ოჯახი და ამ ხნის განმავლობაში უამრავი რაღაც ვისწავლე და სერიოზული აღმოჩენებიც გავაკეთე ჩემთვის, დღემდე ვსწავლობ საოჯახო დიპლომატიას და მუდმივ ტონუსში ვარ. მე არ ვიცი, როგორ არიან სხვა ცოლები, მაგრამ, ქმრის შენარჩუნება უფრო ძნელი ყოფილა, ვიდრე გათხოვება, მით უმეტეს, როცა გარშემო ამდენი მტაცებელი ქალია. ან შენ უნდა იმარჯვო და „ჩაიჭირო“, ან ისინი გაასულელებენ და „გამოიჭერენ“.

**– „გამოიჭერენ“, „ჩაიჭირო“... საშინელი ტერმინებია. ადამიანურად გიყვარდეს და უყვარდე – არ შეიძლება?**

– სამწუხაროდ, ეგ მხოლოდ ლამაზი სიტყვები და ილუზიაა და თუ ამას არ დაიჯერებ, დაღუპული ხარ. სილამაზე ნამდვილად ვერ გიშველის, სიყვარული – მით უმეტეს. კაცის ერთგულება მითია და სიყვარულიც მხოლოდ დროებითი ახასიათებთ. შეუძლებელია, ათი და ოცი წელი ისე იცხოვრო მის გვერდით, ერთხელაც არ აცანცარდეს და გული არ გატკინოს. რას იზამთ, იმუნიტეტს გამოიმუშავებთ?

**– ანუ, თავიდანვე უნდა შევეგუოთ აზრს, რომ საყვარელი ქმარი ოდესმე აუცილებლად გვიღალატებს?**

– პრინციპში, კი.

**– ასე ცხოვრება ძალიან ძნელია.**

– თავიდანვე ვთქვი, ძნელია-მეთქი, შევხვედროთ სიმართლეს თვალებში. ასეთები არიან კაცები და რეალობას უნდა შევეგუოთ. რა აზრი აქვს სირაქლემის პოზაში ყოფნას? გაცილებით უკეთესია, საკუთარი მეთოდები შექმნა ქმრის „დასაბმელად“. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ ყველა კაცი მაინც ინდივიდუალურია და ყველას ერთი საზომით ვერ მიუდგები. მე მოგიყვებით, თავად როგორ ვცდილობ საყვარელი ადამიანის შენარჩუნებას. ის მოსაზრება, რომ კაცს ბავშვს გაუჩენ და შენია – აბსოლუტური სისულელეა.

**– ბავშვის მაგ მოსაზრებით გაჩენა მარტო სისულელე კი არა, დანაშაულიც არის.**

– გეთანხმებით. როგორ შეიძლება ბავშვით მანიპულირება? ამაზე ფიქრიც კი დაუშვებელია. მით უმეტეს, რომ არც ამართლებს. ეს ყველაფერი მესამე პირზე და მით უმეტეს, შვილზე არ უნდა გადავიდეს. ჩვენი მშობლების მაგალითი არ გამოგვადგება, ისინი სხვანაირად ცხოვრობდნენ. არც ვიცი, ამ ტიპის პრობლემები ჰქონდათ თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ჩემამდე ეს არ მოდიოდა. ერთადერთი, რაც დედაჩემისგან ვისწავლე, იყო საკუთარ თავზე ზრუნვა. არ მახსოვს, დილით თავისი საძინებლიდან მოუწესრიგებელი ან თმადაუვარცხნელი გამოსულიყო. ტუჩებიც კი შეფერადებული ჰქონდა. მამაჩემს ისე ეპრანჭებოდა, როგორც უცხო კაცს და ისიც ბედნიერი იყო ამით, მაგრამ, რაღაც ეტაპზე მივხვდი, რომ ეს არ იყო საკმარისი.

## ქმრის შენარჩუნება უფრო ძნელი ყოფილა, ვიდრე გათხოვება, მით უმეტეს, როცა გარშემო ამდენი მტაცებელი ქალია

**– ამბობენ, მეორედ გათხოვილმა ქალებმა უფრო იციან, რა სურს კაცსო, ანუ, გამოდის, რომ პირველი ქორწინებით ქალები გამოცდილებას იღებენ?**

– არ უნდა იყოს ეს მართალი. თუ ჭკუა არ გაქვს და არ იცი, როგორ მოიქცე, ვერაფერს ისწავლი, ხუთჯერაც რომ გათხოვდე. ერთხელ ვარ გათხოვილი და საკუთარ მაგალითზე ვისწავლე ძალიან ბევრი რამ. ახლა გაცილებით მეტი ვიცი, ვიდრე ორი წლის წინ ვიცოდი.

**– და, უფრო მშვიდად ხართ?**

– პირიქით, საერთოდ არ ვარ მშვიდად. რაც მეტი იცი, მეტსაც ხედავ და ამჩნევ. მაგალითად, ზუსტად ვიცი, რომ კაცს ქალისგან არც რესტორნის მზარეულივით მარჯვედ მომზადებული კერძები სჭირდება, არც იდეალური წესრიგი სახლში, მაგრამ, ბონუსად ერთიც უნდა და მეორეც. ხვდებით, ხომ, რასაც ვგულისხმობ? კაცს ყველაფერი ერთად უნდა, რომ ჰქონდეს: ცოლი სულ კარგ გუნებაზე უნდა იყოს და იცინოდეს; უწყინარი და უპრეტენზიო, ბევრს არ უნდა ლაპარაკობდეს და, როცა კაცს საუბარი არ უნდა, სულაც უნდა დამუნჯდეს; თან, მუდამ, ძალიან მაგარ ფორმაში უნდა იყოს, რომ თვალი სხვა ქალისკენ არ გაექცეს... მაგრამ, მაინც გაექცევა.

**– ასეთ დროს რა უნდა ვქნათ?**

– გეტყვით. ჯერ ერთი – ქმარი თუ საყვარელი მამაკაცი, არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს თქვენი კუმირი. როგორც კი ამ „განაჩენს“ გამოუტან საკუთარ თავს, დაღუპული ხარ. ჩემი ქმარი ხუთი წლით უფროსია ჩემზე, მაგრამ ჭკუა მაინც არ აქვს. ბევრი არაფერი სჭირდება მის გაშტერება-გაბრიყვებას. სიყვარული ხომ მარტო ჩვენთვის არის მნიშვნელოვანი და ჩვენზე გადადის მისი სიმძიმე.

რა ვქნა, მირჩევნია, მე „შევაბა“ ჩემი ქმარი. არ არის ადვილი, მაგრამ, ეს ერთადერთი პრევენციაა მისი ღალატის თავიდან ასაცილებლად. ქალური მომხიბვლელობის პრინციპიც უნდა ჩართო და ეშმაკობაც; ტყუილიც საჭიროა კაცთან ურთიერთობაში.

**– ტყუილში კონკრეტულად რა სახის სიცრუეს გულისხმობთ, „საყოფაცხოვრებო ტყუილს“ რომ ეძახიან?**

– არა. მაგას საერთოდ არ ვგულისხმობ და არც მესმის, ეგ რა სისულელეა. სწორედ საყოფაცხოვრებო საკითხებში არ უნდა მოატყუო. მან ყველაფერში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს და ბოლომდე უნდა იყოს ჩართული წვრილმან თუ მსხვილმან საქმეებში. ერთი წუთი არ უნდა მისცე მოსვენება, არ უნდა ამოასუნთქო, მარტო არსად არ უნდა გაუშვა და საყიდლებზე თუ ბაზარშიც კი სულ თან უნდა ატარო, მაგრამ, ეს ისე უნდა გააკეთო, რომ არ გააპროტესტოს, არ გეჩხუბოს და თავისი უკმაყოფილების გამომჟღავნებასაც მოერიდოს.

**– რანაირად?**

– მხოლოდ და მხოლოდ ეშმაკობით. „მარტო კი წავალ, მაგრამ, უშენოდ არ მიხარია,“ „როცა მყავხარ გვერდით, ყველაფერი არაჩვეულებრივად გამომდის“, „არაფრით არ შემიძლია, უშენოდ წავიდე იქ“ – ეს ჯადოსნური ფრაზებია ოღონდ, წუწუნის გარეშე, რა თქმა უნდა. კაცს არ უყვარს, როცა ქალი პრეტენზიული ტონით ეწუწუნება; ნურც თავის შეცოდებას ეცდებით – მაინც არ შეეცოდებით

# ვინ იპოვა მამა და ნახევარძმები რუსეთიდან საქართველოში და სად შეხვდებიან დიდი ოჯახის წევრები ერთმანეთს

***რუსუდან სიხარულიძე ეძებდა: მამას – ილიას და ნახევარძმებს – შოთა და ირაკლი სიხარულიძეებს.***

**ისტორია**: ვეძებ მამას – ილიას და ნახევარძმებს – შოთა და ირაკლი სიხარულიძეებს. ბოლოს ისინი საქართველოში, ქალაქ ბათუმსა და ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუაგანახლებაში ვნახე. იქ დასასვენებლად ჩადიოდნენ ხოლმე. წლებია უკვე, მათთან კავშირი არ მაქვს. ძალიან მინდა, ვიპოვო და შევხვდე მათ. თავად მე, დედასთან ერთად რუსეთში, ტვერსკაიას მხარეში ვცხოვრობ. დამოუკიდებლად მამა და ძმები ვერ ვიპოვე. გიგზავნით ჩემს ხელთ არსებულ ერთადერთ სურათს. იმედია, მათ მოძებნაში დაგეხმარებათ. ჩემი გაგზავნილი წერილები ადრესატამდე ვერ აღწევს. ძალიან გთხოვთ, მაპოვნინოთ ჩემი ნათესავები.

**(ჟურნალისტის შენიშვნა:** ეს ისტორია რუბრიკა „დაკარგულების" 2014 წლის ნოემბრის ერთ-ერთ ნომერში გამოვაქვეყნე. საბედნიეროდ, სიხარულიძეების ოჯახი ნაპოვნია და აღმოჩნდა, რომ ისინიც ეძებდნენ რუსუდანს, მაგრამ, წლების განმავლობაში – უშედეგოდ. იანვრის დასაწყისში, იგეგმება მათი შეხვედრა რუსუდანთან, ქალაქ მოსკოვში, გადაცემა „ჟდი მენიაში". სიხარულიძეების ოჯახიდან სამი ადამიანი გაემგზავრება რუსიკოსთან შესახვედრად. მხოლოდ 2014 წლის განმავლობაში რუბრიკა „დაკარგულებმა" ერთმანეთს 187 ადამიანი აპოვნინა. იმედია, მომავალ წელს ნაპოვნ ადამიანთა რიცხვი უფრო მეტი იქნება. მინდა, ყველა ჩვენს მკითხველს და სრულიად საქართველოს მივულოცო ახალი წელი და ვუსურვო მეტი თბილი და სასიკეთო შეხვედრა, ჩემს რუბრიკას კი – მეტი და მეტი ადამიანის მოძებნა

***ინტერვიუ ჩვენ მიერ მოძებნილ 28 წლის ირაკლი სიხარულიძესთან (რუსუდანის ნახევარძმა).***

**– ირაკლი, როგორ გაიგეთ, რომ რუსიკო გეძებდათ?**

– ჩვენი ოჯახი, რომელიც ქალაქ ბათუმში ცხოვრობს, თქვენი დიდი მადლობელია. ჩვენც წლების განმავლობაში ვეძებდით რუსუდანს. თქვენი სტატია წაიკითხა ბიძაჩემის ჯარის მეგობარმა და მაშინვე დაგვირეკა: არიქა, მგონი, გელირსათ იმ გოგოს პოვნაო! მაშინვე




ვიყიდეთ ჟურნალის ის ნომერი და წავიკითხეთ სტატია. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ეს ამბავი განსაკუთრებით მამას გაუხარდა – ის წლების განმავლობაში დარდობდა შვილთან კავშირის შეწყვეტას. ისე აეწყო ცხოვრება, რომ რუსუდანი დედამისთან დარჩა რუსეთში. სულ ვცდილობდით მის მოძებნას, სად არ დავრეგისტრირდი და როგორ არ ვეძებე. „ჟდი მენიას" საიტზეც არაერთხელ ვცადე განაცხადი გამეკეთებინა მის მოძებნასთან დაკავშირებით, მაგრამ უშედეგოდ.

**– რუსუდანი თქვენ ჩოხატაურის რაიონში გეძებდათ, ანუ ასე ჰქონდა მითითებული.**

– დიახ, იმიტომ რომ, ადრე იქ ჩავდიოდით დასასვენებლად და ის მისამართი იცოდა. როგორც ჩანს, მასაც შეუცვლია მისამართი და ამიტომ დავკარგეთ ერთმანეთი. მამა ამჟამად ისეთი ბედნიერია... სამზადისშია, უხარია, რომ მოკლე პერიოდში შვილს შეხვდება. ასეთი საახალწლო საჩუქარი არავის გაუკეთებია ჩემთვისო. დიდი მადლობელია თქვენი.

**– რუსუდანმა არც იცის, რომ თქვენ მოგძებნეთ და ამას პირდაპირ გადაცემაში გაიგებს.**

– ძალიან გაუხარდება. როგორც ჩვენ გვიხარია და დღეებს და წუთებს ვითვლით, ვფიქრობ, მასაც დიდი ემოცია ექნება. თავიდან, რომ დაგირეკეთ და გავიგეთ, რომ დაახლოებით ერთი კვირის მოცდა მოგვიწევდა, ვინერვიულეთ, ველარ ვითმენდით. სამაგიეროდ, იმის შესაძლებლობა გაჩნდა, რომ ერთმანეთს შევხვედროდით. ვერ ვითმენდით, მამა ნერვიულობდა და ახლა, როცა უკვე ყველაფერი ნათელია და რამდენიმე დღეში უკვე ერთმანეთს ვნახავთ, უფრო ადვილია ამაზე საუბარი. მადლობა, რომ ერთმანეთი გვაპოვნინეთ და გვახვედრებთ კიდეც. მოსკოვში სამივე მივფრინავთ – მე, ჩემი ძმა შოთა და მამა.

**– ყველაზე მეტად ეს ამბავი, ალბათ, მამას გაუხარდა?**

– მამაჩემი 64 წლისაა და მისთვის ეს მართლაც დიდი სიხარულია. მოუთმენლად ელის თავის შვილთან შეხვედრას. მართალია, ცოტა ავად გვყავს, მაგრამ თავი კარგად უჭირავს.

**თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

# ორი სქესის ურთიერთობა ხელოვნური ბრძოლაა, მით უმეტეს ოჯახში

და, თუ არ შეწყვეტთ ასე მოქცევას, თავსაც მოაბეზრებთ. კაცის ყურადღება რომ შეინარჩუნო, სულ ყურადღების ცენტრში უნდა გყავდეს და, პარალელურად, თვითონაც მისი ყურადღების არეალში იყო – სხვანაირად არაფერი გამოდის.

**– ეჭვიანობის სცენები არ უნდა მოუწყო?**

– ეგეც აუცილებელია, ისევე, როგორც ის, რომ ისიც უნდა აეჭვიანო, თუმცა, არც ერთში არ უნდა „გადაამლაშო" და არც მეორეში. არ უნდა გადააჭარბო, მსუბუქად უნდა მოახერხო ეს ყველაფერი, მსუბუქად, მაგრამ, ინტრიგის თანხლებით.

**– ანუ, მსახიობობაც უნდა ისწავლო და „ხეზე ასვლაც"?**

– აბა, რატომ ვთქვი, რთულია-მეთქი?! „ხეზე ასვლა" ყველა ცოლს რომ შეეძლოს, ქმარი ყველას „შებმული" ეყოლებოდა. კაცს ეს სჭირდება. მაგათი ნებაზე მიშვება არ შეიძლება, ისევ საკუთარ თავს რომ არ მიაყენონ ზიანი. კაცს უფრო სჭირდება ოჯახი და სტაბილურობა, ვიდრე ქალს. ეგენი ხომ ძალიან დაუცველები არიან – ერთი თუ გზა აებნათ, მერე საყრდენი წერტილის პოვნა უჭირთ. ცოლმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ მისი ქმარი სხვა ქალთან არ წავიდეს.

**– ხომ არ დააბამ?**

– უნდა დააბა, მაგრამ, თოკით კი არა, შენი ქალური ეშმაკობით და, არავინ თქვას, ეს არ შემიძლიაო. ყველას ყველაფერი შეგვიძლია, თუკი მოვინდომებთ და მიზანმიმართულად ვიმოქმედებთ. მე მოვინდომე და აშკარად გამომდის. მთავარია, სულ სხვადასხვანაირი იყო: დღეს – ვნებიანი და ძალიან აქტიური, ხვალ – ცოტათი ეჭვიანი, ზეგ – დიასახლისი; მერე – საბედისწერო ქალი, რომელიც კაცს ბევრ თავსატეხს უჩენს... მთვარია, არ დაიღალო და არ მოეშვა. რას ვიზამთ, კაცები ისეთი პრიმიტივები არიან და, თუ ხშირად არ გააოცე და ხშირად არ დატოვე პირდაღებული, შენ მიმართ ინტერესს დაკარგავს და სხვა ქალით დაინტერესდება.

**დალი მიქელაძე**

# რედაქციაში წერილი მოვიდა

**შეიძლება ღალატის დავიწყება? რამდენიმე თვეა, ამას ვცდილობ და არ გამომდის. განვიცდი, რომ არ შემიძლია, ბოლომდე ვაპატიო ქმარს, ასე რომ მომექცა. როცა არჩევნის წინაშე დავდექი, გადაწყვეტილება ოჯახის, შვილებისა და ჩემი სიყვარულის სასარგებლოდ მივიღე. მაგრამ ახლა მიჭირს. მიუხედავად იმისა, რომ ქმარმა მართლაც გულწრფელად მოინანია და პატიებაც მთხოვა. არსებობს რამე, რაც ამ ყველაფრის დავიწყების საშუალებას მომცემს?**

**გამოხმაურება:** ღალატის დავიწყება მართლაც რთულია და უამრავ ფაქტორთან არის დაკავშირებული. ემოციური ფონი თავის საქმეს აკეთებს. დრო გიშველით და კიდევ – უნდა დაკავდეთ იმ საქმიანობით, რომელიც მართლა მოგწონთ, რათა ნაკლებად იფიქროთ მომხდარზე. იცხოვრეთ დღევანდელი დღით და იფიქრეთ მომავალზე.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**ბავშვის სწორი აღზრდა ერთ-ერთი ყველაზე რთული საქმეა, რომელსაც ხშირად მშობლები გაუცნობიერებლად არ ანიჭებენ სათანადო მნიშვნელობას; ან, ანიჭებენ, მაგრამ, ზოგჯერ არასწორ მიდგომას იჩენენ შვილების აღზრდის მიმართ. როგორ უნდა აღვზარდოთ შვილები – ამ საკითხის შესახებ გვესაუბრება ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი).**

# როდის გადასცემს მშობელი საკუთარ მანკიერებებს შვილს და რა შემთხვევაში იწყება და მთავრდება ადამიანის აზროვნება პირის ღრუდან კუჭამდე

– ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხი არ არსებობს, ან, თუ არსებობს, შეიძლება იყოს ბუნდოვანი, მერყევი, რადგან, ბავშვის, ანუ, ადამიანის აღზრდა ყველაზე რთული საქმეა. ჩვენ, მშობლები, ზრდასრული ადამიანები, რას ვაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენს შვილებს სწორად ჩამოუყალიბდეთ მსოფლმხედველობა, სტერეოტიპები? ეს ეხება, რა თქმა უნდა, მათ დამოკიდებულებას ეკლესიის მიმართაც. ეკლესიური აზროვნება იმითაც გამორჩევა, რომ ყურადღება ყოველთვის მახვილდება ადამიანის ზნეობრივ სრულყოფაზე. ისევე, როგორც მის სულიერ სრულყოფაზე. ადამიანი ისედაც სულისა და ხორცის ერთობლიობაა, მაგრამ ამ სულს ვარჯიში სჭირდება, მით უმეტეს მაშინ, როცა მისი ფორმირება ხდება, – ბავშვობიდან. ამ ცხოვრებაში ადამიანის ორიენტირი სწორი უნდა იყოს, რასაც ეკლესია იძლევა. თუმცა, ამაში იგულისხმება სახარების სწავლება და არა ის, რომ, შევა თუ არა ადამიანი ეკლესიაში, მას მაშინვე ყველაფერი ეცოდინება, შეიცვლება, სხვანაირი გახდება; მაგალითად, თუ ადამიანი ეკურთხება სასულიერო პირად, მან უკვე ყველაფერი იცის და მისი პირით სულიწმიდა ქადაგებს – რა თქმა უნდა, ასე არ არის. ადამიანმა ბევრი უნდა ისწავლოს, იშრომოს, ბევრი წაიკითხოს, გამოცდილება დააგროვოს და შემდეგ გადასცეს ეს ყველაფერი სხვას. ასეა ადამიანის აღზრდის დროსაც.



რა თქმა უნდა, კარგ მშობელს საკუთარი შვილისთვის კარგი უნდა, მაგრამ, აქ ჩნდება კითხვა: იცის კი მშობელმა, რა არის მისი შვილისთვის კარგი?

**– მშობლები ხშირად ამბობენ, რომ შვილები არ უჯერებენ, არ ესმით მათი. ისინი ცდილობენ, მათ საკუთარი დამოკიდებულებები, მსოფლმხედველობა მოახვიონ თავზე და, დარწმუნებულები არიან, რომ იციან, რა არის კარგი მათი შვილისთვის.**

– რა თქმა უნდა, კარგია, თუ მშობელს შვილისთვის კარგი უნდა, მაგრამ აქ ჩნდება კითხვა: იცის კი მშობელმა, რა არის მისი შვილისთვის კარგი? ბავშვის სწორი აღზრდა გამორიცხულია, თუ ჯერ მშობელი არ გააცნობიერებს, რა არის კარგი არა მხოლოდ მისი შვილისთვის, არამედ, საერთოდ, ცხოვრებაში, ანუ, მას განსაზღვრული უნდა ჰქონდეს, სწორია თუ არა ის პრიორიტეტები, მიდგომები და მსოფლმხედველობა, რომელსაც ის შვილს სთავაზობს. შვილის აღზრდა მისი მშობლის აღზრდით იწყება. შეიძლება, ბავშვს ყველაფერი მივცეთ, მაგრამ, თუ მას იმავდროულად არ მივცემთ სულიერ საზრდოს, სულიერად არ აღვზრდით, თუ ადამიანში ადამიანობას არ გავაღვიძებთ და დავნერგავთ, მაშინ ეს იქნება არა აღზრდა, არამედ, აღზრდის პროფანაცია. ადამიანმა უნდა დაიწყოს საკუთარ თავზე მუშაობა, რაც ხშირად დაგვიანებულია, თუმცა, გამოსწორება შეიძლება. 60 წლის კაცმა, შეიძლება, ეს ყველაფერი ცხოვრებაში ვერ გააკეთოს, მაგრამ, ხომ შეიძლება, ეს გააკეთოს ახალგაზრდა წყვილმა, რომელსაც არ ჰყავს შვილი ან პატარა შვილი ჰყავს?! ანუ, მათ ჯერ თავად უნდა განსაზღვრონ, რა არის კარგი და მისაღები ზნეობისთვის, სულიერებისთვის და მერე იფიქრონ თავიანთი მსგავსის შექმნაზე, რომელიც უნდა აღზრდონ. ის, ვისაც ეს ყველაფერი არ აქვს გაცნობიერებული, ვერ აღზრდის შვილს. თაობებს შორის დაპირისპირება ყოველთვის არსებობდა; მით უმეტეს ოცდამეერთე საუკუნეში, ტექნოლოგიების ხანაში, როდესაც ჩვენთვის, ანუ უფროსებისთვის, ბევრი რამ მიუღებელია, ჩვენი პრიორიტეტები ბევრ რამეს განსაზღვრავს. ის, რაც ჩვენთვის მიუღებელია, შეიძლება, მისაღები იყოს ჩვენი შვილებისთვის, იმ საზოგადოებისთვის, რომლის გონებრივი ფორმირებაც დღეს ხდება. ამიტომაც, მშობელი თავად უნდა იყოს ამ ყველაფერში გარკვეული. თუ არ იცი, ეს წიგნი როგორია, მასზე ვერ ისაუბრებ. შეიძლება, არ გქონდეს ბოლო გამოშვების ტელეფონი ან ძლიერი და დახვეწილი კომპიუტერი, მაგრამ, ამ ყველაფერში უნდა ერკვეოდე, მით უმეტეს – ახალგაზრდა მშობელი, რომ მერე შენს შვილს უთხრა, რა არის კარგი და რა – ცუდი. ვიღაცა რომ ამბობს: ტელევიზორის ყურება ცოდვაა, ან, მარხვაში ყავის დალევა არ შეიძლებაო, რატომ არის ცოდვა, ხომ უნდა ახსნა?! რა თქმა უნდა, ეს ხუმრობით, რადგან, არც ტელევიზორის ყურებაა ცოდვა და არც მარხვაში ყავის დალევა. რაც შეეხება ტელევიზორს, უნდა აღვნიშნო, რომ, ის, რასაც დღეს ხშირად უყურებენ, ეს კი არის სერიალები, ქვეცნობიერად იწვევს ადამიანების ზომბირებას. მათგან ადამიანი ვერაფერს მიიღებს და ისწავლის. რაც არ ემსახურება განათლებას, მის სულიერ, ზნეობრივ, ინტელექტუალურ ამაღლებას, არც არის ადამიანისთვის საჭირო. თუმცა, გვინდა არ-გვინდა, გვიწევს ამასთან შეხება, მაგრამ, იმიტომ ვართ ადამიანები და იმიტომ გვიბოძა ღმერთმა თავისუფალი ნება, რომ არჩევანი გავაკეთოთ. ჩემი აზროვნება რაღაცის მიმართ არ უნდა იყოს მოქცეული პირის ღრუდან კუჭამდე. ადამიანის დაცემის ყველაზე მთავარი სიმძიმე უფლისადმი მადლიერების დაკარგვაა. მშობელს, რა თქმა უნდა, სურს, რომ ყველაფერი კარგი გააკეთოს შვილისთვის, ბევრი რამ მისცეს, უზრუნველყოს ყველაფრით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი, ანუ შვილები, ვერ ახდენენ საკუთარ თავში ამ ყველაფრის კულტივირებას, რეალიზებას. შეიძლება, ვინმემ იკითხოს: რა შუაში არიან აქ მშობლები? წმიდა წერილი, კაცობრიობის გამოცდილება გვასწავლის, რომ, თუ ჩვენ არ ვისწავლეთ მადლიერება და შემდეგ ეს არ ვასწავლეთ ჩვენს შვილებს, არაფერი გამოვა. დღეს იქნება თუ ხვალ, ეს თავის შედეგს გამოიღებს ჯერ ჩვენში, მერე კი – შვილებში. თუ ადამიანი ამ დროში, ამ სივრცეში არ ცდილობს საკუთარი თავის გაზრდას, გამოსწორებას, ნაკლოვანებების აღმოფხვრას, ბუნებრივია, ეს ყველაფერი, ანუ მანკიერებები, მასში რჩება და მას კიდევ ბევრი რამ ემატება და, მერე, როდესაც შევქმნი ოჯახს, მეყოლება ჩემნაირი ადამიანი, რომელსაც პირდაპირი მნიშვნელობით მე ვქმნი, მე ვარ მისი შემოქმედი და არა ღმერთი, უბრალოდ, ღმერთის კურთხევაა, თორემ, მე ვარ მისი შემოქმედი, ჩემი სისხლი და ხორცია, ჩემი გენეტიკაა. ანუ, თუ ეს ყველაფერი ჩემში დარჩა და მოქმედებს, მერე, ბუნებრივია, ეს ჩემს შვილსაც გადაეცემა, რადგან, თავიდანვე არ მოვახდინე ამ მანკიერების ლიკვიდაცია, არ ვიზრუნე ამაზე. გენეტიკა, რა თქმა უნდა, ყველაფერს არ განსაზღვრავს ადამიანში, მაგრამ, მას დიდი დოზით გადაეცემა; ამიტომ, მშობელს, რომელსაც სურს, შვილი კარგად, სწორად აღზარდოს, ბუნებრივია, საკუთარ თავზე ფიქრით, გამოსწორებით უნდა ჩაუყაროს საფუძველი ჯანმრთელ ნიადაგს, სადაც შემდეგ მისი შვილი ჩაისახება, დაიბადება და გაიზრდება.

**– ხშირად მშობლები შვილებს ეკლესიის მიმართ არასწორ დამოკიდებულებას უნერგავენ, აიძულებენ მათ ისეთი რაღაცეების კეთებას, რაც არ უნდათ ან მათ ძალებს აღემატება.**

– ძალიან მნიშვნელოვანია ერთი მომენტი: არასდროს არ უნდა ვილაპარაკოთ შვილებთან პირველ პირში, მაგალითად: მშობელი მოდის აბიტურიენტ შვილთან ერთად და მათ ხვდებათ ახლობელი, რომელიც მოზარდს ეკითხება, რას აპირებ წელსო და, ამ დროს, შვილის მაგივრად, პასუხს დედა სცემს: „ჩვენ წელს ვაბარებთ". ეს არასწორი საქციელია, უნდა მისცე ადამიანს იმის საშუალება, რომ თვითონ გასცეს პასუხი! მერე აღარ უნდა გვეწყინოს, თუ ჩვენი შვილები ვეღარ მიიღებენ გადაწყვეტილებას, ცხოვრებისეულ ნიუანსებში ვერ იქნებიან თვითმყოფადები და რაღაცას ისე ვერ გააკეთებენ, როგორც საჭიროა. ჩვენი შვილი ვერ საუბრობს, ენა ებმება იქ, სადაც უნდა ილაპარაკოს, რადგან, ჩვენ ზედმეტად ვერევით მის ცხოვრებაში და არ ვაძლევთ საშუალებას, რომ თვითონ განვითარდეს, დამოუკიდებელი იყოს, თავად მიიღოს გადაწყვეტილება. რაც შეეხება მათ სულიერ აღზრდას, თუ მათ ჯანსაღი აზროვნებით გავზრდით, ჯანსაღი მსოფლმხედველობა და მიდგომები მათ სულიერებაზეც აღიბეჭდება. ჯანსაღი აზროვნება ეკლესიაში ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ, თუ ჩვენ მას ვაძალებთ, ილოცოს, ტაძარში იაროს, იმარხულოს, ან, წლინახევრის გოგონამ შარვალი არ უნდა ჩაიცვას, რათა მერე ვიღაც მამაომ აზიაროს – ეს არის კატასტროფა. ეს მას რელიგიურად, სწორად მოაზროვნე ადამიანად კი არ აღზრდის, არამედ, ის იქნება არაჯანსაღი აზროვნების ადამიანი. თუ ჩვენ ვიცით სახარება, იქ ერთი რამ წერია: ღმერთი ჩვენი არის სიყვარული არა დესპოტიზმის, არა ძალდატანების, შეზღუდვის ან ადამიანის თავისუფალი ნების მოსპობის. თუ ადამიანი პიროვნულად თავისუფალი არ გაიზრდება, მისი რელიგიური და სულიერი ცხოვრება კრახის წინაშე დადგება.

**ნათია უტიაშვილი**

# ღვთისმშობლის ხატი – „განაქარვე ნაღველი ჩემი“

მოსკოვში, ნიკოლოზ განმანათლებლის ტაძარში, დაბრძანებულია ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი – „განაქარვე ნაღველი ჩემი“. ეს ხატი მოსკოვში 1640 წელს, ალექსი მიხეილის ძის მეფობის დროს მოაბრძანეს კაზაკებმა. ხატის მიერ აღსრულებული სასწაულების შესახებ წერილობითი მოწმობები 1771 წლის შავი ჭირის ეპიდემიის დროს განადგურდა; გადმოცემით კი, მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ხატის სასწაულმოქმედება შემდეგ მოვლენას უკავშირდება: მოსკოვის მოშორებით მცხოვრები დიდგვაროვანი ქალბატონი სხეულის საშინელი სისუსტით იტანჯებოდა. ექიმები უძლურნი აღმოჩნდნენ ავადმყოფობის წინაშე. უგონოდ მწოლიარე, სიკვდილის პირას მყოფ ქალბატონს გამოეცხადა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და აუწყა: „უბრძანე, წაგიყვანონ მოსკოვში, წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში, სადაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის „განაქარვე ნაღველი ჩემი“ ხატია დაბრძანებული; ილოცე ხატის წინაშე და გამოჯანმრთელდები“. უგონოდ მყოფი ქალბატონი გამოცოცხლდა, ოჯახის წევრებს გაუმხილა გამოცხადების შესახებ და ითხოვა, მოსკოვში წაეყვანათ.

ოჯახის წევრები მოსკოვში ნამყოფები არ იყვნენ. როგორც იყო, მიაღწიეს მოსკოვს და სნეული წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში მიიყვანეს. მან ყურადღებით მოავლო თვალი წმიდა ხატებს, მაგრამ, ვერ ამოიცნო ხატი, რომელიც გამოცხადებით ეჩვენა.

ტაძრის მოძღვარს ახლობლებმა ყოველივე უამბეს და მან ბრძანა, სამრეკლოდან ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ყველა ხატი მოეტანათ. შემოაბრძანეს რა ხატი „განაქარვე ნაღველი ჩემი“, მიუხედავად იმისა, რომ ის მტვერს ისე დაეფარა, ღვთისმშობლის გამოსახულების გარჩევა ჭირდა, სისუსტით დაუძლურებულმა სნეულმა, ხელ-ფეხს რომ ვერ ამოძრავებდა და საუბარიც უჭირდა, იცნო ღვთისმშობლის გამოსახულება და წამოიძახა: – „ის არის, ის არის!“ – და პირჯვარი გადაისახა. ლოცვის შემდეგ ემთხვია ხატს და სხეულში მაშინვე იგრძნო ძალა, რომელმაც ფეხზე წამოდგომა და ეკლესიიდან სახლში საკუთარი ფეხით დაბრუნება შეაძლებინა.

სასწაული 25 იანვარს მოხდა, ამავე დღესაა დაწესებული ხატის დღესასწაული.

მოსკოვში ამ ხატის ოთხი ასლია: წმიდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში, წმიდა პეტრე-პავლეს ეკლესიაში, წმიდა ტიხონ ამათუნტელის ეკლესიაში და ღირსი სერგის სახელობის ტაძარში. მადლმოსილი ხატი ვერცხლის მოოქრულ ჩარჩოშია ჩასმული და გამშვენებულია ძვირფასი თვლებით. კვირა დღეს ამ ხატთან იკითხება ღვთისმშობლის დაუჯდომელი.

ხატის ასლები ასევე დაბრძანებულია: სანკტ-პეტერბურგში – უფლის ამაღლების ტაძარში; ორლოვის ეპარქიის ოდრინე ნიკოლაევის მონასტერსა და პოდოლსკის ეპარქიის ბერშადსკის მონასტერში.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: რამდენად სწორია ტაძარში სანთლების, წიგნებისა და ხატების გაყიდვა მღვდელმსახურების დროს. განსაკუთრებით, ზიარების დროს?**

**პასუხი**: ამ საკითხს წყვეტს კონკრეტული ტაძრის წინამძღვარი, თუმცა ტრადიციულად ყოველთვის ასე ხდებოდა მართლმადიდებელ ტაძრებში.

**კითხვა: როგორ უნდა ვიკითხოთ წმინდა წერილი და სასულიერო ლიტერატურა?**

**პასუხი**: იმისთვის, რომ ეს ლიტერატურა ჩვენთვის სულიერად სასარგებლო იყოს, საჭიროა კითხვის დაწყების წინ სულიწმიდის მადლს მოვუხმოთ ჩვენს მეოხად; ვიკითხოთ აუჩქარებლად, რამდენჯერმე გავიმეოროთ ის, რაც გაუგებარია ჩვენთვის; არ ვიზრუნოთ იმაზე, რომ მაინცდამაინც ბევრი წავიკითხოთ.

**კითხვა: უსახსრობის გამო ხშირად წირვის დროს ვერ ვყიდულობ სეფისკვერსა და სანთელს. ცუდად ხომ არ ვიქცევი?**

**პასუხი**: თუ ადამიანს არ აქვს შესაძლებლობა, საკურთხეველში შეგზავნილ მოსახსენებელს სეფისკვერიც შეაყოლოს, არ არის დიდი უბედურება. უფალმა კარგად იცის ჩვენი გული და ჩვენი ოჯახის ბიუჯეტიც. თუკი ამის უკან სიხარბე არ იმალება, ადამიანის მხურვალე ლოცვა უფლისგან შეწირული იქნება.

**კითხვა: სად და როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხატის ასაკის დადგენა? ჩემს ოჯახში ინახება ასეთი ხატი.**

**პასუხი**: ხატის ასაკის დადგენა შესაძლებელია ხელოვნებათმცოდნეებისა და მხატვარ-რესტავრატორების დახმარებით.



# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## მესვეტე ბერი, რომელსაც 50 წლის შემდეგ შეუნდო უფალმა ძმის განკითხვა

ედესის მახლობლად მოსაგრე ერთ-ერთმა ბერმა ედესელი ეპისკოპოსის, წმიდა თეოდორეს შეკითხვაზე, თუ რამ განაპირობა მისი სვეტზე ასვლა და რამდენი წელია, რაც ღვაწლში იმყოფება, უპასუხა: „ჩემს უფროს ძმასთან ერთად, ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობისას, სოფელს განვეშორე. თავდაპირველად სამი წელი მონასტერში გავატარეთ, შემდეგ კი უდაბნოში წავედით, ორი გამოქვაბული მოვიძიეთ და დავესახლდით: მე ერთ გამოქვაბულში, ის კი – მეორეში. დრო მდუმარებაში გაგვყავდა; ერთმანეთს მხოლოდ კვირა დღეს ვხვდებოდით. ამგვარი მოღვაწეობა უდაბნოში ჩემთვის დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთხელ, როდესაც საჭმლისთვის საჭირო მცენარეულობის შესაგროვებლად გამოვედით და ერთმანეთს გარკვეული მანძილით დავშორდით, შევამჩნიე, რომ ძმა გაშეშდა, თითქოს რაღაცის შეეშინდა და სენაკისკენ თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. გაკვირვებული მივუახლოვდი იმ ადგილს, სადაც ძმა იდგა და ოქროს მონეტების უამრავი რაოდენობა ვიხილე. დაუფიქრებლად მოვიძრე მანტია, ნაპოვნი განძი მასში გადავიტანე და დიდი გაჭირვებით მივათრიე ჩემს გამოქვაბულამდე. შემდეგ, ისე, რომ ძმისთვის არაფერი მითქვამს, ქალაქში წავედი, სახლი ვიყიდე, თავშესაფარი და საავადმყოფო მოვაწყვე და იქვე მონასტერი დავაარსე, 40 მორჩილი დავაბინავე და ყველაფერი გამოცდილ იღუმენს ჩავაბარე, 1 000 ოქრო საჭიროებისთვის დავუტოვე, დანარჩენი 1 000 კი – ღარიბებს დავურიგე. სოფელი მივატოვე და ძმისკენ გავეშურე. გზად მედიდურობამ შემიპყრო და ჩემი ძმის განკითხვა დავიწყე, რომ კეთილი საქმის კეთება არ ისურვა. როდესაც მის გამოქვაბულს ვუახლოვდებოდი, ამპარტავნებამ სრულიად მომიცვა. ამ დროს უფლის ანგელოზი გამომეცხადა და მრისხანედ მომმართა: „იცოდე, რომ შენ მიერ გაღებული მოწყალება ახლოსაც ვერ მივა შენი ძმის ღვაწლთან, ის უფრო მაღლა დგას და შენზე მეტად ღირსეულია ღმერთის წინაშე, ამიტომ, შენ მისი ხილვის ღირსი არ ხარ და ძმას იმ დრომდე ვერ შეხვდები, სანამ ცრემლითა და სინანულით ცოდვისგან არ განიწმინდები“. ანგელოზი გაუჩინარდა. ძმის სენაკს მივუახლოვდი და, ჩემდა შესაძრწუნებლად, იგი ვერ ვიხილე. უამრავი ცრემლი დავღვარე და დავშვრი. ბოლოს და ბოლოს, უფალმა შემიწყალა და ზეციდან ხმამ მაუწყა, რომ აქ მოვსულიყავი, სადაც მხედავ და სადაც უკვე მრავალი წელია, ვცხოვრობ. მხოლოდ 50-ე ზაფხულის შემდეგ, ანგელოზმა პატიება აღმითქვა და ცათა სასუფეველში ძმის ხილვის პირობა მომცა.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**



### ნაბახუსევზე კარგია მინერალური წყალი, კიტრის მწნილის წვენი და ხორბლის ბურახი

ნაბახუსევი განსაკუთრებით მტანჯველია ქრონიკული ალკოჰოლიკებისთვის. მათ აწუხებთ თავის ტკივილი, ციება, ხელების კანკალი, კუჭ-ნაწლავის აშლილობა, დეპრესია, აჩქარებული გულისცემა და ასე შემდეგ. ამიტომ მათთვის აუცილებელია ამ დროს 100 მილილიტრი სასმლის მიღება.

რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომლებიც იშვიათად სვამენ სპირტიან სასმელებს, ნაბახუსევ მდგომარეობაში იშვიათად არიან, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უხარისხო, მავნე ნივთიერებების შემცველ ალკოჰოლურ სასმელს დალევენ ან ზედმეტი მოუვათ და თან საკვებსაც არ მიაყოლებენ; ან, თუ სხვადასხვა სპირტიან სასმელს, მაგალითად, არაყს, ღვინოსა და კონიაკს ერთმანეთში აურევენ.

ნაბახუსევის ყველაზე ტიპური სიმპტომია თავის ტკივილი, რაც გამოწვეულია იმით, რომ სპირტი და მასში შემავალი ტოქსიკური ნივთიერებები ნერვულ სისტემას აზიანებს. გარდა ამისა, ალკოჰოლით მონამვლა შიდა ქალის წნევას სწევს მაღლა. ამ დროს ადამიანს პირის სიმშრალე და წყურვილის გრძნობაც აწუხებს. ალკოჰოლს ორგანიზმის გამოშრობაც შეუძლია. წინა საღამოს გადამეტებული დოზით ალკოჰოლის მიღება მეორე დილას ორგანიზმში სითხის დეფიციტს იწვევს. იმისთვის, რომ ეს დეფიციტი სასწრაფოდ შეივსოთ და წყურვილის გრძნობაც მოიკლათ, სითხე ერთბაშად არ უნდა მიიღოთ. გაღვიძებიდან ორი საათის განმავლობაში ლიტრ-ნახევრამდე სითხე დალიეთ, ოღონდ, არა გაზიანი. კარგია, ასევე, მაგარი ჩაი ან ყავა.

ნაბახუსევზე ბევრი ამჯობინებს მინერალური წყლის დალევას და, ეს სწორიცაა, რადგან, ორგანიზმი ალკოჰოლის მიღების შედეგად დაგროვილი ტოქსიკური ორგანული ნაერთებისგან გათავისუფლებას გთხოვთ. შეგიძლიათ, მთელი დღის განმავლობაში ორ ლიტრამდე მინერალური წყალი დალიოთ. წყურვილის მოკვლის გარდა, ასევე, უნდა იზრუნოთ ორგანიზმში ელექტროლიტების, კერძოდ, მაგნიუმის, ნატრიუმისა და ფოსფორის დოზის აღდგენაზეც. ამ ნივთიერებებით მდიდარია კიტრის მწნილის წვენი, კომბოსტოს მწნილი და ხორბლის ბურახი. ისაუზმეთ ნოყიერი კერძებით, მიირთვით კარტოფილი, ბოსტნეული და რძის პროდუქტები.

ნუ გაჩერდებით დიდხანს აბაზანაში ცხელი წყლის ქვეშ, რადგან ამით გულ-სისხლძარღვთა სისტემას შეუქმნით საფრთხეს. ეფექტურია ნელ-თბილი შხაპის მიღება – ეს აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლის პროცესს და ოფლის გამოყოფას, რომელსაც ტოქსინები გამოაქვს ორგანიზმიდან.

ნაბახუსევზე უნდა მოერიდოთ ფიზიკურ დატვირთვას. კარგია, სუფთა ჰაერზე გასეირნება.

### თუ კეფაში სიმძიმეს გრძნობთ, დალიეთ მაწონი და მიირთვით ვაშლი

თავის ტვინი ადამიანის ერთადერთი ორგანოა, რომელშიც ტკივილის რეცეპტორები არ არის, თუმცა, რამდენიმე მტკივნეული წერტილი მასზე მაინც არსებობს.

ტკივილის მიმართ უკიდურესად მგრძნობიარეა ტვინის გარსი და სისხლძარღვები, რადგან მათში ბევრი ნერვული დაბოლოებაა. გაითვალისწინეთ, რომ ტკივილგამაყუჩებელი წამლები მხოლოდ ტკივილის აღქმას ახშობს, მაგრამ ტკივილის აღმოცენების მთავარ მიზეზს, კერძოდ, სისხლძარღვების სპაზმებს ან შიდა ქალის წნევის მომატებას არ აღმოფხვრის.

თუ კეფაში სიმძიმეს გრძნობთ, ქვემოთ მოცემული რჩევები გაითვალისწინეთ:

საფეთქლები და ცხვირის ფუძე ენერგიულად დაიზილეთ, რომ თავის სისხლძარღვები რეფლექტორულად გაფართოვდეს;

მიირთვით ერთი ჭიქა მაწონი ან დალიეთ ჩაი; ასევე ჭამეთ ვაშლი – ეს ტვინის გარსიდან ზედმეტი სითხის გამოდევნას ეხმარება და ტკივილს აყუჩებს.

### რა პროცესები ვითარდება ალკოჰოლით ინტოქსიკაციის შემთხვევაში და რა უნდა გავითვალისწინოთ ამ დროს

სამწუხაროდ, ალკოჰოლით ინტოქსიკაციის დროს, მრავალი სახიფათო პროცესი შეიძლება განვითარდეს, რომელთა ცოდნას, ცალკეულ შემთხვევაში, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

ალკოჰოლით ინტოქსიკაცია მოწამვლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტიპია. მოწამვლას კი ყველაზე ხშირად ის ალკოჰოლური სასმელები იწვევს, რომლებშიც მაღალია ეთანოლის კონცენტრაცია; ესენია: ლუდი, არაყი და ქართული სუფრის მუდმივი ატრიბუტი – ღვინო. საგულისხმო და გასათვალისწინებელი ფაქტია, რომ ეთანოლი ნარკოტიკული მოქმედების შხამია. ალკოჰოლის, ისევე, ყველა ტოქსიკური ნაერთის მიმართ, ბავშვის ორგანიზმი და მოუმწიფებელი ქსოვილები განსაკუთრებით მგრძნობიარეა. პატარა ასაკში მძიმე ინტოქსიკაცია შეიძლება განვითარდეს 20-30 მილილიტრის მიღების შემთხვევაშიც, ამიტომ, მაქსიმალური სიფრთხილის დაცვაა საჭირო. შესაბამისად, ბავშვს არამცთუ უნდა ვუბიძგოთ დღესასწაულებზე მცირე დოზის ალკოჰოლის მოხმარებისკენ, არამედ, საერთოდ უნდა ავუკრძალოთ მსგავსი ქმედება. მოზრდილებში ინტოქსიკაციას განაპირობებს 100-200 მილილიტრი ეთილის სპირტის მიღება.

სპირტიანი სასმლის არასახიფათო დოზის განსაზღვრა საკმაოდ რთულია. ზრდასრულ ასაკში ის დამოკიდებულია ინდივიდუალურ ფაქტორებზე, რომლებიც ყველა ადამიანში განსხვავებულია, რასაც პრაქტიკულადაც ვხედავთ; ზოგი უფრო გვიან თვრება, ზოგი კი – შედარებით სწრაფად. ეთილის სპირტი, ზოგადად, ძალიან კარგად შეიწოვება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მიერ, განსაკუთრებით კი – ახალგაზრდა ასაკში. სისხლში ალკოჰოლის მაქსიმალური კონცენტრაცია, სხვა ნივთიერებებთან შედარებით, საკმაოდ მალე, 40-90 წუთში მიიღწევა. სადღესასწაულო სუფრაზე აუცილებლად მივირთმევთ სხვადასხვა არაალკოჰოლურ გაზიან სასმელს. ალკოჰოლი კი, გაზიან სასმელთან ერთად, უფრო სწრაფად შეიწოვება და ამ დროს ეთანოლით იჟღინთება ყველა ორგანო და ქსოვილი.

მიღებული ალკოჰოლური ნივთიერების მოცულობა პირდაპირ დამოკიდებულებაშია ინტოქსიკაციის განვითარების სისწრაფეზე. ამ დროს ეთანოლი და მისი მეტაბოლიტები მწვავე ნეიროტოქსიკურ ეფექტს ავლენს. მძიმე შედეგები ახლავს ალკოჰოლის მიღებას ნებისმიერი ორგანული დარღვევების თანაარსებობისას. როგორებიცაა: გულის პათოლოგიები, თირკმლისა თუ ღვიძლის უკმარისობა, ინფექციური დაავადებები. განსაკუთრებით საშიშია ალკოჰოლის მიღება რაიმე პრეპარატთან ერთად. ალკოჰოლით ინტოქსიკაციის ხარისხს ასევე განაპირობებს სქესი, რასა, გენეტიკური ფაქტორები და ასე შემდეგ. ალკოჰოლით ინტოქსიკაციის ამოცნობა რთული არაა – ამ დროს დარღვეულია მეტყველების უნარი, არასწორხაზოვანია და დაქვეითებული გარემოში ორიენტირება, დაზარალებულს აღენიშნება გულისრევის შეგრძნება და, საბოლოოდ, როგორც ორგანიზმის თავდაცვის აქტი, გამოვლინდება ღებინება; ასევე, ადგილი აქვს მხედველობის გაორებასა და გონების დაკარგვას. სხეულის ტემპერატურა ეცემა, ისევე, როგორც არტერიული წნევა. სუნთქვა ხდება ზედაპირული და ხშირი; მძიმე შემთხვევის დროს კი, ადგილი აქვს ჰალუცინაციებსაც. კონცენტრაცია ეთანოლისა, რომლის დროსაც ხდება ალკოჰოლით ინტოქსიკაცია, 100 მილიგრამია. ეთანოლის კონცენტრაციის შემდგომი ზრდა სისხლის პლაზმაში გრძელდება მანამ, სანამ არ გაქრება დეჰიდროგენაზების მარაგი და მისი წარმოქმნის უნარი. ამის შემდეგ კონცენტრაცია და ინტოქსიკაციის სიღრმე ერთმანეთზე აღარაა დამოკიდებული. ამრიგად, მოწამვლის შემთხვევა ძირითადად, იმის მაჩვენებელია, რომ ავადმყოფმა ზედმეტი დალია, რამაც გამოიწვია ზემოთ

აღწერილი მოვლენები.

ასეთ დროს თავდაპირველად საჭიროა ავადმყოფის მდგომარეობის სტაბილიზება. აუცილებელია, პირისა და კუჭ-ნაწლავის გამორეცხვა, რათა გამოვიღოთ ზემო სასუნთქ გზებში არსებული მასები. ხშირია, ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ალკოჰოლის ზემოქმედების შედეგად სუნთქვის შეჩერება, რომლის დროსაც აუცილებელია ხელოვნური სუნთქვის ჩატარება. კუჭი უნდა გამოირეცხოს მხოლოდ სუნთქვის აღდგენის შემდეგ. სახლის პირობებში, მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ, სასარგებლოდ მოქმედებს ცხელი ჩაი. მატონიზებელი ფუნქციის გარდა, მსგავს სიტუაციაში მას სხვა აუხსნელი სასარგებლო ზეგავლენაც აქვს ორგანიზმზე.

### როგორ მოვუწყოთ ორგანიზმს განტვირთვის დღეები სადღესასწაულო სუფრის შემდეგ

დიდი რაოდენობით ნივუზიანი კერძების ჭამა, ძირითადად, იწვევს ქრონიკული ქოლეცისტიტისა და გასტრიტის გამწვავებას. ამ დროს იწყება კუჭისა და მარჯვენა ფერდქვეშა არეში სიმძიმის შეგრძნება, ბოყინი, გულძმარვა, ტკივილი. საერთოდ, მონელების თვალსაზრისით, მძიმე საკვებად ითვლება ნიგვზიანი კერძები, ცომეული და ტკბილეული. ამიტომ, ვისაც კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პრობლემები აქვს, სასურველია, ახალი წლის დღეებში მიირთვას მოხარშული ხორცი, თევზეული და სალათები, რომელიც მომზადებული იქნება მცენარეული ზეთით და არა მაიონეზით. ასევე, ამ დაავადებების მქონე ადამიანებისთვის მავნებელია ცხარე, მწარე, მჟავე და ტომატიანი კერძების ჭამა. თუ ახალი წლის დღეებში ზედმეტად გადატვირთეთ კუჭი, აუცილებელია, ერთდღიანი განტვირთვა მოაწყოთ და მიირთვათ მთელი დღის განმავლობაში, მაგალითად, ერთი კილოგრამი ხილი, 500 გრამი ხაჭო ან მოხარშული ხორცი, ჩაი და ყავა – უშაქროდ, ორი ლიტრი მინერალური და ონკანის წყალი, ამას კი დააყოლოთ ერთი აბი პოლივიტამინი. ეს განტვირთვის დღე ახალი წლის დღეებში სასურველია, მოაწყონ იმ ადამიანებმა, ვისაც ჭარბი წონის პრობლემა აქვს. მაგრამ, აქვე გაფრთხილებთ, რომ ეს განტვირთვის დღე არ უნდა გააკეთონ დიაბეტით დაავადებულებმა. თუ წნევა გაწუხებთ, განტვირთვის დღეს უნდა ჭამოთ უმარილო საკვები. როცა უმარილო საჭმელს ჭამთ და აყოლებთ სითხეს, ეს მოქმედებს როგორც შარდმდენი საშუალება და ამ დროს იწყება ორგანიზმიდან წიდების გამოდევნა; მაგრამ, თუ მარილიან საკვებს იღებთ და თან სითხესაც აყოლებთ, ამ დროს ორგანიზმში სითხე შეკავდება და იწყება სისხლძარღვების გადატვირთვა, შეშუპება და წნევის მომატება. ამიტომ, არ შეიძლება, ინფარქტიანმა, ინსულტიანმა და წნევიანმა ადამიანმა მიიღოს დიდი რაოდენობით მარილიანი საკვები და საფრთხე შეუქმნას საკუთარ ჯანმრთელობას. რაც შეეხება დიდი რაოდენობით საჭმლის მიღების შემდეგ მის უკეთ მონელებას, შეგიძლიათ, მიიღოთ ფერმენტები, მაგალითად, ისეთები როგორიცაა: „ფესტალი“, „მეზიმფორტე“, „პანზინორმი“, „პანკრეატინი“. გართულებების დროს კი აუცილებლად მიმართეთ ექიმს, რათა მისი რეკომენდაციით დაინიშნოს მკურნალობის კურსი შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად.



საკმაოდ რთულია ახალი წლის დღეებში შემწვარ-მოხრაკული და ნიგვზიანი კერძების ჭამისგან თავის შეკავება, მაგრამ, თუ იცით, რომ თქვენს დაავადებას ეს გაამწვავებს და საახალწლო დღეებს ჩაგიშხამებთ, მაშინ თავი უნდა მოთოკოთ. თუ გაწუხებთ თორმეტგოჯა ნაწლავი ან ნაღვლის ბუშტი, ნიგვზიან კერძებს, ცხიმიან ხორცს, მჟავეს, ცხარეს, მლაშეს და ალკოჰოლს საერთოდ არ მიეკაროთ. გაფრთხილებთ, თუ ზომას არ გადახვალთ, ჯანმრთელობის მხრივ პრობლემებიც არ შეგექმნებათ.

**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ჩემი გოგონა 13 წლისაა და 8 წლის ასაკიდან ვმკურნალობთ ჩიყვზე. სამი თვის წინ დაეწყო მენსტრუაცია, მაგრამ, ციკლი 40-დღიანი აქვს. შეიძლება, მოზარდისთვის ეს ნორმალურად ჩავთვალო? ჩიყვის პრობლემას ხომ არ უკავშირდება ციკლის ასეთი ხანგრძლივობა?**

პასუხი: ამ პერიოდში (დაწყებიდან 3 თვის განმავლობაში) ციკლი ჯერ ჩამოყალიბებული არ არის, რის გამოც მისთვის დამახასიათებელია არარეგულარულობა. თუმცა, არიან ისეთი პირებიც, რომელთაც 40-დღიანი ციკლი აქვთ და ეს მათთვის ნორმაა.

**კითხვა: საიდან აღწევს ჰერპესი ორგანიზმში?**

პასუხი: ინფექციის წყაროს წარმოადგენს ავადმყოფი ან ვირუსმატარებელი ადამიანი, ხოლო ინფექციის გადაცემა ხდება სქესობრივი, კონტაქტური, ჰაერ-წვეთოვანი ანტრანსფუზიული გზით, ასევე, ორგანოთა გადანერგვით; ხოლო ნაყოფის ინფიცირება ხდება ორსულობის დროს ტრანსპლაცენტარული და ტრანსცერვიკალური გზებით. ვირუსი ორგანიზმში შეიჭრება კანიდან და ლორწოვანი გარსებიდან.

**კითხვა: ვარ 17 კვირის ორსული და ხშირად მეშინია გარეთ გასვლის. განსაკუთრებული პანიკა მაქვს წითელა-წითურა „ბატონებზე.“ მაინტერესებს, რამდენად დიდია ქუჩაში და ტრანსპორტში დასნებოვნების შანსი და რა გავაკეთო არიდების მიზნით, პირბადე მიშველის?**

პასუხი: ნერვიულობას, გირჩევნიათ, მიბრძანდეთ ლაბორატორიაში და გაიკეთეთ წითელა-წითურაზე გამოკვლევა – გაქვთ თუ არა მათ წინააღმდეგ ანტისხეულები და, ამის შემდეგ მშვიდად იქნებით.

**კითხვა: პერიოდულად, თვეში 1-2ჯერ, მაქვს თეთრი ფერის განავალი 2-3 დღე. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? ღვიძლის ექოსკოპია და ღვიძლის ფუნქცია გაკეთებული მაქვს. საჭიროა თუ არა კვლევის გაგრძელება ამ მიმართულებით?**

პასუხი: პირველ ყოვლისა, გეტყვით, რომ აუცილებელია კვლევის გაგრძელება მიზეზის დასადგენად. განავლის ყავისფერ შეფერილობას განაპირობებს ნაღვლის პიგმენტები. სტერკობილინი აძლევს განავალს დამახასიათებელ ფერს. იმ შემთხვევაში, როცა ჩნდება წინააღმდეგობა, ფერხდება ნაღვლის ნორმალური გამოყოფა და მისი საკმარისი რაოდენობა არ ხვდება ნაწლავებში, განავალი ხდება თეთრი. სხვადასხვა სიმსივნური პროცესი, კენჭები სადინარში, ასეთი წინააღმდეგობის მიზეზი შეიძლება გახდეს მწვავე ჰეპატიტი, პანკრეატიტი, ქოლანგიტი. ასევე, მიზეზი შეიძლება იყოს დისბაქტერიოზი; მკურნალობა ინიშნება მიზეზიდან გამომდინარე. უნდა მიმართოთ კვალიფიციურ გასტროენტეროლოგს.

**კითხვა: რას ნიშნავს ტერმინი „ჰიპერაციდული“?**

პასუხი: ტერმინი „ჰიპერაციდული“ ნიშნავს მომატებულ მჟავიანობას.

**კითხვა: ვარიკოცელეს ოპერაციის შემდეგ რამდენ ხანში უნდა ავიღოთ სპერმის ანალიზი, რათა განისაზღვროს ოპერაციის შედეგიანობა?**

პასუხი: ვარიკოცელეს ოპერაციის შემდეგ სპერმოგრამის მაჩვენებლების გაუმჯობესებას უნდა ველოდოთ 50-80%-ში 3-12 თვის განმავლობაში. შედარებით უკეთ უმჯობესდება სპერმატოზოიდების მოძრაობის უნარი, ნაკლებად – მათი რაოდენობა და მორფოლოგია.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

# რატომ გაუგზავნა ზურაბ წერეთელს თავდაცვის მინისტრმა ბაგებში ექვსი ჩამოწერილი რაკეტა

„...ერთხელ სკამზე ასულა და მთელი კედელი მოუხატავს: მზე, მთები, ხეები, მატარებელი, ყვავილები... – ეს მისი პირველი ნახატი იყო. თურმე, ღელავდა – გამიჯავრდებიანო. მაგრამ, პირიქით მომხდარა – შეუქიათ, მოსწონებიათ და უთქვამთ: რაც შეგიძლია, ბევრი ხატე; დახატე, რაც თავში მოგივაო. ამის შემდეგ ფანქარი ხელიდან აღარ გაუშვია," – ამბობს ნათელა კობიაშვილი წიგნში „ან იქ, სადაც მზე კაშკაშებს, ბნელი ვერ ჩერდება". ზურა წერეთლისადმი ქართველი ხალხის ინტერესი და პატივისცემა, მიუხედავად მრავალი წლის წინ გაკეთებული არჩევნისა სამშობლოსგან შორს, რუსეთში ეცხოვრა და ემოღვაწევა, ვფიქრობ არასდროს განელებულა. მართალია, იქ მოიპოვა დიდება და აღიარება, მაგრამ, არასდროს განელებია საქართველოს სიყვარული. საქართველოდან გაჰყვა თავისი სიყმაწვილის დროინდელი მოგონებები ოჯახზე, ნაცნობ-მეგობრებზე, თბილისზე და საყვარელ ცოლზე, ულამაზეს ქალზე – ინესა ანდრონიკაშვილზე, რომელიც უდროოდ წავიდა ამქვეყნიდან. ეს ზურაბ წერეთლის დღიურებია. მე მას გიტოვებთ, არ გამოტოვოთ, ვფიქრობ, ძალიან დაგაინტერესებთ.





ზურაბი 1934 წლის 4 იანვარს დაიბადა თბილისში, კრილოვის ქუჩაზე, კონსტანტინე წერეთლის ოჯახში. კონსტანტინე წერეთელი – პედაგოგი, დამსახურებული ინჟინერი, პროფესორი, ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. საინჟინრო წრეებში ცნობილი ადამიანი იყო თავისი პროფესიონალიზმით, სიმართლით, პირდაპირობითა და სიკეთით...

„მამამ 100 წლამდე იცოცხლა. სათვალის გარეშე კითხულობდა. ყოველდღე დადიოდა დედის საფლავზე (მანძილი 10 კილომეტრია) – ბოლო დროს ამით ცხოვრობდა. მაგიდასთან ყოველთვის გამართული იჯდა. ძალიან მინდოდა, ჩემთან გადმოსულიყო, მაგრამ, უარს მეუბნებოდა – თავის სამყარო ჰქონდა. გაზეთებში რაც კი ჩემზე მასალა იბეჭდებოდა, სულ აგროვებდა და კედლებზე ჰქონდა გამოფენილი. მემუარების წერა დაიწყო, მაგრამ, როცა ვნახე, როგორ მაქებს, ჯობია, არავინ წაიკითხოს..."



მისი წინაპრები, თავადი წერეთლები, დიდი შეძლებით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ, დიდი ვენახები ჰქონიათ და მათი ღვინო იმ მხარეში განთქმული ყოფილა... ზურაბ წერეთელის დედა – თამარ ნიჟარაძეც თავადების შთამომავალი იყო. მის მშობელბს განათლება პეტერბურგში ჰქონიათ მიღებული... კრილოვის ქუჩაზე ამ სტუმართმოყვარე ოჯახში ხშირად დადიოდნენ სტუმრად ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, მხატვრები, ინჟინრები, მწერლები, სოფლიდან ჩამოსული ნათესავები. მიუხედავად ხელმოკლეობისა, სუფრაც ხშირად იშლებოდა... პატარა ბიჭი ესწრებოდა ამ საღამოებს და მათმა საუბრებმა წარუშლელი კვალი დაამჩნია მის სულს. „უფრო მეტს ვხატავდი, ვიდრე ვკითხულობდი და ასეა დღემდე... როგორ მიყვარდა მათი საუბრის მოსმენა, განსაკუთრებით, როცა პარიზზე ჰყვებოდნენ – თითქოს მეც მათთან ერთად დავდიოდი პარიზში. დღემდე მახსოვს მათი თავის დაჭერისა და საუბრის მანერა, მათი მამაკაცური პლასტიკა. პატარა ბიჭს საოცარი პატივისცემით მექცეოდნენ; როგორც თანატოლს, ისე მელაპარაკებოდნენ, მასწავლიდნენ. მათი დახმარებით ბევრი რამ ვისწავლე, ისინი ღმერთებად მესახებოდნენ... ძალიან მომწონდა ბიძაჩემი, გიგლა ნიჟარაძე ***(დედის ძმა, მხატვარი, – ავტორი),*** საინტერესო და ძალიან ლამაზი მამაკაცი იყო: ტანადი, სიარულის მანერა, ძალა, კუნთები, ხატვა... ქალები ჭკუას კარგავდნენ მასზე, აივნის მხრიდან ყოველ წუთს ეძახდნენ. მთელი ბავშვობა მეგონა, მას დავემსგავსებოდი. დედის მხრიდან ყველა მაღალია, ლამაზი, თან, თითქმის ყველა მღერის, მაგრამ, მოხდა პირიქით: მამას გარეგნობით დავემსგავსე, დედას – ხასიათით".

„დამჯერი ბავშვი სულაც არ ყოფილა. დედა სულ უკან დასდევდა, რომ არაფერი გაეფუჭებინა, – იხსენებს მისი და, ქალბატონი ნელი, – ფეხბურთის თამაში მთელი დღე შეეძლო, მეცადინეობა არ გაახსენდებოდა..." „ბურთს თვითონ ვაკეთებდით ბიჭები ქვიშით გატენილი წინდისგან, სტადიონის ბილეთის ფულს ჩვენ ვინ მოგვცემდა, მაგრამ გასაძრომი ადგილები ვიცოდით და ყველა თამაშს ვესწრებოდით. პირველი ნამდვილი ბურთი პეტრე რომიჩმა მოგვცა, როცა დაგვინახა, რითი ვთამაშობდით. რა სიხარული გვექნებოდა, ხომ წარმოგიდგენიათ! მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა არ მიყვარდა.. ქიმიით ახლა დავინტერესდი, როცა მინანქარზე დავიწყე მუშაობა"... ბებიასთან მეგობრობდა, მასთან ყველაზე ლაღად და თავისუფლად გრძნობდა თავს... „მიყვარდა ბებოს მოსმენა. ძალიან კარგი მოყოლა იცოდა, ისე მიყვებოდა, თითქოს ყველაფერს მიხატავდა, ყველაფერს ვხედავდი. მაშინ რა ვიცოდი, რომ, ზღაპრებს კი არა, ბი-





**არატრადიციული მედიცინა**

ბიოენერგეტიკოსი, გინესის 14-გზის მსოფლიოს რეკორდსმენი, ადამიანი-მაგნიტი კურნავს შინაგანი ორგანოების დაავადებებს, ნერვულ პრობლემებს, ხსნის დეპრესიას, თავის ტკივილს და გათვალვას, წმენდს ნეგატიური ენერგიისგან და გადასცემს პოზიტიურს, შველის ქრონიკულ დაღლილობას და უძილობას, აახალგაზრდავებს ორგანიზმს, მკურნალობს პროსტატას.

**პროცედურები – აუზში გოგირდის წყლით.**
**ბიოენერგეტიკული მკურნალობა ხელებით**
**რეგისტრაციის ნომერი №B12132016**

**ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი**



თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

*ჩაწერა ხდება წინასწარ.*

**ტ: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**

ბლიურ ისტორიებს მიყვებოდა, განსაკუთრებით ქრისტეს სიყვარულს მინერგავდა... ხშირად მიმეორებდა: იცოდე, ლენინი, სტალინი და ორჯონიკიძე ბანდიტები და სისხლისმსმელები არიან, თუ ცუდად მოიქცევი, მათ დაემსგავსებიო... ბავშვობაში ბებიამ მისახსოვრა ჯვარი, რომელსაც დღესაც ვატარებ. უცხოეთში პირველად რომ გამიშვეს, სულ მეშინოდა, არ ჩამოერთმიათ. გამიმართლა – მებაჟემ არ წამართვა. სამშობლოში რომ ვბრუნდებოდი, იმ კაცს ვეძებდი, მადლობა უნდა მეთქვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვეღარ ვიპოვე..."



პირველი სიყვარული სოფელში სწვევია. ჩაის ფაბრიკას აშენებდნენ თურმე. მშენებლობასთან ბავშვები ფეხბურთს თამაშობდნენ. იქ დაუნახავს ქერა, ცისფერთავლება გოგონა – ნატაშა, რომლის დედაც მშენებლობაზე მუშაობდა, მოსწონებია და შეხვედრა დაუნიშნავს. ნატაშა მისულა. მეორე დღესაც დაუნიშნა შეხვედრა და ბებიას ჰკითხა: „ნატაშას ვხვდები. მითხარი, როგორ ვაკოცო?" ბებიამ დაარიგა: „ნატაშას უთხარი – შეხედე, რა ლამაზი მთვარეა. ის აუცილებლად შეხედავს მთვარეს, შენ კი ამ დროს აკოცე." ბიჭი გაეშურა შეხვედრაზე ბებიას დარიგების შესასრულებლად: „ნატაშას ვუთხარი: ნახე, რა ლამაზი მთვარეა-მეთქი. ის მთვარისკენ შებრუნდა. მე მინდოდა, ბებიას დარიგება შემესრულებინა, მაგრამ უცებ ტირილი დაიწყო და ტრიუკი არ გამოვიდა..."



წერეთელი უკვე შეყვარებული იყო არა ნატაშაზე, არამედ – სიყვარულზე. მას ბავშვობიდანვე სიყვარული და მოქმედება ესაჭიროებოდა, თუნდაც ეს სიყვარული და მოქმედება უაზრო ყოფილიყო, ოღონდ კი ეგრძნო თავისუფლება... „იმდროინდელი თბილისური ქუჩის სითბო და სიყვარული დღემდე მომყვება. მძიმე ცხოვრება იყო, ყველას უჭირდა, მაგრამ, ერთმანეთს ეხმარებოდნენ, ერთმანეთს გაჭირვებას უმსუბუქებდნენ... ყველას გვიყვარდა ერთმანეთი. ნაღდი თბილისური სიკეთე იყო ურთიერთობები... ჩუბჩიკა ჩემი სიყრმის მეგობარი იყო. ახლაც, როცა ვიხსენებ, ახალგაზრდობის დრონდელი თავგადასავლები წამოიშლებიან ხოლმე... ერთად ჩავაბარეთ აკადემიაში, ერთად გვასწავლიდნენ ხელოვნების ცნობილი პედაგოგები... ჩემი პროფესორები პარიზში ცხოვრობდნენ და იცნობდნენ მოდილიანის, პიკასოს, ლეჟესა და ყველა იმათ, ვინც რევოლუცია მოახდინა ხელოვნებაში..."

1958 წელს დაამთავრა აკადემია. მისი სადიპლომო ნამუშევრით – „სიმღერა თბილისზე", მოსკოვიდან ჩამოსული მარტიროს სარიანი დაინტერესდა, მაგრამ, სეროვი გააღიზიანა მისმა ყურადღებამ და თქვა: „ეს რა არის? ასეთი სტუდენტები ამთავრებენ თქვენთან? ჩამოხსენით!.." „...ჩემს ტილოზე იყო იისფერ-ვარდისფერი ტონების გამა; ორი გოგონა იჯდა ბალახზე და მღეროდა. რა არ მოეწონა სეროვს, გაუგებარი იყო. დიპლომის დაცვამდე დღეები რჩებოდა, სხვა ნამუშევარი უნდა გამეკეთებინა. ყველა მგულშემატკივრობდა, რას გავაკეთებდი..." მოქანდაკე ალიკა რატიანი დახატა და „ჩაუთვალეს..."

„...ერთხელ, ფერადი სიზმარი მესიზმრა – წმინდა გიორგი შუბით ანადგურებდა ბირთვულ რაკეტებს. გაოცებული დავრჩი. გაოგნებული ვიყავი, იმდენად ცხადი სიზმარი იყო. „ოგონიოკის' კორესპონდენტს მოვუყევი. ორი კვირა სახელოსნოში ჩავიკეტე, გარეთ გასვლა არ მინდოდა. ყველას უცხოეთში ვეგონე. სიზმრის განხორციელება მინდოდა, მაგრამ, არ ვიცოდი, როგორ. ბოლოს და ბოლოს, გავაკეთე ესკიზები, ჩემთვის კი ვამბობდი: სიგიჟეა! იცით რატომ? წმინდა გიორგი ჩემთვის, როგორც ყველა ქართველისთვის, განსაკუთრებული წმიდანია..." მაგრამ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წერეთელმა მაგიური სიზმარი განახორციელა – რაც დასაწყისში თვითონვე „სიგიჟედ" მონათლა, პრაქტიკულად უმოკლეს ხანში განახორციელა: მშვიდობის დაცვის კომიტეტის თხოვნით, თავდაცვის მინისტრმა ექვსი ჩამოწერილი რაკეტა – „სს-20" გაუგზავნა ბაგებში. გაეროს მდივნის, პერეს დე კუელიარის მოთხოვნით კი ამერიკული პურშინგები მიილო. არავის მოსვლია აზრად, ამ შეუთავსებელი სიმბოლოების შეთავსება: ამერიკის ცათამბჯენებს შორის აღმართული, 30 მეტრი სიმაღლის ქრისტეს მხედარი – წმინდა გიორგი, მეოცე საუკუნის მაღალი ტექნოლოგიებით შექმნილ ურჩხულს, ჰა და ჰა, ამერიკის მიწაზე მოკლავს... წერეთლის მონუმენტს ხელოვნებათმცოდნეებმა „ავანგარდული სითამამე" უწოდეს (თუმცა, სითამამე წერეთლის არცერთ ძეგლს არ აკლია).

... მთელი ცხოვრების განმავლობაში ზურაბ წერეთელს მშვიდად არ შეუხედავს ყვავილებისა და ძვირფასი სახისთვის... იგი ინესას ერთგულია. მან იცის, რომ ინესასავით აღარავინ შეუყვარდება – ასე შორეული და ასე ახლობელი ინესა, რომელიც გაჭირვებასა და სიმდიდრეში მისი ერთგული იყო, ერთგული იყო ყოველ წუთს; რომელიც მისი დროით ცხოვრობდა და მისი სიყვარულით სავსე გადავიდა სხვა სამყაროში. მაგრამ სილამაზე დღემდე დაუფარავ სიხარულს იწვევს მასში. მისი გაურკვეველი, უპიროვნო გატაცებები და ურთიერთობები სხვა ქალბატონებთან მისი ცვალებადი ხასიათის მაჩვენებელი როდია, პირიქით, ის, შეიძლება, სილამაზის შეუნელებელი ძიებით იყოს გამოწვეული... მაგრამ, მაშ ვინ არიან ის ქალები, დღემდე რომ ახვევიან გარშემო, რა გრძნობა აკავშირებს მათთან? ერთხელ ვნახე, როგორ გაუხარდა გვირილების დანახვა ღობის ძირას... მანქანა შეაჩერა და გადავიდა – პატარა ბიჭს ჰგავდა...



ცნობილმა კანადელმა ჟურნალისტმა ჰაიდმა დაწერა ზურაბ წერეთელზე: „...რაც შეეხება ქალებს, ისინი მას ძალზე უყვარს, გამუდმებით ფლირტაობს და მათ მიმართ დიდ ყურადღებას იჩენს; უყვარს მათი მოხიბლვა და შთაბეჭდილების მოხდენა – რას იზამ, ქართველია!"

ინესა ყოვლისმიმტევებელი ღიმილით შესცქეროდა მის თამამ იმპროვიზაციებს, სხვათა შორის მის მხატვრულ დონჟუანურ გატაცებებსაც. „სილამაზე ძალიან მოქმედებს ჩემზე. ყვავილებსა და ქალებზე ჩემი მეუღლე არ ეჭვიანობს. ის ყველაზე კარგად მიცნობს"... სიყვარულმა და ხელოვნებამ ჩამოაყალიბა ეს წყვილი... ინესა ლამაზი, ჭკვიანი და ხელგაშლილი ქალი იყო, ხელგაშლილი ქალი კი იშვიათობაა ცხოვრებაში.

**ეკა პატარაია**


## ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

**ყოველ ახალ წელს ადამიანები იმედითა და უკეთესი მომავლის რწმენით ხვდებიან. ამ დღეს განსაკუთრებულად ემზადებიან, ძველ წელს აცილებენ და სამომავლოდ, სურვილების ახდენას ელიან. ყველა ოჯახში ტრადიციულად იშლება სუფრა, ოჯახის წევრები ერთმანეთს ულოცავენ ახალი წლის დადგომას, უძღვნიან საჩუქრებს, ელოდებიან ფეხბედნიერი მეკვლის მოსვლას და დილამდე მხიარულობენ.**

**ახალ წელს, უძველესი დროიდან, დიდი მაგიური დატვირთვა აქვს. ამ დღეს სწორედ ის რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინოთ, რომლებიც სამომავლოდ თქვენი და თქვენი ახლობლების წარმატებასა თუ ბედნიერებაზეა პასუხისმგებელი.**

**თუ როგორ დავიბედოთ სიკეთე, ბედნიერება და სასურველი მომავალი, რა გავითვალისწინოთ საახალწლოდ, ამ თემებზე გვესაუბრება და სასიკეთო რჩევებს მოგვაწვდის, დღევანდელი ჩვენი რუბრიკის სტუმარი, ეზოთერიკოსი ქალბატონი ლალი. თუ მის რეკომენდაციებს და რჩევებს ყურადღებას მიაქცევთ, დარწმუნებული იყავით, მომავალი 2015 წელი თქვენთვის იღბლიანი აღმოჩნდება.**

# რა უნდა მოვიმოქმედოთ ახალ წელს 12 საათზე და 2 იანვრის მაგიურ ღამეს, რომ ბედნიერი წელი გვქონდეს

**ლალი**: ახალი წლის დადგომა, ყველასთვის იმედებსა და სანუკვარი ოცნებების ასრულებასთან ასოცირდება. ვცდილობთ, ძველი დარდი და ნაღველი ძველ წელს გავატანოთ და ახალი იმედებითა და ოცნებებით დავხვდეთ – ახალს. აუცილებელია იცოდეთ, რას მიაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება ახალი წლის დღეებში, რა გაითვალისწინოთ თქვენივე ბედნიერებისა და პირადი, ოჯახური თუ კარიერული წინსვლისთვის. ახალ წელს, დიდი მაგიური დატვირთვაც აქვს. ასე რომ, თუ გსურთ, 2015 წელი თქვენთვის ფეხბედნიერი და წარმატებული იყოს, გაითვალისწინეთ ის ელემენტარული რჩევები, რომლებიც თქვენსავე ბედნიერებაზე აგებს პასუხს.

**– მაგალითად, როგორ დავიბედოთ ბედნიერება და სასურველი მომავალი, რა მოვიმოქმედოთ 12 საათის ჩამოკვრისას?**

– როგორი პრობლემებიც არ უნდა გვქონდეს, რამდენი წლისაც არ უნდა ვიყოთ, შინაგანად, ქვეშეცნეულად ახალი წლისგან ყველანი სასწაულს ველით. თანაც, გვავიწყდება დარდი და ტკივილი. ვცდილობთ, ამაღლებული განწყობით შევხვდეთ, რომ მერე მთელი წელი ასეთი განწყობა გვქონდეს. მოკლედ, თუ ახალ წელს კარგი განწყობით შეხვდებით, მოგეცემათ შანსი, მთელი წელი ასეთი განწყობით გაატაროთ. ახალ წელს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ჩაცმულობას. დააკვირდით, რას გირჩევენ ასტროლოგები – რა უნდა გეცვათ, გეკეთოთ და ამის მიხედვით შეარჩიეთ სამოსი თუ აქსესუარი. ასევე, გაითვალისწინეთ, რომელი ცხოველია ამ წლის მბრძანებელი და მის პატივსაცემად, შესაბამისად, გააწყვეთ საზეიმო სუფრა. თან, ამ ცხოველის შესაბამის ფერებში გამოეწყვეთ. ეს მას ძალიან მოეწონება და იღბალიც გაგიღიმებთ. საახალწლოდ აუცილებლად შეიძინეთ რამე ახალი, როგორც ოჯახისთვის, ასევე თქვენთვის. არ არის აუცილებელი, ეს ავეჯი, ფარდები, კაბები ან ჩექმები იყოს. მაგალითად, სახლისთვის შეგიძლიათ ჭიქა, სტატუეტი ან რამე დეკორატიული ნივთი, ხოლო თქვენთვის, რაიმე აქსესუარი შეარჩიოთ. მოკლედ, ახალ წელს თქვენც და თქვენი საცხოვრებელიც ახალი ნივთით, ან აქსესუარით უნდა შეხვდეთ. აქვე, ერთ წესს გაგანდობთ და, თუ ამას გაითვალისწინებთ, ბევრი ადვილად გაგეხსნებათ, თანაც უახლოეს მომავალში. მოკლედ, ახალ წლამდე, დაახლოებით 10 წუთით ადრე, დედამ გასათხოვარი გოგონა საახალწლო მაგიდის ქვეშ სამჯერ უნდა გააძვრინოს, შემდეგ სამჯერ დაატრიალოს, სამჯერ წელზე მიარტყას ახალი ცოცხი და გარეთ გაუშვას, თან თქვას: „ჩემი გოგო გავიდეს სახლიდან და ისეთი საბედო ნახოს, როგორიც ჩვენ გვსურს; ისეთი დოვლათიანი, როგორც ჩვენ ვეგებებით ახალ წელს; ისეთი სუფთა გრძნობების, როგორც ეს ცოცხია და ისეთი მხიარული განწყობის, როგორც ჩვენ ვხვდებით ახალ წელს.“ ამის შემდეგ, გოგონა დედამ გარეთ უნდა გაუშვას და სანამ თორმეტი საათი არ გახდება, სახლში არ შემოუშვას. თქვენ წარმოიდგინეთ, უმეტესობამ ბედი, სწორედ იმ წელს ნახა და გათხოვდა, როცა ეს რიტუალი შეასრულა.

**– ტრადიციულად, გამიგია, რომ საახალწლო ნაძვის ხეზე კიდებდნენ ისეთ ნივთს, რომლებიც ოჯახის ბარაქასა და ბედნიერებაზეა გათვლილი. ამაზე რას გვეტყვით?**

– ახალ წელს აუცილებელია, ყველა ოჯახში დაიდგას ნაძვის ხე და მასზე დაიკიდოს ის სათამაშოები, თქვენს პირად ცხოვრებას, ოჯახის წევრების კეთილდღეობასა და ოცნებების ასრულებას რომ შეუწყობს ხელს. მაგალითად, ვაშლი ნაყოფიერების სიმბოლოდ მიიჩნევა, ამიტომ, თუ ბედში ცვლილებები გსურთ, ვაშლი აუცილებლად დაკიდეთ ნაძვის ხეზე. კვერცხი ნაყოფიერებისა და ჰარმონიის სიმბოლოა. ამიტომ, თუ გსურთ, თქვენი ცხოვრება ასე ჰარმონიული და ნაყოფიერი იყოს, შეღებეთ კვერცხი ნარინჯისფრად და დაკიდეთ ნაძვის ხეზე. ასევე, წელს, წლის მბრძანებლის პატივსაცემად, აუცილებლად დაკიდეთ ნაძვის ხეზე ხორბლის მარცვლით სავსე ტომსიკა. ეს ოჯახური კეთილდღეობის სიმბოლოა. მთავარია, იმოქმედოთ, გქონდეთ იმედი, რომ მომავალ წელს ყველაფერი რიგზე იქნება. რწმენით შეასრულეთ ყველა რიტუალი და სასიკეთო ცვლილებები უახლოეს მომავალში აუცილებლად გექნებათ. ასევე, არ დაგავიწყდეთ, როგორც კი დადგება 2015 წელი, გამოაღეთ ფანჯრები, რათა ძველი წელი გავიდეს და ახალი შემობრძანდეს.



**– გამიგია, რომ მეკვლემ ახალი წლის ღამეს, გარკვეული სახის ძღვენი უნდა შემოიტანოს სახლში, გარდა იმისა, რომ მარჯვენა ფეხს შემოდგამს. ამ მხრივ რა უნდა გავითვალისწინოთ?**

– მეკვლე, მომავალი წლის ბედნიერების, წარმატებისა და იღბლის მაცნედ მოიაზრება. ამიტომ, მეკვლედ უნდა დაპატიჟოთ ისეთი ადამიანი, რომელიც არ უჩივის უფულობას, მშობლებიც ცოცხალი ჰყავს და არც გასულ წელს დალუპვია ოჯახის რომელიმე წევრი. რაც შეეხება ძღვენს, ბრინჯით, ხურდა ფულითა და ტკბილეულით, მას ჩვენს ოჯახში ბარაქა შემოაქვს, სიტკბოსა და ფინანსურ უზრუნველყოფას გვპირდება მთელი წლის განმავლობაში. ამასთან ერთად, მთავარია, ის წრფელი გულით, ტკბილეულითა და მარჯვენა ფეხით შემოვიდეს ოჯახში. ასევე, არ დაგავიწყდეთ, რომ მეკვლეს საჩუქარი თქვენც დაახვედროთ.

**– ახალი წელი განსაკუთრებული მაგიური თვისებებით ხასიათდება. თუ არსებობს იმის შანსი, რომ სწორედ ამ დროს, რაიმე წესით, მომავლის წინასწარმეტყველება შევძლოთ?**

– მომავლის წინასწარმეტყველებისთვის, ახალი წლის ღამე ზედგამოჭრილია. მაგალითად, თუ რაიმე კითხვაზე გსურთ პასუხის გაგება, მაგრამ ვერ ახერხებთ, თორმეტ საათს რომ ერთი წუთი დააკლდება, აიღეთ ფურცელი და ფანქრით დაწერეთ ის სურვილი. შემდეგ მოუკიდეთ ცეცხლი და თან, გულში იმეორეთ: „თუ 12 საათამდე დაწვა მოასწრო, ამიხდება, თუ ვერ მოასწრო, არ ამიხდება“. დააკვირდით, რა მოხდება. თუ ბოლომდე დაიწვა, დარწმუნებული იყავით, სურვილი, ამ წელს ნამდვილად ახდება.

**– 2 იანვარს ბედობაა. ამბობენ, ამ დღეს ნანახი სიზმარი ყველაზე უტყუარ ინფორმაციას იძლევა მომავალ ბედზეო.**

– დიახ, 2 იანვარი ბედობაა და ამ დღეს დაბედებული, აუცილებლად, მთელი წელი იმოქმედებს თქვენზე. თუ საბედოს ნახვა გსურთ, 2 იანვრის მაგიური ღამე ამის საშუალებასაც გაძლევთ. მოკლედ, ისე რომ ვერავინ დაგინახოთ, როგორც კი დაღამდება და დადგება 2 რიცხვი, ნაძვის ხიდან მოხსენით ერთი სათამაშო, გადით გარეთ, დაანახვეთ ის ცას და თქვით: „ცაო მაღალო, იდუმალო და უძირო, ამ ბედობა დღეს, ჩემი ბედი დამასიზმრე“, შემდეგ შედით საძინებელში და ის სათამაშო ბალიშის ქვეშ დაიდეთ. თქვენს საბედოს აუცილებლად ნახავთ. მოკლედ, საბედოს წინასწარ სანახავად, 2 იანვარი მართლაც მაგიური დღეა. ასევე, თუ გსურთ, გაიგოთ, ამ წელს გათხოვდებით თუ არა, აიღეთ ღამის თორმეტ საათზე უხმარი გამჭვირვალე ჭიქა, მასში ნახევრამდე ჩაასხით იმ ონკანის წყალი, რომლიდანაც წყალი არ გაქვთ დალეული. წინ დაუდეთ სარკე, რომელშიც ჯერ არ ჩაგიხედავთ და ჩააგდეთ ჭიქაში ოჯახის წევრის ქორწინების ბეჭედი. აანთეთ თეთრი ფერის სანთელი, გეჭიროთ ხელში და ხან ჭიქაში იყურეთ, ხან სანთელს დააკვირდით როგორ იწვის, თან სარკეში მის ანარეკლსაც ადევნეთ თვალი. ნახევრად რომ ჩაიწვება სანთელი, ჩაუშვით ჭიქაში და ასე ჩააქრეთ. დააკვირდით სარკიდან ჭიქაში იმ ადგილს, სადაც ბეჭედია და მის შუა სივრცეში აუცილებლად დაინახავთ როგორ გაჩნდება ფიგურები და ადამიანის სახეები. თუ მათგან ერთი მკვეთრად გამოისახა, ჭიქაში გაიშალა და დაინახეთ მამაკაცის ან გოგონას სახე, ესე იგი, ის თქვენი მომავალი ცხოვრების მეგზურია.

**ნონა დათეშიძე**

## სუფთები და მიმზიდველები!

როგორი მამაკაცები მოსწონთ ქალებს? – აუცილებლად თეთრ ცხენზე ამხედრებული უფლისწულები? ჰო, მაგრამ მაინც რანაირები არიან ისინი? უნახავს ვინმეს? თურმე, ქალს რომ მამაკაცი მოეწონოს, ის აუცილებლად სუფთა და მოწესრიგებული უნდა იყოს.

ქალების დიდ უმრავლესობას ნორმალურად მიაჩნია, რომ კაცი თავს უნდა უვლიდეს: ზრუნავდეს საკუთარ გარეგნობაზე, იწესრიგებდეს ფრჩხილებს, იყენებდეს ძვირფას სუნამოს და იცვამდეს კარგად.

ძლიერი სქესი ჯერ კიდევ ვერ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ, საჭიროა, ისევე უვლიდეს თავს, როგორც საკუთარი თავის პატივისმცემელი ქალები უვლიან.

ყოველდღიურად იცვლება რაღაც, ყოველდღიურად ვხვდებით სხვანაირები – ან კარგები, ან უფრო ცუდები. ქალს შეუძლია, უკეთესობისკენ შეცვალოს სამყაროც კი... მაშინ, რა პრობლემაა მისთვის, შეცვალოს მამაკაცი?! ანუ, თქვენს ხელში ბევრი რამაა.

მამაკაცებმა კი უნდა იცოდნენ, რომ სუფთა ყველაფერი გაცილებით მიმზიდველია, რომ არაფერი ვთქვათ ტანსაცმელზე და იმ ბინაზე, სადაც ვცხოვრობთ. გამოკითხვებს მაინც დაუჯერეთ – ქალებს სუფთები მოსწონთ. იზრუნეთ საკუთარ თავზე, შეიყვარეთ თქვენი „მე“ და მაშინ „გარსზეც“ მოგინდებათ ზრუნვა.

მიმზიდველია ის, რაც ბუნებრივიაო, – ამბობს ზოგიერთი მამაკაცი, მაგრამ, ნუ დაუჯერებთ მათ – ყველა კაცს მოსწონს მოვლილი, ეფექტური ქალი, რომელმაც საკუთარი თავის ფასი იცის. ანუ, დავიწყოთ სისუფთავით და საკუთარი თავის სიყვარულამდე მივიდეთ – აქედან კი ნახევარი ნაბიჯიც აღარ რჩება დიდ და ჭეშმარიტ გრძნობამდე.

## გადარჩენისთვის...

ჩვენ საოცარ ეპოქაში ვცხოვრობთ. შეიძლება, არც ისე საოცარ ქვეყანაში, მაგრამ, თუ თვითონ არ ვაჩუქეთ საკუთარ თავს დღესასწაულები, ამას არავინ გააკეთებს. ნებისმიერი ადამიანი უპირველესად პირად ბედნიერებაზე ფიქრობს და არც ამაშია კრიმინალი, პირიქით, სრულიად ბუნებრივი მოვლენაა.

თუ იფიქრებთ იმაზე, რომ ყველა დღე ერთმანეთს ჰგავს და, რამდენიც არ უნდა ეცადოთ, საშინელ ერთფეროვნებას ვერ შეცვლით, ეს ასეც იქნება. ჰკითხეთ საკუთარ თავს – რატომ უნდა ადამიანს, იყოს ბედნიერი?! იმიტომ, რომ ეს მას გადაარჩენს, რადგან, უსიხარულობა, უსიყვარულობა, ერთფეროვნება და სევდა კლავს... ამიტომ, აიძულეთ თავი, დაიჯეროთ, რომ ხვალინდელი დღე უზარმაზარ ბედნიერებასა და სიხარულს მოგიტანთ და, სასიამოვნო სიახლეებსაც, რა თქმა უნდა... აუცილებელი არ არის, ძალიან მდიდარი ან ძალიან ლამაზი იყოთ... ეს ყველაფერი ზოგჯერ გვეხმარება ბედნიერების მიღწევაში, ზოგჯერ კი, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ხელსაც გვიშლის. ადრე გაცილებით მარტივად იყო საქმე – ადამიანებს არც ამდენი ინფორმაცია ჰქონდათ და არც ასეთი მოთხოვნილებები. პროგრესი კი მოთხოვნილებების პროგრესსაც ნიშნავს. ზოგჯერ პასუხი უნდა გასცე შეკითხვას – დააგროვო თუ დახარჯო და ამაში გრძნობებიც იგულისხმება. რისკი აუცილებელია – ხშირად ის ერთადერთი შანსია ბედნიერებისა, თუმცა, საჭიროა კეთილგონიერებაც, რომელიც მოპოვებული ბედნიერების სტაბილურობის გარანტად უნდა იქცეს.

როგორი სისწრაფით იცვლება გარშემო ყველაფერი! თუ იქნებით რეალისტები, იგრძნობთ, რომ, არის მომენტები, როცა ერთადერთი საყრდენი წერტილი საკუთარი ფეხსაცმლის წვრილი ქუსლია, მაგრამ, თუ ძალიან მოინდომებთ, შეიძლება, იპოვოთ მამაკაცი, რომელიც ამ ქუსლს თქვენი წონასწორობის დაცვაში დაეხმარება და, ესეც კარგია... გადარჩენისთვის...

## ბედნიერება სიმარტივეშია

ადამიანებს – ქალებსაც და კაცებსაც – აქვთ მიდრეკილება, ყველაფერი გაართულონ, მით უფრო – ურთიერთობები. ადამიანის მოგონილია კამათი, მსჯელობა, ფიქრი, ყოყმანი, ანგარიში, პროგნოზი, ანალიზი... სინამდვილეში, ცხოვრება ბევრად უფრო მარტივია. მაგალითად, რა საიდუმლო შეიძლება ჰქონდეს გათხოვილ ქალს – ფლირტი ვიღაც სხვა კაცთან? თუკი ეს მართლაც ასეა, მაშინ, მისი ცხოვრება უკვე გართულებულია. რატომ არ გაეყრება ქმარს, მაშინ ხომ ფლირტსაც თავისუფლად შეძლებდა, ყველანაირი ხელისშემშლელი ფაქტორების გარეშე?!

თანამედროვე ცხოვრებამ მოიტანა ის, რომ გრძნობებს ან საერთოდ არ ვაფასებთ, ან ვაფასებთ გადაჭარბებით. ემოციური ეკვილიბრისტიკა პრობლემების მეტს ვერაფერს მოგვიტანს, მთავარია სიყვარული, ნდობა და პატივისცემა. თუ ურთიერთობა ამ პრინციპებზეა დამყარებული, ის ყოველთვის მყარია. გყავდეს ქმარი მხოლოდ იმიტომ, რომ თქვა – შემომხედეთ, მე მარტო არ ვარო, შეცდომაა და, ადრე თუ გვიან, ის თავის სავალალო შედეგს აუცილებლად გამოიღებს.

ბევრად ნაკლებ შეცდომას დაუშვებთ, თუ მამაკაცთან ურთიერთობას ააგებთ პრინციპზე – „პირდაპირ და მარტივად," ანუ, ეს ნიშნავს: „თუ მოგწონს, უთხარი მოურიდებლად ზედმეტი კეკლუცობის გარეშე." კარგად გაიცანით საკუთარი თავი და მხოლოდ ამის მერე დაიწყეთ იმ მამაკაცის გაცნობა, რომლის გვერდითაც აპირებთ ცხოვრებას.

წვრილმანებზე თვალის დახუჭვასაც ცოდნა უნდა – მაშინ თქვენი და თქვენი მამაკაცის ურთიერთობაში ყველაფერი მარტივად, ესე იგი, ბედნიერად იქნება...

## ქალის ამოცანა

რაშია ქალის ძალა და რა არის მისი ამოცანა? – თუ ამ საკითხს ბიოლოგიისა და ბუნების კანონებით მივუდგებით, ქალი გამრავლების მთავარი წყაროა და უნდა იპოვოს შესაფერისი პარტნიორი, რათა თავისი მისია შეასრულოს. ამიტომ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ქალი ეძებდეს კაცს, მით უმეტეს, რომ კაცებიც ეძებენ ქალებს, თუმცა, ისინი ნაკლებად აცნობიერებენ საკუთარ მისიას. ქალის ამოცანა ის არ არის, რომ თავად გადადგას პირველი ნაბიჯი და აგრძნობინოს კაცს, რის ნებას აძლევს. ბევრ მამაკაცს ძალიან ეშინია იმის, რომ სასურველი ქალის თვალში სასაცილო გამოჩნდება, ამიტომ, შეუძლია, დიდხანს გაუბედავად იაროს ერთ წრეზე და მთავარი სათქმელიც ვერ უთხრას, თუმცა, თვითონ შესანიშნავად ხვდება „მინიშნებებს“. ასე რომ, თუ მოგწონთ, თუ მზად ხართ მასთან ურთიერთობისთვის – აგრძნობინეთ!

ძალიან ხშირად, ქალები მამაკაცებს უყურადღებობაში ვადანაშაულებთ და ვსაყვედურობთ კიდეც, მაგრამ, იქნებ, ჯერ საკუთარი თავით დავიწყოთ?! ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვინმე მამაკაცების მხარეს არის... დაფიქრდით, რაში გამოიხატება თქვენი ყურადღება საყვარელი მამაკაცის მიმართ – მხოლოდ იმაში, რომ უმზადებთ საკვებს და ურეცხავთ ტანსაცმელს?! დასაწყისისთვის შეცვალეთ მასთან საუბრის ტონი, ანუ, მაქსიმალურად „დაარბილეთ“; კიდევ, შეძლებით და გახდით, უბრალოდ, მეგობარი და, ასევე, იყავით ადეკვატური საკუთარ რეალობასთან. არ არსებობს გარანტიები და არაფერია მარადიული, მაგრამ, თქვენს ხელშია ერთიც და მეორეც.

ქალის ამოცანა საკუთარი ხელით ბედნიერების გამოჭედვაა – ჩვენ ეს ნამდვილად შეგვიძლია...



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძე

# დიეტა+ვარჯიში+თავის მოვლა=სილამაზეს და ჯანმრთელობას

იყოს ლამაზი – ყველა ქალის ოცნებაა; იყოს ლამაზიც და ჯანმრთელიც – ყველა სალად მოაზროვნე ქალის ოცნება.

პრინციპში, ამ ორიდან მთავარი მაინც ჯანმრთელობაა, მაგრამ, როცა ჯანმრთელი ხარ, ეს საკმარისად აღარ გეჩვენება – გინდა, ლამაზიც იყო და, ალბათ, ცდილობ კიდეც, გახდე უფრო მიმზიდველი და მომხიბლავი: იცვლი ვარცხნილობას, ჩაცმის სტილს; იცავ ყველანაირ დიეტას, რასაც კი ყურს მოჰკრავ; თითქმის ყოველდღე ვარჯიშობ, ის კი არა, ქირურგის სკალპელსაც კი არ უშინდები... გარკვეული პერიოდის შემდეგ, თითქოს აღწევ კიდეც რაღაც შედეგს, თუმცა, გულის სიღრმეში ხვდები, რომ ეს არ არის ის, რაზეც ოცნებობდი და რისკენაც მიილტვოდი. ანუ, კი გახდი იმაზე ლამაზი, ვიდრე იყავი, მაგრამ, ამ სილამაზეს მაინც აკლია რაღაც მარილი, რადგან, ან რაღაც ზედმეტი გააკეთე და ამით დასტრესე ორგანიზმი (რაც შენმა დათრგუნულმა და დაღლილმა მზერამ გაამხილა. მიუხედავად იმისა, რომ კარგა მაგრად დაიკელი წონაში) ან, ზოგი რამ შენს ჯანმრთელობას არ „შეუთანხმე“, რითაც ძალიან აწყენინე. შედეგად კი მიიღე დასუსტებული ორგანიზმი, ძალაგამოლეული სხეული და გულში შეპარული ეჭვის ჭია: „არ მერჩივნა, მსუქანი ვყოფილიყავი და ამდენ რამეს არ შევეწუხებინე?!“



ეს რომ არ მოხდეს, გონივრულად გადადგით ნაბიჯი სილამაზისკენ, ისე, რომ წონაშიც დაიკლოთ და ჯანმრთელობაც გაიკაჟოთ. გგონიათ, ეს ძალიან ძნელია? სულაც არა, თუკი ჭკუით მოიქცევით. რა თქმა უნდა, გარკვეული სირთულეების გადალახვა მოგიწევთ (უპირველეს ყოვლისა – საკუთარი თავის გამოცდა ნებისყოფასა და გამძლეობაში), მაგრამ, გაგამხნევებთ იმის იმედი და მოლოდინი, რომ მალე ნამდვილი დედოფალი გახდებით. თანაც ისე, რომ არცერთ ორგანოს ზიანს არ მიაყენებთ, სხეულის სიმრთელე კი გააორმაგებს მიღწეული სილამაზის ეფექტს.

გონივრულობა კი იმაში მდგომარეობს, რომ დიეტის დაწყების წინ აუცილებლად მიაკითხეთ გამოცდილ დიეტოლოგს, ოღონდ, მას შემდეგ, რაც გაიკეთებთ ანალიზებსა და კონსულტაციას გაივლით თქვენს მკურნალ ექიმთან. დიეტოლოგი მხოლოდ მისი დიაგნოზისა თუ მითითებების საფუძველზე შეგიდგენთ კვების რაციონსა და სათანადო ვარჯიშებს, რაც ზუსტად უნდა შეასრულოთ. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ ზოგიერთი, თუნდაც ძალიან ეფექტური დიეტა, შეიძლება მოუხდეს ას ადამიანს, მაგრამ, არ მოგიხდეთ თქვენ, რადგან, თქვენი ორგანიზმისა და ჯანმრთელობისთვის შეუთავსებელი აღმოჩნდეს.

წინასწარ მოიმარაგეთ ყველა საჭირო პროდუქტი, მოამზადეთ შესაბამისი დიეტური კერძები, მოათავსეთ პატარა კონტეინერებში, წაიღეთ სამსახურში (ცხადია, თუ მუშაობთ) და ნუ მოგერიდებათ იქ დიეტის რეჟიმის დაცვა, ეს არც ისე რთულია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

***ჩვენი დღევანდელი დიეტის პრინციპი კი ასეთია (გთავაზობთ სავარაუდო ნიმუშს):***

***დილით*** (სამსახურში წასვლამდე) – 1 ჭიქა უშაქრო მწვანე ჩაი ან 1 ფინჯანი უშაქრო ნალექიანი ყავა (შეგიძლიათ, ორივეში ლიმონი ჩაწუროთ).

***1 საათის შემდეგ*** – 5 ჩაის კოვზი ხაჭო.

***ნახევარი საათის შემდეგ*** – 1 ჩაის ჭიქა წყალი (პატარა ყლუპებით).

***ნახევარი საათის შემდეგ*** – 5 საშუალო ზომის ლუკმა ვაშლი (შეძლებისდაგვარად, დიდხანს ღეჭეთ).

***ნახევარი საათის შემდეგ*** – 5 ჩაის კოვზი უცხიმო მაწონი ან კეფირი.

***ნახევარი საათის შემდეგ*** – 1 ჩაის ჭიქა წყალი.

***ნახევარი საათის შემდეგ*** – 5 საშუალო ზომის ლუკმა მოხარშული თევზი ან ქათმის ფილე და 5 პატარა ლუკმა უსაფუარო შავი პური.

***ნახევარი საათის შემდეგ*** – 1 ჩაის ჭიქა გაზგასული მინერალური წყალი.

***ნახევარი საათის შემდეგ*** – 5 ჩაის კოვზი უცხიმოდ მოხარშული წიწიბურა + 5 ლუკმა მოხარშული კვერცხი (1 ცალი კვერცხი უწევს).

***ნახევარი საათის შემდეგ***– 1 ფინჯანი ნალექიანი ყავა ან 1 ჭიქა მწვანე ჩაი 1 კოვზი თაფლით.

***ნახევარი საათის შემდეგ*** – 5 ჩაის კოვზი ჩაშუშული ბოსტნეული – 5 პატარა ლუკმა უსაფუარო შავი პური.

***ნახევარი საათის შემდეგ*** – 1 ჩაის ჭიქა წყალი.

***ნახევარი საათის შემდეგ*** – 5 პატარა ლუკმა უმარილო და უცხიმო ყველი – 5 პატარა ნაჭერი კიტრი.

***ნახევარი საათის შემდეგ*** – 1 ჩაის ჭიქა გაზგასული მინერალური წყალი ლიმონის წვენით.

***ნახევარი საათის შემდეგ*** – 5 სადილის კოვზი ბოსტნეულის წვნიანი + 5 პატარა ლუკმა უსაფუარო შავი პური.

***ნახევარი საათის შემდეგ*** – 1 ჩაის ჭიქა უცხიმო და უშაქრო მაწონი.

***1 საათის შემდეგ*** – 5 ლუკმა ვაშლი, 5 ლებანი ფორთოხალი ან გრეიპფრუტი.

***1 საათის შემდეგ*** – 1 ჩაის ჭიქა წყალი.

***1 საათის შემდეგ*** – 5 ჩაის კოვზ მაწონში შერეული 5 ჩაის კოვზი ხაჭო + 5 ლუკმა ბანანი + 1 პატარა ნატეხი შავი (მწარე) შოკოლადი.

თავისთავად ცხადია, ამ დიეტის დაცვა სახლში ყოფნისას ჯობია, მაგრამ, მიზნის მისაღწევად, ეს პატარა წვალება და დისკომფორტი როგორმე აიტანეთ.

რაც შეეხება ვარჯიშებს, აქ დიდი სიფრთხილის გამოჩენა მოგიწევთ. არავითარ შემთხვევაში არ გადაიღალოთ. გამამხნევებელი ვარჯიშები გააკეთეთ სახლში, ღია ფანჯარასთან ან აივანზე. დაწექით ზურგზე და შეასრულეთ „ველოსიპედის“ მოძრაობები; არ დაივიწყოთ ჰულა-ჰუპი (5 წუთი ტრიალი საკმარისი იქნება) და მუცლის ვარჯიშები. სხეული დაიზილეთ წყალში დასველებული და გაწურული ხაოიანი პირსახოცით. ყველაფრის შემდეგ ჩაიცვით მშრალი ტანსაცმელი და 15-20 წუთით წამოწექით.

ყოველ მეორე დღეს მოაწყვეთ განტვირთვის დღე: ისევ ყოველ ნახევარ საათში უნდა იკვებოთ (სითხე – იმდენივე, რამდენიც მოცემულ ნიმუშში), ოღონდ, დღის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ მაქსიმუმ ორი სახეობის პროდუქტი (თქვენი შერჩევით) და, რაც მთავარია, აღებულ კურსს არ გადაუხვიოთ.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: ვარ გარდატეხის ასაკში და სახეზე გამიჩნდა ჩირქოვანი გამონაყარი. რაღაც კრემებს ვხმარობ, მაგრამ, მცირეოდენი „ჩაქრობის“ შემდეგ, გამონაყარი ისევ ჩნდება. ეს ძალიან მიშლის ნერვებს და ხელით ვცდილობ ჩირქის გამოდენას. დედა მეუბნება, რომ ამით უფრო ვიუარესებ მდგომარეობას. მართლა ასეა?**

**პასუხი**: ჩირქოვანი გამონაყარის ხელით (მექანიკურად) დამუშავების შედეგად, რისკის ქვეშ დგება ჯანმრთელი კანი, რადგან ხდება მისი ძალით დაინფიცირება, რის შემდეგაც შესაძლოა, დაიწყოს უფრო ძლიერი ანთებითი პროცესი და პატარა იარებიც კი გაგიჩნდეთ. ამის ნაცვლად, უმჯობესია, გამოიყენოთ კარგი კორექტორი, რომელიც შეიცავს სალიცილის მჟავასა და ანტიბაქტერიულ ექსტრაქტებს (კალენდულას, გვირილას, ჩაის ხის ზეთს). კორექტორით უნდა მოახდინოთ გამონაყრის წერტილოვანი დაფარვა – ამით თავიდან აიცილებთ არასასურველ გვერდით მოვლენებს.

**კითხვა: ზოგი კოსმეტოლოგისგან გამიგია, კანი ისე უნდა გაიწმინდო, რომ სლიპინი (და არა პრიალი) დაიწყოსო. ცოტა ეჭვი მეპარება – ვითომ, საჭიროა სახის კანის ასე მაქსიმალურად გაწმენდა?**

**პასუხი**: ის კოსმეტოლოგი, რომელიც ამას ამტკიცებს, ძალიან სცოდავს, რადგან მას შეცდომაში შეჰყავს ცხიმიანი და კომბინირებული კანის მქონე ქალბატონები. ცხადია, რაც უფრო მაღალია ცხიმოვანი ჯი-



რკვლების სეკრეცია, მით უფრო ინტენსიურად უნდა ხდებოდეს კანის გაწმენდა. მაგრამ, გადაჭარბებული წმენდა არღვევს ჰიდროლიპიდურ დამცავ ფენას, რაც ზრდის ჯირკვლების აქტიურობას და საბოლოოდ, გაუწყლოებამდე მივყავართ. მოსინჯეთ სპეციალური ჯაგრისები, რომლებიც შესანიშნავად წმენდს ფორებს, აშორებს კანს შავ წერტილებს და, ამასთან, არ აშრობს და არ აზიანებს კანს.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# ინტიმური საუბრები



### უფალს მადლობას ვწირავ ასეთი სასწაულისთვის

უპირველეს ყოვლისა, ყველას გილოცავთ შობა-ახალ წელს და გისურვებთ, თქვენც ისეთივე ბედნიერება მოგიტანოთ, როგორც მე მომიტანა. უფრო სწორად, ჯერ არ მოუტანია, მაგრამ, მალე მომიტანს – პირველიდან 7 იანვრამდე შუალედში სამი შვილიშვილის ბაბუა ერთდროულად ვხდები, თანაც, სამივე ბიჭია. თავისთავად ხომ უზარმაზარი, ენით აუწერელი ბედნიერება და სიხარულია ოჯახში ახალი სიცოცხლის დაბადება, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, რას უნდა განვიცდიდეთ ყველა და პირადად მე, რომელიც ხუთი წელი ველოდი ამ ყველაზე საამაყო და საპატიო ტიტულს – ბაბუობას. ხუთი წელი გავატარეთ იმ მოლოდინში მთელმა ოჯახმა. ჩემს შვილსა და რძალს ბავშვი რომ არ უჩნდებოდათ, ამის ნიადაგზე უსიამოვნებებიც კი დაეწყოთ და კინაღამ გაიყარნენ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი; მაგრამ, ღმერთმა მოწყალე თვალით გადმოგვხედა და ყოველგვარი ხელოვნური რაღაცეების გარეშე მოგვივლინა ასეთი სასწაული.

არ მინდა, ან ღმერთს, ან თქვენ, უმადური გეგონოთ, მაგრამ, ერთი გოგო შვილიშვილი კი მინდოდა. თუმცა, არა უშავს, ორი-სამი წლის შემდეგ დავუწყებ ჩემს შვილს „ჩაარაკებას" და იქნებ გადაწყვიტონ მეოთხე შვილის გაჩენაც. ახლა ის არის მთავარი, რომ ჩემი სამივე ვაჟკაცი ჯანმრთელი დაიბადოს, მერე კი უფალი გვიჩვენებს გზას, როგორ მოვიქცეთ.

**რევაზი, 68 წლის.**

### შვილმა გული მატკინა

მე და ჩემი ერთადერთი გაუთხოვარი შვილი ერთად ვცხოვრობთ. ქმარი ახალგაზრდას გარდამეცვალა და ბავშვი მარტომ გავზარდე. დედა არც მე მყავდა და არც ჩემს ქმარს, ისე ნათესავებს კი, აბა, ვის ედარდები და აინტერესებ, მით უმეტეს, როცა გიჭირს. გარდა ამისა, ყველას თავი გასჭირვებია, ყველას საკუთარი პრობლემები აქვს ყელამდე, უმრავლესობას კი თვითონვე უჭირს ოჯახის რჩენა და ამიტომ არავისგან არ უნდა გეწყინოს, თუკი არ ახსოვხარ და იმისთვისაც ვერ იცლის, რომ ტელეფონით მაინც მოგიკითხოს. არც მე მწყინს, თუმცა, გული კი მწყდება, რადგან, მეც და, განსაკუთრებით კი ჩემი ქმარი, ისე ვიყავით ყველა ნათესავზე გადაყოლილი ყველა თვალსაზრისით, რომ ასე არ უნდა მოქცეულიყვნენ, მაგრამ, უფალმა შეუნდოთ, მე გულში ბოღმა არ მაქვს ჩადებული. სიტყვა გამიგრძელდა, არადა, ამ წერილით ჩემი სულ სხვა სატკივარი მინდოდა მომეთხრო თქვენთვის. ნათესავებზე რა მაქვს სათქმელი, როცა სიმწრით გამოზრდილ ერთადერთ შვილს არ ვედარდები, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ავარიაში მოვყევი და დავინვალიდდი. ერთადერთი, რასაც მიკეთებს, ის არის, რომ დილით ინვალიდის ეტლში გადამსვამს და მაგიდაზე წამლებსა და საჭმელს მიტოვებს. მერე სახლიდან მიდის და, გვიან საღამოს დაბრუნებული, წესიერად არც კი მომიკითხავს. ერთ-ორ სიტყვას მომიგდებს სამადლოდ და დაძინებამდე კომპიუტერს უზის ან ვიღაცას ელაპარაკება ტელეფონით. მერე, თვითონ რომ მოერევა ძილი, ისევ გადამაწვენს ჩემს ლოგინში, შეიკეტავს თავისი ოთახის კარს და ამით ამოიწურება ჩვენი ურთიერთობა. არადა, ჟურნალისტია, თან რაღაც არასამთავრობოში მუშაობს და მიუსაფარი და გაჭირვებული ადამიანების თანადგომაზე წერს სტატიებს, საკუთარი დედა კი, მაპატიეთ და, ფეხებზე ჰკიდია. პატარაც აღარ არის (26 წლისაა), მისი ასეთი საქციელი ასაკს რომ დავაბრალო. მეზობლის პატარა გოგო უფრო მეტ ყურადღებას მაქცევს, ვიდრე ჩემი შვილი.

მესმის, რომ მოსაწყენია, ეჯდე ხეიბარ ადამიანს და დილიდან საღამომდე ელაპარაკო, მაგრამ, ასე ვზრდიდი? ღმერთის არ ეშინია? მე ყოველ საღამოს იმას შევთხოვ უფალს, მიუტევოს და გონს მოიყვანოს. მის გამო მაქვს შიში, თორემ, მე უკვე მივეჩვიე მარტო ყოფნას და ისე ძალიან აღარ მიჭირს. რძალი რომ იყოს ჩემი და ასე მექცეოდეს, ალბათ, მეც და სხვაც იმას ვიტყოდით, დედამთილი რომ ვარ, იმიტომ მიკიდებს ფეხებზეო, მაგრამ, შვილზე რა უნდა ვთქვა? ერთადერთი, იმის თქმა შემიძლია, რომ მე ვერ გავზარდე კარგად – როგორც ჩანს, კაცთმოყვარეობა ვერ ჩავუნერგე.

შარშან და შარშანწინ მეგობრებთან ერთად შეხვდა ახალ წელს და სახლში მარტო დამტოვა, ტელეფონითაც კი არ მომილოცა. თვითონ გამთენიისას მოვიდა და მეც დილამდე სავარძელში ვიჯექი გაშეშებული. არ ვიცი, წელს რას აპირებს, ჯერჯერობით არაფერი უთქვამს, მაგრამ, ეჭვი მაქვს, რომ ისევ სხვაგან წასვლა აქვს გადაწყვეტილი. ამას წინათ ვუთხარი, ერთხელაც აქ შეიკრიბეთ და ჩვენთან შეხვდით ახალ წელს-მეთქი და, ისეთი პასუხი გამცა, მთლად მომიკლა გული – აქ ინვალიდი დედის საყურებლად მოვიყვანოო? ძალიან მეწყინა, მაგრამ მაინც გავუღიმე და ვუთხარი, სულ არ გამოვალ ჩემი ოთახიდან და არ შეგაწუხებთ-მეთქი. მან კი მიპასუხა: რა გინდა, დედა, შენ გამო ისედაც სახლში ვარ სულ დაბმული; ამხელა გოგო ვარ და, ბიჭი ვერ გამიცნია, პირადი ცხოვრება ვერ ამიწყვია და, იმის უფლებაც არ მაქვს, ახალ წელს მაინც შევხვდე მეგობრებთან ერთადო?

ისეთი ტკივილი მომაყენა ამ სიტყვებით, სახლში გაჩერება აღარ მინდა. გადავწყვიტე, მოხუცთა თავშესაფარში მოვთხოვო წაყვანა, თუმცა, ჯერ არც ისე ხნიერი ვარ და, შეიძლება, იქ არც კი მიმიღონ, თვითონ კი, მგონი, უარს არ იტყვის. მაგრამ, მაინც არ მინდა, რომ ახალი წელი ჩავუშხამო. ერთ თვეს კიდევ გავძლებ როგორმე და, ნათლისღებაც რომ ჩაივლის, მაშინ დაველაპარაკები ამ თემაზე. ისიც არ მინდა, რომ ჩემი პრობლემებითა და პრეტენზიებით ნერვები ავუშალო. ისე კი, ალბათ, მართალია ჩემი გოგო – ჩემი გადამკიდე, აბა, როგორ უნდა გაიჩინოს შეყვარებული ან როგორ უნდა გათხოვდეს წესიერ ბიჭზე, ესეც ხომ ცოდოა? რატომ არ უნდა შექმნას ოჯახი, რატომ არ უნდა გააჩინოს შვილები, ან, თუნდაც რატომ არ უნდა იფიქროს კარიერაზე, იმიტომ, რომ დედა ჰყავს კუტი და მისახედი?! თვითონ რა დააშავა? მაგის ბრალი ხომ არ არის, მამა რომ მოუკვდა და დედა დაუინვალიდდა?.. აი, ხომ ხედავთ, გულნატკენი ვარ, მაგრამ, ჩემდაუნებურად, მაინც ვცდილობ, შვილი გავამართლო – ეტყობა, ასეთია დედის გული.

**ლანა, 52 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ეძიე კაცი

**● დასასრული. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №31-51(730)**

***

მთელი კვირა დღე ელისომ ნინიკოსთან და მის მეგობრებთან ერთად ისრიალა თხილამურებით და ძალიან ბედნიერად გრძნობდა თავს. სალამომდე ყველაფერი კარგად იყო, შეიძლება ითქვას, ზედმიწევნით კარგადაც, რადგან, ერთ-ერთმა ახალგაცნობილმა ბიჭმა, უფრო სწორად, ახალგაზრდა მამაკაცმა, მამუკამ, გაცნობიდან ერთ საათში აგრძნობინა ელისოს, რომ ძალიან მოეწონა, მეორე დილით, სრიალის დაწყ-



ებისთანავე, სიყვარული აუხსნა, შუადღეზე კი ცოლობა სთხოვა, მაგრამ, გაოგნებულმა, თუმცა კი ამ ამბით საკმაოდ კმაყოფილმა და ბედნიერმა ელისომ ვერანაირი პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რადგან, გაოგნების თუ იმის გამო, რომ თითქმის დავიწყებული ჰქონდა თხილამურებზე სრიალი, რაღაც კუნძის მაგვარს წამოედო და თავდაყირა დაგორდა ფერდობზე, მერე კი, როცა მასთან გულგახეთქილი მიიჭრა მამუკა, აღმოაჩინა, რომ მარჯვენა ფეხი ჰქონდა მოტეხილი. მამუკამ მაშინვე თბილისში წამოიყვანა მანქანით და საავადმყოფოში ნაცნობ ექიმთან მიიყვანა. ელისომ გამაყუჩებლების გაკეთებისა და ფეხის თაბაშირში ჩასმის შემდეგ ამოისუნთქა. ტკივილმა რომ გაუარა, მაშინღა ჩაფიქრდა და გააანალიზა, რა გადახდა ბოლო ორი დღის განმავლობაში და, მოტეხილი ფეხის მიუხედავად, თავისდა გასაკვირად, გულში აღიარა, რომ შედეგით ძალიან კმაყოფილი იყო.

ცოტა ხანში პალატაში მამუკასთან ერთად ექიმი შემოვიდა, ელისოს რაღაცეები გამოჰკითხა და უთხრა, რამდენიმე დღეში ოპერაცია უნდა გაგიკეთოოო. ელისო შეშინდა, მაგრამ, მამუკას მზრუნველობით აღსავსე სახეს რომ შეხედა, ამ ოპერაციაშიც რაღაც რომანტიკული დაინახა და მაშინვე მშვიდად დათანხმდა.

ექიმის წასვლის შემდეგ მამუკა თავთან დაუჯდა და გამხნევება დაუწყო. ელისოს ისე აუჩუყა გული ასეთმა მოპყრობამ, ცრემლები გადმოყარა, მაგრამ ბიჭმა კოცნით შეაწყვეტინა ტირილი და მერე ძალიან ნაზად, თუმცა კი, საკმაოდ კატეგორიულად უთხრა:

– ოპერაციის შემდეგ, როგორც კი ფეხზე დადგები, ცოლად მომყვები. საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვს?

– არა, მაგრამ, ჩვენ ხომ საერთოდ არ ვიცნობთ ერთმანეთს? – გული აუჩქროლდა ელისოს.

– თანდათან გავიცნობთ, დრო ბევრი გვექნება, – გაუღიმა მამუკამ.

მიუხედავად იმისა, რომ მოტეხილი ფეხი მაინც სტკიოდა და თაბაშირის გამო საწოლში წამოჯდომაც არ შეეძლო, ასეთი რომანტიკული ღამე ელისოს არასდროს ჰქონია: პალატაში მარტონი იყვნენ და თვალი არცერთს არ მოუხუჭავს, დილამდე ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს და მომავლის გეგმებს აწყობდნენ.

***

ნინიკო უთენია შევარდა პალატაში ქაქანით და ელისოს ეცა:

– გოგო, შენ ნორმალური ხარ? რატომ მაშინვე არ დამირეკე, ფეხი რომ მოიტეხე? მთელი ღამე მარტო რატომ უნდა ყოფილიყავი საავადმყოფოში? დედაშენსაც არ დაურეკე?

– მარტო არ ვიყავი, – გაეღიმა ელისოს და საწოლის მოპირდაპირე კუთხეში მდგარი სავარძლისკენ ანიშნა, – დედაჩემს კი დღეს დავურეკავ. არ მინდოდა, ღამით ენერვიულა.

ნინიკომ მზერა გააყოლა და მხოლოდ მაშინ შენიშნა სავარძელში მჯდარი მამუკა, მერე დოინჯი შემოირტყა და ეშმაკური ღიმილით თქვა:

– დააა... თქვენ, მგონი, რაღაცას ეშმაკობთ. მართალი ვარ თუ არა?

ბიჭმა ღიმილით ჩაუკრა თვალი.

გოგოებმა ძლივს დაითანხმეს მამუკა, სახლში წასულიყო და დაესვენა. როცა მარტონი დარჩნენ, ელისომ ყველაფერი დაწვრილებით უამბო ბიძაშვილს.

– იცის, გათხოვილი რომ იყავი? – ფრთხილად ჰკითხა ნინიკომ.

– ყველაფერი იცის. არ მინდა, ახალი ცხოვრება ტყუილით დავიწყო. ვიფიქრე, თუ ვერ გამიგებს, ესე იგი, ჩემი ბედი არ ყოფილა-მეთქი, მაგრამ, ყველაფერი ნორმალურად გაიგო და აღიქვა. ახლა კი ჩემი ჩანთა მომაწოდე, ლატარიის ბილეთებს მოგცემ და, გეხვეწები, კატოს დედამთილს წაუღე, დღეს გათამაშებაა. ჰო, კატო სად არის, ამოვიდა გუდაურში?

– არა, ბავშვი გაცივდა და ერთი კვირით გადადო, – ნინიკომ ბილეთები ჩანთაში ჩაიდო და წამოდგა, – ცოტა ადრე კია, მაგრამ, არა უშავს. მივუტან თუ არა, დედაშენს გავუვლი და ერთად მოვალთ. გაძლებ ცოტა ხანს მარტო?

– გავძლებ, ნუ გეშინია. ამასობაში, თუ შევძელი, ცოტას წავიძინებ, თორემ, მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს.

– რას მოხუჭავდი, ღრუბლებში დაფარფატებდით ორივე, – გაეცინა ნინიკოს და პალატის კარი გაიხურა.

***

მიამ ამერიკაში წასვლამდე მიიტანა თავისი სიუჟეტი ტელევიზიაში, მაგრამ, დირექტორმა უარი უთხრა გაშვებაზე.

– რატომ, არ მოგეწონათ? – გაბრაზდა მია, – სიმართლე არ არის? პირადად თქვენ არ გაწუხებთ ეს ყველაფერი? ბოლოს და ბოლოს, თქვენი შვილებიც ამ ქალაქში არ ცხოვრობენ?

– პირიქით, ძალიან მომეწონა, მაგრამ, ჩვენ ახლა არ გვაქვს ის მდგომარეობა, რომ ვინმე გადავიკიდოთ. შენ რა გენაღვლება, ოკეანის გადაღმა მიდიხარ და ვერავინ მოგწვდება, მე კი პასუხი უნდა ვაგო შენს სიმართლეზე! არ მინდა, რომ ჩემზე გადატყდეს ჯოხი, რით ვერ გაიგე?

– მე იქ კონკრეტულად არავის ვასახელებ, არანაირი „ბომბი” არ დევს მასში, თანაც, ეს სიუჟეტი მე მანამდე გავაკეთე, სანამ აქედან წასვლას გადავწყვეტდი და, რომ არ მენაღვლებოდეს, არც მოვკიდებდი ხელს ამ თემას. ეს ჩემი ქალაქია და, მინდა, თვალი ავუხილო საზოგადოებას, რომ არაფერი სტკიოდეს თბილისს, ნუთუ ეს დანაშაულია?

– კონკრეტულად თუ არა, ირიბად მაინც ყველა მიხვდება, ვისაც გულისხმობ...

– მე თითოეულ ჩვენგანს ვგულისხმობ, – შეაწყვეტინა მიამ.

– თანაც, ჩვენი ტელევიზიის არსებობა გარკვეულწილად ჩვენდამი მათ კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული, – განაგრძო დირექტორმა, ასე რომ, ვერ გავრისკავ. ნებას გაძლევ, სხვა ტელევიზიაში მიიტანო, თუკი, რა თქმა უნდა, მოეწონებათ.

– დიდი მადლობა ნებართვისთვის, როგორმე თვითონ მოვნახავ გზას! – გაცოფდა მია, მერე სკამი გამოწია, მაგიდიდან ფურცელი აიღო, რაღაც დაწერა და უფროსს მიაწოდა, – ამას თქვენ გიტოვებთ სახსოვრად!

– ეს რა არის?

– განცხადებაა. მივდივარ თქვენგან. კარგად ბრძანდებოდეთ!

– მე არსად არ გიშვებ! რატომ გეწყინა, რა გითხარი ასეთი? მოიცადე, დავილაპარაკოთ! – დირექტორი წამოდგა და დაედევნა, მაგრამ მია სწრაფი ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან და კარი გაიჯახუნა.

„ტყუილად ვიწვალე ამდენი? ან, რა არის ამ სიუჟეტში ასეთი საშიში? მე ხომ, უბრალოდ, მინდოდა, ცოტათი მაინც გამომეფხიზლებინა ხალხიც და მთავრობაც, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება – რა არის ამაში ცუდი და მიუღებელი? – ფიქრობდა მია და სიბრაზისგან ტუჩებს იკვნეტდა, – მაგრამ, ისე არ წავალ აქედან, სანამ ამ სიუჟეტს მთელი საქართველო არ ნახავს. ბოლოს და ბოლოს, იმას მაინც გავიგებ, რამდენი და როგორი გამოხმაურება ექნება...“

სახლში მისული მია მაშინვე კომპიუტერს მიუჯდა, მთელი სიუჟეტი ინტერნეტში ატვირთა და მაშინვე თავის გოგოებს დაურეკა, ნახეთო.

ცალ-ცალკე ყველამ ნახა, იმავე საღამოს კი ერთად შეიკრიბნენ ნათიასთან და ყველამ ერთად უყურა. მხოლოდ მია ვერ მივიდა – ამერიკაში წასაღები საჩუქრების საყიდლად იყო წასული და ველარ მოასწრო მისვლა.

„რა სტკივა თბილისს”

(უკომენტაროდ) – გამოჩნდა ეკრანზე სათაური, მერე კი, ჟურნალისტი, რომელიც თვითონ არ ჩანდა, აჩერებდა გამვლელებს და ყველას ერთსა და იმავე კითხვას უსვამდა: „თქვენი აზრით, რა სტკივა თბილისს?“

პასუხები კი მრავალფეროვანი და განსხვავებული იყო, რესპონდენტების ასაკიდან, სქესიდან, პროფესიიდან თუ სოციალური ფენიდან გამომდინარე.

– თბილისს რა სტკივა? რა ვიცი, ალბათ, ამდენი უმუშევარი მამაკაცი, შვილო.

– რა სტკივა და, ნაგვით სავსე და დანგრეული ქუჩები...

– საშოვარზე უცხოეთში წასული ქალები და დედების გარეშე დარჩენილი შვილები...

– ყოველთვის ყველა მთავრობისგან დაჩაგრული პედაგოგები! რა უნდა დაუჯეროს ბავშვმა გაჭირვებულ და გასაცოდავებულ მასწავლებელს? მოსწავლეს მასწავლებელი კი არ უნდა ეცოდებოდეს, უნდა ეამაყებოდეს და ყოველმხრივ მაგალითი უნდა იყოს მისთვის. მე თვითონ სკოლაში დავბერდი და, ვიცი, რასაც ვამბობ. ხომ იტყვი ამას, სადაც საჭიროა, შვილო?

– აუცილებლად ვიტყვი, ქალბატონო, კარგად ბრძანდებოდეთ...

– თითქმის უხელფასო ექიმები, ბატონო!

– რაო? რა სტკივა თბილისს? ისე, კარგი კითხვაა, ხომ იცი! თბილისს, ჩემო დაო, წესით, არაფერიც არ უნდა სტკიოდეს, მაგრამ, იმდენი რამე სტკივა, აზრზე არა ვარ, ცოცხალი როგორ არის!.. ბოდიში, ცოტა ნასვამი ვარ და...

– თბილისს ძაღლების ფეკალიებით დაბინძ-

ურებული ქუჩები სტკივა; კიდევ, მდიდრების მანქანებით გადაკეტილი ტროტუარები...

– სხვათა შორის, სულ მინდოდა, ეს კითხვა ვინმეს ოფიციალურად დაესვა ჩემთვის, რომ ჩემი პასუხი იქ გაეგონათ, სადაც საჭიროა. თბილისს, ჩემო საყვარელო, უამრავი რამ სტკივა, მაგრამ, ტკივილთან ერთად, რცხვენია კიდეც, თუნდაც ის, რომ, ილია ჭავჭავაძის გამზირის დასაწყისში, უხარისხო თუნუქის ფურცელზე ამოტვიფრული ილიას სახე ძველი სახლის კედელზეა მიკრული და ზემოდან ჩამოშვებული ხის ტოტები ფარავს; მოპირდაპირე მხარეს კი, სკვერში, ყოფილი ჩაის სახლის წინ, ტარას შევჩენკოს უზარმაზარი ქანდაკება დგას და მუდამ ყვავილები უწყვია წინ... არა, მე შევჩენკოს საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ, დაედგათ, ბატონო, ეს ძეგლი თუ ქანდაკება შევჩენკოს ქუჩის დასაწყისში, ის სკვერი კი დიდი ილიასთვის დაეთმოთ! რა, არ ეკუთვნის, თუ ვის ვეპადხალიმებით ამით? რომელ ქვეყანაში ან რომელ ქალაქში ნახავთ ამისთანა რამეს? აი, ეს არის ტკივილიც და სირცხვილიც, მე თუ მკითხავთ!..

– თბილისს რა სტკივა და, ნაღდი თბილისელების უმცირესობაში ყოფნა, ჩემო დაო!

– თბილისს, ჩემი აზრით, სხვა უამრავ სატკივართან ერთად, სტკივა ურჩხულად ქცეული გმირთა მოედანი, რომლის შუაგულიდან აბსოლუტურად უგემოვნო და უსახური სვეტია აღმართული. გმირების სახელების დაწერა თუ უნდოდათ, უფრო ნორმალური ვერაფერი ააგეს? როგორც ვიცი, ამ სვეტში ვილაც უცხოელ არქიტექტორს უზარმაზარი თანხა გადაუხადეს, არადა, არქიტექტურის ფაკულტეტის ნებისმიერი სტუდენტი ამაზე მაგარ რაღაცას გააკეთებდა.

– უვიცი ექიმები სტკივა თბილისსაც და საქართველოსაც. მართალია, ყველაზე არ ვამბობ, მაგრამ, ძირითადად, ასეა. ვინც მაგარი იყო, უმრავლესობა საქართველოდან გააქციეს და...

– ყველა დაწესებულებაზე ინგლისური წარწერები, ჩემო კარგო. კომუნისტების დროს ჯერ ქართული წარწერა იყო, მერე რუსული და ამაზეც ვცოფდებოდით, ახლა კი ქართული წარწერა ან დასახელება ლამის დაბალი დონის გამოხატულება გახდა. მოკლედ, მაგარი გოიმი და უჭკუო ხალხი ვართ, რა!..

– თბილისს რა სტკივა? ყოფილხართ იუსტიციის სახლთან? მაშინ, მის წინ, ერთი ტროტუარიდან მეორე ტროტუარზე გადაჩხლართული, ხიდად წოდებული რაღაც დაბრეცილი საშინელებაც გექნებათ ნანახი. ვის გააკეთებინეს ასეთი სამარცხვინო სიმახინჯე? ჯერ გარედან რას ჰგავს და, თუ ზედ გადაიარე, შეიძლება, საერთოდ ხელი ჩაიქნიო კაცობრიობაზე. ისიც კი ვიფიქრე, ალბათ, შეკრიბეს რამდენიმე უმუშევარი ლოთი, აუხვიეს თვალები, მისცეს რაღაც მეასეხარისხოვანი მასალა და ხიდის აგება უბრძანეს-მეთქი. აბა, ფხიზელი და თვალახელილი იმის გაკეთებას ვერაფრით ვერ მოახერხებდა. მე რომ მაგათი ვიყო, „ვატერლოოს“ დავარქმევდი – გაეცინება მაინც კაცს და მისი დანახვით გამოწვეულ აღშფოთებას ცოტათი მაინც დაუამებს.

– თბილისს რა სტკივა? თბილისს რა უნდა სტკიოდეს, შვილო, ქალაქია... მე სოფლიდან ჩამოვედი, ბებო და, თბილისს არ ვიცი, მაგრამ, მე კი ყველფერი მტკივა, თუმცა, ექიმთან ვერ მივსულვარ – „გამარჯობაშიც“ ფულს ითხოვენ.

– ამდენი მათხოვარი სტკივა თბილისს; მალე, ალბათ, მათხოვრების ქალაქად იქცევა.

– საკუთარი დედის გინება სტკივა თბილისსაც და მთელ საქართველოსაც, ჩემო კარგო.

– მე მგონი, ყველაზე მეტად, მთავრობის ხელფასები და პრემიები სტკივა თბილისს და, არა მარტო თბილისს.

– ქართული ენის დამახინჯება და ახალგაზრდების უწიგნურობა...

– ნაცრისფერი ქუჩები და ხალხის გატანჯული, უსიხარულო სახეები.

– მშიერი ბავშვების თვალები...

– ნარკომანია და ლოთობა...

– აგრესიული და დაუნდობელი ახალგაზრდა თაობა...

– გაჩეხილი პარკები და სკვერები...

– სულ მთლად ახალგაზრდა ბიჭების ასე მომრავლებული საფლავები...

ჟურნალისტი უნივერსიტეტის ბაღის კუთხეში მდგარ ძალიან ლამაზ ქალ-ვაჟს უახლოვდება:

– თქვენ ჩემი სიუჟეტის ბოლო რესპონდენტები ხართ. თქვენი აზრით, რა სტკივა თბილისს?

ბიჭი რამდენიმე წამს ჩაფიქრდა, მერე პირდაპირ შეხედა კამერას და თქვა:

– თბილისს არ ვიცი, რა სტკივა, მაგრამ, მე მტკივა თბილისი. შენ? შენ რატომ არ გტკივა შენი ქალაქი?!“

გოგოები კარგა ხანს ჩუმად ისხდნენ, მერე კი შეთანხმებულივით ერთად დაუკრეს ტაში.

– მაგარია! იმ დებილმა დირექტორმა როგორ არ გაუშვა ასეთი სიუჟეტი, რისი შეეშინდა? – აღშფოთდნენ რუსა და სალომე.

ქეთა კომპიუტერთან ახლოს მივიდა, კუთხეში გამოსახულ ციფრს დახედა და იყვირა:

– აზრზე ხართ? შუადღის მერე უკვე ოცი ათასი ნახვა აქვს! – მერე „ლაიქის“ ღილაკს დააჭირა თითი და მოზღვავებული ემოციებისგან ჩურჩულზე გადავიდა: – გოგოებო, პრაქტიკულად, მხოლოდ დადებითი გამოხმაურებებია, უფრო სწორად – აფრთოვანება და შექება...

***

ის სამშაბათი მარტო ელისოსთვის არ აღმოჩნდა ბედნიერი. ხომ ამბობენ, ბედნიერებამ და გამართლებამ გამეორება იცისო, ჰოდა, ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა: ნინიკომ ლატარიის ბილეთები კატოს დედამთილს მიუტანა, მერე ელისოს დედას გაუარა სახლში და ავიშვიშებული ქალი შვილთან წაიყვანა საავადმყოფოში, სადაც უკვე ლამის საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილი მამუკა დახვდათ.

– ეს კაცი ვინ არის? – წარბის აწევით იკითხა ელისოს დედამ და მამუკა დაეჭვებით აათვალიერ-ჩაათვალიერა.

– დედა, დაჯექი, რა, სალაპარაკო მაქვს შენთან, – სთხოვა შვილმა.

ქალი მექანიკურად ჩამოჯდა და ისევ მამუკას შეხედა:

– ვინ ბრძანდებით და რა გნებავთ ჩემი შვილის პალატაში, თანაც, ყვავილებით ხელში?

– მე მინდა, თქვენი შვილის ხელი გთხოვოთ... – არცთუ თამამად წარმოთქვა კაცმა და პატარა ბიჭივით გაწითლდა.

– ბატონო?! – ყურებს არ დაუჯერა ქალმა და ახლა შვილისკენ შებრუნდა.

– ჰო, დედა, მამუკა ჩემი საქმროა. მე უკვე ვუთხარი თანხმობა.

ის იყო, სიტუაციის განსამუხტავად ნინიკოც უნდა ჩართულიყო დიალოგში, რომ ელისოს მობილური აწკრიალდა. დააჭირა თუ არა მწვანე ღილაკს თითი, კატოს ბიჭის ყვირილი გაისმა:

– ელისო! მოვიგეთ, გესმის? მოვიგეთ! მოვიგეთ!

– რა მოიგეთ? – დაიბნა და დაიძაბა ელისო.

– ჯეკპოტი მოვიგეთ, მილიონ ორასი ათასი! დედას გეფიცები, მამის სულს გეფიცები, მართლა მოვიგეთ! – ბავშვს განცდებისგან ხმა ჩაეხრინწა და სიტყვებს ველარ უყრიდა თავს, მერე კი სიხარულისგან ტირილი დაიწყო.



– დედას დაუძახე, ჩქარა! – უყვირა ელისომ და ლოგინში წამოჯდა, თან ხელით რაღაცას ანიშნებდა დედამისს და მამუკას, მაგრამ, ვერაფერს აგებინებდა.

– როგორ დავუძახო, ორივე გულწასული წევს სავარძელში და მეზობლები ასულიერებენ! მოდი, რა, ელისო, თორემ, შეიძლება, გავრეკო!..“

***

მიამ, როგორც იქნა, დაასრულა წიგნი, ერთხელ კიდევ გადაიკითხა თავიდან ბოლომდე და სტამბაში მიიტანა დასაბეჭდად. ნაცნობ მხატვარს ყველა პერსონაჟის ფოტო მიუტანა და მანაც პერსონაჟები ისე დახატა, თითოეული მათგანი თავისი პროტოტიპის ნამდვილი ასლი იყო და სწორედ ეს მოსწონდა მიას ყველაზე მეტად, თუმცა, არ იცოდა, ეწყინებოდათ გოგოებს ეს თუ გაუხარდებოდათ.

ხელშეკრულების მიხედვით, საახალწლოდ თუ ვერა, შობისთვის მაინც აუცილებლად მოესწრებოდა დაბეჭდვა, რადგან, დიდი ტირაჟი არ იყო. მიას ძალიან უნდოდა, ცხრავე დაქალისთვის საშობაო საჩუქართან ერთად, თითო წიგნიც ეჩუქებინა. არცერთმა არ იცოდა ამ წიგნის არსებობის შესახებ და მიამ სიამოვნებით წარმოიდგინა, რა სახეებს მიიღებდნენ, ვინ როგორ დაიწყებდა სიცილს, ვინ რომელ შორისდებულებს გააფრქვევდა ჰაერში და, გული დასწყდა, რომ ამ ყველაფერს თვითონ ვერ დაესწრებოდა, მაგრამ, უცებ მოიფიქრა, როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ ეს ემოციები თვითონაც ენახა: მაშინვე დაურეკა თავის თანამშრომელ ბიჭს, რომელსაც მიას გოგოებისთვის სასაჩუქრე კალათების მომზადება დაავალა და სთხოვა:

– შობას ჩვენ ყოველთვის ერთად ვხვდებოდით, ამიტომ, ამჯერადაც ყველა იქნება შეკრებილი. კარზე ზარს რომ დარეკავ, ჯერ ყველა კალათას შეიტან ოთახში და ერთად დააწყობ, მერე შენს კამერას ჩართავ და მხოლოდ ამის შემდეგ დართავ ნებას, ყველამ თითო კალათა აიღოს. ბოლომდე გადაიღებ ყველაფერს და მერე გადმომიგზავნი. გაიგე?

ბიჭმა ზუსტად შეასრულა დავალება, შობის მეორე დღეს კი, ვინ იცის, უკვე მერამდენედ უყურებდა მია აკივლებულ და ატირებულ დაქალებს და თვითონაც სლუკუნით იწმენდდა ცრემლს.

* * *

... თბილისში ჩასვლა მიამ მხოლოდ ზაფხულში მოახერხა, ისიც, ძალიან ცოტა ხნით, მაგრამ, ორი თუ სამი დღის შემდეგ კატომ ისეთი სიურპრიზი მოუწყო, ძლივს გამოვიდა შოკიდან.

იმ საღამოს დიდხანს და გაბმულად რეკავდა ტელეფონი. მიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა გავლილი აკლიმატიზაცია და, ამიტომ, ცდილობდა, გამოეძინა. ტელეფონი არ ჩერდებოდა და მიამ უხალისოდ აიღო მობილური.

– გისმენთ, – ჩასძახა გალიზიანებულმა, ისე, რომ ნომრისთვის არც დაუხედავს.

– მია! – მთელი ხმით გაჰკიოდა კატო, – ენამ გიყივლა, ათი წუთის წინ ჯეკპოტი მოვიგეთ!

**დასასრული**

# რა ვითარებაში გაიცნო თავდაპირველად იოსებ სტალინმა ლავრენტი ბერია



ერთადერთი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ბოლშევიკი ლიდერი, იოსებ ჯუღაშვილი იყო. საერთოდ, ბოლშევიკური პარტია ყოველთვის განიცდიდა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კადრების ნაკლებობას. თვით ვლადიმირ ლენინიც კი, არ შეიძლება, ჩაითვალოს სახელმწიფოებრივად მოაზროვნედ. ასეთები იყვნენ სხვა ბოლშევიკი ლიდერებიც. ხელისუფლების სათავეში მათი მოსვლის შემდეგ, აშკარა გახდა სახელმწიფო მოღვაწეთა ნაკლებობა. ჯერ საბჭოთა რუსეთის, ხოლო შემდეგ, საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში დამკვიდრდა პარტიული აზროვნება. ბოლშევიკი ლიდერების მიზანი იყო, არა სახელმწიფოს სიძლიერე, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის დახვეწა, არამედ ბოლშევიკური (კომუნისტური) პარტიის გაძლიერება, რომელსაც უნდა ებატონა სახელმწიფოზე. ასე იქცა ბოლშევიკური პარტია სახელმწიფოდ სახელმწიფოში – მონსტრად, რომელმაც დათრგუნა ყველაფერი. სწორედ ამ თემაზე ვიმსჯელებთ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მასალებზე დაყრდნობით.

უკვე მეოცე საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისისთვის ნათელი გახდა, რომ ბოლშევიკებს ლენინის მეთაურობით კარგად შეეძლოთ ნგრევა და არა – შენება. ნგრევა მიმდინარეობდა ყველაფრის, ერთადერთი მიზნით – ძალაუფლების შესანარჩუნებლად. იოსებ სტალინი იმთავითვე მიხვდა, რომ, თუ ნგრევას ბოლო არ მოეღებოდა, ბოლშევიკები ძალაუფლებას დაკარგავდნენ და სახელმწიფოც კვდომას დაიწყებდა. ყოველივე ამის თავიდან აცილების მიზნით, მან ნელ-ნელა დაიწყო მნიშვნელოვანი სახელმწიფო თანამდებობებიდან გაუნათლებელი, მხოლოდ რევოლუციური წარსულის გამო დაწინაურებული ადამიანების ჩამოშორება. დღეს, შეიძლება, დაუჯერებლად მოგვეჩვენოს, რომ მაშინდელ უმაღლეს პარტიულ და სახელმწიფო ეშელონებშიც კი, იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ჰქონდათ 2 ან 4 კლასის განათლება. სტალინი ახალი კადრების ძიებას შეუდგა. ეძებდა ისეთ კადრებს, რომლებიც შეძლებდნენ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის დაწყებას. ამ პროცესში ლავრენტი ბერია სტალინის აღმოჩენა იყო. მეოცე საუკუნის 20-იან წლებში ქართველი ბოლშევიკები: ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, მიხეილ კახიანი, მამია ორახელაშვილი, ლავრენტი ქართველიშვილი, სამსონ მამულია და სხვები ტიპური პარტიულად მოაზროვნეები იყვნენ. უმაღლეს პარტიულ და სახელმწიფო ხელისუფლებაში დამკვიდრდა დაუსრულებელი ლაყბობა, კამათი ისეთ საკითხებზე, რომლებიც არანაირად არ უკავშირდებოდა საქართველოს. ქართველ ბოლშევიკებს შეეძლოთ, დაუსრულებლად ეკამათათ გერმანიის ან ჩინეთის რევოლუციის პერსპექტივებზე, მაშინ, როცა თბილისს არ ჰქონდა სასმელი წყალი, სატელეფონო ქსელი, ნორმალური გზები და საქალაქო ტრანსპორტი; კოლხეთის დაბლობზე კი მოსახლეობა მალარიისგან იტანჯებოდა. აი, ასეთ ვითარებაში მოუხდა ლავრენტი ბერიას საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში მოსვლა. სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში ათ წელზე მეტი ხნის წარმატებული მოღვაწეობის შემდეგ, 1931 წელს, სტალინის რეკომენდაციით ბერია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად დაინიშნა. მალე ბელადმა მას კიდევ უფრო მნიშვნელოვანი თანამდებობა მიანდო – ლავრენტი ბერია საკავშირო კომპარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს. გავრცელებულია ვერსია, თითქოს ბელადთან ბერიას რეკომენდაცია ორჯონიკიძემ გაუწია, მაგრამ, ეს მცდარია. ბერია, როგორც პერსპექტიული მუშაკი, სტალინს გაცილებით ადრე წარუდგინა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ – რედენსმა. არ არის გამორიცხული, რომ ბელადთან ბერიას სიტყვა შეაწია ცნობილმა ბოლშევიკმა მირჯაფარ ბაგიროვმა. ბაგიროვი და ბერია ერთად მოღვაწეობდნენ აზერბაიჯანში. ლავრენტი ბერიას გაპირველკაცება იმთავითვე ცუდად აღიქვა ქართველი ბოლშევიკების ძველმა გვარდიამ.

**ბერიას მოღვაწეობის დაწყებამდე, თბილისის მოსახლეობაში ქართველთა ხვედრითი წილი ძალზე მოკრძალებული იყო**

მათ სტალინთან დაჩივლება ვერ გაბედეს, მაგრამ, საყვედურებით აავსეს სერგო ორჯონიკიძე. მართალია, ორჯონიკიძესაც არ ეხატებოდა გულზე ბერია, მაგრამ, ფილიპე მახარაძისა და სხვებისგან განსხვავებით, ბელადის ფავორიტის წინააღმდეგ მოსკოვში სიტყვაც არ დაუსველებია. შემდგომში, ალბათ, სერგო ორჯონიკიძე ნანობდა კიდეც, რომ ლავრენტი პავლეს ძის წინააღმდეგ ბრძოლა არ დაიწყო, მაგრამ, უკვე გვიან იყო. ბერიას დაწინაურებით განსაკუთრებით აღშფოთდნენ: ფილიპე მახარაძე, მიხეილ კახიანი, სამსონ მამულია, ლავრენტი ქართველიშვილი და მამია ორახელაშვილი. სტალინმა ბერია დიდი უფლებებით აღჭურვა და დიდი გეგმებიც დაუსახა. ლავრენტი ბერია სწორად მიხვდა, რომ ბელადის მიერ დასახული გეგმების განხორციელებას ქართველ ბოლშევიკთა ძველ გვარდიასთან ერთად ვერ შეძლებდა. ამიტომ, გადაწყვიტა, მათი გზიდან ჩამოცილება. ბერია დიდ რისკზე წავიდა, როდესაც ძველ ბოლშევიკთა რეპრესირება დაისახა მიზნად. შეიძლება, ეს სარისკო ნაბიჯი არ გადაედგა, მაგრამ, წარუმატებლობის შემთხვევაში, მას სტალინი არ დაინდობდა და ქართველი ბოლშევიკებიც ყველაფერს გააკეთებდნენ, რომ სტალინს ბერია სამაგალითოდ დაესაჯა. ბერია ცდილობდა, ბელადი დაერწმუნებინა, რომ ქართველ ბოლშევიკთა ლიდერები პირადად სტალინის პოლიტიკურ ხაზს ეწინააღმდეგებოდნენ. ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორი ოსტატობით შექმნიდა ბერია მათგან მტრის ხატს – ის სტალინის შესანიშნავი მოწაფე აღმოჩნდა.

ბერია მიზანმიმართულად ავრცელებდა ხმებს, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ორჯონიკიძე და მახარაძე იყვნენ გარეულნი. ცალკეული ბოლშევიკისგან მტრის ხატს ისე ოსტატურად ქმნიდა, რომ რეპრესირებული ბოლშევიკები ლამის თვითონვე იჯერებდნენ ხალხის მტრობას. მაგალითად: მამია ორახელაშვილის წინააღმდეგ გავრცელებულ ბრალდებაში ფიგურირებდა, რომ მამიას მამა ძველი რეჟიმის დროს ქუთაისში გოროდავოი, ანუ პოლიციის დაბალი რანგის მოხელე – უთოფო პოლიციელი იყო. გასაგებია, რატომაც კეთდებოდა ეს მინიშნება. სამსონ მამულიას „მეგრელ ნაციონალისტებთან" კავშირი დასდეს ბრალად. ფილიპე მახარაძეს მუდამ აყვედრიდნენ, რომ ის ქართველ „უკლონისტთა" ლიდერი იყო და სტალინის მიერ წამოწყებულ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას ეწინააღმდეგებოდა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ბერიას ფანტაზია ძალზე შორს მიდიოდა. მაგალითად, ცნობილ დირიჟორს, ევგენი მიქელაძეს, ერთ-ერთ ბრალდებად წაუყენეს, რომ მის სახლში ცხოვრობდა მეუღლის ნათესავი, რომელიც თითქოსდა თურქეთის დაზვერვის რეზიდენტი იყო. ბერიას შუა გზაზე შეჩერება არ ახასიათებდა. მის წინააღმდეგ ბრძოლის უპერსპექტივობაში დარწმუნებული ორახელაშვილი და მამულია, გაეცალნენ და მოსკოვში გადაბარგდნენ. თუმცა, ამით თავს მაინც ვერ უშველეს – ისინი დააპატიმრეს და თბილისში დააბრუნეს.

საქართველოში სახელმწიფოებრივი აღმშენებლობაც ლავრენტი ბერიას დროს დაიწყო და ყველაზე უფრო მეტად ეს დაეტყო თბილისს. ქალაქის დაგეგმარებას ის უშუალოდ ხელმძღვანელობდა. იმ პერიოდში აგებულთაგან, ჩვეულებრივ, მიანიშნებენ ხოლმე ცირკისა და ფოსტის შენობებზე, მაგრამ, იყო უფრო მნიშვნელოვანი პროექტებიც. კერძოდ, მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების მშენებლობის დაწყება, სპორტული ბაზების მშენებლობა, თბილისის წყალმომარაგების გაუმჯობესება, საკანალიზაციო მეურნეობის მოწესრიგება, ქალაქისა და მისი შემოგარენის გამწვანება და სხვა. აღსანიშნავია, რომ უზარმაზარი ტერიტორია მთის ფერდობზე – წყნეთიდან, ვიდრე მთაწმინდის პარკამდე, ხრიოკად იყო ქცეული. იქ ტყე ლავრენტი ბერიას ინიციატივით გაშენდა.

ბერიას მოღვაწეობის დაწყებამდე, თბილისის მოსახლეობაში ქართველთა ხვედრითი წილი ძალზე მოკრძალებული იყო და ბერიამ სარისკო ნაბიჯი გადადგა: მან სხვადასხვა საშუალებით დაიწყო თბილისში ქართველთა რიცხვის გაზრდა. ძირითადად კი, ეს ხდებოდა უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა კონტინგენტის ზრდითა და ახალი სასწავლებლების გახსნით.

ბერიას მოღვაწეობის დაწყების პერიოდში

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

## მირაქიშვილი

გვარი **მირაქიშვილი** მცირერიცხოვანი გვარია. ის გავრცელებულია თბილისში, დედოფლისწყაროსა და ყაზბეგში.

„პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ მიხედვით, „**მირაქა** – რაიონის მეალაპე, მოწმე ხუგაზა ადიბეგაშვილის მიერ ბოლნელისთვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა“ (1645-1677 წლები).

„**მირაქა** – მისი მამული ენაგეთში როსტომ მეფემ უწყალობა პაპუნა ბარათაშვილს“ (1658 წელი).

„**მირაქაშვილ** მამულას, ზერტში მცხოვრებ ნიკოლოზ კათალიკოზმა მისი წყალობა განუახლა რევაზ მაღალაძეს, 1678 წელს“.

„**მირაქაშვილ** ყაზარას, შულავერის მცხოვრებს, ჰყავს ძმა მირაქა, ძმისწული – მანდევაქა. ის ბაგრატ და ლევან ბატონიშვილებმა უწყალობეს ქაიხოსრო რატიშვილს, 1688 წელს“.

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი მირაქა.

საქართველოში 29 **მირაქიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 13, დედოფლისწყაროში – 5, ყაზბეგში – 4. არიან სხვაგანაც.

## ბებიაშვილი

გვარი **ბებიაშვილი** არცთუ გავრცელებული გვარია. ის გვხვდება ზესტაფონში, თბილისსა და თერჯოლაში.

მერაბ კეზევაძის „ქართული გვარ-სახელები იმერეთში“, **ბებიაშვილები** მოიხსენიებიან თხილთაწყაროში, მარტოთუბანში და რუფოთში.

გვარი **ბებიაშვილი** მოიხსენიება, ასევე, „პირთა ანოტირებულ ლექსიკონში: „**ბებიაშვილი** გიორგი – მღვდელი, სახლიკაცი სორაზან **ბებიაშვილისა**“.

„**ბებიაშვილი** იორამ – დეკანოზი, მოწმე ივანა და პაპუნა ქურდაძეების მიერ როსაბ მაჭავარიანისთვის მიცემულ ყმად თავდაწერილობის წიგნისა, 1612 წელს“.

„**ბებიაშვილ** სორაზანს ჰყავს სახლიკაცები: მღვდელი გიორგი, იორდანა, ბეჟან, ქუმსიაშვილი გიორგი“.

საქართველოში 529 **ბებიაშვილი** ცხოვრობს: ზესტაფონში – 255, თბილისში – 84, თერჯოლაში – 76. არიან სხვაგანაც.

## სიხარულიშვილი

**სიხარულიშვილი** ნაკლებად გავრცელებული გვარია. ის უმეტესად გვხვდება თბილისში, თელავსა და რუსთავში.

ზურაბ ჭუმბურიძის მიხედვით, **სიხარულა** არის მშობლის მიერ დარქმეული საკუთარი სახელი, რომელიც ამ გვარს დაედო ფუძედ.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „**სიხარული** – ესე არს ყოვლისა ჭმუნვისაგან თავისუფლება“.

„1693 წელს **სიხარულიშვილის** საკომლო გიორგი მეფემ უწყალობა ბეჟან საგინაშვილს“.

საქართველოში 71 **სიხარულიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 10, თელავში – 5, რუსთავში – 4. არიან სხვაგანაც.

## კობიაშვილი

**კობიაშვილის** ფუძეა საკუთარი სახელი **კობა**, რომელიც ქართული სახელია და **იაკობის** შემოკლებული ფორმაა.

**კობიაშვილები** ძირძველი საგვარეულოა.

„**კობიაშვილი** მოიაზრება კახთა უფროსად, გამოჩენილი გმირობისთვის ყუბილახანის მეფეთა მიიღეს აზნაურად 1253 წელს და იწოდებიან **კობიაშვილებად**“.

1714 წელს ორდისუბანში იოსებ **კობიაშვილი** მოწმედ მოიხსენიება.

1714 წელს ზაზა საგინაშვილის მიერ ასლამაზ ჩაჩიკაშვილისადმი გაცემული ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში მოიხსენიება ვინმე **კობიაშვილი**.




საქართველოში 1 875 **კობიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 630, თელავში – 366, გურჯაანში – 330. არიან სხვაგანაც.

## ფხალაძე

**ფხალაძეთა** გვარის ფუძედ გამოყენებულია მეტსახელი **ფხალა.**

**ფხალაძეები** იმერლები არიან. ამ გვარის წარმომადგენლები 1840 წლის აღწერისას მოიხსენიებიან გონგში, გორისაში, თვალუეთში, ითხვისში, პერევისაში, საზანოში, საქარაში, სკვინდორში, უსახელოში, ფუთში, წილოვანში. **ფხალაძეთა** შორის რამდენიმე ადამიანს აზნაურის ტიტულიც კი მიუღია.

გვარის ცნობილ ადამიანთა შორის არის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ მესამე, რომელიც გვარად **ფხალაძე** იყო. ის 1876 წელს დაიბადა თბილისის გუბერნიაში, მედავითნის ოჯახში. 1925 წელს აღიკვეცა ბერად, 1952 წლიდან 1960 წლამდე კი იყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

საქართველოში 1 847 **ფხალაძე** ცხოვრობს: ჭიათურაში – 673, თბილისში – 342, ზესტაფონში – 155. არიან სხვაგანაც.

## ბროლაძე

გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **ბროლა.**

ამავე ძირისაა გვარი **ბროლაშვილი.**

**ბროლაძეთა** ერთი ნაწილი გოზალიშვილებად ჩაუწერიათ.

1652 წელს ბეჟიტა **ბროლაძემ** ბატონის მიერ ნაბოძები უმკვიდროდ დარჩენილი ლაშქარასეული მამულის ნახევარი დღის ნაფუძარი მიწა დეკანოზის შვილს, რამაზა ზუმბულაძეს მიჰყიდა.

მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს მამასახლისი ყოფილა მაზადა **ბროლაშვილი**.

საქართველოში 761 **ბროლაძე** ცხოვრობს: თბილისში – 243, ქობულეთში – 130, მცხეთაში – 82. არიან სხვაგანაც.

## კელენჯერიძე

ფუძე **კელენჯუხი** რაჭულ დიალექტში ნიშნავს ჯიუტს. აქედანაა გაჩენილი გვარი – **კელენჯერიძე.**

გვარი **კელენჯერიძე** გვხვდება ზესტაფონის რაიონის სოფელ ტაბაკონში და სხვაგანაც. სახელი-ეპითეტი „**კელენჯერი**“ – ჯიუტი, „მიუდგომელი ადამიანი“.

1840-იან წლებში **კელენჯერიძეები** ცხოვრობენ სოფლებში: კიკნაველეთი, ტაბაკონი.

საქართველოში 856 **კელენჯერიძე** ცხოვრობს: ზესტაფონში – 408, თბილისში – 128, ქუთაისში – 109. არიან სხვაგანაც.

## მამუკელაშვილი

გვარის ფუძედ გამოყენებულია სახელი **მამა. „მამა** არს ღმერთი დამბადებელთა. **მამა** არს შემქმნელი. **მამად** ითქმან: მოძღუარი, მღვდელი, აღმზრდელი, ოსტატი, გინა კაცი უხუცესი” (სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა”).

**მამა** გვხვდება საკუთარ სახელადაც. „**მამა** კარშაგარას მცხოვრები, მამულით წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს” (1537-1558 წლები).

**მამიდანაა** ნაწარმოები სახელები: **მამაგული, მამაგულა, მამაგულაი, მამადა**; ამათგან კი – გვარები: **მამადელაშვილი, მამასბედი, მამაცაშვილი, მამახარაშვილი, მამაჯანაშვილი, მამუკელაშვილი** და სხვა.

„შოშიტა **მამუკელა** იყო ერისთავის ყმა, ჰყავს ძმები: გოგიელა, აღდგომელა და ნიკოლოზა. მას შოშიტა ერისთავმა უწყალობა მიწა, რომელიც ესაზღვრებოდა ტოგონიძის მამულს” (1641-1661 წლები).

ადრე **მამუკელაშვილებს** ფშავში უცხოვრიათ. მატნელი **მამუკელაშვილები** წარმოშობით ფშავიდან არიან. **მამუკელაშვილების** ადრინდელი გვარი ხუცურაული ყოფილა.

საქართველოში 764 **მამუკელაშვილი** ცხოვრობს: თელავში – 233, ახმეტაში – 167, თბილისში – 117. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის**
**მასალების მიხედვით მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

---

ძალზე სავალალო მდგომარეობა იყო კოლხეთის დაბლობზე: გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთსა და აჭარის ნაწილში. აქ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, პრაქტიკულად, არ არსებობდა. ძირითადად, მოჰყავდათ სიმინდი. იქაური ნესტიანი ჰავა აუტანელს ხდიდა ცხოვრებას. ბერიამ დაიწყო გრანდიოზული პროექტის განხორციელება – ჭაობების ამოშრობა და ციტრუსების გაშენება. მან საბჭოთა დაზვერვას უცხოეთიდან კონტრაბანდული გზით შემოატანინა ჩაის განსაკუთრებული ჯიშები, რომლებიც შემდგომში ფართოდ გავრცელდა დასავლეთ საქართველოში.

ცხადია, ლავრენტი ბერიას ყოველი ნაბიჯი ბელადთან იყო შეთანხმებული. საკავშირო ბიუჯეტიდან საქართველოსთვის დამატებითი თანხების ასე ხელაღებით გამოყოფას ბერია სტალინის თანადგომის გარეშე, ვერ შეძლებდა. სტალინმა კარგად იცოდა, თუ რისთვის იხარჯებოდა თითოეული კაპიკი. ბელადი კიდეც ამაყობდა თავისი შეგირდის წარმატებებით. მოსკოვში ყველა კარგად გრძნობდა, რომ ლავრენტი ბერიას სტალინი უფრო დიდი მისიისთვის ამზადებდა. ბერია სტალინის ხატი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი სახე ბელადმა სხვა რესპუბლიკებში ვერ შექმნა.

დადგა დრო, როდესაც ბერიამ საქართველოსა და ამიერკავკასიაში თავისი მისია დაასრულა. 1938 წლის 31 აგვისტოს ბერიამ ბოლო სხდომა ჩაატარა თბილისში. ამიერიდან ბელადს ის მოსკოვში სჭირდებოდა.

**ანრი შავლაძე**

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

3-4 იანვარი, **შაბათი-კვირა** 13.00, 16.00 - **„ჯადოსნური ღამე"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 6 - 20 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორები: რობერტ სტურუა, ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: მანანა აბრამიშვილი, ნინო არსენიშვილი, ზაზა ბარათაშვილი, დავით გოცირიძე, გოგა ბარბაქაძე, პაატა გულიაშვილი, თათული დოლიძე, ზურა ინგოროყვა, მარინა კახიანი; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

3-4 იანვარი, **შაბათი-კვირა** 20.00 - **„საშობაო სომლერა"** - (ბილეთის ფასი - 8 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ბესო ბარათაშვილი, ნიკა კუჭავა, ირაკლი ჩოლოყაშვილი, ირმა ბერიანიძე, მაია კაციტაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, თემურ კილაძე, ნინო დუმბაძე, ვალერი კორშია. *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

3 იანვარი, **შაბათი** 20.00 - **„ქალი ქვიშაში"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), დამდგმელი რეჟისორი: დავით დანელია. მონაწილეობენ: ნინო გაჩეჩილაძე, ბექა გოდერძიშვილი, ვალერი კორშია; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

4 იანვარი, **კვირა** 20.00 - **„უცნობი ქალის წერილები"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ნათია ბალაძე. მონაწილეობენ: ეკატერინე კვირკველია, გიორგი ტატიშვილი, ნიკოლოზ მანაგაძე; *ხანგრძლივობა: 2სთ.*

## მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966.**

3 იანვარი, **შაბათი** 20.00 - **„შთაგონების რეცეპტი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ნინო ახვლედიანი. მონაწილეობენ: ქეთევან ცხაკაია, მანანა კოზაკოვა, დავით ხურცილავა. *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

4 იანვარი, **კვირა** 20.00 - **„მთვრალი ალუბალი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), ტექსტის ავტორი და რეჟისორი - ლევან წულაძე, ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, მალხაზ აბულაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, ზაზა გოგუაძე, დათო ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ონისე ონიანი; *ხანგრძლივობა: 2სთ.*

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2. ტელ.: 298-58-21.**

30 დეკემბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;*

3-4 იანვარი, **შაბათი-კვირა** 13.00 - **„პეპი გრძელი წინდა"** - (ბილეთის ფასი - 6, 7 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: შაკო მირიანაშვილი, ნინო ლომიძე, გიორგი მჭედლიძე, თორნიკე გვეხიძე, მარიამ დემეტრაშვილი, ანა ვანიშვილი, ლიზი ცომაია. *ხანგრძლივობა: 50 წუთი.*

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**აღმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90.**

29-30 დეკემბერი, **ორშაბათი-სამშაბათი** 19.00 - **„იყო და არა იყო რა... ანუ საშობაო ზღაპარი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: სოფო ხალვაში, თიკა ფაცაცია, არჩილ სოლოღაშვილი, სალომე ყიფიანი, ტატო ჩახუნაშვილი, თორნიკე გოგრიჭიანი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

2-3-4 იანვარი, **პარასკევი-შაბათი-კვირა** 19.00 - **„მერი პოპინსი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: ბუბა გოგორიშვილი, ლაშა რამიშვილი, გიორგი ყველაშვილი, სალომე ყიფიანი, ნინო მითაიშვილი, არჩილ სოლოღაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

## ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №99/1. ტელ.: 295-78-74, 295-39-27.**

29-30 დეკემბერი, **ორშაბათი-სამშაბათი** 12.00, 15.00 - **„ახალი წლის ღამის კოსმიური სტუმარი"** (რუსულად) - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ვახტანგ ჩაჩანიძე, ნიკა ნანიტაშვილი, შალვა ანთელავა, მამუკა ბოგვერაძე, გიორგი შავგულიძე, თამარ ტყემალაძე, თამარ ცქვიტინიძე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

29-30 დეკემბერი, **ორშაბათი-სამშაბათი** 16.00 - **„ახალი წლის ღამის კოსმიური სტუმარი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ვახტანგ ჩაჩანიძე, ნიკა ნანიტაშვილი, შალვა ანთელავა, მამუკა ბოგვერაძე, გიორგი შავგულიძე, თამარ ტყემალაძე, თამარ ცქვიტინიძე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

2-3-4 იანვარი, **პარასკევი-შაბათი-კვირა** 12.00 - **„ახალი წლის ღამის კოსმიური სტუმარი"** (რუსულად) - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ვახტანგ ჩაჩანიძე, ნიკა ნანიტაშვილი, შალვა ანთელავა, მამუკა ბოგვერაძე, გიორგი შავგულიძე, თამარ ტყემალაძე, თამარ ცქვიტინიძე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

2-3-4 იანვარი, **პარასკევი-შაბათი-კვირა** 14.00, 16.00 - **„ახალი წლის ღამის კოსმიური სტუმარი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ვახტანგ ჩაჩანიძე, ნიკა ნანიტაშვილი, შალვა ანთელავა, მამუკა ბოგვერაძე, გიორგი შავგულიძე, თამარ ტყემალაძე, თამარ ცქვიტინიძე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

### საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი

**რუსთაველის გამზირი №37.**
**ტელ.: 99-63-14.**

3-4 იანვარი, **შაბათი-კვირა** 19.00 - **„წიგნი"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი უმცროსი. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

### გრიბოედოვის თეატრი

**რუსთაველის გამზირი №2**
**ტელ.: 293-11-06.**

29 დეკემბერი, **ორშაბათი** 18.00 - **„კონკია"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), მუსიკალური ზღაპარი. რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ანასტასია გარმატიუკი, ქრისტოფორე ფილიევი, ირინა მელვინეთუხუცესი, კარინა ყენია, ნინა კალატოზიშვილი, სლავა ნათენაძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

30 დეკემბერი, **სამშაბათი** 12.00, 15.00 - **„კონკია"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), მუსიკალური ზღაპარი. რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ანასტასია გარმატიუკი, ქრისტოფორე ფილიევი, ირინა მელვინეთუხუცესი, კარინა ყენია, ნინა კალატოზიშვილი, სლავა ნათენაძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

2-3 იანვარი, **პარასკევი-შაბათი** 12.00, 15.00 - **„მაუგლი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), მუსიკალური ზღაპარი. რეჟისორი: ვახტანგ ნიკოლავა. მონაწილეობენ: მერაბ ქუსიკაშვილი, მიხეილ არჯევანიძე, ინა ვოირობიოვა, დმიტრი სპორიშევი, გიორგი თურქიაშვილი, კარინა ყენია, ქრისტოფორე ფილიევი, სოფიო ლომჯარია; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

4 იანვარი, **კვირა** 12.00, 15.00 - **„თორმეტი თვე"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: დიმიტრი პავლოვი. მონაწილეობენ: ირინა კვიჟინაძე, ნანკა კალატოზიშვილი, მარიამ კიტია, ქრისტოფერ პილიევი, ნინა ნინიძე, ირინა ვორობიოვა, არჩილ ბარათაშვილი, მიხეილ ამბროსოვი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

### თბილისის საკონცერტო დარბაზი

**მელიქიშვილის ქუჩა №1.**
**სალარო: 298-76-82.**

30 დეკემბერი, **სამშაბათი** 14.00, 17.00 - **„ბასტი ბუბუ"** - (ბილეთის ფასი: 11, 16, 22, 27, 32 ლარი);

4 იანვარი, **კვირა** 20.00 - **ნანი ბრეგვაძის სოლო კონცერტი** - (ბილეთის ფასი - 30, 40, 50, 60, 70 ლარი).

### ცირკი

**გმირთა მოედანი 1.**
**ტელ.: 298 30 35.**

29-30 დეკემბერი, **ორშაბათი-სამშაბათი** 13.00, 17.00 - **საახალწლო საცირკო წარმოდგენა** - (ბილეთის ფასი: 10, 15, 20, 25, 30 ლარი);

29-30 დეკემბერი, **ორშაბათი-სამშაბათი** 12.00, 16.00, 18.00 - **საახალწლო ნაძვის ხე** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი).

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა" 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი" 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის" საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის" ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღელამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 218-01-01; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის" დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი" 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის" სადისპეტჩერო 231-04-04

## ორშაბათი 29 დეკემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15, 02.30 "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად 11.00, 03.10 "სამოთხის ვაშლები" 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. "**კრიმინალური კვალი**" 14.20 "პოპ-კულტურა" 15.00, 21.00 ტ/სერ. "**ფრანგული სოფელი**" 17.00 "კომუნიკატორი" 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 "არენა" 23.30 მხ/ფ "**სინანული**" 02.00 "პოპ-კულტურა".

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**ბედისწერა**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "**ბედთან მებრძოლი**" 18.45 ევროპა ბეთი - გათამაშება 19.45 სერ. "**ქარადაი**" 22.00 ნიჭიერი 00.30 სპორტ ტაიმი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი.

7.00, 1.30 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი "**კუნგფუს ოსტატის თავგადასავალი**" 7.55 საქმიანი დილა დილის პროგრამა 9.40 ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება 10.00 **სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"** 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00 (ახალი ამბები) 12.30 ბიზნესკონტაქტი 13.30 **სერიალი "კარმა"** 15.35 გადაცემა "60 კითხვა ინტერიერში" 16.00 **სერიალი "სიყვარულის იმპერია"** 17.40 გადაცემა "იდ" 18.45 **სერიალი "სხვისი სხეული"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.00 **სერიალი "ქურთ სეიტი და შურა"** 23.45, 4.30 **სერიალი "მდუმარენი"** 1.50 მხ. ფილმი.

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.45, 02.00, 03.50 ქრონიკა. 10.05 სერ."**სიცოცხლის სიყვარული**" 11.20 სერ. "**სილა**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**უდანაშაულო**" 17.35, 19.03 სერ. "**ბოშა ქალი**" 19.03 სერ. "**ბოშა ქალი**" 20.55 სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" 22.00 ნინო სურგულაძე და მსოფლიო ვარსკვლავები საქველმოქმედო კონცერტი 00.00 მხ/ფ "**ჩვევად ქცეული ქორწინება**" 02.10 მხ/ფ "**შოპაჰოლიკი**" (ჯ.კუზაკი) 04.00 ფარული კამერა 05.30 მხ/ფ "**როგორ მოვიპაროთ მილიონი**" (ო.ჰეპბერნი) (ტიტ.).

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 მხ/ფ "**დედუნა**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 განთიადი" 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**ნეილონის ნაძვის ხე**" 13.25 კონცერტი - ელისო ვირსალაძე, შუმანი (თელავის ფესტივალი) 15.05 ღვთის სახლი (აფხაზეთი) ლაშქენდარი 15.15 სპექტაკლი "**ალალე**" 17.00 დ/ფ "მამაი" 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**იცოცხლე გენაცვალე**" 20.40 ძილი ნებისა 21.25 პატერიკი 21.30 ღვთის სახლი 21.50 ამბიონი 22.25 დ/ფ "უბისა" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ეპიზოდი,როგორც მთავარი" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**20 ათასი ლიე წყალქვეშ**" I სერ.

## სამშაბათი 30 დეკემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15, 03.20 "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. "**კრიმინალური კვალი**" 14.20 "პოპ-კულტურა" 15.00, 21.00 ტ/სერ. "**ფრანგული სოფელი**" 17.00 "კომუნიკატორი" 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 "ქართ. დოკუმენტალისტიკა" 22.40 მხ/ფ "**ამაოების ბაზარი**" 01.00 მხ/ფ "**შენ" მე და დუპრი**" 02.50 "პოპ-კულტურა".

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**ბედისწერა**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე"16.00 სერ. "**ბედთან მებრძოლი**" 18.45 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.45 სერ. "**ქარადაი**" 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 მხ/ფ. "**პოკერი სიყვარულის წესებით**" 23.30 სოციალური ცელი 00.30 მხ/ფ. "**როგორ მოვიპაროთ მილიონი**".

7.00, 1.30 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი "**კუნგფუს ოსტატის თავგადასავალი**" 7.55 საქმიანი დილა დილის პროგრამა 9.40 ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება 10.00 **სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"** 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00 (ახალი ამბები) 12.30 ბიზნესკონტაქტი 13.30 **სერიალი "კარმა"** 15.35 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 16.00 **სერიალი "სიყვარულის იმპერია"** 17.30 გადაცემა "ფული და სურვილები" 18.45 **სერიალი "სხვისი სხეული"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.00 **სერიალი "ქურთ სეიტი და შურა"** 23.45, 4.30 **სერიალი "მდუმარენი"** 1.50 მხ. ფილმი.

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.45, 02.40, 04.45 ქრონიკა. 10.05 სერ. "**სიცოცხლის სიყვარული**" 11.20 სერ. "**სილა**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**უდანაშაულო**" 17.35, 19.03 სერ. "**ბოშა ქალი**" 20.55 სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" 22.00 იმედის გმირები - 2014 გაჯილდოების ცერემონია 00.00 ქ/სერ. "**ფსიქოპათთა თამაშები**" 10 სერ. 01.00 მხ/ფ "**ქორწილის ორგანიზატორი**" 02.50 მხ/ფ "**ჩვევად ქცეული ქორწინება**" (კ.ბესინგერი) 04.55 ფარული კამერა 05.30 მხ/ფ "**როგორ მოვიპაროთ მილიონი**" (ო. ჰეპბერნი).

06.10 საგალობელი 06.15 მხ/ფ "**20 ათასი ლიე წყალქვეშ**" I სერ. 07.45 ღვთის სახლი (აფხაზეთი) ლაშქენდარი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დ/ფ "უბისა" 11.05 პატერიკი 11.10 დ/ფ "ეპიზოდი,როგორც მთავარი" 11.40 ღვთის სახლი 12.10 მხ/ფ "**იცოცხლე გენაცვალე**" 13.30 კონცერტი - საქართველოს მომავლის ვარსკვლავები - ე. გოგიბედაშვილი,ლიზი რამიშვილი 14.40 ამბიონი 15.05 ღვთის სახლი (აფხაზეთი) წებელდა 15.20 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 15.45 მხ/ფ "**თოვლის დედოფალი**" I ნაწ. 16.20 საქართველო არის ესე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 მოკ./ფ "ფეოლა" 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "ჩვენი ფონდი" როზეტა გუჯეჯიანი - ახალი წლის ტრადიცია საქართველოში . გვანცელაძე 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**20 ათასი ლიე წყალქვეშ**" II სერ.

გაგრძელება 43-ე გვერდზე

## კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი“**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**29 დეკემბერი – 4 იანვარი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.15, 16.45 - **„ცელქი ბავშვები 2”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
19.15, 22.30 - **„მოსე: ღმერთები და მეფეები”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.15, 14.00, 16.00, 17.45, 20.10, 22.15 - **„ცელქი ბავშვები 2”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 15.00 - **„ჰობიტი: ხუთი არმიის ბრძოლა”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*
18.00, 20.15 - **„ცელქი ბავშვები 2”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
22.30 - **„აუტანელი ბოსები 2”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.30, 17.00 - **„მადაგასკარის პინგვინები”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
19.30, 22.30 - **„ჰობიტი: ხუთი არმიის ბრძოლა”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.30, 16.15 - **„მოსე: ღმერთები და მეფეები”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*
19.30, 22.30 - **„ჰობიტი: ხუთი არმიის ბრძოლა”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი)

**კინოთეატრი „ამირანი”**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.00, 14.30, 17.00 - **„ცელქი ბავშვები 2”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
19.30, 22.30 - **„მოსე: ღმერთები და მეფეები”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.15, 14.30, 17.00 - **„მადაგასკარის პინგვინები”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
20.00 - **„ცელქი ბავშვები 2”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
22.30 - **„ჰობიტი: ხუთი არმიის ბრძოლა”** 3D (რუსულად), *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.30 - **„ჰობიტი: ხუთი არმიის ბრძოლა”** 3D (რუსულად), *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*
16.30 - **„მოსე: ღმერთები და მეფეები”** 3D (რუსულად), *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*
19.30 - **„მოსე: ღმერთები და მეფეები”** 3D (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*
22.30 - **„ჰობიტი: ხუთი არმიის ბრძოლა”** 3D (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com




# 2015

### იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| სამ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ოთხ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ხუთ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| პარ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| შაბ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| კვ. | 4 | 11 | 18 | 25 | |

### თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 2 | 9 | 16 | 23 |
| სამ. | | 3 | 10 | 17 | 24 |
| ოთხ. | | 4 | 11 | 18 | 25 |
| ხუთ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| პარ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| შაბ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| კვ. | 1 | 8 | 15 | 22 | |

### მარტი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| სამ. | | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| ოთხ. | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ხუთ. | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| პარ. | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| შაბ. | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| კვ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |

### აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| სამ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ოთხ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ხუთ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| პარ. | 3 | 10 | 17 | 24 | |
| შაბ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| კვ. | 5 | 12 | 19 | 26 | |

### მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 4 | 11 | 18 | 25 |
| სამ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ოთხ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ხუთ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| პარ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| შაბ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| კვ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |

### ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| სამ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ოთხ. | 3 | 10 | 17 | 24 | |
| ხუთ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| პარ. | 5 | 12 | 19 | 26 | |
| შაბ. | 6 | 13 | 20 | 27 | |
| კვ. | 7 | 14 | 21 | 28 | |

### ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| სამ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ოთხ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ხუთ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| პარ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| შაბ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| კვ. | 5 | 12 | 19 | 26 | |

### აგვისტო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| სამ. | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ოთხ. | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| ხუთ. | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| პარ. | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| შაბ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |
| კვ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 | |

### სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| სამ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ოთხ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ხუთ. | 3 | 10 | 17 | 24 | |
| პარ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| შაბ. | 5 | 12 | 19 | 26 | |
| კვ. | 6 | 13 | 20 | 27 | |

### ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 5 | 12 | 19 | 26 |
| სამ. | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ოთხ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ხუთ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| პარ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| შაბ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| კვ. | 4 | 11 | 18 | 25 | |

### ნოემბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| სამ. | | 3 | 10 | 17 | 24 | |
| ოთხ. | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ხუთ. | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| პარ. | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| შაბ. | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| კვ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |

### დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | | 7 | 14 | 21 | 28 |
| სამ. | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ოთხ. | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ხუთ. | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| პარ. | 4 | 11 | 18 | 25 | |
| შაბ. | 5 | 12 | 19 | 26 | |
| კვ. | 6 | 13 | 20 | 27 | |

38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 31 დეკემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15** "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. "**კრიმინალური კვალი**" **14.20** "პოპკულტურა" **15.00** დ/ფ "შობაზე შეყვარებულები" **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **21.00** მხ/ფ "**სათადარიგო ბორბალი**" "**ქვევრი**" **22.00** ცენტრალური საახალწლო კონცერტი **03.00** მხ/ფ "**ძმები ბლუზები**" (ჯ.ბელუში).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ბედისწერა**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**ბედთან მებრძოლი**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**ქარადაი**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** საახალწლო კონცერტი **02.00** ქ.მხ/ფ. "**ვერის უბნის მელოდიები**" **03.30** ქ.მხ/ფ. "**შერეკილები**" **05.00** მხ/ფ. "**სიყვარული ყველას უნდა**".

**7.00, 1.30** ახალი ამბები **7.30** მულტფილმი "**კუნგფუს ოსტატის თავგადასავალი**" **8.00** ფარული კამერა **10.00** "ფანტოცი გადის პენსიაზე" მხ.ფილმი **12.00, 15.00, 18.00, 21.00** (ახალი ამბები) **12.25** მხ.ფილმი "**დავიწყებული მელოდია ფლეიტისთვის**" **15.35** "ვერის უბნის მელოდიები" მხ.ფილმი **18.45 სერიალი "სხვისი სხეული"** **21.45** საახალწლო მუსიკალური საღამო მაესტროზე **23.40** საახალწლო მილოცვები (ოფიციალური) **23.55** საახალწლო მუსიკალური საღამო მაესტროზე **1.00** მხ.ფილმი "**შესანიშნავი შობა**" **3.00** მხ.ფილმი "**კარნავალის ღამე-2**" **6.00** ფარული კამერა.

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.45, 02.40, 05.00** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიცოცხლის სიყვარული**" **11.20** სერ. "**სილა**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**უდანაშაულო**" **17.35** სერ. "**ბოშა ქალი**" **20.00** ცეკვავენ ვარსკვლავები - ფინალი **23.30** იუმორინა - **2014 23.45** "საახალწლო მილოცვა" **00.00** იუმორინა - **2014** (გაგრძელება) **01.45** მხ/ფ "**რეალური სიყვარული**" (კ.ნაიტლი) **03.35** მხ/ფ "**მოჯადოებული**" (პ.დემპსი) **05.20** ფარული კამერა **07.20** მხ/ფ "**ქორწილის ორგანიზატორი**".

**06.10** საგალობელი **06.15** მხ/ფ "**20 ათასი ლიე წყალქვეშ**" II სერ. **07.45** ღვთის სახლი (აფხაზეთი) წებელდა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** "ჩვენი ფონდი" როზეტა გუჯეჯიანი - ახალი წლის ტრადიცია საქართველოში . გვანცელაძე **10.50** ქრისტიანული ხელოვნება **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **12.50** მოკ./ფ "**ფეოლა**" **13.20** კონცერტი -ნიჭიერთა ათწლედის **80** წლის იუბილე **14.30** საქართველო არის ესე **12.25** ღვთის სახლი (აფხაზეთი) კომანი **15.20** მხ/ფ "**თოვლის დედოფალი**" II ნაწ. **16.50** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი ალთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**იმერული ესკიზები**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** მრავალჟამიერი (თ. თაგვაძე) **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გილოცავთ "ერთსულოვნება" (ბავშვები) **23.30** საქართველოს პრემიერ მინისტრის მილოცვა **23.45** საქართველოს პრეზიდენტის მილოცვა **00.00** პატრიარქის მილოცვა **00.15** გილოცავთ "ერთსულოვნება" **01.15** კონცერტი - ქართული ხმები **03.00** მხ/ფ "**ყვავილი თოვლზე**" **04.05** კონცერტი - ანდრეს რიე.

## ხუთშაბათი 1 იანვარი

**07.30** დ/ფ "უჩვეულო ნაძვის ხეები" **08.30** მხ/ფ "**ბეთჰოვენი**" **10.00** მხ/ფ "**მისტერ ბინი დასასვენებლად მიემგზავრება**" **11.30** ქართ. მხ/ფ "**სუფთა დაფა**" **12.00** ქართ. ან. "წუნა და წრუწუნა" "ჯადოსნური კვერცხი" **12.30** ქართ. მხ/ფ "**ვერის უბნის მელოდიები**" **14.15** ვენის ფილარმონიული ორკესტრის **2015** წლის საახალწლო კონცერტი (პ/ტრ) **16.40** მხ/ფ "**რომაული არდადეგები**"(ო.ჰეპბერნი) **18.10** ქართ. მხ/ფ "**შერეკილები**" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.00** მხ/ფ "**ნოტინგ ჰილი**" **22.00** კრის ბოტის კონცერტი **00.00** მხ/ფ "**როგორ გავყვე მილიონერს ცოლად**" **02.30** მხ/ფ "**ედი ტელევიზორიდან**" (მ.მაკკონახი)

**07.30** მხ/ფ. "**სანტა კლაუსი 3**" **10.00** მხ/ფ. "**მრ. ძიზა**" **12.00** მხ/ფ. "**კავკასიელი ტყვე ქალი**" **14.00** მხ/ფ.**15.00** ქ.მხ/ფ. "**რაც ყველაზე ძალიან გიყვარს 1**" **17.00** მხ/ფ. "**ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი**" **19.00** მარაოს კონცერტი **21.00** კურიერი **22.00** კომედი კონცერტი **23.30** კონცერტი (ქართული ხმები) **01.00** ქ.მხ/ფ. "**რაჭა, ჩემო სიყვარულო**" **02.0** ქ.მხ/ფ. "**გასეირნება თბილისში**".

**7.00** მულტფილმი "**კუნგფუს ოსტატის თავგადასავალი**" **8.00** ფარული კამერა **9.45** მხ.ფილმი "**ფანტოცის შურისძიება**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** (ახალი ამბები) **12.10** "სადღური ორისათვის" მხ.ფილმი **15.20** მხ.ფილმი "**რაც გინახავს ვეღარ ნახავ**" **17.20** ფარული კამერა **18.45 სერიალი "სხვისი სხეული"** **21.30** ოთარ ტატიშვილის შოუ (საახალწლო გამოშვება) **23.00** მხ.ფილმი "**ბედის ირონია –გაგრძელება**" **1.15** მხ.ფილმი "**იქ სადაც გულია**" **3.45** ოთარ ტატიშვილის შოუ (საახალწლო გამოშვება) **5.00** მხ.ფილმი "**ფანტოცი გადის პენსიაზე**" **640** ფარული კამერა.

**09.00** მხ/ფ "**სახლში მარტო დარჩენილი**" **10.50** ცეკვავენ ვარსკვლავები**11.20** ქ.მხ/ფ "**ვერის უბნის მელოდიები**" **13.00** ცეკვავენ ვარსკვლავები (ნაკრები - **2**) **13.30** ქ.მხ/ფ "**უდიპლომო სასიძო**" **14.50** ორი ვარსკვლავი (ეთნო ტური) **16.00** ქ.მხ/ფ "**სიყვარული ყველას უნდა**" **17.30** იუმორინა - **2014 20.30** ერთხელ საქართველოში **21.00** შალვა რამიშვილის შოუ - საახალწლო **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ - საახალწლო **00.00** ქ.მხ/ფ "**ოცნების ქალაქი**" **01.40** მხ/ფ "**მელოტი ძიძა**" (ვ.დიზელი) **03.15** მხ/ფ "**დიდი ბავში**" **05.00** ფარული კამერა **07.10** მხ/ფ "**რეალური სიყვარული**" (კ.ნაიტლი).

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები" **06.30** მულტფილმი "**ფიფქია და შვიდი ჯუჯა**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** საქართველო არის ესე **09.15** სიახლენი **09.35** საახალწლო ჩვეულებანი **11.05** ქართული ალბომი **11.30** მრავალჟამიერი (თ. თაგვაძე) **12.10** მხ/ფ "**იმერული ესკიზები**" **13.30** ივერიის ეკლესია **13.45** კონცერტი - ბასტი-ბუბუ **15.05** მხ/ფ "**ყვავილი თოვლზე**" **16.10** კონცერტი - ვენის სიმფონიური ორკესტრი **18.10** მულტფილმი "**კოჯრის ტყის სიზმრები**" **18.40** მრავალჟამიერი **19.00** მოკ./ფ "**შნო**" **19.20** "პორტრეტები" **20.10** მოკ./ფ "**კუჩხი ბედინერი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** მხ/ფ "**ვერის უბნის მელოდიები**" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ./ფ "**ღვინის ქურდები**" **00.05** კონცერტი - ქართველი ვარსკვლავები ათენში **02.00** მხ/ფ "**რომაული არდადეგები**".

## პარასკევი 2 იანვარი

**07.30** დ/ფ "საშობაო ნათება – დაესწარი ბედნიერ შობას" **08.30** მხ/ფ "**ბეთჰოვენი – 2**" **10.00** მხ/ფ "**მისტერ ბინი**" **11.30** ქართ. მხ/ფ "**ზღარბი**" **12.00** ქართ. ან. "მტრობა" "გოგონა და ბატი" კომბლე" თერძი ბესო **13.00** მხ/ფ "**ფან-ფან ტიტა**" **14.40** ქართ. მხ/ფ "**სიყვარული ყველას უნდა**" **16.10** მხ/ფ "**შევბულება** **18.30** ქართ. მხ/ფ "**კოჯრის ტყის სიზმრები**" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** ქართ. ტელეფილმი: "კუჩხი ბედინერი" **21.00** მხ/ფ "**ბრიჯიტ ჯონსის დღიური**" **23.00** მხ/ფ "**მამა მია**" (მ.სტრიპი) **01.00** მხ/ფ "**არაბესკა**" **03.00** მხ/ფ "**დიდი მანევრები**".

**07.30** ამინაცია "მონსტრების კორპორაცია" **10.00** მხ/ფ. "მიმინო" **12.00** ლურჯი ფრინველი **14.00** მხ/ფ. "**ივან ვასილის ძე პროფ. იცვლის**" **16.00** მხ/ფ. "**ჩემი ცოლის დაქალი კინოში**" **18.00, 21.00** კურიერი **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**ქარადაი**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანის შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** გააცინე და მოიგე (ახალი) **00.30** კონცერტი (ნიუ იორკ ვოის) **02.00** ქ.მხ/ფ. "**უდიპლომო სასიძო**" **03.30** ქ.მხ/ფ. "**პირველი მერცხალი**".

**7.00, 1.00, 4.00** ახალი ამბები **7.30** მულტფილმი "**კუნგფუს ოსტატის თავგადასავალი**" **8.00** ფარული კამერა **9.45** მხ.ფილმი "**ფანტოცი.კლონირება**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00**

(ახალი ამბები) **12.20** მხ.ფილმი **"მუსიკა მეზობელი ოთახიდან"** **14.40** ფარული კამერა **15.25** მხ.ფილმი **"პირველი მერცხალი"** **17.30** უცნობი ისტორიები **18.45 სერიალი "სხვისი სხეული"** **21.30** მუსიკალური საღამოები მაესტროზე (წლის საუკეთესო ნომრები) **23.00** მხ.ფილმი **"შემთხვევითი ქმარი"** **1.20** მხ.ფილმი **"ჩვეულებრივი სასწაული"** **4.20** მხ.ფილმი **"ფანტომის შურისძიება"** **6.20** ფარული კამერა.

**09.00** მხ/ფ **"სახლში მარტო დარჩენილი - 2"** **11.00** ქ.მხ/ფ **"მხიარული რომანი"** **12.25** ქ.მხ/ფ **"რაც გინახავს ვეღარ ნახავ"** **14.00, 17.00** ქრონიკა. **14.30, 20.30** ერთხელ საქართველოში **15.00** ქ.მხ/ფ **"ჭრიჭინა"** **17.35, 19.03** სერ. **"ბოშა ქალი"** **20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **22.00** შალვა რამიშვილის შოუ **23.00** ქ.მხ/ფ **"მაიტა ნასოსი"** **00.30** კონცერტი: რუსთავი **02.00** მხ/ფ **"ლამაზი ქალი"** **04.00** მხ/ფ **"სიყვარული აქცენტით"** **05.40** ფარული კამერა **07.15** მხ/ფ **"დიდი ბავში"**.

**06.10** საგალობელი **06.15** მხ/ფ **"რომაული არდადეგები"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** საქართველო არის ესე **09.10** ისტორიის დღიური **09.15** მულტფილმი **"101 დალმატინელი"** **10.35** მრავალჟამიერი **11.15** მოკ./ფ **"წითელი ბუშტი"** **11.55** საეკლესიო კალენდრის შესახებ **12.10** პორტრეტები **14.00** მოკ./ფ **"სათადარიგო ბორბალი"** **13.30** კონცერტი - საუკუნის ავტოგრაფი **15.05** მულტფილმი **"გულუბრყვილო ბატი ტასიკოს თავგადასავალი"** **15.20** მხ/ფ "ბავშვი სასეირნოდ მიდის" **17.55** კვირიაკე **18.10** მულტფილმი **"წუნა და წრუწუნა"**, **"მტრობა"** **18.50** ეთნოგრაფიული ჩანახატი "ჩიჩილაკი" **19.05** ისტორიის დღიური **19.10** მხ/ფ **"ქეთო და კოტე"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.00** მოკ./ფ **"ქვევრი"** **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ./ფ **"ბურთი და მოედანი"** **00.10** მხ/ფ "მუსიკის ჰანგები".

## შაბათი 3 იანვარი

**07.30** მხ/ფ **"უფლისწული და მათხოვარი"** **09.00** მხ/ფ **"ბეიბი"** **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ქართ. ტელეფილმი: "მზიური" **12.00** ქართ. ან. "სიზმარა" "ო" მოდა" მოდა" მწვანე ტოტი **12.50** სატელევიზიო სპექტაკლი: **"ჯერ დაიხოცნენ" მერე იქორწინეს"** **14.20** მხ/ფ **"მისტერ პიტკინი მტრის ზურგში"** **16.00, 20.00** "მოამბე" **16.30** მხ/ფ **"ამერიკის პრეზიდენტი"**(ა.ბენინგი) **18.30** ქართ. მხ/ფ **"ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა"** **19.00** "ეტალონი" **20.30** ქართ. მხ/ფ **"ცისფერი მთები"** **22.00** მხ/ფ **"ბრიჯიტ ჯონსის დღიური – გონიერების ზღვარი"** **00.00** მხ/ფ **"ქალის სურნელი"** **02.40** მხ/ფ **"დიასახლისი"** **04.20** "ეტალონი".

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "ქარზ 1" **10.30** კომედი შოუ **11.00** ექიმები **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ქ.მხ/ფ. **"ცელქი ბავშვები"** **15.30** ნიჭიერი **19.00** იღბლიანი ბორბალი **20.00** გააცინე და მოიგე **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00** რა? სად? როდის? **00.30** მხ/ფ.**"ბედის ირონია ანუ გაამოთ"** **02.00** ქ.მხ/ფ. **"ყვავილი თოვლზე"**.

**7.00, 2.00, 4.00** ახალი ამბები **7.30** მულტფილმი **"კუნგფუს ოსტატის თავგადასავალი"** **9.00 სერიალი "რვაფეხა"** **10.00** მხ.ფილმი **"იავნანა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** (ახალი ამბები) **12.25** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.45** გადაცემა **"60** კითხვა ინტერიერში" **13.10** ოთარ ტატიშვილის შოუ **15.30** "ჯონათან ტუმის საშობაო სასწაული" მხ.ფილმი **18.45 სერიალი "სხვისი სხეული"** **20.30** მხ.ფილმი **"თაღლითები"** **23.00** გადაცემა "მუსიკალური საღამოები მაესტროზე/ **0.00** მხ.ფილმი **"სიყვარული სტაფილო არ არის"** **2.20** მხ.ფილმი **"მოგზაური"** **4.20** მხ.ფილმი **"ფანტომი.კლონირება"**.

**09.00** მხ/ფ **"სახლში მარტო დარჩენილი - 3"** **10.50** ქ.მხ/ფ "არაჩვეულებრივი გამოფენა" **12.30** ერთხელ საქართველოში **13.00** კულინარიული დუელი **14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **14.30** ერთხელ საქართველოში **15.00** ქ.მხ/ფ **"შერეკილები"** **16.25** ცეკვავენ ვარსკვლავები (ნაკრები - **1**) **17.00** ქრონიკა **17.35, 19.03** სერ. **"ბოშა ქალი"** **20.00** ქრონიკა **20.30** ერთხელ საქართველოში **20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **22.00, 23.00, 00.00** სერ. **"შუა ქალაქში - 6"** **01.00** კონცერტი: რომა რცხილაძე **03.10** მხ/ფ **"მხიარული ლოლა"** **04.45** ფარული კამერა **06.50** მხ/ფ **"სიყვარული აქცენტით"**.

**06.10** საგალობელი **06.15** მოგზაურობა სამშობლოში **06.45** მულტფილმი **"ბოლტო"** I სერ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "ჩვენი საგანძური". გვანცელაძე **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15** ქართულ. მულტფილმები **10.50** კვირიაკე **11.50** ამბიონი **12.10** მხ/ფ **"ქეთო და კოტე"** **13.40** ტელეზღაპარი **"12** თვე" **14.00** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** ღვთის სახლი (აფხაზეთი) სოხუმი **15.20** ოპერა -**"ბერი"** **18.10** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ქრისტიანული ხელოვნება **22.25** ჩვენი ფონდი - მეუფე ანანია საქართველოს პატრიარქის შესახებ **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ **"ილია II "** **00.35** დროის ჩანაწერები **01.20** კონცერტი - ანდრია. ბოჩელი.

## კვირა 4 იანვარი

**07.30** მხ/ფ **"ზღაპრული უფლისწული"** **09.00** მხ/ფ **"ბეიბი – გოჭი ქალაქში"** **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ქართ. მხ/ფ **"იმერული ესკიზები"** **12.15** ქართ. ან. "ტყის კვარტეტი" "ხელმარჯვე ოსტატი" "მე წვიმად მოვალ" **13.00** მხ/ფ **"ოქროს ციებ-ცხელება"** **14.30** ქართ. მხ/ფ **"არაჩვეულებრივი გამოფენა"** **16.0, 20.00** "მოამბე" **16.30** ზ. წერეთელი **17.10** "ეს საქართველოა" **17.50** მხ/ფ **"მშობლები"** **20.30** ქართ. მხ/ფ **"ქეთო და კოტე"** **22.00** "მშვიდობით იარაღო" **23.00** პატრიარქის შემოქმედება პარიზში **00.40** მხ/ფ **"შარადა"** **02.30** მხ/ფ **"ჯეინ ეარი"**.

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "ნემოს ძიებაში" **11.00** ეკი ვოკი **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** ვანოს შოუ **14.00** იღბლიანი ბორბალი **15.30** პროფილი **18.40** ექიმები **19.40** კომედი შოუ **21.00** P.S. **22.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** ფინალი **23.30** სოციალური ცელი **00.30** კონცერტი "ტანგო ინ რედ" **02.00** ქ.მხ/ფ. **"ჩარი რამა"**.

**7.00, 3.00** ახალი ამბები **7.30** მულტფილმი **"კუნგფუს ოსტატის თავგადასავალი"** **9.00 სერიალი "რვაფეხა"** **10.00** მხ.ფილმი **"საშობაო ნაძვის ხე"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** (ახალი ამბები) **12.25** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.45** მხ.ფილმი **"ბაში-აჩუკი"** **15.30** მხ.ფილმი **"საბუდარელი ჭაბუკი"** **17.00** გადაცემა "მუსიკალური საღამოები მაესტროზე" **18.45 სერიალი "სხვისი სხეული"** **20.00** მხ.ფილმი **"მეხუთე ელემენტი"** **23.00** ოთარ ტატიშვილის შოუ **0.15** მხ.ფილმი **"ნოსტრადამუსი"** **3.20** მხ.ფილმი **"ბედის ღიმილი"**.

**08.30** მხ/ფ **"სახლში მარტო დარჩენილი - 4"** **09.55** ქ.მხ/ფ **"მანანა"** **11.15** ბასტი ბუბუ - საახალწლო **11.55** ერთხელ საქართველოში **12.25** ქ.მხ/ფ **"ფეოლა"** **13.00** შალვა რამიშვილის შოუ - საახალწლო **14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა. **14.30** ეკა ხოფერიას თოქ შოუ - საახალწლო **16.25** ქ.მხ/ფ **"ღვინის ქურდები"** **17.35** ცეკვავენ ვარსკვლავები ფინალი **20.30** სტუმრად იუმორინასთან - საახალწლო **22.00, 23.00, 00.00** სერ. **"შუა ქალაქში - 6"** **01.00** მხ/ფ **"უგონოდ შეყვარებული"** **02.45** მხ/ფ **"სამი მუშკეტერი"** **04.30** ფარული კამერა **05.55** მხ/ფ **"მხიარული ლოლა"**.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები" **06.45** მულტფილმი **"ბოლტო"** II სერ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** საკვირაო სახარების განმარტება **08.40** ღვთის სახლი **09.05** "განთიადი" **10.15** სიახლენი **10.40** ივერიის ეკლესია **10.55** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **11.25** ქართული ალბომი **12.10** პატრიარქის დაბადების დღისადმი მიძღვნილი კონცერტი **13.25** ქრისტიანული ხელოვნება **14.10** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.20** მგზავრები წუთისოფლისა **15.50** გამოყენებითი ხელოვნება **16.05** ერთსულოვნების სალონი **17.00** ეპოქის სახელები **17.25** დ/ფ **"ილია II "** **18.30** დროის ჩანაწერები **19.20** დ/ფ "ჩემო პატრიარქო" **19.45** "ჩვენი ამბავი" **19.55** დ/ფ "პატრიარქობის ჯვარისმტვირთველი" **19.20** დ/ფ "დღე სასწაული" **21.40** კვირიაკე **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჟურნალისტის დღიური "ფიქრები წარსულსა და მომავალზე" ილია II **00.30** პორტრეტები **01.20** კონცერტი - "ქართული ხმები და ანს. "ბათუმი".

# რომელ პერიოდში ხდება ალკოჰოლის დალევა სახიფათო და რა კავშირშია ამასთან ზოდიაქოს კონკრეტული ნიშანი



**რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

სასმლის ზემოქმედება ორგანიზმზე სხვადასხვა დღეს სხვადასხვაგვარია: ზოგჯერ ჭარბად მიღებული ალკოჰოლი გვაყენებს სერიოზულ ზიანს, ზოგჯერ კი ასი გრამიც საკმარისია, რომ ამას სავალალო შედეგი მოჰყვეს.

ასტროლოგიურად, არსებობს კავშირი სპირტიანი სასმელების მომწამვლელ ზემოქმედებასა და მთვარის ფაზებს შორის. იმის გასაგებად, თუ როგორ იმოქმედებს ალკოჰოლი ადამიანზე ამა თუ იმ დღეს, საკმარისია, მთვარის კალენდარში ჩაიხედოთ.

ახალმთვარეობისას, სამი დღის განმავლობაში, სასურველია, თავი შეიკავოთ ალკოჰოლის მიღებისგან. ამ დღეებში ორგანიზმის ბიორიტმი ყველაზე დაბალ დონეზეა და ამიტომ დაზღვეული არ ვართ მონამვლისგან.

ამ პერიოდში ღვიძლიც ნაკლებად აქტიურია. ორგანიზმისთვის მთვარის პირველი მეოთხედის დღეებიც საკმაოდ საშიშია, რადგან, კუჭისა და ღვიძლის მოქმედება სუსტდება. ამის შედეგად, სისხლში გროვდება ალკოჰოლის საშიში დოზა და ადამიანი მალე თვრება.

ძალიან საშიში ფაზაა სავსემთვარეობა. ეს პერიოდი ჩვენი ორგანიზმის ბიოლოგიური აქტივობის მწვერვალია – ალკოჰოლი სწრაფად შეიწოვება, გადამუშავდება და შეუმჩნევლად აჭარბებს ნორმას. ამ დღეებში ადამიანი სასმლის გარეშეც გაუწონასწორებელია, დალევის შემდეგ კი ისეთ რამეს სჩადის, რაზეც შემდეგ მთელი ცხოვრება ნანობს. ასე რომ, სავსემთვარეობისას სამი დღე სიფხიზლეში გაატარეთ.

მთვარის მეოთხე მეოთხედის დასაწყისი კრიტიკული დღეა – ამ პერიოდში მიმდინარეობს სასიცოცხლო მოქმედების დაქვეითება. კუჭის კედლების მიერ ალკოჰოლის სწრაფი შეწოვის უნარის ფონზე, ამ დღის დალევას აუცილებლად მოსდევს მძიმე ნაბახუსევი. ასე რომ, თუკი მაინც უნდა დალიოთ, ეცადეთ, ეს დრო მთვარის ზრდის პერიოდს, ანუ – ახალმთვარეობიდან მთვარის შევსებამდე მონაკვეთს დაამთხვიოთ.

ასევე, ასტროლოგიურად, ალკოჰოლი სხვადასხვაგვარად მოქმედებს ზოდიაქოს სხვადასხვა ნიშნით დაბადებულ ადამიანზე.

***ვერძებისთვის*** დალევა საშიშია. სასმელი მათ ათრობს და უაზრო საქციელისკენ უბიძგებს. როცა ის დალევს, ჯერ მოქმედებს და მერე ფიქრობს.

ნასვამი ***კუროები*** საშიშები არიან. აუღელვებელი ნიშანია, მაგრამ, სიმთვრალეში პატარა მიზეზიც კი საკმარისია, რომ „მხიარული“ ბუნება გამომჟღავნონ.

***ტყუპების*** უმრავლესობას დალევა დიდად არ აინტერესებს. თუ სვამენ, არც ზომიერებას ივიწყებენ და, ამ დროს მათი მდგომარეობიდან გამოყვანა უბრალოდ საუბრითაც ადვილია.

***კირჩხიბებისთვის*** ალკოჰოლიანი სასმელი, თუნდაც ლუდი, მავნებელია. მათ ნაზი კუჭი და არამდგრადი ფსიქიკა აქვთ. დალევის შემდეგ ახსენდებათ ყველაფერი ცუდი, რაც მათ ცხოვრებაში მომხდარა.

***ლომებმა*** მკაცრად უნდა დაიცვან ზომიერება ორი მიზეზის გამო: ერთი, რომ ალკოჰოლი ზედმეტად ტვირთავს მათ გულს და, მეორე – მთვრალი „ლომი” ირგვლივ მყოფთა თვალში ავტორიტეტს კარგავს.

***ქალწულებისთვის*** ალკოჰოლი საწამლავია. მათი უმრავლესობა ამას ხვდება და თავს არიდებს სასმელს; ხოლო, ვინც სვამს, ალკოჰოლის ზემოქმედებით ღვიძლი ელვისებური სისწრაფით იწყებს მუშაობას და მათ ისეთი „პახმელია“ აქვთ, მტრისას.

***სასწორი***, როგორც წესი, სვამს თანამეინახეებისთვის და იმისთვის, რომ სხვას მისცეს მაგალითი. ამ დროს ისინი ხშირად აჭარბებენ. ამიტომ, თავშეკავება სჭირდებათ, რომ დისკომფორტს აარიდონ თავი.

***მორიელისთვის*** სიმთვრალე ძალიან საშიშია. ჩვეულებრივ, თავშეკავებული, კარგავს კონტროლს ემოციებზე და, შეუძლია, იმდენი ბოროტება გაუკეთოს საკუთარ თავს, რომ სულ დაინგრიოს ცხოვრება. მთვრალი „მორიელი” მარცხიანია.

***მშვილდოსანი*** სიამოვნებით სვამს, რასაც შემდეგ სავალალო შედეგები მოაქვს. მათი ღვიძლი ძნელად იტანს ალკოჰოლს, რაც ხშირად ცხიმოვანი გადაგვარებისა და ჰეპატიტის მიზეზი ხდება.

***თხის რქებისთვის*** სპირტიანი სასმლის დალევას სასურველი მოდუნება არ მოაქვს და მათი პრობლემები უცვლელი რჩება. ასე რომ, პრობლემის დავიწყების მიზნით დალევა უშედეგოა.

თუ ***მერწყულები*** სასმელს მიეჩვევიან, საბოლოოდ ანადგურებენ თავიანთ ისედაც სუსტ ნერვულ სისტემას: ხდებიან ნევროზულები, ხშირად ემართებათ ნერვული კრუნჩხვა და ასთმაც კი.

***თევზებისთვის*** სპირტიანი სასმელი, უბრალოდ, აკრძალულია. ისინი სწრაფად ეჩვევიან მას და სულ მალე ხდებიან მასზე დამოკიდებულნი. ამას გარდა, რთულად იტანენ ბახუსს.

***ზოგადად, ცნობილია რომ, ალკოჰოლის დალევისგან სიამოვნებნებას ვერც ერთი ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანი ვერ იღებს. ამიტომ, გირჩევთ, ამ მხრივ ზომიერება დაიცვათ.***

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 2001 წლის 25 აგვისტოს. რა საქმიანობას უნდა მოჰკიდოს ხელი, რომ სამომავლოდ წარმატებებს მიაღწიოს?**

**პასუხი**: მისთვის კარგი და წარმატებების მომტანია შემდეგი პროფესიები: კომპიუტერული ტექნოლოგიები, პროგრამული სისტემები, აუდიო-მობილური და ვიდეოსისტემების ბიზნესი, სოციოლოგია, ასტრონომია, ასტროლოგია, ავიაციის ბიზნესი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, სცენარისტობა, დრამატურგია, რეჟისურა, საინჟინრო სფერო, მედიცინის ფართო სპექტრი, ლინგვისტიკა, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, პედაგოგიკა.

**კითხვა: დავიბადე 1987 წლის 28 სექტემბერს. გთხოვთ, მირჩიოთ, რომელ პროფესიაში ვცადო ბედი, რომ ცხოვრებაში მეტ წარმატებას მივაღწიო?**

**პასუხი**: თქვენთვის წარმატების მომტანი პროფესიებია: ჟურნალისტიკა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, ტურისტული ბიზნესი, პროფესიონალური დიპლომატია საელჩოებისა და საკონსულოების დონეზე, სპორტის ფართო სპექტრი, მენეჯერული სამუშაო, ავიაციის ბიზნესი ან შემოქმედება, პედაგოგიკა და იურისპრუდენცია.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 2000 წლის 20 ივნისს, დილის 7 საათზე. რა არის მისი კოსმიური მისია და რომელი პროფესია აირჩიოს სამომავლოდ, რომ წარმატებებს მიაღწიოს?**

**პასუხი**: მისი კარმულ-კოსმიური მისიაა, იყოს ორგანიზებული, დისციპლინირებული, შეუპოვარი, მიზანსწრაფული, მომთმენი, შრომისუნარიანი, ნებისყოფიანი, პრაქტიკული, ფულის ყაირათიანი მხარჯველი და გამნაწილებელი; უნდა დაამყაროს სტაბილური საოჯახო-სანათესაო ურთიერთობა; სადაც შევა, უნდა შეიტანოს სიმშვიდე და ჰარმონია და არა დეპრესია და აგრესია; უნდა დაეყრდნოს ინტუიციას, დაიცვას საიდუმლო; უნდა იყოს სამშობლოს პატრიოტი, ემსახუროს მას; დაიცვას ტრადიციები და ადათ-წესები; შეძლოს შუამავლის ფუნქციის შესრულება; დაეყრდნოს ოპტიმიზმს, აქტიურობას, კომუნიკაბელურობას, ცოდნის ბაზას. რაც შეეხება პროფესიებს, მისთვის წარმატების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო საქმის ფართო სპექტრი; პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი; ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია; მედიცინიდან – პედიატრია; პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო, საგამომცემლო სფერო, ავიაციის ბიზნესი, იურისპრუდენცია, პროფესიონალური დიპლომატია ან ტურიზმი.

## ვერძი

რაც უფრო სწრაფად შეძლებთ ამ პერიოდში ყურადღების კონცენტრირებას, მით უკეთეს შედეგებს მიიღებთ უახლოეს მომავალში. არ ვარგა ახალი კავშირების დამყარება. პირად ურთიერთობებში ახალი რომანი ხანმოკლე აღმოჩნდება და დამატებით პრობლემებს შეგიქმნით.

## კურო

უცხოეთთან და კარიერასთან დაკავშირებულ ოცნებებს ახდენა უწერია. მიუხედავად ამისა, ჯობია, გადადოთ მოგზაურობა. ბევრ ხალხთან ურთიერთობა და ხშირი კონტაქტები დამღლელი აღმოჩნდება. ერიდეთ ექსტრემალურ სიტუაციებსა და ინტრიგებს. სახლში მშვიდი გარემო და საყვარელ ადამიანთან ჰარმონიული ურთიერთობა დამატებითი ენერგიით აგავსებთ.

## ტყუპები

გარშემო მყოფებთან გაგიჭირდებათ ურთიერთობის დამყარება. მოერიდეთ კამათს კოლეგებთან. საყვარელ ადამიანთან გამოიყენეთ დიპლომატიურობა და თავდაჯერებულობა. ეცადეთ, არ გადაიტვირთოთ საქმეებით. გადაადგილებების რაოდენობა კი, ჯობია, შეამციროთ.

## კირჩხიბი

გაიზრდება თქვენი შემოსავლები, თუმცა, პარტნიორულ ურთიერთობებში სრული თავისუფლება შეგექმნებათ. შესაძლოა, უსიამოვნებების მიზეზი გახდეს საბუთებში დაშვებული შეცდომები. სასიყვარულო, საოჯახო და პირად ურთიერთობებში მოერიდეთ ინიციატივის გამოჩენას.

## ლომი

აქტიური ცხოვრება დაგეხმარებათ დასახული მიზნების მიღწევაში. კარგი დროა ადრე დაწყებული საქმეების დასასრულებლად. მოქმედებისას დაიხმარეთ თანამოაზრეები. საყვარელ ადამიანთან დაძაბული ურთიერთობის შემთხვევაში, დროულად წადით დათმობაზე. ასევე, მოერიდეთ მოგზაურობას.

## ქალწული

ყველა დაწყებული საქმე დროულად უნდა დაასრულოთ. სასიყვარულო ურთიერთობებზე დახარჯული ძალისხმევაც დიდ სიამოვნებას გპირდებათ. მოერიდეთ უცნობებთან კონტაქტსა და ზღვარგადასულ დროსტარებას.

## სასწორი

მოერიდეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას. ფარული სასიყვარულო კავშირი, შესაძლოა, გარშემო მყოფთა ყურადღების ცენტრში მოექცეს. შეფერხებებია მოსალოდნელი ფინანსებთან დაკავშირებით. დააკვირდით, რას შემოგთავაზებთ გარემოებები.

## ღრიანკალი

შესაძლოა, დროებითი მატერიალური პრობლემები ნერვიულობისა და ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზი გახდეს. ახალს ნურაფერს წამოიწყებთ. გაიაზრეთ სამომავლო გეგმები და მოქმედების მეთოდები. საყვარელი ადამიანის გვერდით სულიერ სიმშვიდესა და ჰარმონიას იგრძნობთ.

## მშვილდოსანი

ახალი კავშირების დასამყარებლად გამოიყენეთ თქვენი ავტორიტეტი. გადაამოწმეთ მიღებული ინფორმაცია და არ დაუჯეროთ ჭორებს – ეს განსაკუთრებით გაითვალისწინეთ სასიყვარულო ურთიერთობაში. ახალი იდეები და ინიციატივები დაგეხმარებათ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. სასიყვარულო ურთიერთობაში მოსალოდნელია უთანხმოება.

## თხის რქა

კარგი განწყობა და შინაგანი კომფორტის შეგრძნება სხვა ადამიანების ყურადღების მიპყრობაში დაგეხმარებათ. ინიციატივიანი ცხოვრება უკეთესობისკენ გიბიძგებთ. პარტნიორული ურთიერთობების მეშვეობით გაგიუმჯობესდებათ ფინანსური მდგომარეობა. მეტი დაკვირვებით იყავით საყვარელ ადამიანთან.

## მერწყული

გაგიჭირდებათ ჩვეულ ტემპში მოქმედება. საყვარელ ადამიანთან ურთიერთგაგების რღვევამ, შესაძლოა, ნერვულ აშლილობამდე მიგიყვანოთ. ეცადეთ, დროებით არაფერი შეცვალოთ. ჯობია, დრო დასვენებისთვისაც გამონახოთ. გარემოება გაიძულებთ არჩევნის გაკეთებას ცხოვრებისეულ, სამსახურებრივ და პროფესიულ სფეროებში.

## თევზები

გარემოებები სრულიად შეცვლის თქვენი ცხოვრების წესს და, მოგიწევთ, დროის გარკვეულ მონაკვეთში განმარტოვდეთ. დაეყრდენით ინტუიციას. ბედი გაგიღიმებთ ფარულ, სასიყვარულო ურთიერთობებში. ხანმოკლე მოგზაურობა ხელს შეუწყობს ახალი კავშირების დამყარებას.

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 20 იანვარი, 13:20 სთ.**

### ორშაბათი
### გეომაგნიტური დღე

მაღალია ილუზიების ალბათობა. ეცადეთ, არ მოსწყდეთ რეალობას. ატარეთ წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი, ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, ძოწი, წითელი იასპი ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან, დიდია მათი ახდენის ალბათობა. მოერიდეთ თმის შეჭრას, კანონის დარღვევას, სასიყვარულო კავშირებს, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებას. კარგია მოგზაურობა, ხელმძღვანელებთან კონტაქტი. სუსტდება თავი, სისხლძარღვები, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### სამშაბათი

მოიმატებს სიზარმაცე, გაღიზიანება, შეცდომების დაშვების ალბათობა. მეტი დრო დაჰყავით სახლში. აკონტროლეთ ემოციები და აზრები. არ ვარგა სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარება, საფინანსო ოპერაციები, კაპიტალდაბანდება, თმის შეჭრა, სასიყვარულო კონტაქტები. ატარეთ წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ცისფერი, ლიმონისფერი, მწვანე ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, ძოწი, წითელი იასპი, აქატი, მალაქიტი ან ზურმუხტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ გარისკოთ და ნუ მიიღებთ სულსწრაფ გადაწყვეტილებებს. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### ოთხშაბათი

კარგია გეგმების დასახვა, პატიება, სასიყვარულო კავშირები, ახალი ნაცნობობა. ატარეთ მწვანე, ლიმონისფერი, ყავისფერი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ზურმუხტი, ონიქსი ან ქრიზოლითი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სარისკო მოქმედებებსა და სულსწრაფ გადაწყვეტილებებს. კარგია გართობა, მოგზაურობა, ვაჭრობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტური დღე

რაც მეტ სიხარულს, ბედნიერებასა და პოზიტივს გასცემთ, მით მეტი დაგიბრუნდებათ. იყავით მხიარული და მეტი დრო გაატარეთ მეგობრების წრეში. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, მწვანე, ლურჯი, ცისფერი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ზურმუხტი, მარგალიტი ან ამეთვისტო. დაიმახსოვრეთ სიზმარი და ნუ მოუყვებით სხვებს. მეტი დრო დაყავით საყვარელი ადამიანების გვერდით. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, ფილტვები, ბრონქები.

***პოზიტიური დღეა: თევზებისთვის, ქალწულებისთვის, კუროებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მორიელებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

ამ დღეს, შესაძლოა, ერთმა შეხვედრამ რადიკალურად შეცვალოს თქვენი ცხოვრება. ნუ დაარღვევთ წესებს. ატარეთ ოქროსფერი, იასამნისფერი, ნაცრისფერი, კრემისფერი, ნარინჯისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, სარდიონი, ჟადეიტი, ამაზონიტი ან ობსიდიანი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. აკონტროლეთ სიტყვები. კარგია კონტაქტები, ახლობლებთან ერთად გართობა და დროსტარება. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, ხელები, მხრები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

### შაბათი

ამ დღეს იყავით მეტად ყურადღებით, რადგან მაღალია ტრავმების, ავარიების, ინტრიგების, მოტყუების, დანაკარგების ალბათობა. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეს. იყავით მეტად მხიარული და იუმორით სავსე. ატარეთ ოქროსფერი, ვერცხლისფერი, ნარინჯისფერი, ჩალისფერი, ცისფერი ან იასამნისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, იასპი, აკვამარინი, ჰელიოტროპი ან ლაბრადორი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ თმის შეჭრას. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, ხელები, მხრები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღე

მზად იყავით სიურპრიზებისთვის. კარგია სასიყვარულო კავშირები. მოერიდეთ ადგილსამყოფლის შეცვლას, ვალის აღებას, დაპირებების გაცემას. ატარეთ თეთრი, ვერცხლისფერი, იისფერი, მწვანე, ცისფერი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, აქატი, ყვითელი იასპი ან მარჯანი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია შოპინგები, ვაჭრობა, ტრადიციების დაცვა, მეგობრებთან ურთიერთობა. სუსტდება კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# ხომ არ სუქდებით?!

*გულახდილად უპასუხეთ ამ ტესტის შეკითხვებს. სიმსუქნე სერიოზული პრობლემაა. ნახეთ, ხომ არ მიეკუთვნებით რისკის ჯგუფს.*

**1. თქვენს ოჯახში ვინმეს ჰქონია ჭარბი წონა?**

ა) არა;

ბ) შორეულ ნათესავს – კი;

გ) დიახ (დედას, ბებიას, მამას, მამიდას... ასე შემდეგ).

**2. ენდოკრინული სისტემის პრობლემა ხომ არ გაქვთ?**

ა) არა;

ბ) დიახ. პერიოდულად გავდივარ მკურნალობის კურსს;

გ) შეიძლება, მაქვს. არ ვიცი.

**3. რა მეთოდს იყენებთ ჭარბი წონის თავიდან ასაცილებლად?**

ა) ზოგჯერ ავიწონები ხოლმე;



ბ) არ ვჭამ ტკბილეულსა და ცომეულს;

გ) კალორიებს ვითვლი.

**4. როგორ იკვებებით?**

ა) დილით და საღამოს ვსვამ ყავას, საღამოს კარგად ვვახშმობ;

ბ) საუზმეზე – ჩაი, მერე სადილი და ვახშამი;

გ) ჩვეულებრივად, ცოტა მსუბუქად.

**5. ხორცთან ერთად რას მიირთმევთ?**

ა) კარტოფილ ფრის ან შემწვარ კარტოფილს;

ბ) მაკარონს;

გ) ჩაშუშულ ბოსტნეულს.

**6. რა დამოკიდებულება გაქვთ ფასტ-ფუდთან?**

ა) კვირაში ორჯერ მიწევს ასე კვება;

ბ) თვეში ერთხელ შეიძლება, მივირთვა;

გ) არ ვეკარები საერთოდ.

**7. რას სვამთ უფრო ხშირად?**

ა) გაზიან ლიმონათებს;

ბ) ყავას, რძეს;

გ) მინერალურ წყალს, ნატურალურ წვენებს.

**8. რა დამოკიდებულება გაქვთ სპირტიან სასმელებთან?**

ა) რეგულარულად მივირთმევ კოქტეილებს;

ბ) ვერიდები;

გ) იშვიათად ცოტას ვსვამ.

**ნახეთ შედეგები:**

*პასუხების უმრავლესობაა „ა“: არ უნდა გეშინოდეთ იმის, რომ ძალიან გასუქდებით. ეს საფრთხე თქვენ არ გემუქრებათ. იცით, როგორ იკვებოთ სწორად. შეგიძლიათ, ზოგჯერ ისიამოვნოთ საკვებით.*

*პასუხების უმრავლესობაა „ბ“: სიმსუქნის ზღვარზე ხართ, სასწრაფოდ შეცვალეთ კვების რეჟიმი და მეტი აქტიურობაა საჭირო. თქვენც ხომ ხვდებით, რომ საქმე არც ისე კარგად არის.*

*პასუხების უმრავლესობაა „გ“: თუ ჯერ კიდევ არ ხართ მსუქანი, ეს სასწაულია. მიხედეთ თქვენს წონას. მალე ექიმი-დიეტოლოგი დაგჭირდებათ.*

# რა მოხდა ამ დღეს

**29 დეკემბერი**

1845 – ტეხასი, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მისი დაპყრობის შემდეგ, გახდა ამერიკის 28-ე შტატი.

1941 – ლონდონის დიდი დაბომბვა გერმანული ავიაციის მიერ.

1963 – გაზეთ „სანდი თაიმსის“ ჟურნალისტმა რიჩარდ ბაკლმა ჯონ ლენონსა და პოლ მაკარტნის უწოდა „უდიდესი კომპოზიტორები ბეთჰოვენის შემდეგ“.

**30 დეკემბერი**

1887 – ინგლისელმა ქალბატონებმა დედოფალ ვიქტორიას მიმართეს ოფიციალური პეტიციით – დაეკეტათ კვირაობით ყველა ბორდელი. პეტიციას ხელს აწერდა 900 000-ზე მეტი ქალი.

1927 – პირველად მიიღეს სითნეზური კაუჩუკი საწარმოო მასშტაბებით.

**31 დეკემბერი**

1857 – ქალაქი ოტავა გახდა კანადის დედაქალაქი.

1865 – ლონდონში შემოიღეს გადასახადი ფანჯრებზე და რეაქცია სავსებით მოსალოდნელი იყო: მოსახლეობამ ფანჯრების უმრავლესობა ამოქოლა.

1935 – ჩარლ დაროუმ დააპატენტა ეკონომიკური თამაში „მონოპოლია“.

1999 – ბორის ელცინი გადადგა რუსეთის პრეზიდენტის პოსტიდან.

**1 იანვარი**

ძველი წელთაღრიცხვით 46 – გაიუს იულიუს კეისრის რეფორმით, რომაელებმა ახალი წლის დაწყების აღნიშვნა 1 იანვარს დაიწყეს.

1800 – დიდმა ბრიტანეთმა გააუქმა ირლანდიის ავტონომია.

1801 – იტალიელმა ასტრონომმა პალერმო პიაციმ აღმოაჩინა ყველაზე დიდი ასტეროიდი – ცერერა.

1881 – ცნობილი მოთხრობის მიხედვით, ამ დღეს ექიმმა ჯონ უოტსონმა გაიცნო კერძო დეტექტივი – შერლოკ ჰოლმსი.

1925 – ნორვეგიის დედაქალაქს გადაერქვა სახელი – ქრისტიანიის ნაცვლად ეწოდა ოსლო.

**2 იანვარი**

1769 – გაიხსნა ლონდონის სამხატვრო აკადემია, რომლის პირველი რექტორი გახდა გამოჩენილი მხატვარი ჯოშუა რეინოლდსი.

1839 – ლუი დაგერმა გადაიღო მთვარის პირველი ფოტოსურათი.

1944 – ვერტმფრენების პირველი საბრძოლო გამოყენება.

**3 იანვარი**

1803 – ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვერმონტში, გარდაიცვალა ვინმე ჯონ ბარნსი, რომლის ქვრივმაც საფლავის ქვაზე ასეთი წარწერა გაუკეთა: „ჩემი ქმრის ხსოვნას – მისი სიცოცხლით სავსე, მშვენიერი 23 წლის უნუგეშო ქვრივისგან, რომელსაც აქვს მოზრდილი სახლი და კარგი დიასახლისის ყველა თვისება“.

1882 – ამერიკაში ჩასულმა ოსკარ უაილდმა, მებაჟის მოთხოვნას, წარმოედგინა დოკუმენტები და ბარგი, უპასუხა: „მე არაფერი გამაჩნია, გარდა გენიისა!“

1888 – ვაშინგტონელმა სტოუნმა დააპატენტა წვენებისა და კოქტეილების დასალევი მილაკი.

1962 – რომის პაპმა ანათემას გადასცა ფიდელ კასტრო.

**4 იანვარი**

1493 – ამერიკის აღმომჩენი, დარწმუნებული იმაში, რომ აღმოაჩინა აზია, გაუდგა უკანა გზას ესპანეთისკენ.

1896 – იუტა, მას შემდეგ, რაც იქ მცხოვრებმა მორმონებმა უარი თქვეს მრავალცოლიანობაზე, ოფიციალურად გახდა ამერიკის 45-ე შტატი.

1943 – ამერიკულმა ჟურნალმა „თაიმმა“ წლის ადამიანად იოსებ სტალინი დაასახელა.

1961 – კოპენჰაგენში დასრულდა მსოფლიოში ყველაზე უფრო ხანგრძლივი გაფიცვა: ადგილობრივი პარიკმახერები გაფიცულები იყვნენ 1928 წლიდან.

# როცა ქალს უყვარს...

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №27-51(730)**

ანას ჩვეულებრივზე გვიან გაეღვიძა. მთელი ღამე წრიალებდა, მხოლოდ გამთენიისას ჩაეძინა და როცა თვალები გაახილა, სახლში გამეფებულმა უჩვეულო სიჩუმემ შეაშფოთა. სწრაფად წამოდგა, სავარძლიდან ხალათი აიღო და ატლასის პერანგზე შემოიცვა... ვერ მიხვდა, რა აშფოთებდა. ჩვეულებას უღალატა – პირდაპირ სააბაზანოში არ შესულა; ისევე, როგორც იყო – პირდაუბანელი და თმადაუვარცხნელი, სასტუმრო ოთახში გავიდა. დევიდი ფანჯარასთან იდგა და სიგარეტს ეწეოდა ჩაფიქრებული გამომეტყველებით. შუბლზე გაჩენილი ორი ღრმა ნაოჭი გასცემდა მის შინაგან მდგომარეობას...



– დევიდ, რა მოხდა? საავადმყოფოში რატომ არ ხარ? დევიდ?! სიგარეტს ეწევი? შემომხედე... რომელიმე პაციენტს შეექმნა პრობლემა.

კაცი შემობრუნდა და ცოლს დამნაშავესავით შეხედა... სიგარეტის ნამწვი საფერფლეზე დასრისა, ქალთან მივიდა, ორივე ხელი დაუჭირა და თვალებში ჩახედა:

– ანა, მომისმინე... პირობა მომეცი, რომ მშვიდად შეხვდები იმ ამბავს, რასაც ახლა გეტყვი... სხვაგვარად მოქცევა არ შემეძლო... ძალიან მთხოვა.

ქალს გული უსიამოვნოდ შეუქანდა:

– დიანა... სად არის? დევიდ, მითხარი, სად არის დიანა... თუ ეს ის არის, რასაც ვეჭვობ, გული გამისკდება, იცოდე!..

– არა, გული არ გაგისკდება, დაჯდები და ძალიან მშვიდად მომისმენ... ჩვენ ვერაფერს შევცვლიდით, ვერც მე და ვერც შენ. დიანა ზრდასრული ადამიანია და მან თავად მიიღო გადაწყვეტილება.

– რა გადაწყვეტილება, რას ამბობ? – ანა გაფითრდა და მთელი სხეულით აკანკალდა.

– აეროპორტიდან მოვედი... გაემგზავრა.

– რა?! ამით რისი თქმა გინდა?! დევიდ, შეიშალე? სად წავიდა ბავშვი, ისევ ირლანდიაში გაუშვი?

– არა... ანა, შეეცადე, გამიგო და იმასაც გაუგო... ეს მისი არჩევანია და მისი უფლება.

– რა არის მისი უფლება, დევიდ, თავი რომ დაიღუპოს? შენ მას ამის საშუალება მიეცი? არ მითხრა, რომ იქ გაემგზავრა... – ანას ხმა ჩაუწყდა და უღონოდ მიესვენა სავარძელზე. დევიდი გაიქცა და წყალი მოიტანა.

– ანა, გემუდარები, თავი ხელში აიყვანე...

– დევიდ, როგორ გააკეთე ეს, რატომ დალუპე ბავშვი? ის ერთადერთია, ვინც ამქვეყნად დამრჩა და შენ ყველაზე კარგად იცი ამის შესახებ.

– ეგ არ ნიშნავს იმას, რომ შენს საკუთრებად აქციო. ანა, რატომ არ გინდა გაიგო, რაზე გელაპარაკები?

– ჰო?! შენ რატომ არ გაიგე ჩემი? რომ წარმოვიდგენ დიანას იმ საშინელ ქვეყანაში, მარტოს, შიშის ჟრუანტელი მივლის. მორჩა, სალაპარაკო აღარაფერია, ვიღებ ბილეთს და მივფრინავ. არ მაინტერესებს, შენ გამომყვები თუ არა. ხოლო იმაზე, ჩემ წინააღმდეგ შეთქმულება რომ მოაწყვეთ, ყველაფერი როცა ჩაივლის, მერე დაგელაპარაკებით ორივეს.

– რა მეთქვა დეასთვის, შენი მშობლების საფლავზე არ წახვიდე-მეთქი?

ანა გველნაკბენივით შეხტა:

– რა? ღმერთო, რა საფლავი, სულ გაგიჟდი? მარტომ რა უნდა ქნას? დევიდ, ვერ ხვდები, რამხელა ხიფათში შეიძლება გაეხვიოს? საერთოდ არ ფიქრობ ამაზე?

– ვიფიქრე, ანა, ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ვერ დავუშლიდი. თუ ახლა არ გააკეთებს ამას, მთელი ცხოვრება დაიტანჯება და უფრო მეტი პრობლემაც შეექმნება, რატომ არ გესმის?

– შენ რატომ არ გესმის, რომ საფლავები ჩემზე, ცოცხალ ადამიანზე წინ დააყენე... სამი წლის იყო, ჩემი საცოდავი დის კუბოზე ჩაფრენილი რომ ავიყვანე და წამოვიყვანე... იცი, მაშინ რას განვიცდიდი? იცი?.. მეც მოვკვდი ჩემს დასთან ერთად და მხოლოდ დიანას გამო გავცოცხლდი...

– ვიცი... – ჩამწყდარი ხმით ჩაილაპარაკა კაცმა.

– არ იცი, არა! – ისტერიულად იყვირა ქალმა... – გვანცა ჩემი ტყუპისცალი იყო... ჩემი მეორე ნახევარი... იგივე მე! – მორჩა, ახლავე მივდივარ.

– სად მიდიხარ?

– იქ, სადაც ჩემი შვილია... უფლებას ვერ მივცემ, თავი დაიღუპოს. ისე, ყველაფერი შენი ბრალია – რატომ უთხარი სიმართლე? ვცხოვრობდით მშვიდად და ბედნიერები ვიყავით.

– მშვიდად და ბედნიერად ტყუილში ვერ იცხოვრებ, ანა...

– საკმარისია... სანამ მე არ მეხებოდა, ვიტანდი შენს ახირებულ იდეებსა და თეორიებს... მაგრამ, ვატყობ, შენთვის ეს თეორიები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკუთარი ოჯახის ბედნიერება.

– რატომ ამბობ ამას? დიანა ჩემი შვილიც არის... როცა ვიხსენებ, პირველად როგორ მომხვია კისერზე თავისი ვარდისფერი, ბუნჩულა ხელები და ჩემს მკერდზე ჩაეძინა, სუნთქვა მეკვრება და პულსი მიჩქარდება.

– მით უმეტეს, უნდა გესმოდეს ჩემი... წამომყვები?

– იქნებ, ერთი-ორი დღე ვაცალოთ... თანაც, ხომ დაიფიცე, რომ იქ აღარასოდეს დაბრუნდებოდი?

– შენ მაიძულე, ეგ ფიცი გამეტეხა. ბილეთები შეუკვეთე, პირველივე რეისით მივდივართ... მარტო მე ვიცი, რად მიღირს იმ ქალაქში დაბრუნება, სადაც არა მარტო ადამიანები, სახლებიც კი მძულს.

– შეცდომას ვუშვებთ.. არც კი იცი, რომ ჩახვალ, დიანა სად უნდა ეძებო.

– ვიპოვი როგორმე. არა, შენ იპოვი, შენი ბრალია, რომ ჩემი შვილი ახლა ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაშია. არაფრის მოსმენა აღარ მინდა! ან ამ წუთშივე რეკავ და ბილეთებს უკვეთავ, ან მარტო გავემგზავრები...

დევიდმა ამოიოხრა და ტელეფონის ყურმილს მოჰკიდა ხელი...

***

კოტე მოუსვენრად ცქმუტავდა. რამდენჯერმე გაიქცა სუპერმარკეტში და ათასგვარი სასმელ-საჭმელი მოზიდა... მერე გაახსენდა, რომ ყვავილებიც აუცილებელი იყო და ლამის მთელი მაღაზია გამოაცარიელა... ცალკე სანთლები და ბროლის შანდლები შეიძინა... ეს ყველაფერი მისთვის ძალიან უცხო იყო. სხვას, ალბათ, ძალიან დასცინებდა, მაგრამ, მასში ერთბაშად გაიღვიძა სხვა ადამიანმა. დამლაგებელი მოიყვანა, სახლი დაალაგებინა და თან წამდაუწუმ საათზე იყურებოდა... ერთი პირობა, იფიქრა, მობილურიც ხომ არ გამოვრთო, რომ ლენუკამ ან ვინმემ არ შემაწუხოსო, მაგრამ, მერე გადაიფიქრა – ხომ შეიძლებოდა, დეას საიდანმე დაერეკა?! სააბაზანოში შევიდა და სარკეში ჩაიხედა... საკუთარი თავი ვერ იცნო: თვალები ახალგაზრდულად უბრწყინავდა... ერთიანად ანთებულს, ყველაფერზე ეტყობოდა ენით უთქმელი ბედნიერება... დეამ რომ უთხრა, ჩამოვდივარ და დამხვდიო, ეგონა, მეხი დაეცემოდა. მუხლებში ისეთი სისუსტე იგრძნო, შეეშინდა, არ წაქცეულიყო და კედელს მიეყრდნო... მიუხედავად იმისა, რომ არაფერი იმაზე მეტად არ უნდოდა, ვიდრე დეას ჩამოსვლა, მაინც ვერ დაიჯერა მასთან ერთად ყოფნის შესაძლებლობა...

აეროპორტში წასვლამდე ორი საათი რჩებოდა. ოთახში ბოლთისცემას მოჰყვა. ტელევიზორი ჩართო, მერე გამორთო. გულს ვერაფერს უდებდა. გადაწყვიტა, წასულიყო და აეროპორტში მოეცადა – კაფეში დავჯდები, ყავას დავლევ, სიგარეტს მოვწევ და დროც გავაო... მობილურის ზარმა ზღურბლზე მოუსწრო. ხმა ეცნო, მაგრამ, ძალიანაც არ უზრუნია, გამოეცნო, ვინ ურეკავდა.

– რა გნებავთ? სწრაფად მითხარით! დრო ცოტა მაქვს! – ჩასძახა უხეშად.

– თიკო ვარ, – ხმა გაინაზა ქალმა, – კოტე, შენ ალბათ, ძალიან ხარ ჩემზე გაბრაზებული, მაგრამ, რა ვქნა, შევუყვარდი... მეც რალაცნაირად შემიყვარდა.

– რა გინდა, თიკო? – გაღიზიანდა კოტე, – გათხოვდი, ხო? ჰოდა, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს შენი ქმარი, მე რატომ დამირეკე?

– ესე იგი, მაინც ბრაზობ. რა მექნა, როგორ მოვქცეულიყავი, შენი საყვარელი ხომ ვერ ვიქნებოდი ცხოვრების ბოლომდე? ლენუკაც გაიგებდა ადრე თუ გვიან, – აწუწუნდა თიკო.

– ლენუკამ უკვე იცის, შეგიძლია, მაგაზე აღარ იჯავრო. და, ისედაც, შემეშვი, რა, საერთოდ არ მაინტერესებს შენი ცხოვრება! –

უთხრა კოტემ და მობილური გათიშა...

თიკო ხელში შერჩენილ ტელეფონს დააშტერდა გაოგნებული. არ იცოდა, სწყენოდა თუ გახარებოდა კოტეს საქციელი.

– რა მოხდა, ვის ურეკავდი? – ჰკითხა სააბაზანოდან თმის მშრალებით გამოსულმა კაცმა. მიუახლოვდა, დაიხარა და კისერზე აკოცა.

– რა? არავინ, უფრო სწორად – არავის... აბა, რას ვაკეთებთ დღეს?

– ოო, მართლა გაინტერესებს, მე და შენ ახლა რას გავაკეთებთ? – კაცმა პირსახოცი იატაკზე მოისროლა, საწოლზე ფეხმორთხმით მჯდარ თიკოს მოეხვია და კოცნა დაუწყო..

– მოიცადე, რესტორანში წასვლას არ ვაპირებდით?

– იმას მოვასწრებთ, საყვარელო, ყველაფერს მოვასწრებთ! – შესძახა კაცმა – მთელი ცხოვრება წინ გვაქვს – ბედნიერი ცხოვრება და ბევრი ლამაზი შვილი...

თიკო აკისკისდა:

– გადარეული ხარ... ჯერ რა დროს ბევრი შვილია, ჯერ ოფიციალური ცოლიც კი არ ვარ შენი...

– ეგ არ არის პრობლემა, თბილისში ჩასვლისთანავე მოვაწერთ ხელს და, თუ შენ გინდა, ჯვარსაც დავიწერთ...

– ვიფიქრებ მაგაზე, – თვალები მოჭუტა თიკომ, – ქორწილიც გვექნება?

– თუკი გინდა... – ხომ იცი, შენს ხელთ ვარ. მზად ვარ, შენი ყველა სურვილი შევასრულო.

– რა კარგია! სულ ასე იქნება?

– ანუ?.. – ჩაეკითხა კაცი.

– ანუ, ყოველთვის შეასრულებ ჩემს ყველა სურვილს?

– რა თქმა უნდა! გინდა, საქორწილო კაბა აქვე შევარჩიოთ და ვიყიდოთ? მეჯვარე, ალბად, ლენუკა იქნება, – გაიღიმა ბეჟანმა, – რა უცნაურ სიურპრიზებს გვთავაზობს ცხოვრება...

ლენუკას ხსენებაზე თიკოს პირი გაუშრა. კოტეს სიტყვები გაახსენდა, ლენუკამ უკვე იცისო და შეაჟრჟოლა. იმის წარმოდგენაც არ უნდოდა, რა შეიძლებოდა ჩაედინა გადარეულ ლენუკას.

– ჯერ არ დავბრუნდეთ თბილისში, კარგი? – შეეხვეწა კაცს და მკერდზე მიეკრა.

– კარგი, მაგრამ, იმედია, რომში სამუდამოდ დარჩენას არ მომთხოვ, – გაიცინა ბეჟანმა.

– ჰო, თუმცა, პარიზშიც უნდა წამიყვანო.

– აქედანვე?

– რატომაც არა, შენთვის ხომ შეუძლებელი არაფერია?! – გაეპრანჭა თიკო.

– შეუძლებელი ცოლობაზე შენი დათანხმება მეგონა, მაგრამ, რადგან ეს მოვახერხე, ესე იგი, ყველაფერი გამომივა...

***

კოტე ენაჩავარდნილი იდგა და ისე მისჩერებოდა დეას, ნელი ნაბიჯით რომ მიდიოდა მისკენ... ეგონა, კიდევ ცოტა და, გული აუცილებლად გამისკდებაო.

– არ მჯერა, აქ რომ ხარ, ჩემთან... ვერც ვინატრებდი, რომ ჩამოხვიდოდი.

– რატომ? ხომ გითხარი, ყოველთვის ისე ვიქცევი, როგორც მინდა-მეთქი?

– ესე იგი, ჩემთან გინდოდა ყოფნა?

დიანამ თვალები მოჭუტა და უცებ ძალიან მაცდური, საშიში მზერა გაუხდა:

– ვნახოთ, ჯერ წინასწარ ვერაფერს გეტყვი.

– დიდი ხნით ჩამოხვედი?

– ხომ გითხარი, ჯერ არ ვიცი-მეთქი. ვნახოთ! სად მიგყავარ?

– მანქანაში ჩავსხდეთ, იქ გეტყვი, – ამოიხვნეშა კაცმა.

დეამ გაიცინა:

– ანუ, სასტუმრო ჯერ არ შემირჩიე?



– სასტუმროს დაჯავშნა და ნომრის აღება რთული არ არის, მაგრამ, იცი, რა ვიფიქრე? შეიძლებოდა, ჩემი გემოვნებით შერჩეული არ მოგწონებოდა. ჯერ ჩემთან ავიდეთ – დაისვენებ, მოწესრიგდები... თან, რაღაც-რაღაცეები მოვამზადე... მერე კი წავიდეთ და, რომელი სასტუმროც მოგეწონება, იქ დაგაბინავებ. მარტო ვცხოვრობ, საკმაოდ დიდი, კომფორტული ბინაა.

– პირდაპირ რატომ არ მეუბნები, რომ ჩემთან ყოფნა გინდა? – გაეღიმა დიანას.

კოტე გაფითრდა და მღელვარებისგან ხელები გაუოფლიანდა.

– ესე იგი, შემიძლია, ყველაფერი ვთქვა, რასაც ვფიქრობ და განვიცდი?

– ჰო, – უბრალოდ მიუგო გოგომ, – ასე გაცილებით მარტივია.

კოტემ დააპირა ეთქვა, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარო, მაგრამ, ენა დაება და მხოლოდ ეს თქვა.

– არ შემიძლია, მოგვიანებით გეტყვი. წავიდეთ?

– წავიდეთ, – მხრები აიჩეჩა დეამ, – თუმცა, რატომღაც, უფრო გამბედავი მეგონა კაცი, რომელმაც ლონდონში დამირეკა და მთხოვა, მასთან ჩამოვსულიყავი. შევცდი.

დეიკო პირდაპირ თვალებში ჩააშტერდა... კოტემ ველარ გაუძლო ცდუნებას, გოგოს ორივე ხელი წელზე მოხვია და მკერდზე მიიკრა, მერე კი მის გაბუტულ, ვარდისფერ ტუჩებს დაეკონა...

***

ლინა უკვე წასვლას აპირებდა, როცა ბარში ტომასი და ალექსანდრე შემოვიდნენ და მისკენ გაემართნენ.

– სად ხართ აქამდე? წასვლას ვაპირებდი, – უსაყვედურა ლინამ და ტომასის გამოწვდილ ტუჩებს ლოყა შეუშვირა.

– ბილეთის ასაღებად ვიყავით. ხომ იცი, ახალი წელია მოახლოებული და ბილეთები ჭირს.

– რა ბილეთების? – ლინამ კითხვით სავსე მზერა მიაპყრო ჯერ ტომასს, მერე სანდროს.

– ალექსანდრე მიემგზავრება საქართველოში.

– მართლა? ესე იგი, უკვე იცი? – წამწამები დაახამხამა ლინამ.

ალექსანდრე დაიძაბა. ტომასი ერთბაშად ვერ ჩასწვდა გოგოს სიტყვების არსს.

– მოიცადე, რა უნდა ვიცოდე?

ლინა დაიბნა და შეცბუნებულმა მიმოიხედა გარშემო.

– არაფერი... დამავიწყდა კიდეც, რას ვამბობდი.

– არა, ეგრე არ გამოვა, – სანდრომ ხელზე სტაცა ხელი და მაგრად მოუჭირა, – ახლავე მითხარი!

– გამიშვი, მეტკინა... დიანა გაემგზავრა საქართველოში, ორი დღის წინ ველაპარაკე. მეგონა, ეს იცოდი და შენც იმიტომ გარბიხარ იქ, – სწრაფად თქვა ლინამ და შეწითლებულ თითებს სული შეუბერა, – რა გააკეთე, ლამის თითები მომამტვრიე, – უთხრა საყვედურით, მაგრამ სანდროს არც გაუგია მისი ნათქვამი.

– შეუძლებელია. კი მაგრამ, იქნებ გეხუმრა? რისთვის უნდა წასულიყო საქართველოში, არ უთქვამს?

– არა. საერთოდ, დიანას ბევრი საიდუმლო აქვს და ძალიან ცოტას ლაპარაკობს თავის გეგმებზე.

– ლინა, გეხვეწები, გონება დაძაბე და თქვენი საუბრის ყველა დეტალი გაიხსენე... იქნებ, რამე ისეთი გითხრა, რაც ჩემი კითხვის პასუხად გამოდგება? გემუდარები...

– არ ვიცი, სანდრო, მართლა არ ვიცი.

– მარტო გაემგზავრა?

– ეგეც არ ვიცი, ყველაფერს გეფიცები... მარტო ის მითხრა, მოულოდნელად მომიწია გამგზავრებაო.

– ღმერთო! არა, ეს სასწაულს ჰგავს, დაუჯერებელია! – სანდრომ თავზე იტაცა ხელები.

– ჰო, მაგრამ, შენ რატომ გადაწყვიტე წასვლა. თუკი ეს ამბავი არ იცოდი?

– დედაჩემმა მთხოვა, სასწრაფოდ ჩამოდიო. თუმცა, ახლა ამას აღარ აქვს მნიშვნელობა. უფრო სერიოზული მიზეზი მქონია საქართველოში დასაბრუნებლად.

– არ გინდა, მეც წამოვიდე? დაველაპარაკები მამაჩემს, – თანაგრძნობით შეხედა ტომასმა.

– მერე, მე მარტო შევხვდე ახალ წელს? – წყენით გაბუსხა ტუჩები ლინამ, – ჩემზე სულ არ ფიქრობ?

– ლინა, რა ეგოიზმია? სანდროს უფრო ვჭირდები, – უსაყვედურა ტომასმა, თუმცა, შეეტყო, რომ გოგოს სიტყვები ესიამოვნა.

საუბარში ალექსანდრე ჩაერია:

– მართალია ლინა, იყავით ორივე აქ. მივხედავ ჩემს თავს. იქნებ, იქ უფრო გამოვიდეს რამე.

– კი მაგრამ, როგორ იპოვი?

– თბილისი პატარა ქალაქია. ყველა სასტუმროს შემოვივლი და ვიპოვი, – ისეთი რწმენით ჩაილაპარაკა სანდრომ, რომ ტომასმა მეგობრის მიმართ პატივისცემა იგრძნო.

– იმაზე არ ფიქრობ, რა შეიძლება იყოს დიანას თბილისში გამგზავრების მიზეზი?

სანდრომ თავი გააქნია:

– არა. ჩემთვის მთავარია, რომ ის იქ არის... თვითონ ჩავიდა და, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ამჯერად მაინც აღარსად გავუშვა ჩემგან.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

კითხვა: **როგორი სინათლე და ტემპერატურაა საჭირო ლავანდისთვის?**

**პასუხი:** ლავანდას უყვარს კაშკაშა სინათლე. ის მზის მწველ სხივებსაც კი აიტანს. რაც შეეხება ტემპერატურას, მისთვის მთელი წლის განმავლობაში იდეალურია 16-18 გრადუსი, თუმცა ზამთარში მინიმუმ 2-3 გრადუსსაც აიტანს.

კითხვა: **რა სიხშირით უნდა მოვრწყა მონსტერა?**

**პასუხი:** ზაფხულობით, ზრდის პერიოდში, რეგულარულად მორწყეთ, ზამთრობით კი – პირიქით, იშვიათად. გაითვალისწინეთ, რაც უფრო მაღალია ტემპერატურა, მონსტერას მით მეტი ტენი სჭირდება, რათა ფოთლებს ბოლოები არ გაუყავისფრდეს.

კითხვა: **ვერ ვახარებ პელარგონიუმს. როგორ მოვუარო, რომ კარგად გაიხაროს?**

**პასუხი:** აუცილებლად უნდა მოაშოროთ ხოლმე დამჭკნარი ყვავილები, მიწა კი რეგულარულად გაანოყიერეთ. თუ გსურთ, რომ კომპაქტური ფორმა მიიღოს, გაზაფხულზე კარგად გაკრიჭეთ. ეს მცენარე ადვილად მრავლდება ტოტების დაფესვიანებით.

კითხვა: **ბინაში მაქვს ნემათანტუსი, რომელიც ძალიან პატარაა. რა ზომის შეიძლება გაიზარდოს?**

**პასუხი:** ნემათანტუსი მომცრო ბუჩქოვანი მცენარეა, თუმცა, მას ტოტები საკმაოდ ეზრდება და ქოთნიდან ან საკიდი კალათიდან 60 სანტიმეტრზე ან უფრო გრძლადაც გადმოეშვება ხოლმე. სიმაღლეში კი, შეიძლება, 35 სანტიმეტრს მიაღწიოს.

კითხვა: **რომელი ადგილი უყვარს ყველაზე მეტად კალამონდინს და ვნებს თუ არა მას გარეთ ყოფნა?**

**პასუხი:** თუ ზაფხულში ქარიან ადგილს მოარიდებთ, მას გარეთ ყოფნა არგებს. გაზაფხულსა და შემოდგომაზე კი, სასურველია, ღამით გარეთ არ დატოვოთ. მისთვის კარგი ადგილი ზამთრის ბაღია.

კითხვა: **როგორ პირობებში ხარობს უკეთ აკალიფა?**

**პასუხი:** აკალიფა ტენიან პირობებში ხარობს, ამიტომ, გირჩევთ, გვერდით ორი-სამი აკალიფა ან სხვა მცენარეები მიუდგათ, რათა ლოკალური ტენიანობის მაღალი დონე შეუნარჩუნოთ. სიცხეში ხშირად დაუნამეთ ფოთლები, აქტიური ზრდის პერიოდში კი ხშირად მორწყეთ. ზამთრის თვეებში მორწყვა შედარებით შეამცირეთ.

კითხვა: **რა სიხშირით უნდა მოვრწყა გრევილეა?**

**პასუხი:** აქტიური ზრდის პერიოდში გრევილეა რეგულარულად მორწყეთ რბილი წყლით. ამ დროს მიწა მუდამ ტენიანი უნდა ჰქონდეს. ზამთრობით, როცა ზრდა შენელდება, მორწყვიდან მორყვამდე მიწას შეშრობა აცადეთ. ზაფხულში ნიადაგი ორ კვირაში ერთხელ გაანოყიერეთ სპეციალური თხევადი სასუქით. ეს სწრაფად მზარდი მცენარე მჟავე ან ნეიტრალური რეაქციის მქონე მიწაში ჩარგეთ.

კითხვა: **რა ტემპერატურა და სინათლე სჭირდება პატარძალას?**

**პასუხი:** პატარძალას ანუ იმპატიენსს კაშკაშა სინათლე არ უნდა მოაკლოთ, ოღონდ, შუადღის მზეს მოარიდეთ. მას უყვარს სიგრილე, მაგრამ, ოთახის ტემპერატურაზეც ძლებს. ზამთარში მინიმუმ 13-14 გრადუსი სჭირდება. კარგი იქნება, თუ დაჩრდილულ სასტუმრო ოთახში დადგამთ.

კითხვა: **რა ზომის იზრდება ჟასმინი?**

**პასუხი:** ჟასმინი სიმაღლეში 2-3 მეტრიც იზრდება, თუმცა, შეგიძლიათ, გასხლათ და ღეროები კარკასს შემოახვიოთ. სასურველია, მცენარე გასხლათ დაყვავილების შემდეგ. დიდი მცენარე, საჭიროების შემთხვევაში გადაჭრასაც იტანს. შეგიძლიათ, ის საკიდი კალათიდანაც გადმოუშვათ და ნაკლებად დაიკავებს დიდ ტერიტორიას.

**მოამზადა
თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ

კითხვა: **გთხოვთ, განმიმარტოთ, იძულებითი ქორწინების შემთხვევაში, აქვს თუ არა უფლება იძულებით დაქორწინებულ ერთ-ერთ მეუღლეს, მოითხოვოს განქორწინება?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ იძულების შედეგად მომხდარი დაქორწინების შემთხვევაში მეუღლეს შეუძლია აღძრას სარჩელი არათუ განქორწინების, არამედ ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ. ამასთან იძულებით დაქორწინების ფაქტი უნდა დაადგინოს სასამართლომ.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, აქვთ თუ არა განქორწინებულ მეუღლეებს ხელახლა დაქორწინების უფლება?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ განქორწინებულ მეუღლეებს უფლება აქვთ, ხელახლა დაქორწინდნენ.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, აქვთ თუ არა საქართველოში მეუღლეებს უფლება, დადონ საქორწინო ხელშეკრულება და, თუ აქვთ, როდის უნდა მოხდეს მისი დადება – ქორწინებამდე თუ ქორწინების შემდეგ?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ მეუღლეებს შეუძლიათ, დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას. რაც შეეხება დროს, საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე მისი რეგისტრაციის შემდეგ, ნებისმიერ დროს. ამასთან, საქორწინო ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ქორწინების რეგისტრაციამდე, ძალაში შედის ქორწინების რეგისტრაციიდან.

კითხვა: **გთხოვთ, განმიმარტოთ, შესაძლებელია თუ არა ერთ-ერთი მეუღლის პირადი ვალის დაფარვა მოხდეს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონებიდან?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ ერთ-ერთი მეუღლის ვალის დასაფარავად გადახდევინება შეიძლება მოხდეს მისი ქონებიდან ან თანასაკუთრებაში მისი წილიდან, რომელსაც იგი მიიღებდა ქონების გაყოფის შემთხვევაში. აღნიშნული ვალების გამო მეუღლეთა საერთო ქონებიდან გადახდევინება შეიძლება მაშინ, თუ სასამართლო დაადგენს, რომ, რაც ვალდებულებით იყო მიღებული, გამოყენებულია მთელი ოჯახის საერთო ინტერესებისთვის.



რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*

**ანატოლ ფრანსი**

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, ერთ-ერთი მეუღლის მიერ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, შესაძლებელია თუ არა დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოხდეს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული საერთო ქონებიდან?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ ერთ-ერთი მეუღლის დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას მეუღლეთა თანასაკუთრებიდან გადახდევინება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუკი განაჩენით დადგინდება, რომ ეს ქონება შეძენილია დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული სახსრებით.

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

**კითხვა: მყავს ავტომობილი „აუდი A4“, ამერიკული ვერსია. საწვავის ავზის სახურავს რომ ვხსნი, იქიდან საკმაოდ დიდი რაოდენობისა და წნევის ბენზინის ანაორთქლი ამოდის. საშიშია თუ არა ეს და როგორ მოვიქცე?**

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> მიხაილ შუმახერი

**პასუხი**: საშიში არაფერია, მაქსიმუმ, დაზიანებული იქნება ბენზინის ავზის საჰაერო სარქველი. ხშირად, ეს სარქველი სპეციალურად, გარკვეული წნევის შესაკავებლად არის დარეგულირებული და, თქვენს შემთხვევაშიც, სავარაუდოდ, სწორედ ასეთი გამშვები სარქველით აღჭურვილ ავტომობილზე გვაქვს საუბარი. თუ მოძრაობისას რამე პრობლემებს არ გრძნობთ, მაგალითად, ბენზინის გადამეტებულ წვას და სხვა მსგავს გაუმართაობებს, ნუ ინერვიულებთ, ყველაფერი რიგზეა.

**კითხვა: მყავს 1994 წლის „ფორდ-მონდეო“, რომელსაც დილით დაქოქვა უჭირს, მაგრამ, შემდეგ, მთელი დღის განმავლობაში კარგად დადის და პრობლემას არ მიქმნის. აკუმულატორი წესრიგშია, ანუ, ეს პრობლემა მისი ბრალი არ არის. რის გამო შეიძლება ხდებოდეს ასე?**

**პასუხი**: რამდენიმე პრობლემა შეიძლება არსებობდეს: პირველი – ეს შეიძლება იყოს, ეგრეთ წოდებული, „ვსპრისკის“ ბრალი, რომელიც, ან გამოსაცვლელი იქნება, ან, მხოლოდ გაწმენდა ეყოფა; მეორე – შესაძლოა, ეს იყოს ფეთქების სანთლების, ეგრეთ წოდებული „სვეჩების“ ბრალი. ასევე, შეიძლება, გამოსაცვლელი იყოს „ბენზონასოსი“. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი ავტომობილი დიზელის საწვავით მუშაობს, შესაცვლელი იქნება სპირალი. ამის გასარკვევად უნდა მიმართოთ ავტომობილის ელექტროგაყვანილობის ხელოსანს.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ჰონდა-სივიკი“, 160-ცხენისძალიანი, ორვალიანი „ვიტეკის“ ძრავით. შევამჩნიე, რომ მას აშკარად დააკლდა სიჩქარე. გაზის პედლის ბოლომდე დაჭერის შემდეგ ის უფრო ღმუის, ვიდრე მიდის. მითხრეს, რომ მიზეზი „ბენზონასოსის“ წნევის ბრალი იქნებაო; შევცვალე, მაგრამ, არ უშველა. გადამოწმებისთვის მთლიანად შევცვალე ელექტროსისტემა, „ტრამლიორი“, „ბაბინა“, „კომეტატორი“, ნაწილები, მაგრამ, ამანაც არ იმოქმედა. რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

**პასუხი**: სავარაუდოდ, თქვენი ავტომობილის საწვავის ჩამფრქვევ სისტემაში, ეგრეთ წოდებულ „ინჟექტორებში,“ საჭირო წნევა არ რჩება. ამას აკონტროლებს საწვავის უკან, ავზში დამაბრუნებელი სარქველი, ეგრეთ წოდებული „აბრატნი კლაპანი“. ამის გადამოწმება ძალიან მარტივია: დაქოქილ ავტომობილზე სარქველი გაზის „ტროსის“ მოქაჩვით ავტომობილს რამდენჯერმე მიეცით ძრავის მაღალი ბრუნი. დაიმახსოვრეთ, რამდენად ჯანსაღად და სწრაფად განავითარა მან ბრუნები, ხოლო შემდეგ, ბრტყელტუჩას მეშვეობით, გადაკეტეთ მილი, რომლის საშუალებითაც საწვავი უკან ავზში მიედინება (ის, უშუალოდ, ეგრეთ წოდებული „აბრატნი კლაპანიდან“ გამოდის). ამის შემდეგ გაზის ტროსის სწრაფი მოქაჩვით, იმავე რიტმში მოსინჯეთ ძრავის ბრუნის განვითარება. თუკი ძრავამ ბევრად სხარტად და ჯანსაღად დაიწყო მაღალი ბრუნვების აკრეფა, ესე იგი, ჩვენი სავარაუდო დიაგნოზი სწორია და თქვენ მხოლოდ ამ პატარა დეტალის შეცვლა მოგიწევთ. ის „ჰონდას“ ყველა მოდელს ერთნაირი აქვს და არც ისე ძვირი ღირს.

> **ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**
> ** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
> ** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
> ** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
> ** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
> *გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი

**კითხვა: დაახლოებით რამდენ ხანს გრძელდება ძაღლის ორსულობა?**

**პასუხი:** ძაღლები მშობიარობენ ძირითადად 58-დან 63 დღემდე შუალედში; დიდი ნაყარი ჩნდება ადრე, პატარა კი – შედარებით გვიან. პატარა ჯიშის ძუ ძაღლები მშობიარობენ 2-3 დღით ადრე. სწორ ნაწლავში სხეულის ნორმალური ტემპერატურა საშუალოდ 38,5 გრადუსია, ხოლო მშობიარობამდე 2 დღით ადრე სხეულის ტემპერატურა ეცემა და 37 გრადუსამდე ფიქსირდება.

მშობიარობამდე რამდენიმე დღით ადრე, სეირნობისას, ძუ ცდილობს, შორს არ წავიდეს, ამზადებს „ბუდეს,“ უმეტესად მოუსვენრობს, პატრონის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს და გადამეტებით მოსიყვარულე ხდება და ხშირად წევს ხოლმე. მშობიარობამდე 2-3 დღით ადრე მას სარძევე ჯირკვლებში უდგება რძე (განსაკუთრებით – უკვე ნამშობიარებ ძუებში). უმჯობესია, თუ თქვენს ძაღლს 2-3 დღით ადრე ანახვებთ ვეტერინარს.

**კითხვა: იქნებ, ორი სიტყვით მირჩიოთ, რა მეთოდით ხდება ლეკვის დასჯა (მისი ცემა ნამდვილად არ შეიძლება)?**

**პასუხი:** მრავალი რეკომენდაცია არსებობს ასეთ სიტუაციაში მოქცევისთვის, მათგან ყველაზე პოპულარული მეთოდია დახვეული გაზეთის მსუბუქად მირტყმა ცხვირზე, მაგრამ ეს ისე არ უნდა გააკეთოთ, რომ ლეკვს შიში ჩაუნერგოთ, რადგან, დაშინებული და შერყეული ფსიქიკის ძაღლი შემდგომში არ გამოგადგებათ.

**კითხვა: როგორ გავუწიოთ ძაღლს პირველადი დახმარება ინტოქსიკაციის დროს?**

**პასუხი**: ასეთ შემთხვევაში ძაღლი სასწრაფოდ უნდა მივიყვანოთ ვეტერინართან. მანამდე კი აუცილებელია, ცხოველს მოაშოროთ ინტოქსიკაციის გამომწვევი მიზეზები – გაუკეთეთ ოყნა და ამოურეცხეთ კუჭი. ასევე, სასურველია, მისცეთ დიდი რაოდენობით სითხე და ნახშირი. მკურნალობის პროცესში აუცილებელია, ძაღლს დაალევინოთ საგულე საშუალებები, ელექტროლიტები, გლუკოზა, ვიტამინები, სპეციფიკური ანტიდოტები და შხამის საწინააღმდეგო პრეპარატები, რომელთა შერჩევა დამოკიდებულია ინტოქსიკაციის გამომწვევ ტოქსინზე. ასევე, საჭიროების შემთხვევაში უნდა მიეცეს კორტიკო სტეროიდები. ინტოქსიკაციის საწინააღმდეგოდ ყველაზე კარგი საშუალებაა მისი პრევენცია, თქვენი ოთხფეხა მეგობრები მოარიდეთ საყოფაცხოვრებო ქიმიას. ასევე, არ უნდა მისცეთ საეჭვო საჭმელი და განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ სხვადასხვა საწამლავის გამოყენების დროს: არ უნდა დადოთ თაგვის, ტარაკნის, ჭიანჭველებისა და სხვა სახის საწამლავები ძაღლისთვის მისაწვდომ ადგილას.

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# მაფიის შვილობილი

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-51(730)**

ნოე ბუცხრიკიძე ჩუმად უსმენდა გენერალს. გულბათმა კი თქვა:

– აბა, თქვი, გისმენ.

– გენერალმა გულბათს და ნოეს ოცდაათი კილოგრამი ოქროს ამბავი უამბო და თქვა:

– ეს ოქრო ფინანსური კუთხით დაგვეხმარება. გარდა ამისა, მტრებისგან თავდასაცავად საიდუმლო არქივიც გვაქვს, სადაც აგენტი პრისტუპნიკების საქმიანობაა აღწერილი და ასევე, იარაღია, თუკი თავდასხმას დაგვიპირებენ. ყველაფერი ეს საიმედოდაა გადამალული და საჭიროების შემთხვევაში გამოვიყენებთ.



– ასე გამოდის, რომ საიდუმლო კავშირს ვქმნით, – გაეღიმა ნოეს.

– სწორედ მასეა, – დაუდასტურა გამრეკელმა და იკითხა:

– რას იტყვით?

– რა უნდა ვთქვა. ძალიან კარგია ეს და შენთან ვარ, – თქვა მარგიანმა.

– რა თქმა უნდა, მეც თქვენთან ვარ, ბატონო მერაბ. აუცილებელი და დროული ნაბიჯია, – მიუგო ნოე ბუცხრიკიძემ.

– ეჭვი არ მეპარებოდა თქვენში, – კმაყოფილებით თქვა მერაბ გამრეკელმა, – ძალა ერთობაშია. პატიოსანი ხალხი ვართ და სიცოცხლის ბოლომდე უნდა ვაკეთოთ ის, რასაც მთელი ჩვენი შეგნებული ცხოვრება მივუძღვენით. ჩვენს საქმეს სხვები განაგრძობენ და მიტოვებულ ეკლესიას ეშმაკები ვერ დაეპატრონებიან, რადგან ამ ეკლესიას ჩვენ და ჩვენნაირები დაიცავენ.

გულბათ მარგიანმა გაოცებით შეხედა გენერალს და უთხრა:

– ეს როგორი ლაპარაკი გცოდნია. პირველად მესმის შენგან. ამას წინათ, სოხუმში მიტინგი ჩატარდა და ერთი ლიდერი ლაპარაკობდა მასე. ზუსტად ისე თქვა, როგორც შენ ახლა.

– იმათმა ილაპარაკონ. ჩვენ კი საქმე გავაკეთოთ, – საქმე კი თავზე საყრელი გვექნება. შეიძლება, იმაზე მეტიც კი, ვიდრე ოდესმე, – მიუგო მერაბმა გულბათს.

– კარგი, ძმებო, ყველაფერი გარკვეულია, – თქვა გულბათმა, როდესაც გამრეკელმა გაშლილ სუფრასთან მიიწვია სტუმრები. ღვინით სავსე ჭიქა ასწია და რადგან თამადა იყო, წარმოთქვა:

– ჩვენს საქმოს გაუმარჯოს!

***

კალმარმა მანქანა აგარაკზე შეაყენა. გადმოვიდა და ნაძვებში ჩაფლულ ორსართულიან სახლში შევიდა. ხის კიბეები აიარა და უზარმაზარ სასტუმრო ოთახში ამოყო თავი. ანთებულ ბუხართან რუზგენ ჩოჩიანი იყო მოკალათებული. ეწეოდა და თან ვიდეოფილმს უყურებდა მაფიაზე.

– არ მოგბეზრდა ამ ერთი და იგივეს ყურება? – ჰკითხა ახალმოსულმა რუზგენს, ვიდეომაგნიტოფონი გამოურთო და მის წინ სავარძელში მოკალათდა.

– ჩართე რა, ბარემ ბოლომდე ვუყურებ, – თქვა ჩოჩიანმა, კალმარმა კი შეუღრინა:

– სხვა დროს. ახლა კი მომისმინე.

– მოხდა რამე?

– კი.

– რა?

– მერაბ გამრეკელი გადადგა.

– როგორ?

– რა როგორ? მინისტრობიდან წავიდა და სხვა დანიშნეს.

– ვაა, ხედავ შენ?! რატომ?

კალმარს საკუთარი მოსაზრება ჰქონდა გამრეკელის გადადგომაზე, მაგრამ ჩოჩიანთან ამის განხილვას არ აპირებდა და რუზგენს უთხრა:

– მე რა ვიცი, რატომ. მთავარია, რომ გადადგა და მთელი თავისი „შაიკაც“ გაიყოლა.

– ვინ „შაიკა“?

– სოხაძე, ბუცხრიკიძე და რაც მთავარია, ზვიადაური.

– მერე?

– რა მერე. შტერი ხარ?

– წესიერად, თორემ... – ჩოჩიანს თვალები წამოენთო, კალმარმა კი ირონიით უთხრა:

– ნუ ცხარობ, რუზგენ. ძალები დაზოგე.

– შენ კი ენას კბილი დააჭირე, – არ შეეპუა ჩოჩიანი.

– მოკლედ, ეს ყველაფერი ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს და საქართველოში უნდა დაბრუნდე.

– თბილისში?

– თბილისში. რა, არ მოგენატრა?

– ჩემი ტყავი უფრო ძვირფასია.

– გეშინია?

– რა, სულელი ვარ, ძაღლებს ჩავბარდე?

– კი არ ჩაბარდე, საკუთარ სახლში დაბრუნდი.

– და თავი დავაჭერინო.

– ხელს არავინ გახლებს. ძებნილი შენ არ ხარ და თუ ვინმე მოგაკითხავს, ეტყვი, რომ დასასვენებლად იყავი წასული. ფაქტი არ დაგიტოვებია სახლში და მომჩივანი შენ არ გყავს. ყველა მოწმე საიქიოში გავისტუმრეთ და სუფთა ხარ.

– რომ მკითხონ, საიდუმლო ოთახი და საიდუმლო გვირაბი რად გინდოდაო?

– გკითხონ მერე. ვისი რა საქმეა. კანონი ამას არ კრძალავს.

– ზუსტად იცი, რომ ძებნილი არ ვარ?

– კი.

– ხომ არ გეშლება?

– ეს შენ გეშლებოდა და მე რომ არ ვყოფილიყავი, ახლა შენი სული ჯოჯოხეთის ფსკერზე იქნებოდა ჩაძირული.

– შენი ხომ, რას ამბობ, სამოთხეში იფრენდა.

– ადრე უფრო მორჩილი იყავი და ამდენს ვერ მიბედავდი, – გაეცინა კალმარს.

– ადრე ჭკვიანად იქცეოდი და იმიტომ, – ცინიკურად მიუგო რუზგენმა.

– რუზგენ, ცეცხლს ნუ ეთამაშები და ნუ გავიწყდება, ვინ ვარ.

– ნურც შენ გავიწყდება. გგონია, ზორბეგი მოკალი და მეც მომიშორებ?

– რას ბოდავ?

– შენ გეგონა, ალბათ, რომ ზორბეგი იყო ის კაცი, ვისაც შენი სახელი ვუთხარი და ჩემი მოკვლის შემთხვევაში გაგშიფრავდა, ხომ? – ცინიკურად ჩაეცინა ჩოჩიანს, – ცდები. ჩემს კაცს შენ ვერასდროს მიაგნებ. ღმერთი არ გაგიწყრეს და ჩემი მოკვლა არც იფიქრო.

სინამდვილეში, მართლა ზორბეგ შილბანმა იცოდა კალმარის შესახებ და ის მართლაც კალმარმა მოიშორა თავიდან. თუმცა, კალმარი მაინც ფრთხილობდა და ჩოჩიანის მოკვლას არ ჩქარობდა. თანაც, რუზგენი მას ახალ საქმეში სჭირდებოდა და უთხრა:

– შილბანი მე არ მომიკლავს. გეშლება.

– შენ არა. შენი ბრძანებით მოკლეს.

– არა, რუზგენ, არა. ნამდვილად გეშლება.

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

– არ მეშლება. კარგად გიცნობ.

– გეშლება-მეთქი.

– იქნებ არც პატარიძე და ნონა მოგიკლავს?

– რა, არ იყვნენ მოსაკლავები? ასე რომ არ მექნა, ახლა ორივე დახვრეტილები ვიქნებოდით.

– კარგია, რომ ალიარებ.

– მარტო ჩემ გამო გავაკეთე ეს?

– აბა, ჩემ გამო?

– საქმის გამო. გვეყოფა კბენა-ღრენა და საქმეზე გადავიდეთ.

– გვეყოფა და გვეყოფა. აბა, თქვი, გისმენ.

– თბილისში უნდა დაბრუნდე და შენები ისევ შეკრიბო. ახალ საქმეს ვიწყებთ.

– რა საქმეს?

– რას და, ტაჯიკეთიდან წამალს შემოვიტანთ და იქვე გაყიდით.

– ჰეროინს არა?

– ჯერ არა. წამალი ამ ეტაპზე უფრო სარფიანია და ბევრად უსაფრთხო. ჰეროინის „კანალზე" კი მიდის მუშაობა და შეიძლება, სხვა მიმართულება ავიღოთ. ახლა ისეთი არეული დროა, რომ წამალს არავინ დაუწყებს დევნას და ადვილად გაასაღებთ. მთავარია, ფული შემოვიდეს, თან ბაზარსაც მოვსინჯავთ.

– რა ბაზარს? – ვერ მიხვდა ჩოჩიანი.

– ნარკოტიკების გასაღების ბაზარს, – გაეცინა კალმარს.

– დამცინი?

– საიდან მოიტანე.

– კალმარო, ნუ გგონია საკუთარი თავი ძალიან ჭკვიანი.

– შენი აზრით, სულელი ვარ?

– არც ისე ჭკვიანი. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ მომატყუებ.

– არც მიფიქრია, რუზგენ, – თქვა კალმარმა და დაამატა, – მოკლედ, მოვრჩეთ კამათს და საქმეზე გადავიდეთ. ჩადიხარ თბილისში და შეკრებ შენებს. ორი-სამი კვირა წყნარად იყავი და სიტუაციას დააკვირდი. თან, შენს „ბრატებსაც" დაუკავშირდი.

– ვინ „ბრატებს"?

– არაფორმალებს. ახლა ისინი „გრიმიტობენ". დაუახლოვდი, „გაუსწორე" და დრო რომ მოვა, გამოგვადგებიან.

– ისევ რაღაცას ხლართავ, ხომ? – გაეცინა ჩოჩიანს.

– სულ მალე ისინი მოვლენ მთავრობაში და ფრთებს გავშლით. მოკლედ, შენი იმედი მაქვს. შენ კი ამბობ, ჩემი მოკვლა გინდაო.

– გინდა, გინდა, მაგრამ არ გამოგივა.

– ხომ შევთანხმდით, რომ აღარ ვიჩხუბოთ.

– არ გეჩხუბები.

– ჰო, კიდევ, – ვაჟა ზვიადაურის ადგილზე ერთი კარგი კაცი დანიშნეს.

– ძაღლი და კარგი? – ცინიკურად ჩაეცინა ჩოჩიანს და დაამატა, – ყველა ძაღლი ერთ დღეს უნდა გაწყვიტო.

– ნუ მაწყვეტინებ და ბოლომდე მომისმინე. ის კაცი ადრე ერთ საქმეში მყავს გამოჭერილი, მაგრამ არ იცის. მოკლედ, ჯერ სიტუაციას შევხედოთ და თუ ძალიან გაატრაკა, ჯერ კომპრომატს დავუდებთ, შემდეგ ფულს და ჩვენზე ვამუშავებთ.

– რომ არ იმუშაოს?

– იმუშავებს. ისეთ წინადადებას შევთავაზებ, უარს ვერ იტყვის.

– რა წინადადებას?

– სულ მაფიოზურ ფილმებს უყურებ და ვერ მიხვდი, რას ვამბობ? ციტატა ვთქვი ერთი ფილმიდან.

– კი. მივხვდი.

– გარდა ამისა, შინაგან საქმეთა ახალ მინისტრთანაც შეიძლება გზის პოვნა. მოკლედ, ფესვები უნდა გავიდგათ და ახალ დროებას მომზადებულები შევხვდეთ. დრო იცვლება.

– მაინც, როგორ?

– ქვეყანა აირევა, ქვეყანა. წყალი აიმღვრევა და ამღვრეულ წყალში ოქროს თევზს დავიჭერთ.

– გარკვევით მითხარი.

– აი, მაგალითად, შენ ხომ მთელი ცხოვრება მილიციას გაურბოდი და ან ციხეში იჯექი, ან პაბეგში იყავი?

– კი. მერე რა?

– მერე ის, რომ სულ მალე ისეთი დრო მოვა, რომ პატივცემული ადამიანი გახდები და უბატონოდ ვერავინ ვერაფერს გეტყვის. შეიძლება, მთავრობის კაციც კი გახდე.

– ისევ დამცინი?

– არა. ნამდვილად არ დაგცინი. დამიჯერე, რომ ძალიან რეალურ რაღაცას გეუბნები, – ისეთი სახით უთხრა კალმარმა რუზგენს, რომ ჩოჩიანმა მართლა დაიჯერა მისი სიტყვები და ჰკითხა:

– მაინც, რისი იმედი გაქვს?

– ხომ გითხარი უკვე?

– გამიმეორე.

– სულ მალე ქვეყანა აირევა და ახალი ვლასტი მოვა. სავარაუდოდ, ისინი, ვინც ახლა ქუჩებში მიტინგებს მართავენ. ამ არეულობაში შეიძლება, კარგად გაიჩითო. ხოლო ერთხელ თუ გაიჩითები და იალღიში არ მოგივა, სულ გაჩითული იქნები. გაიგე?

– კი.

– ჰო და ძალიან კარგი. ახლა კიდევ ერთი: ჩვენს მტრებს უნდა მივხედოთ და რაც შეიძლება, მალე.

– ვის გულისხმობ?

– გამრეკელს და მის ბანდას. მართალია, ვლასტი დაკარგეს, მაგრამ ჩვენთვის მაინც ძალიან საშიშები არიან.

– მაგაში მართალი ხარ. თანაც, გამრეკელთან პირადი ანგარიში მაქვს. არ გამახარა და სამაგიერო უნდა გადავუხადო.

– არა მარტო გამრეკელს, მთელ მის შაიკას.

– მთავარი გამრეკელია.

– ყველას ერთად უნდა მოვუღოთ ბოლო. ტყუილად არ დატოვა გამრეკელმა მინისტრობა. ჭკვიანი კაცია და ეტყობა, მიხვდა, რაც უნდა მოხდეს.

– რა უნდა მოხდეს?

– რაც უკვე გითხარი. ქვეყანა გადატრიალდება და ახალი ხელისუფლება მოვა.



ყველა გადატრიალებას კი სისხლი ახლავს თან და არ უნდა, რომ სისხლში ხელები გაისვაროს. თუმცა, მას რაღაც ზომებიც ექნება მიღებული.

– რა ზომები?

– თავდაცვის.

– რა თავდაცვის?

– ხომ გითხარი, ჭკვიანი კაცია. კარგად იცის, რაც მოხდება. ისიც ხომ იცის, რომ უამრავი მტერი ჰყავს და შურისძიებას მოინდომებენ. ჰოდა, აუცილებლად ექნება რამე მოფიქრებული და უნდა ვაჯობოთ.

– ვაჯობოთ მერე.

– თუ დამიჯერე, ვაჯობებთ კიდეც. ახლა კი მომზადება დაიწყე და რამდენიმე დღეში თბილისში გაემგზავრები. გაზაფხული მოდის და ზაფხულამდე ბევრი საქმე გექნება.

– შენ კიდევ რაღაც გექნება ჩაფიქრებული.

– ჩაფიქრებული ბევრი რამ მაქვს. ჯერ რაც გითხარი, ის გავაკეთოთ. დანარჩენიც იქნება, – უთხრა კალმარმა ჩოჩიანს და ხელი ჩამოართვა, – საბოლოოდ შევრიგდეთ და აღარ ვიჩხუბოთ.

– მოსულა, – მიუგო ჩოჩიანმა.

***

მერაბ გამრეკელი ერთი თვის გადამდგარი იყო, ვაჟა ზვიადაური სახლში რომ ეწვია და უთხრა:

– როგორ ხართ, ბატონო მერაბ?

– ისე, როგორც გადამდგარ მინისტრს შეეფერება. არა მიშავს. შენ?

– მეც არა მიშავს. ახალი ამბავი გაიგეთ?

– რა ამბავი?

– რუზგენ ჩოჩიანი დაბრუნდა.

– დაბრუნდა უკვე? – არ გაკვირვებია გამრეკელს, – ეტყობა, ვილაცისგან რაღაც გარანტიები მიიღო.

– არაფორმალებთან დაძვრება.

– ეტყობა, კავშირებს ამყარებს.

– კი, მასეა. ძალიან აქტიურადაა გარეული მარაქაში და მისი „გალავარეზები" მიტინგებს იცავენ.

– ძალიან გააქტიურებულია. ჩვენც ყურადღებით უნდა ვიყოთ.

– მართალს ბრძანებთ. მილიცია საერთოდ მოუშვა და დემორალიზებულია. ახალი ხელმძღვანელობა კი ფულის კეთებაზეა გადასული.

– შენი ბიჭები გიყვებიან, ალბათ.

– დიახ. ყველა თქვენ მოგტირის.

– სხვა რა ხდება? ცხონებული გივის ცოლ-შვილზე ხომ არაფერი გაგიგია?



– ზეგ მივემგზავრები ვოლგოგრადში. ჩავაკითხავ და მოვინახულებ.

– ლიადოვი როგორაა, თუ იცი?

– მე მგონი, მოხსნას უპირებენ.

– მართლა?

– გუშინწინ ველაპარაკე ტელეფონით და ასე მითხრა.

– ირევა, ირევა ქვეყანა. მოსკოვშიც, ეტყობა, რაღაც ხდება.

– ლიადოვის ნახვაც მინდა და ვოლგოგრადიდან მოსკოვში გამოვივლი. თან, თეას და ჯაბას ამბავს ჩავუტან მას. დაახლოებით ერთ კვირაში ჩამოვალ და ამიტომ გამოგიარეთ. რამე ხომ არ გჭირდებათ?

– არა. მადლობა. რომ ჩამოხვალ, შევიკრიბოთ და ვილაპარაკოთ.

– კარგი, ბატონო მერაბ. წავალ მაშინ.

– მოიცა, კაცო, სად მიდიხარ. ცოტა დავლიოთ.

– არა, არა. სხვა დროს. პაემანი მაქვს.

– მართლა? – გაეხარდა გამრეკელს, – როგორც იქნა, გადაწყვიტე დაოჯახება?

– ჯერ არა, მაგრამ, ალბათ, მალე გადავწყვეტთ.

– მიდი, დააჩქარე. სანამ ეს ქვეყანა საბოლოოდ არ დაქცეულა, კარგი ქორწილი გავაჩაღოთ.

– პირობა ხომ გახსოვთ?

– მახსოვს. შენს ქორწილში მე უნდა ვითამადო.

– კარგი. წავედი.

– ნახვამდის, ვაჟა. რომ ჩამოხვალ, მოდი და ახალი ამბები მომიყევი.

– აუცილებლად, – ზვიადაურმა ხელი ჩამოართვა მერაბ გამრეკელს და წავიდა.

ვაჟა ზვიადაური, ორი დღის შემდეგ ვოლგოგრადში გაემგზავრა. ერთი კვირა რომ გავიდა და არ გამოჩნდა, გამრეკელმა სახლში დაურეკა. თუმცა, ტელეფონი არ პასუხობდა. კიდევ ერთი კვირა გავიდა, მაგრამ ვაჟასგან არაფერი ისმოდა. მარტის მიწურულს, საღამოს ათ საათზე გამრეკელის ბინაში ტელეფონმა დარეკა. ყურმილი მერაბმა აიღო და უპასუხა:

– გისმენთ.

– გამარჯობათ, ბატონო მერაბ, – მოესმა გამრეკელს ზვიადაურის ხმა.

– ვაჟა, სად დაიკარგე.

– ბატონო მერაბ, უხერხული ხომ არ იქნება, რომ მოვიდე?

– რა უხერხული, მოდი. ჩემები მაინც წყნეთში არიან, – უპასუხა გამრეკელმა და მიხვდა, რომ რაღაც მოხდა.

ათი წუთის შემდეგ ვაჟა უკვე მასპინძლის პირისპირ, სავარძელში იჯდა და გაფითრებული სახით სიგარეტს ეწეოდა.

– რაღაც ცუდი მოხდა, ხომ? – ჰკითხა მერაბმა ვაჟას.

– დიახ.

– რა მოხდა?

– ვოლგოგრადში თავდასხმა მოხდა.

– მერე, – სავარძლიდან გაფითრებული წამოხტა მერაბ გამრეკელი, – ჯაბა და თეა როგორ არიან?

– ჯაბა კარგადაა. თეა და ვარვარა სერგეევნა კი დაიღუპნენ.

– ვინ, როგორ, რა მოხდა?

– ორი თავდამსხმელი საღამოს დაადგნენ თავზე. ვარვარა სერგეევნა ჯაბას ასეირნებდა. მათ თეა დააბეს და აწამეს. ალბათ, ჯაბას და მოხუცის ადგილსამყოფელს ეკითხებოდნენ და ბოლოს ყელი გამოსჭრეს.

– ყელი გამოსჭრეს?

– დიახ.

– ღმერთო ჩემო. მერე?

– როგორც ჩანს. მოხუცი და ბავშვი რომ სახლში დაბრუნდნენ, ვარვარა სერგეევნამ საფრთხე იგრძნო და ჯაბა ფარდულში დამალა. შემდეგ ბინაში უკანა კარიდან შეიპარა და მკვლელები საკუთარი ხელით დახოცა. ხომ გითხარით ადრე, რომ ის მზვერავი იყო და იარაღიც ჰქონდა. ორივე თავდამსხმელს ტყვია შუბლში აქვს მოხვედრილი.

– თვითონ ქალი როგორ დაიღუპა?

– როგორც ეტყობა, ამ დროს სხვებიც მოვიდნენ. მოხუცი დაატყვევეს, აწამეს. მასაც ყელი გამოსჭრეს და გაიქცნენ. ამ დროს, თურმე, მეზობელს დაუძახია და ამან დააფრთხო ის ნაძირლები.

– ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო. ჯაბა ახლა სადაა?

– ნინოსთან. ჩემს საცოლესთან. იქ ის საიმედოდაა დაცული.

– როგორ მოახერხე ბავშვის ჩამოყვანა?

– ლიადოვი დამეხმარა. პირადად ჩამოვიდა ვოლგოგრადში და ჯაბა ჩამოვიყვანეთ. პავლეს უნდოდა, ჯაბა ეშვილა, მაგრამ არ დავანებე. ბოლოს დამითმო და გამომატანა. ლიადოვის, მისი ცოლის, თქვენი, ჩემი და ჩემი საცოლის გარდა, არავინ იცის ჯაბას ადგილსამყოფელი.

– კარგია, – თქვა გამრეკელმა და ზვიადაურს ჰკითხა, – თავდამსხმელების ვინაობა დაადგინეს?

– ვინაობა – კი, მაგრამ ვისზე მუშაობენ, ვერა. მოსკოველები იყვნენ, უმუშევრები. დანაშაულში ადრე არასდროს ყოფილან შემჩნეულები.

– ძალიან საეჭვოა.

– დიახ. მეც მასე ვფიქრობ.

– როგორც ეტყობა, შურისძიების მანქანა ამუშავდა და სულ მალე ჩვენც მოგვადგებიან.

– კი. მასეა.

– მოკლედ ასე. ზეგ შევიკრიბოთ და დავილაპარაკოთ. გამორიცხული არაა, რომ უახლოეს დღეებში შემოგვიტიონ და მომზადებულები უნდა დავხვდეთ.

– კარგი. წავედი და ხვალ დაგირეკავთ.

– შენს ზარს ველოდები, – უთხრა გამრეკელმა ზვიადაურს და ჰკითხა, – იარაღი თან გაქვს?

– დიახ. თანაც, ორი.

– კარგი. წადი და ძალიან ფრთხილად იყავი.

– თქვენც ფრთხილად იყავით.

– ნოეს და გულბათსაც დავურეკავ და გავაფრთხილებ, – უთხრა გამრეკელმა ზვიადაურს და სახლიდან გააცილა.

***

შებინდდა თუ არა, ნაძვნარში ჩაფლული აგარაკიდან თეთრი ფერის „ვოლგა“ გამოვიდა და ტყის ფართო ბილიკს გაუყვა. საჭეს კალმარი უჯდა. გვერდით კი ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდა კაცი ეჯდა, რომელიც სიგარეტ „ზალატოე რუნოს“ აბოლებდა. ხუთიოდე კილომეტრი რომ გაიარეს, კალმარმა თავის მეგზურს უთხრა:

– არა რა, კაცი თქვენ ორ ბატს ვერ ჩაგაბარებთ. ქალებსა და ბავშვს ვერ მიხედეთ და მოხუცმა ქალმა ორი კაცი მოგიკლათ.

– შემთხვევითობა იყო, – თავი იმართლა ახალგაზრდამ.

– კარგი, კარგი. ამ საქმეს მაინც ნუ ჩააფლავებენ და რიგიანად შეასრულონ.

– ყველაფერი კარგად იქნება. ამჯერად შეცდომას აღარ დაუშვებენ.

– როდის მიფრინავენ თბილისში?

– ამაღამ.

– სამნი არიან, ხომ?

– დიახ.

– შენ გარდა, ხომ, მართლა არავინ იცის, რომ ეს საქმე მე მოგეცით?

– არა.

– ძალიან კარგი, – თქვა კალმარმა. შემდეგ „ვოლგა“ უზარმაზარ ნაძვთან გააჩე-


**მამაკაცების განჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

რა და მეგზურს უთხრა:

– მივაფასამ. შენ არ გეფსია?

– კი. გადმოვალ მეც, – მიუგო ახალგაზრდამ და „ვოლგიდან“ გადმოვიდა.

კალმარმა აქეთ-იქით გაიხედა. შემდეგ მაყუჩიანი პისტოლეტი ამოიღო, წინ წასულ ახალგაზრდას მიუშვირა და კეფაში ორი ტყვია ესროლა. მიუახლოვდა და კიდევ ორჯერ დაახალა თავში. პისტოლეტი გაწმინდა და გადააგდო.

კალმარი „ვოლგაში“ ჩაჯდა, გზატკეცილზე გავიდა და აეროპორტისკენ გაემგზავრა. დანიშნულების ადგილზე რომ მივიდა, მანქანა ხეივნის ბოლოში გააჩერა. ათი წუთის შემდე გულბათ მარგიანი გამოჩნდა. მას სპორტული ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული და დინჯად მოაბიჯებდა. „ვოლგას“ რომ გაუსწორდა, შედგა და მძღოლს დააკვირდა. კალმარი მანქანიდან გადმოვიდა, მარგიანს გაუღიმა და უთხრა:

– გულბათ, შე ძველო, როგორ ხარ?

მარგიანი კალმარს გადაეხვია და ზურგზე ხელები დაუტყაპუნა, შემდეგ მხრებში ჩაავლო, შეაჯანჯღარა და მიუგო:

– რა მიჭირს. შენ როგორ ხარ? ნამდვილად არ მოველოდი შენს ნახვას. აქ რას აკეთებ?

– მგზავრს ვხვდები. შენ?

– უნდა დამხვდნენ, მაგრამ, ეტყობა, აგვიანდებათ.

– ჩემი პასაჟირი კი უკვე ადგილზეა, – თქვა კალმარმა.

– მოდის? – იკითხა მარგიანმა და შებრუნდა. მაგრამ, რომ ვერავინ დაინახა, კალმარს ჰკითხა:

– აბა, სადაა?

– აქ, – ღიმილით მიუგო კალმარმა.

– აბა, სად? – გაიმეორა მარგიანმა. შემდეგ შეცბა და კალმარს უთხრა: – მე?!

– მიხვდი, როგორც იქნა. ჩაჯექი, ჩაჯექი, წავედით, – თქვა კალმარმა და, გულბათიც რომ ჩაჯდა, „ვოლგა“ ადგილიდან დაძრა.

– საიდან სადაო, სტიოპა სადაა? – ჰკითხა კალმარს გაოცებულმა მარგიანმა.

– ჩემს აგარაკზე მწვადებს წვავს, – მიუგო კალმარმა.

– სტიპოას თუ იცნობდი, ნამდვილად არ ვიცოდი.

– რა გიკვირს, მთელ ქვეყანას ვიცნობ, – ღიმილით მიუგო გულბათს კალმარმა, – რომ გავიგე, სტიოპასთან ჩამოდიოდი სტუმრად, ვუთხარი, ოინი მოვუწყოთ-მეთქი და მე წამოვედი. ვიცოდი, ძალიან გაგიხარდებოდა.

– მართლა ძალიან გამიხარდა, – გულბათმა მარჯვენა მხარზე მოუთათუნა ხელი კალმარს და დაამატა: – არც შენ იცვლები და არც კრავჩენკო. გუშინწინ გაგრაში დამირეკა და მითხრა, ჩემი გოგონას ქორწილში გეპატიჟები და ზეგ გელოდებიო. მივხვდი, რომ რაღაც უჭირდა და ჩემი დახმარება სჭირდებოდა – უცოლშვილოა სტიოპკა. ნეტავ, რაშია საქმე, შენ არ იცი?

– ვიცი, – მიუგო კალმარმა.

– რა მოხდა?

– მივალთ და თვითონ გეტყვის. შენ ის მითხარი, თქვენთან რა ხდება?

– ნუ მკითხავ, მაგარი არეულობაა, – ხელი ჩაიქნია გულბათმა.

– მინისტრი და მთელი მისი ამალა რომ ასე ერთბაშად გადადექით, პირი შეკარით?

– რა პირი, ბიჭო, ვერ ხედავ, რა ხდება? ჰაერში სისხლის სუნი ტრიალებს და, რამე რომ მოხდეს, ხელებს ჩვენ შეგვაწმენდენ.

– ჭკვიანი კაცია გამრეკელი, – ჩაეცინა კალმარს, – მიხვდა, რაც უნდა მოხდეს და დროზე გაეცალა უბედურებას. თან, თქვენც აგარიდათ შარს.

– კი, მასეა.

– როგორაა ამხანაგი გენერალი, როგორ გრძნობს თავს ნამინისტრალი მერაბ კონსტანტინოვიჩი? – ხუმრობით იკითხა კალმარმა.

– კაჟივითაა, კაჟივით.

– აი, მე კი შარდის ბუშტი გამისკდება, თუ არ მივაფსი. მაინც ტყის ბილიკს უნდა გავუყვეთ და გამიჩერე. შენ არ გინდა? – ჰკითხა კალმარმა მარგიანს.

– კი, როგორ არა, – გაეცინა გულბათს.

კალმარმა „ვოლგა“ ტყის სიღრმეში შეიყვანა და იმ ადგილიდან ხუთასიოდე მეტრის მოშორებით გაჩერდა, სადაც ორი საათის წინ სტეპან კრავჩენკო მოკლა. შემდეგ მანქანიდან გადავიდა და უზარმაზარი ნაძვისკენ გაემართა. გულბათი ორიოდე მეტრის მოშორებით მიჰყვებოდა. უცებ კალმარი მკვეთრად შებრუნდა და გულბაათ მარგიანს მაყუჩიანი პისტოლეტიდან მუცელში ერთი ტყვია მოარტყა. გულბათი მუხლებზე დაეცა და კალმარს გაოცებული მზერა მიაპყრო.

– რაო, გაგიკვირდა? – ჰკითხა კალმარმა გულბათს და მაყუჩიანი პისტოლეტი შუბლისკენ მიუშვირა.

– ეს შენ ხარ ის? – ამოიოხრა სასიკვდილოდ დაჭრილმა მარგიანმა.

– ვინ ის? – ცინიკურად იკითხა კალმარმა.

– კალმარი... – ყრუდ თქვა მარგიანმა და სახეზე უკიდურესი ზიზღი გამოეხატა.

– ჩემი სახელიც გცოდნიათ, მაგრამ, არა უშავს. ყველანი ჩიწაში ჩაიტანთ.

– რას გვერჩი, შე დამპალო! – ხმას აუწია მარგიანმა და გამოშვერილი პისტოლეტისკენ გაიწია, მაგრამ, უძლურებისგან მიწაზე ცხვირ-პირით დაეცა.

– გადმობრუნდი, შე ბოზო! – ცინიკურად უთხრა კალმარმა მარგიანს და ფეხის წვერით ამოატრიალა და დახედა, – მამაჩემის სისხლს არავის შევარჩენთ, და ყველას ამოვწყვეტთ!..

– ვინ ოხერი იყო მამაშენი, შე რჯულძაღლო!

– პოლკოვნიკი რობერტ მანძულია, მე კი მისი შვილი ვარ – ვამეხი!

– წყეულმც იყავ, ნაბიჭვარო... მაინც არ შეგრჩება არაკაცობა და ოთხში ამოგიღებენ.

– ოთხში? – გადაიხარხარა კალმარმა



და დაამატა, – თუ გამრეკელის იმედი გაქვს, იცოდე, რომ მწარედ ცდები. შენი ძმაკაცი კრავჩენკო აქედან ორ ნაბიჯში გდია ჩაძაღლებული, მისი მკვლელები კი თბილისში მიფრინავენ შენი ძმაბიჭების დასახოცად.

– წყეულიმც იყავ, მანძულიას ნაბიჭვარო! – ამოიხრიალა გულბათ მარგიანმა და კალმარის პისტოლეტიდან გასროლილმა ტყვიამ მას შუბლი გაუხვრიტა...

***

– მადლობა, ვაჟა, წავედი. ერთ თვეში დაგიბრუნებ, – უთხრა ვაჟა ზვიადაურს მამიდაშვილმა, თემურ კორინთელმა და კარისკენ გაემართა.

– აბა, შენ იცი, არ დაგავიწყდეს, – ირონიით მიუგო ვაჟამ და კარი გაუღო. შემდეგ ლიფტი გამოიძახა, გამოემშვიდობა და ბინაში შებრუნდა.

ვაჟა და თემური თითქმის თანატოლები იყვნენ და ერთად გაიზარდნენ. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ ისინი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს და ყველას ტყუპები ეგონა. ბიძაშვილ-მამიდაშვილები ხშირად სარგებლობდნენ ამით და ბავშვობაში ათასნაირ ოინს აწყობდნენ. თემოსგან განსხვავებით, ვაჟა კარგად სწავლობდა, ხშირად მამიდაშვილის მაგივრად აბარებდა ხოლმე სასკოლო გამოცდებს და მასწავლებლები ვერაფერს ხვდებოდნენ. ხოლო, უმაღლესში რომ აბარებდა თემური, ოთხივე გამოცდაზე ვაჟა მივიდა და ოთხივეში ხუთიანი მიიღო. თუმცა, ინსტიტუტში უკვე ველარ ეხმარებოდა, რადგან, მოსკოვში სწავლობდა და ლექტორებს უკვირდათ – ეს ფრიადოსანი ბიჭი რამ გამოაჩერჩეტაო...

ოთახში შებრუნებულ ზვიადაურს გაახსენდა თემურის ეს მონათხრობი და გაეცინა. შემდეგ მაგიდაზე თემურის საფულეს მოჰკრა თვალი და ჩაილაპარაკა: „ფული დარჩა ამ შტერს“. მერე ფანჯარასთან მივიდა. გამოაღო და მეექვსე სართულიდან ეზოში გადაიხედა, რომ სადარბაზოდან გამოსული თემურისთვის საფულე გადაეგდო. ეზო ცარიელი იყო, ზვიადაურმა მხოლოდ შავ ქურთუკში გამოწყობილი, საშუალო სიმაღლის მამაკაცს მოჰკრა თვალი, რომელიც კორპუსებს შორის დინჯად მიაბიჯებდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# როგორ გაიშიფრა ქართველ მძარცველთა ბანდა, რომელმაც ახალი წლის ღამეს 13 კილოგრამი პლატინა და 16 კილოგრამი ოქრო მოიპარა



### საახალწლო ნობათი

1975 წლის 1 იანვარს, ღამის 1 საათსა და 45 წუთზე, მოსკოვის ქარხანა „ჩაიკის“ შესასვლელთან „უაზის“ მარკის ფურგონიანი ავტომობილი გაჩერდა და ძლიერად დაასიგნალა. საკონტროლო-გამშვები პუნქტის ჯიხურიდან შუახნის მამაკაცი გამოვიდა და მანქანიდან გადმოსულ მძღოლს შეუღრინა:

– რა კაკაფონია ატეხე, სიმთვრალეში გზა აგერია? – შემდეგ კურდღლის ფორმაში გამოწყობილი მძღოლი აათვალიერ-ჩაათვალიერა და დაამატა: – საგიჟეთიდან მოხიე?

– ეეჰ, ძმობილო, სულ გამოგაშტერა მაგ ჯიხურში გდებამ, – მხიარულად მიუგო მძღოლმა „კურდღელმა,“ – პირველ ყოვლისა, ახალ წელს გილოცავ. გზა კი არ ამერია, თოვლის ბაბუა და „სნეგუროჩკა“ მოგიყვანეთ და საახალწლო ნობათი მოგიტანეთ, შენ კი მლანძღავ.

– რა ნობათი? – იკითხა დარაჯმა.

„კურდღელმა“ ფურგონის კარი გახსნა და იქიდან თოვლის ბაბუისა და „სნეგუროჩკას“ ფორმაში გამოწყობილი წყვილი გადმოვიდა. მათ უზარმაზარი ხურჯინები ჰქონდათ მხარზე გადაკიდებული. თოვლის ბაბუამ დარაჯს ახალი წელი მხიარულად მიულოცა და ჰკითხა:

– რამდენი მორიგე ხართ?

– როგორც ყოველთვის, ექვსი, – მიუგო დარაჯმა.

– მიიღეთ საახალწლო ნობათი, – მხიარულად თქვა თოვლის ბაბუამ და „სნეგუროჩკასა“ და „კურდღლის“ თანხლებით სამორიგეოში შეჰყვა დარაჯს. მაგიდასთან მსხდომ ხუთ დარაჯს ახალი წელი მიულოცა. ხურჯინი გახსნა და ექვსი ცალი ყუთი მაგიდაზე დააწყო.

– ეს რა სიურპრიზია? – მხიარულად იკითხა შექეიფიანებულმა ცვლის უფროსმა დარაჯმა.

– ტკბილეული, ნაძვის ხის სათამაშოები და სუვენირები, – თქვა „სნეგუროჩკამ,“ – ეს სიურპრიზი რაიკომმა მოგიწყოთ. ჩვენს რაიონში მდებარე ყველა დაწესებულებაში მივდივართ და, ვინც ახალ წელს მუშაობს, საჩუქრებს ვურიგებთ. კიდევ ათი ასეთი ობიექტი გვაქვს მოსანახულებელი.

არასაუწყებო დაცვის მორიგე თანამშრომლებს პატარა ბავშვებივით გაუხარდათ საახალწლო სიურპრიზი, უზომოდ გამხიარულდნენ და სტუმრები სუფრასთან მიიწვიეს. „სნეგუროჩკამ“ კი ხურჯინიდან შამპანურის ბოთლი ამოიღო, გახსნა და დარაჯებს ჩამოუსხა, შემდეგ თავადაც დაისხა და ახალი წელი ადღეგრძელა, მაგრამ უცებ ჭიქა ხელიდან გაუვარდა და დაიმსხვრა.

– ჩვენი ბედნიერებისა იყოს, – გადაიკისკისა „სნეგუროჩკამ“, – უკვე ხუთი ჭიქა მაქვს დალეული და დავთვერი.

დარაჯებმა ბოლომდე გამოცალეს ჭიქები, შემდეგ სტუმრები გამოაცილეს და ჯიხურში შებრუნდნენ. „კურდღელმა“ „უაზი“ ადგილიდან დაძრა. ღობის კუთხეში შეუხვია და გაჩერდა.

– ათ წუთში მაგრად ჩაეძინებათ. მოემზადეთ, – უთხრა „სნეგუროჩკამ“ „კურდღელსა“ და თოვლის ბაბუას, თან პატარა ხურჯინი გახსნა და იქიდან ტყავის ჩანთა ამოიღო.

ცოტა ხანში სამეული ქარხნის ტერიტორიაზე შევიდა. მათ ჩქარი ნაბიჯით ჩაუარეს მძინარე დარაჯებს, შენობაში შევიდნენ და ლიფტით სარდაფში ჩავიდნენ, სადაც ოქროსა და პლატინის ზოდები იყო შენახული სპეცსაცავში.

ქარხანა „ჩაიკაში“ ძვირფას საათებს ამზადებდნენ და საექსპორტოდ გზავნიდნენ. ძვირფასი ლითონებიც ამისთვის სჭირდებოდათ და ყოველივე ეს უზარმაზარ სეიფში ჰქონდათ გამოკეტილი.

სეიფი „თოვლის ბაბუამ“ 20 წუთში გახსნა და მძარცველებმა იქიდან 13 ცალი პლატინის ერთკილოგრამიანი და ოქროს 8 ცალი ორკილოგრამიანი ზოდები გამოიღეს. შემდეგ ხურჯინებში გადაანაწილეს და „უაზით“ მიიმალნენ. მანქანამ ორიოდე კილომეტრი გაიარა და ერთ-ერთ ბნელ შესახვევში გაჩერდა. ფურგონიდან „თოვლის ბაბუა” გადმოვიდა და „მოსკვიჩში“ გადაჯდა, „უაზმა“ კი ძვირფასი ტვირთით გზა განაგრძო.

„მოსკვიჩის“ საჭესთან მჯდარ ციხის თანამშრომლის ფორმაში გამოწყობილმა მაიორმა ახალმოსულს ქართულად უთხრა:

– ყოჩაღ, ცხვირა, ყველაფერი ფრიადზე შეასრულეთ! ახლა კარცერში დაგაბრუნებ და ეშმაკიც კი ვერ გაიგებს, ვინ გაიტანა სეიფი.

– მაგარი იყო, – გაეცინა „თოვლის ბაბუას“, რომელსაც ციხის პატიმრის უნიფორმა ეცვა და „მოსკვიჩის“ უკანა სალონის ფსკერზე იწვა.

### ექიეთ ქალი

„მედვეჟატნიკი“ (სეიფების გამხსნელი) თოვლის ბაბუა სინამდვილეში ცნობილი ბოროტმოქმედი ნუგზარ ალანია იყო, რომელსაც შავ სამყაროში „ცხვირას“ ეძახდნენ. საათების ქარხნის ძარცვის მომენტში ცხვირა რვაწლიან სასჯელს იხდიდა „ბუტირკის“ ციხეში და გათავისუფლებამდე ერთი წელი ჰქონდა დარჩენილი. მაიორი კი, რომელმაც ცხვირა კარცერში დააბრუნა, ციხის რეჟიმის სამსახურის უფროსის მოადგილე იური ზაალიშვილი იყო; მძღოლი „კურდღელი“ – თბილისელი ჟენია ბობროვი – ახალგაზრდა, დამწყები ბოროტმოქმედი და ცხვირას მარჯვენა ხელი; „სნეგუროჩკა“ კი – ანა როისმანი, მოსკოვის ერთ-ერთი საპარფიუმერიო მაღაზიის უბრალო გამყიდველი. როისმანი ბობროვის საყვარელი იყო და ქარხნის სეიფის ძარცვის იდეა სწორედ მას მოუვიდა თავში. ბობროვის გარდა, როისმანს მეორე საყვარელიც ჰყავდა, ვინმე მაქსიმ ზარეცკი, „ჩაიკის“ ინჟინერ-ტექნოლოგი და ქალმა მისგან იცოდა ქარხანაში შენახული ძვირფასი ლითონების შესახებ. როისმანმა საკმაოდ მახვილგონივრული სქემა მოიფიქრა და ბობროვს ძარცვის იდეა მიაწოდა. შემდეგ ბობროვი ცხვირას შეხვდა და ეს იდეა გაუზიარა. ცხვირამ კი, თავის მხრივ, მაიორი ზაალიშვილი დაითანხმა თანამონაწილეობაზე და სწორედ ამგვარად განხორციელდა საათების ქარხნის ძარცვა 1975 წლის 1 იანვარს...

„ჩაიკაში“ მომხდარმა დანაშაულმა მთელი მილიცია ფეხზე დააყენა. დაიწყო გამოძიება, მაგრამ, ბოროტმოქმედთა კვალს ვერ მიაგნეს. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ სეიფი ცხვირამ გახსნა, რომელიც „ბუტირკის“ ციხეში, თანაც კარცერში იჯდა. ამიტომ, ძიება მეორე დღესვე ჩიხში შევიდა და გამომძიებლებს რეალური ხელჩასაჭიდი არაფერი ჰქონდათ. თუმცა, დანაშაულის კვალი სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა და ამაში მაძებრებს სხვა დანაშაული დაეხმარათ.

3 იანვარს მოსკოვის ერთ-ერთი ბინიდან ტოქსიკოლოგიურ კლინიკაში მოწამლული ჟენია ბობროვი მიიყვანეს, რომელიც ექიმებმა სიკვდილს გადაარჩინეს და მილიცია გამოიძახეს. ბობროვმა გამომძიებელს ანა როისმანის შესახებ მოუყვა და უთხრა, რომ სწორედ მან მოწამლა და მოკვლის მიზნით შამპანურში საწამლავი ჩაუყარა. დანარჩენი ტექნიკის საქმე იყო და „მურის“ გამომძიებელმა გაბრუებულ ბობროვს „ჩაიკის“ ძარცვის ამბავი დასტყუა. ეს ინფორმაცია იმდენად მოულოდნელი იყო, რომ „მურის“ უფროსს ეჭვიც კი შეეპარა. თუმცა, ოპერმუშაკებმა ჯერ ზაალიშვილი დააკავეს და ყველაფერი ათქმევინეს, შემდეგ ცხვირაც დაამუშავეს და, მიხვდნენ, რომ ანა როისმანი ძვირფასი ზოდების ხელში ჩაგდებას და, სავარაუდოდ, მიმალვას ცდილობდა, ამისთვის კი მან თავისი საყვარელი ბობროვი მოწამლა, რომელიც მხოლოდ იმან იხსნა სიკვდილისგან, რომ მან პირველადი დახმარება თავადვე აღმოუჩინა საკუთარ თავს და სასწრაფო დახმარების გამოძახებაც მოასწრო...

მთელი „მური“ ფეხზე დადგა და ანა როისმანის ტოტალური ძებნა გამოცხადდა, მაგრამ 29 წლის ქალი არსად ჩანდა – ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ გაიგო. ამასობაში ძარცვის საქმის გამოძიება დასრულდა და ნუგზარ ალანიას, იგივე ცხვირას, მაიორი იური ზაალიშვილსა და ჟენია ბობროვს 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და სამივე მკაცრი რეჟიმის ციხეებში გაამწესეს.

როისმანის ძებნა წამითაც არ შეწყვეტილა და ალბათ, ბედის ირონია იყო, რომ ეს მზაკვარი ბოროტმოქმედი ქალი თბილისში, თანაც, იმ სახლში დააპატიმრეს, სადაც ცხვირა, ანუ ნუგზარ ალანია ცხოვრობდა. დიღმის მასივის ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის მეხუთე სართულზე ოპერმუშაკები იმ დროს შეიჭრნენ, როდესაც ანა როისმანი გრიმს იკეთებდა და გასამგზავრებლად ემზადებოდა. ერთი სართულით ზევით ცხვირას ბინა მდებარეობდა. როისმანს დიღმის მასივში ჰქონდა ორი ოთახი ნაქირავები და არც კი იცოდა, ვის მეზობლად ცხოვრობდა. ქალის შესახებ კი მილიციის ერთ-ერთმა დამსმენმა, ვინმე ჯილდა გოგოსურმა შეატყობინა უბნის ინსპექტორს – გოგოსურს საეჭვოდ მოეჩვენა მარტოხელა მდგმურის კარჩაკეტილი ცხოვრება. ინსპექტორმა ჯერ ფარულად გადაუღო ქალს სურათები და მილიციის სამმართველოში მიიტანა. იქ კი გამოცდილმა ექსპერტ-კრიმინალისტებმა იდენციფიკაცია მოახდინეს და მდგმურში ძებნილი როისმანი ამოიცნეს.

დაკავებული ანა როისმანი კერკეტი კაკალი აღმოჩნდა და ყველაფერს უარყოფდა, თუმცა, ერთი კვირის შემდეგ 29 კილოგრამი ძვირფასი ზოდების ადგილსამყოფელი გაამხილა. ქართველმა მილიციელებმა თბილისის ვაგზლის ერთ-ერთი შემნახველი საკნიდან ორი ჩემოდანი ამოიღეს, რომლებშიც 13 ცალი პლატინისა და 8 ცალი ოქროს ზოდი იყო ჩალაგებული. ნაძარცვი ნივთები ქარხანას დაუბრუნეს, ანა როისმანს კი მკვლელობის მცდელობისა და ძარცვაში მონაწილეობისთვის თხუთმეტწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს...

**ნიკა ლაშაური**

# როგორ დაგეგმა ქალმა საკუთარი გატაცების ინსცენირება საყვარელთან ერთად, რომლის სასჯელს გაუპატიურებისთვის იხდიდა



სისხლის სამართლის საქმე 38 წლის მაკა ც-ძის გატაცების ფაქტზე, პოლიციაში მისი მეუღლის, მერაბ დ-ის განცხადების საფუძველზე აღიძრა. მამაკაცმა სამართალდამცველებს ცოლის დაკარგვიდან ორი დღის შემდეგ მიმართა და განაცხადა, რომ მისი მეუღლე, ორი შვილის დედა, უგზოუკვლოდ გაუჩინარდა. მანამდე ქმარი საკუთარი ძალებით უშედეგოდ ეძებდა ცოლს ნაცნობ-მეგობრებსა და ნათესავებში, ორი დღის შემდეგ კი მას კართან დახვდა წერილი, რომელშიც ეწერა, რომ მაკა ც-ძე გატაცებული იყო და გამოსასყიდი თანხა – 25 ათასი დოლარი უნდა გადაეხადა. „უკვე ათი წელია, პოლიგრაფიული კერძო ბიზნესი მაქვს, ოჯახს ამით ვინახავ. მტრები არ მყავს, არც იმდენი შემოსავალი მაქვს, რომ ვინმეს ჩემ წინააღმდეგ ასეთი რამ დაეგეგმა," – განაცხადა მერაბ დ-მ გამომძიებილთან მიცემულ ჩვენებაში.

სამართალდამცველებმა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით დაიწყეს გატაცებული ქალის ძებნა და გამტაცებლის ვინაობის დადგენა. მათთვის ცნობილი გახდა, რომ დაკარგული ქალი, მაკა ც-ძე, ბოლო თვეების განმავლობაში რამდენჯერმე ნახეს საკმაოდ უცნაურ ვითარებაში, უცნობ მამაკაცთან, ეს ინფორმაცია გამოძიებას მიაწოდეს დაკარგული ქალის სტილისტმა და იმ სკოლის მასწავლებელმა, სადაც ქალის უმცროსი შვილი სწავლობდა. პედაგოგის ჩვენების მიხედვით, მაკა ც-ძეს სრულიად შემთხვევით შეხვდა.

ამონაწერი ნინელი მ-შვილის ჩვენებიდან: „მაკას დიდი ხანია, ვიცნობ, მისი უფროსი შვილიც ჩემი მოსწავლე იყო. ერთ დღეს სრულიად შემთხვევით შევხვდი – მისი მანქანის საჭესთან უცნობი მამაკაცი იჯდა. ჩემს დანახვაზე მაკა დაიბნა, მე კითხვაც კი არ დამისვამს, ისე მითხრა, ჩემმა ქმარმა მძღოლი ამიყვანაო, მერე კი ბავშვისგან გავიგე, რომ ეს სიმართლე არ იყო, თუმცა, ბავშვთან ჩემი და დედამისის შეხვედრის შესახებ არაფერი მითქვამს."

ეს ისტორიები მერაბ დ-სთვის ცნობილი არ იყო, რაც გამოძიებისთვის საეჭვო გარემოებად იქცა.

მორიგი „შეტყობინება" მერაბ დ-მ ცოლის გამტაცებლისგან სატელეფონო კავშირით მას შემდეგ მიიღო, როცა საქმეში უკვე ჩართულები იყვნენ საგამოძიებო სამსახურები. დაინიშნა შეხვედრის ადგილი და დრო, მაგრამ, სანამ დათქმულ ადგილას შეხვედრა მოხდებოდა, მერაბ დ-მ გამოძიების გვერდის ავლით გადაწყვიტა გამტაცებელთან შეხვედრა. მოგვიანებით მან ეს ფაქტი იმ ეჭვებით ახსნა, რაც მას ცოლის საქციელის გამო ჰქონდა გაჩენილი.

ამონაწერი მერაბ დ-ს ჩვენებიდან: „როცა მივხვდი, გამოძიება ისე მიდიოდა, რომ ამ საქმეში ჩემი ცოლი თავად უნდა ყოფილყო გარეული, გადავწყვიტე, დამოუკიდებლად მემოქმედა. იქ, სადაც გამტაცებელმა წერილი დამიტოვა, შესახვედრად დავუთქვი სხვა ადგილი, მაგრამ, ამის შესახებ გამოძიებასთან არაფერი მითქვამს. შეხვედრაზე მარტო წავედი ჩემი საკუთარი მანქანით. ფული არ წამიღია. დაახლოებით ნახევარი საათი ველოდე დათქმულ ადგილზე ჩემთვის უცნობ ადამიანს. როგორც ჩანს, ის შორიდან მითვალთვალებდა. როცა მანქანის კარი გამოაღო, ჩაჯდა და გამეცნო კიდეც, მაგრამ, გონება ისე მქონდა არეული, არც მახსოვს რა სახელი მითხრა, თუმცა, ის კი გავიგონე, შენი ცოლი კარგად არის და, როგორც კი ფულს გადმომცემ, ერთ საათში გავათავისუფლებთო. მანქანაში დანა მქონდა, უკან მივბრუნდი და ისე

**ქალი საყვარელს შეტკიცებდა, რომ ქმარი მის გათავისუფლებაში ფულს აუცილებლად გადაიხდიდა**

გავაკეთე, თითქოს უკანა სავარძლიდან ჩანთა უნდა ამეღო. სავარძელზე მართლაც იდო პატარა ჩანთა, რომელშიც ჩემი შვილის სპორტული ტანსაცმელი ეწყო. დანა ჩანთის ქვეშ მქონდა დამალული. ავიღე და პირდაპირ სახეზე დავუსვი. წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ ფიზიკურად მე უფრო ძლიერი ვიყავი. სახიდან სისხლი წამოუვიდა, უცებ მანქანიდან გადახტა და გაიქცა, მეც გადმოვედი და გამოვეკიდე. უკაცრიელი ადგილი იყო, თუმცა, მახსოვს, რამდენიმე მანქანამ ჩაგვიარა. ერთ-ერთი მანქნიდან ახალგაზრდა მამაკაცი გადმოხტა და ჩემთან ერთად გამოეკიდა გაქცეულს, მერე გავიგე, რომ პოლიციის თანამშრომელი იყო, რომელიც სრულიად შემთხვევით შეესწრო ამ ამბავს."

დაჭრილი მამაკაცი, რომელიც შემთხვევის ადგილზე გამოძახებულმა სამართლადამცველებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს, 44 წლის ლადო წ-ია აღმოჩნდა. ოპერატიულმა სამსახურმა მისი დაკითხვა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ შეძლო და ამის შემდეგ დადგინდა მაკა ც-ძის ადგილსამყოფელიც. როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, „გატაცებული" ქალი დაქირავებულ ბინაში იმალებოდა და ნებივრობდა საყვარელთან ერთად. დაკავებული ლადო წ-ია წარსულში ორჯერ ნასამართლევი აღმოჩნდა, 34 წლის ასაკში ის გათხოვილი ქალის მისსავე ბინაში გაუპატიურებისთვის გაასამართლეს, რომელიც მის მეზობლად დროებით ცხოვრობდა. იმის მიუხედავად, რომ ამ ისტორიის გახმაურება ოჯახის დანგრევად დაუჯდა, ღირსებაშელახულმა ქალმა მოძალადეს მაინც უჩივლა. მანამდე კი ლადო წ-ია ქურდობისთვის იყო ნასამართლევი. როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, ახალგაზრდა მამაკაცი ქმრიან ქალებზე „ნადირობდა:" ჯერ მათი ნდობის მოპოვებას ცდილობდა, შემდეგ მათთან სასიყვარულო ურთიერთობას აბამდა, ბოლოს კი მათ შანტაჟს უწყობდა – მათი სასიყვარულო ურთიერთობის გახმაურების შიშით, ზოგ მსხვერპლს ფულს სძალავდა, ზოგს კი – ძვირად ღირებულ ნივთებს. თემის დელიკატურობიდან გამომდინარე, გამოძიებამ ლადო წ-იას მიერ დაზარალებულ ქალთაგან მხოლოდ ორი ისტორიის გამოძიება შეძლო, თუმცა, ლადო წ-იას ყოფილი ცოლის მიერ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენების მიხედვით, ასეთი ქალების რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო.

როგორც გამოძიების მასალებით გახდა ცნობილი, ლადო წ-იამ მაკა ც-ძე სილამაზის სალონში გაიცნო. გამოცდილი დონჟუანი მალევე მიხვდა, რომ ქალს შეძლებული ქმარი ჰყავდა. მსუბუქი ფლირტი მათ შორის სილამაზის სალონშივე დაიწყო. გამოძიებამ ისიც დაადგინა, რომ ლადო წ-ია სამი თვე ცდილობდა ქალის ცდუნებას, საბოლოოდ, მან ქალის გულიც მოიგო და სასიყვარულო ურთიერთობებიც გააბა მალულად. მაკა ც-ძე მამაკაცს ჯერ ფინანსურად უზრუნველყოფდა, შემდეგ კი მასთან ერთად ოჯახიდან გაქცევა და უცხოეთში წასვლა გადაწყვიტა. როგორც გამოძიებისთვის თავად მაკა ც-ძისგან გახდა ცნობილი, ამ იდეის ავტორი ლადო წ-ია იყო, რომელმაც ქალს საბუთების მოსაგვარებლად ჯერ 5 ათასი ლარი გამოსძალა იმ მოტივით, რომ ნასამართლევი ვარ და ჩემი საბუთების მოწესრიგება მჭირდებაო, შემდეგ კი ქალთან ერთად მისი გატაცების ინსცენირება დაგეგმა. საპირისპიროს ამტკიცებდა საბრალდებო სკამზე აღმოჩენილი მამაკაცი – მისი განცხადებით, სადისტი ქმრისგან თავის დაღწევას თავად ქალი სთხოვდა, რომელიც უმტკიცებდა, რომ ქმარი მის გათავისუფლებაში ფულს აუცილებლად გადაიხდიდა და ამ თანხით ისინი უცხოეთში წასვლას შეძლებდნენ.

სასამართლო განხილვის დროს, პროკურატურამ მაკა ც-ძისთვის 10 წლით პატიმრობის აღკვეთა მოითხოვა, მაგრამ სასამართლომ არ გაითვალისწინა ბრალდებულის მხარის მოთხოვნა და, ქალს, როგორც ორი მცირეწლოვანი ბავშვის დედას, 8 წლით პატიმრობა მიუსაჯა; პირობითი მსჯავრი დაეკისრა მერაბ დ-ს, ლადო წ-იას კი, რომელიც საყვარელთან ერთად უცხოეთში წასვლის ნაცვლად საპატიმროში აღმოჩნდა, 10 წლით პატიმრობა შეეფარდა.

**ეკა ბარაბაძე**

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. სამი რგოლით დაიწყეთ ციყვის თავის ხატვა



2. მიახატეთ ყურები, თვალი და კბილები



3. შემდეგ – ტანი



4. მიახატეთ უკანა თათები



5. წინა თათებიც აქ დაგავიწყდეთ



6. დაასრულეთ ნახატი





ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ 5 განსხვავება





## დაეხმარე გზის გაკვლევაში




## რიცხვრებუსი

5,,, 10,, ,,,,13

# ბუ-ჰერბარიუმი



ძალიან ადვილია შემოდგომის ფოთლებისგან ლამაზი ნივთების შექმნა. ამისთვის დაგჭირდებათ: სხვადასხვა ფორმის ფოთლები, წვრილი ტოტი, წებო და ფორმატის ფურცელი. სანამ სასეირნოდ წახვალთ, კარგად დააკვირდით ნახატს, რომ შესაფერისი ფოთლები შეაგროვოთ. აიღეთ წვრილი ღერი და დააწებეთ ფორმატზე, ტოტის ზემოთ და ქვემოთ მიაწებეთ პატარა ზომის ფოთლები. დიდი ფოთოლი ისე დაამაგრეთ, როგორც სურათზეა ნაჩვენები. დაელოდეთ და, როცა წებო კარგად გაშრება, ყვითელი ფოთლებისგან გამოჭერით ფრთები და თვალები (თვალებისთვის მუქი ფერის ფოთოლიც დაგჭირდებათ). ნისკარტის ნაცვლად გამოიყენეთ გარჩეული მზესუმზირა. ასევე, ფოთლებისგან გამოჭერით ბუს ფეხები. დააწებეთ, როგორც სურათზეა ნაჩვენები. შეგიძლიათ, ჩარჩოშიც ჩასვათ და თქვენი ოთახი გაალამაზოთ.

## ფუტკრები და ზევსი

### (იგავ-არაკი)

ფუტკრებმა თქვეს, ადამიანს თაფლს რად ვაძლევთო და ზევსს სთხოვეს, შხამიანი ნექტარიც გვიბოძეო.

ზევსი განრისხდა და ბრძანა რაყამს კაცნი დაკბინონ, ფუტკრები თვითონაც დაიხოცონო.

ეს ამბავი ავკაცზეა ნათქვამი, საკუთარი ბოროტებით რომ ისჯება.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| მიწისქვეშა ტრანსპორტი / ცხვრის ბეწვი | | | ყვავილი / ცეცხლის ნაწილი | |
| | | | | |
| კვების ობიექტი / წენოგაში შესასვლელი | | | | |




ქალაქი ინდოეთში

რამდენი ერთეულია აბაზი?

ავსტრალიური ველური ძაღლი

გ ი ლ ო ც ა ვ თ

რა ჰქვია იტალიელ კომპოზიტორ მორიკონეს?

ბგერა თავისი არსით

მაჯნუნის სატრფო

ცეცხლის ქმედების პროცესი

ა ხ ა ლ → წ ე ლ ს

კონსტიტუცია თავისი არსით

მაგიური ანუ?

(.....)-დიდება / ვივიენი

ავანსი / მნათობი

ბევრ სვამს / (.......) მა-მამალქე

აფრიკის სახელმწიფო

ბუსუსი ანუ? / მარადმწვანე ბუჩქი

ჯარი (ძვ.)

კლდე ასეთია / ცნობილი ფირალი

ჭრის / ერა

სამეფო ატრიბუტი

განგაშის სიგნალი / ცხენს აქვს

რქეში მოხარშული ცომი

წყლის ორმო

ქვა ასეთიც არის / ლოგინი

ზოგი ტელევიზია / წერს

ყველი ასეთიცაა

მჭედელს აქვს / კიბეს აქვს

მამალს აქვს

ნანას ვარიანტი

აისი / გაზეთი

ნუსხა ანუ?

წყარო

დრაიზერის რომანი

ესპან. ქალაქი / რუსი მომღერ.

უნგრ.კომპოზიტ. (.....) / ფოჩიანი

ნამალი ხედავს / (.....)-ყინული

დედამიწელი

ბიბლიური პერსონაჟი

იგივე ოსი / ამოჩენა

სისხლის დაავადება

რემბრანდტის ნახატი

შავიც არის / მინდვრის შპატი

ნიშანი / ქალის ფრანგ. სახელი

ნაკადი / რქის ნაწარმი

საგმირო სარაინდო პოემა

ფრინველი

დიდი ყუთი

მინდვრის ყვავილი

რუსეთის მდინარე

პარკოსანი

ყვითელი სალებავი

ლექი / თავადი / ფრანგი მსახიობი

კლდე ასეთიც არის

მაიმუნი

ვისის მიჯნური / ხელოვნ. ქსოვილი / ცხენს აქვს

კეთილთვისებ. სიმსივნე

პატარა სასულე საკრავი

ბოჩოლა / ქსოვილის მცენარე

ქალის სომხური სახელი

ციხეშია / სახამებელში არის

ადამის ვაჟი

თანხმობა

ლიტვის ვალუტა

არსაკიძე

ბევრი

ხალხი ანუ?

ავსტრიელი კომპოზიტორი

მესამე ნოტი

(......) მარი

გერმანელი კომპოზიტორი

ხალისი

კაზაკთა მეთაური

ავსტრალიური ფრინველი

2015

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | 10 | 7 | 5 | 2 | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | 8 | 10 | 1 | | | | 1 | 9 | 6 | 1 | 3 | 1 | 6 | 2 | | | | | | | | | | | | | | | 3 | | | | | |
| | 3 | 2 | 6 | 5 | | 4 | 6 | 1 | 10 | 8 | 1 | 2 | 4 | 6 | 1 | 8 | 1 | 7 | 6 | | 2 | | | | | | | | | | 2 | | 3 | 3 | 3 | 3 | 2 | | |
| | 4 | 5 | 2 | 2 | 1 | 2 | 2 | 9 | 9 | 9 | 9 | 9 | 9 | 2 | 1 | 4 | 7 | 3 | 15 | 17 | 22 | 28 | 29 | 29 | 30 | 30 | 30 | 29 | 29 | 28 | 22 | 20 | 11 | 3 | 5 | 4 | 5 | 11 | 7 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 4 | 3 | 1 | 4 |
| | | 4 | 2 | 2 | 2 | 4 |
| | 1 | 2 | 2 | 2 | 3 | 1 |
| | | 2 | 2 | 2 | 2 | 1 |
| | | 2 | 2 | 2 | 2 | 4 |
| | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 3 |
| | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 7 |
| 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 2 | 9 |
| 4 | 2 | 2 | 2 | 1 | 2 | 11 |
| | | 4 | 3 | 2 | 4 | 11 |
| | | | | | | 9 |
| | | | | | 9 | 3 |
| | | | | | 9 | 5 |
| | | | 4 | 11 | 3 | 2 |
| | | | 4 | 11 | 3 | 2 |
| | | | | 4 | 14 | 2 |
| | | | | 4 | 13 | 2 |
| | | | | 4 | 12 | 2 |
| | | | | 5 | 13 | 2 |
| | | | | 4 | 13 | 2 |
| | | | | | 18 | 2 |
| | | | | | 17 | 3 |
| | | | | | 17 | 2 |
| | | | | | 16 | 2 |
| | | | | | 16 | 2 |
| | | | | | 15 | 1 |
| | | | | | 8 | 17 |
| | | | | | 11 | 17 |
| | | | | 9 | 1 | 17 |
| | | | | 9 | 1 | 15 |
| | | | | | 11 | 15 |
| | | | | | 8 | 17 |
| | | | | | 6 | 17 |
| | | | | | 11 | 17 |
| | | | | | 9 | 15 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 6 | 8 | | 5 | | 1 | | 2 |
| 5 | | 3 | | 8 | 1 | | 4 | |
| | 2 | | 3 | | 6 | | 9 | |
| 3 | 4 | | 1 | | | | 6 | |
| | 7 | | | 3 | | 2 | | 8 |
| 2 | | | 7 | | 9 | | 5 | |
| | 1 | 2 | | 9 | | 5 | | 4 |
| 9 | | 6 | 8 | | 4 | | 2 | |
| | | 4 | 5 | 1 | | | 7 | 6 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 | | | 9 | | 8 | |
| | | 8 | 4 | | | | 6 | |
| 9 | 3 | | | 6 | | | 2 | 1 |
| 2 | | 9 | 6 | | | 4 | | 3 |
| | | | 5 | | 2 | | | |
| | 8 | 5 | | 9 | | 6 | | 2 |
| | 6 | | 2 | | | 7 | 1 | |
| | 9 | | 7 | 3 | | 2 | | |
| | 5 | | | | | | | |

# უნებლიე მკვლელობა

## ენ ბენედიქტი



ბეტ რაიმონდმა მეორე ჩანთაც შეკრა და ჭიქაში ჩარჩენილი მარტინი ბოლომდე დალია.

– ძვირფასო, მზად ვარ. უკვე შეგვიძლია, გავემგზავროთ... რამეს ხომ არ დალევ წასვლისას?

– ჰო, კარგი იქნება. ახლავე გავამზადებ კოქტეილს ორივესთვის და ჩამოვალ, – ზემოდან დაუძახა ქმარმა. ბეტი შემობრუნდა და უცებ აღმოაჩინა, რომ მარტო არ იყო. ვერც კი გაიგო, როდის და როგორ შემოვიდა ბინაში ორი მამაკაცი: ერთი – საკმაოდ დაბალი და ჩასუქებული, ხოლო მეორე – მასზე გაცილებით გამხდარი, მაღალი, ახალგაზრდა და ქერა... ქალი არ შეშინდა, მაშინვე ტელეფონის ყურმილს დასწვდა და პოლიციაში აპირებდა დარეკვას.

– არ გირჩევ, თოჯინა... – ბოროტად ჩაიცინა მსუქანმა, – შენს ქმარს დაუძახე. პოლიციაში დარეკვა კი გონივრული საქციელი არ არის, – თავისი სიტყვებისთვის დამაჯერებლობა რომ მიენიჭებინა, ქალს მაჯაზე მოჰკიდა ხელი და მაგრად მოუჭირა. ბეტი მიხვდა, რომ ამ უცხო კაცმა რაღაც საიდუმლო იცოდა, რაც მას ასე მოქცევის უფლებას აძლევდა.

– ჩემს ცოლს ხელი გაუშვი, მაქს... – ჯერალდ რაიმონდი კიბეზე ჩამოვიდა და ცოლს გვერდით ამოუდგა.

მაქსმა გაიცინა და ბუხართან მივიდა, სადაც ბეტის ფოტოსურათები იყო გამოფენილი.

– ყოჩაღ, ჯერალდ, ვამაყობ შენით – სახლი, აუზი, მანქანა და, ცოლი – ოლიმპიური ჩეპიონი, თანაც, ასეთი ლამაზი... რა ტანი აქვს.... ნახე, ჩემი მეგობარი ჯო როგორ შესცქერის?! მისთვის შენი ცოლი ერთადერთი მზეთუნახავია, რომელიც ცხოვრებაში უნახავს... მხოლოდ უნახავს, ხელით არ შეხებია... მაგრამ, ახლა ამის საშუალება ექნება... შენს ცოლსაც მოეწონება, თორემ, ნახავ, პატარავ...

– ჯერალდ, ვინ არიან ეს ადამიანები? – ბეტი მიხვდა, რომ, დრო იყო, ჩარეულიყო.

– მე გეტყვით, მისის რაიმონდ... ნუ ღელავთ, თქვენი ქმარი მკვლელი არ არის, მაგრამ, ჩემთან ერთად იჯდა ციხეში და მერე გაიქცა იქიდან. უკვე მანქანაში იყო, როცა მისმა ნაცნობებმა ჯგუფური ყაჩაღობა მოაწყვეს.

– ჯერალდ, ეს მართალია? მართალია, რასაც ეს კაცი ამბობს?

– მართალია, ძვირფასო, – ჯერალდ რაიმონდმა დამნაშავის მზერა მიაპყრო ცოლს.

– ოჰ, ოჰ, რა სენტიმენტებია!.. – უტიფრად ახითხითდა მაქსი, – მოკლედ, ჯერალდ, მე და ჩემს მეგობარს ბინა გვჭირდება, სითბო და სიმყუდროვე... გუშინ გაგვათავისუფლეს ზონიდან. ცოტა ხანს შენს სახლში ვიცხოვრებთ, მერე ვნახოთ...

– საყვარელო, მაპატიე... მაპატიე, რომ ასეთი პრობლემა შეგიქმენი...

– არა უშავს, ძვირფასო. მე ხომ გიცნობ, ჭიანჭველასაც არ დაადგამ ფეხს.

– მაქს, როგორ მიპოვე?

მსუქანამ გაიცინა:

– კარგი, რა, პროფესორო... ჩემი გაქანების კაცისთვის ეს ძალიან იოლი იყო. აი, შენ კი მართლა გამაოცე... ისე, ციხეში ოცი წელი ტყუილად არ დაგიკარგავს. მახსოვს, სულ ბიბლიოთეკაში იჯექი... ისევ ისეთი ჭკვიანი ხარ, გატყობ...

– ფული გინდა? – ჰკითხა რაიმონდმა.

– ჰა, ჰა, ჰა! ფული?! ფულს ვერ ვიშოვი მე? არ მიცნობ? ხომ გითხარი, შენს სახლში გვინდა ცხოვრება... ჯოს უკვე უყვარს შენი ცოლი... არა, ჯო?

ჯერალდ რაიმონდს სახეზე სისხლი მოაწვა.

– დამშვიდდი, საყვარელო, ყველაფერი კარგად იქნება... – მერე დაუპატიჟებელ სტუმრებს მიუბრუნდა: – ძალიან დაღლილები და მტვრიანები ხართ. არ გინდათ, ჩვენს აუზში იბანაოთ? მერე სასმელსაც შემოგთავაზებდით. საუცრაო კოსტიუმებს იქვე ნახავთ, სტუმრებისთვის განკუთვნილ გასახდელში.

ჯოს თვალები გაუბრწყინდა და მაქსს ისე გადახედა, აშკარა იყო, ერთი სული ჰქონდა, აუზში როდის ჩაყვინთავდა.

– შენ არ შემოგვიერთდები, ლამაზო? – ჰკითხა ბეტის, – ძალიან მინდა, ვნახო, როგორ ხტება ოლიმპიური ჩემპიონი კოშკურიდან.

– აუცილებლად, – მხიარულად უთხრა ბეტიმ და განცვიფრებულ ქმარს მრავალმნიშვნელოვნად შეხედა.

– ბეტ, რას აკეთებ? მირჩევნია, ისევ ციხეში დავბრუნდე, ვიდრე ჩემ თვალწინ გიფათურონ ხელები მაგ ნაძირლებმა!

– უნდა მენდო და მადროვო. რაღაც მოვიფიქრე და, ვიცი, რომ გამომივა. ოღონდ, პირობა უნდა მომცე, რომ არ აღელდები... ვიცი, რასაც ვაკეთებ...

***

... საკმაოდ დიდი აუზი წყლით ბოლომდე სავსე არ იყო. ექვსი მეტრი სიღრმის აუზს ნაპირამდე ორ მეტრზე მეტი ადგილი ჰქონდა შესავსები. ბეტის არ უყვარდა ძალიან სავსე აუზი – ხტომისას ექსტრემის განცდა ერჩივნა. როცა საცურაო კოსტიუმით კოშკურაზე ავიდა და ჰაერში გრაციოზული ნახევარწრე მოხაზა, ჯომ აღფრთოვანებული მზერა ვერ მოსწყვიტა მის შეკრულ, შემართულ ტანს...

– მაქს, მოდი ჩვენთან, მოდი... – ხელი დაუქნია ჯომ მეგობარს, – ცურვა ხომ იცი?

მაქსი დაჯდა, ფეხები ძირს ჩაუშვა და ძალიან ნელა ჩაეშვა წყალში... ბეტი იხვივით ცურავდა, ხან აქ ამოყვინთავდა, ხან – იქ...

– კიდევ ერთხელ არ გადმოხტები კოშკურიდან? – მუდარით ჰკითხა ჯომ, – ძალიან ლამაზი ხარ ამ დროს.

– მართლა? – გაეკეკლუცა ბეტი, – კარგი, შენი ხათრით გადმოვხტები, – ქალმა გრაციოზულად ამოზიდა თავისი უნიკალური სხეული და, იმის ნაცვლად, რომ კოშკურისკენ წასულიყო, აუზში ჩასასვლელ კიბესთან ჩაიმუხლა და ხრახნების მოხსნა დაიწყო: თითების სწრაფი მოძრაობით დაატრალა ჭანჭიკები და კიბე წყლიდან ამოიღო. ვერც ჯო და ვერც მაქსი მაშინვე ვერ მიხვდნენ, რა გააკეთა ქალმა. ბეტიმ მათ ხელი დაუქნია და დაუყვირა:

– ბედნიერ ცურვას გისურვებთ, ბატონებო, მაგრამ, გაითვალისწინეთ, რომ სამ საათზე მეტ ხანს წყალში გაჩერება გამოცდილ მოცურავეებსაც კი გვიჭირს – სხეული ნელნელა გაგიშეშდებათ და ჩაიძირებით!

ჯო შეშფოთებით მიცურდა აუზის ნაპირთან და შეეცადა, ამომხტარიყო, მაგრამ, უშედეგოდ – მეტლახით მოპირკეთებული ნაპირი ისე მაღლა იყო, ვერაფრით ვერ შეძლებდა იმ სიმაღლეზე ახტომას.

– მაქს, მგონი, ცუდად არის ჩვენი საქმე. ეს ძუკნა მართლა ჩაგვტოვებს აქ და დაგვახრჩობს. მე უკვე ფეხიც გამენასკვა.

– არ გინდა, პანიკაში თუ ჩავარდები, გაცილებით ადრე დაიხრჩობი, – უთხრა მაქსმა და ქალს გასძახა: – ლამაზო, ჭკუა სულ დაკარგე? შენს ქმარს ისედაც პრობლემები აქვს პოლიციასთან და, გინდა, შენც მას მიგაყოლონ, როცა პოლიცია აუზში ჩვენს გვამებს ნახავს?

– თქვენ მაგაზე არ იდარდოთ, – მხიარულად გამოეპასუხა ბეტი, – დავიცდი, სანამ ჩაძაღლდებით, მერე კი თქვენს გვამებს ამოვათრევთ, ჩემს „ჯიპში“ ჩავტენით და რომელიმე ხევში გადავყრით. ვერ ხედავთ, გარშემო ერთი სახლიც რომ არ დგას? არასდროს მიყვარდა მეტიჩარა, ცნობისმოყვარე მეზობლების გარემოცვაში ცხოვრება.

– ჯო, მგონი, მართლა პრობლემა გვაქვს,– მაქსი ჯოსთან მიცურდა, – არ უნდა დავუშვათ, რომ ამ ძუკნამ გვაჯობოს. ძალას მოვიკრებ, ჩავყვინთავ და შევეცდები, მყარად გავჩერდე აუზის კედელთან, შენ მხრებზე დამადგები და ახვალ. მერე კი მეც ამიყვან.

– შეძლებ? – უიმედოდ და უმწეოდ იკითხა ჯომ.

– უნდა შევძლოთ, მიდი...

სანამ ისინი ბჭობდნენ, ბეტიმ მოასწრო, გარაჟში შევიდა და იქიდან ბეისბოლის ჯოხი გამოიტანა. ის იყო, ჯოს თავი აუზის ნაპირზე ამოვიდა, რომ ბეტიმ მთელი ძალით მოიქნია ჯოხი და შემოსცხო... ჯო შეტორტმანდა, წყალში ჩავარდა და მაქსს მთელი სხეულით ისე დააწვა, რომ ჩაძირა...

ბეტი სახლში შებრუნდა... ქმარი ბუხართან ელოდა, ხელებში თავჩარგული.

– მორჩა, ყველაფერი დასრულდა, საყვარელო, ჩვენი აუზი მათ გაუსწორდა. ახლა ველარასდროს შეგვაწუხებენ.

– ბეტი, შენ ეს შეძელი, შენ ეს გააკეთე... სიტყვები არ მყოფნის...

– ჰო, შევძელი... მაგრამ, კიდევ რაღაც გვაქვს გასაკეთებელი და მერე შეგვიძლია, მშვიდად გავემგზავროთ... კარგი ქენი, რომ დამიჯერე და ასეთი ღრმა აუზი გააკეთებინე... ამის მერე ხომ ყოველთვის ყველაფერს დამიჯერებ?!.

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

# რითია სასარგებლო ფუტკრის რძე მეძუძური დედისათვის

დედის რძე არის საკვები ნივთიერებების ყველაზე სრულფასოვანი წყარო, რომელიც აუცილებელია ახალშობილის ზრდა-განვითარებისათვის. ჰიპოგალაქტია– რძის ნაკლებობა– საკმაოდ გავრცელებული, თუმცა სრულად მოგვარებადი პრობლემაა. ქალი ჯერ კიდევ ორსულობის დროს უნდა მოემზადოს მეძუძური დედის როლისთვის. სპეციალური კურსები ორსულთათვის, მეან-გინეკოლოგის კონსულტაცია და, თუ ეს აუცილებელია, ფსიქოლოგის კონსულტაციაც შეიძლება დაგეხმაროთ ამაში.

## ტექნიკური მომენტები

დადგა დიდი ხნის ნანატრი მომენტი: თქვენ დედა ხართ. სამშობიარო სახლებში მიღებულია ბავშვის ძუძუსთან მიყვანა ჯერ კიდევ სამშობიარო ბლოკში, პრაქტიკულად – მშობიარობისთანავე. ეს ასტიმულირებს პლაცენტის მოცილებას და აჩქარებს რძის გამომუშავების პროცესს. შემდგომშიც ძუძუსთან ხშირი მიყვანა არის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდი ლაქტაციის სტიმულირებისთვის.

ძუძუთი კვება – ბუნებრივი, მაგრამ რთული პროცესია. მას სწავლა სჭირდება. დედის ფიზიკური დისკომფორტი იწვევს ფსიქოლოგიურ დაძაბულობას და თითოეული კვება მისთვის სტრესის მომტანია, ასეთი განწყობა კი რძის ნაკლებობას იწვევს. ამიტომ მნიშვნელოვანია ბავშვის ძუძუთი კვების დროს დედა იყოს მოხერხებულ პოზაში, რათა სხეული არ დაიღალოს. ყურადღება მიაქციეთ დღის რეჟიმს: აუცილებლად მონახეთ დრო დღისით ძილისა და სუფთა ჰაერზე გასეირნებისათვის. არ დაიზაროთ – გაიკეთეთ მკერდის სპეციალური მასაჟი. ჭარბი რაოდენობით სითხის მიღება (დღეში 1,5 ლიტრზე მეტი) და ჯანსაღი კვება, რომელიც მდიდარი იქნება ვიტამინებით და საკვები ნივთიერებებით – რძის ხარისხის წინაპირობაა.

## დახმარება ბუნებისგან

ლაქტაციის აღდგენისა და მოგვარებისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ სპეციალური ლაქტომასტიმულირებელი საშუალებები, მაგალითად, ფუტკრის რძის დედო. მას შეიცავს სამკურნალო პრეპარატი „აპილაკი გრინდექსი". ფუტკრის რძე მდიდარია ცილებით, ფერმენტებით, ამინომჟავებით, ვიტამინებით, მაკრო და მიკროელემენტებით. მეძუძური ქალის ორგანიზმზე ფუტკრის რძის დედო ახდენს კომპლექსურ მოქმედებას:

- ასტიმულირებს სარძევე ჯირკვლების მუშაობას, ხელს უწყობს რძის გამომუშავებას;
- არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას;
- აძლიერებს იმუნიტეტს;
- ეხმარება ორგანიზმს აღდგენაში მშობიარობის შემდეგ.

პრეპარატი „აპილაკი გრინდექსი" აღადგენს ვიტამინების დეფიციტს დედის ორგანიზმში, აუმჯობესებს რძის ხარისხს, ხელს უწყობს დედას, გაუმკლავდეს ფიზიკურ გადატვირთვას და მშობიარობის შემდგომ სტრესს.

## სირთულეებთან გამკლავება

ზრდასთან ერთად თქვენს ბავშვს სულ უფრო მეტი რძე დასჭირდება. რაღაც მომენტში მისი მოთხოვნები და თქვენი შესაძლებლობები შეიძლება არ დაემთხვეს. ექიმები ამ მდგომარეობას ლაქტაციურ კრიზს ეძახიან. ამის არ შეგეშინდეთ. ისევ დაიცავით დღის რეჟიმი, დიეტა, გაიკეთეთ მასაჟი, მიიღეთ „აპილაკი გრინდექსი", მაგრამ, რაც მთავარია – არ შეწყვიტოთ ძუძუთი კვება! როგორც კი თქვენი ორგანიზმი გადაეწყობა ახალ რეჟიმზე, ლაქტაცია მოგვარდება, კვება ისევ მოგიტანთ სიხარულს და სიამოვნებას, ხოლო თქვენს პატარას – სარგებელს!



**უცნობი ავტორის შესანიშნავი თხზულება „კოლაელ ყრმათა წამება“, – როგორც რომაული სამართლის ისტორიის შესწავლით და ფილოლოგიურ-ისტორიული კვლევებით გაარკვია ბიძინა ჩოლოყაშვილმა თავის ნაშრომში „უძველესი ქართული მარტიროლოგიური თხზულება“ (2003), დაიწერა 260–303 წლებს შორის, საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ კუთხეში, კოლაში მომხდარი ამბის შესახებ.**

# რატომ დახოცეს კოლაელმა ქართველებმა შვილები, რომლებიც ეკლესიამ წმიდანებად შერაცხა

ამ დროს სამხრეთ-დასავლეთ და დასავლეთ საქართველოს ნაწილი აღმოსავლეთ რომის იმპერიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იყო და იქ რომაული კანონები მოქმედებდა.

კოლა არის უძველესი ქართული პატარა პროვინცია, უძველესი დიაოხის სამეფოდან. მისი სახელწოდებიდან არის ნაწარმოები კოლხთა საამაყო სახელი (კოლა–ხი, კოლხი, კოლხეთი). ამ მხარეს დიდი მესხეთის სხვა კუთხეებთან ერთად ზემო ქართლსაც უწოდებდნენ.

მტკვრის სათავესთან ახლოს, ხეობაში, რომელსაც ჰქვია კოლა, იყო ერთი სოფელი. ამ სოფლის მკვიდრთა დიდი ნაწილი წარმართი და კერპთმსახური გახლდათ, თუმცა იქვე ცხოვრობდა მცირერიცხოვანი ქრისტიანული მრევლი, რომელთაც თავისი ეკლესია ჰქონდათ. 303 წელს რომის იმპერიაში დაიწყო ქრისტიანების უკანასკნელი დევნა და აქედან გამომდინარე, ეს ამბავი 303 წლამდეა მომხდარი, რადგან დევნა რომ დაწყებული ყოფილიყო, ქრისტიანებს ეკლესიის ქონის უფლება არ ექნებოდათ.



როგორც ბავშვებს სჩვევიათ, ამ სოფლის პატარებიც იკრიბებოდნენ სათამაშოდ. ყოველდღე, ერთად მღეროდნენ და ერთობოდნენ წარმართიც და ქრისტიანი ბავშვებიც. სალამოობოთ ამ სოფელში მცხოვრები ქრისტიანების ხუცესი მწუხრის ზარით (თუ ძელით) მოუხმობდა და ქრისტიანი ბავშვები ეკლესიაში მიდიოდნენ სალოცავად.

მათი მეგობარი, ცხრა წარმართი ბავშვი, გაჰყვებოდნენ ხოლმე მათ, ეკლესიის კართან იდგენ და ისმენდნენ წირვას. მათ მოეწონათ ქრისტიანული წირვა-ლოცვა, ქადაგება და წრფელი, პატარა გულებით შეუყვარდათ ქრისტეს სჯული.

ეკლესიაში მათ არ უშვებდნენ, რადგან იმ დროს მოუნათლავი ადამიანის ტაძარში შეშვება არ შეიძლებოდა. ასეც ეუბნებოდნენ მათ ქრისტიანები:

– თქვენ ხართ კერპთაყვანისმცემლები და თქვენი შეშვება უფლის სახლში არ შეიძლებაო.

გულდაწყვეტილი და დარცხვენილი პატარები უკან ბრუნდებოდნენ, თუმცა მეორე დღეს ისევ მიდიოდნენ ეკლესიასთან და ისევ მეორდებოდა წინა დღეს მომხდარი.

ერთხელაც დაჟინებით მოისურვეს პატარა წარმართებმა ეკლესიაში შესვლა.

ქრისტიანებმა უთხრეს:

– თუ ჩვენთან ერთად გინდათ ეკლესიაში შემოსვლა, უნდა იწამოთ ქრისტე ღმერთი და მოინათლოთ მისი სახელით, ეზიაროთ მის საიდუმლოებებს და შემოგვიერთდეთ ქრისტიანებსო.

პატარებმა დიდი სიხარულით მიიღეს რჩევა და გადაწყვიტეს, ქრისტიანები გამხდარიყვნენ. მათმა თანატოლმა ქრისტიანებმა სასწრაფოდ უთხრეს სოფლის მღვდელს, ღირსეულ და პატიოსან ადამიანს, პატარა წარმართების სურვილის შესახებ.

ხუცესი დაელოდა დაღამებას, მერე გაემართა მდინარისკენ, თან გაჰყვნენ ქრისტიანები. ზამთარი იყო და ყინავდა. დღისით ქრისტიანები ვერ გაბედავდნენ ბავშვების მონათვლას. იმ დროს კოლას მხარე აღმოსავლეთ რომის გავლენის ქვეშ მოქცეულიყო. რომის იმპერიაში კი, მართალია, ქრისტიანებს მოქმედების უფლება ჰქონდათ 260–303 წლებში, მაგრამ მათი უფლებები ძალიან შეზღუდული გახლდათ. მათ არ ჰქონდათ უფლება, ნებისმიერი უხერხულობა შეექმნათ წარმართი მოსახლეობისთვის.

გარდა ამისა, ღამით მონათვლა და თან მდინარეში, იყო უძველესი ჩვეულება. როგორც იესომ ღამით ნათელიღო იორდანეში იოანე ნათლისმცემლის ხელით, ცხრა პატარა კოლაელმა ქართველმაც ღამით იღეს ნათელი. მტკვრის წყალი ძალიან ცივი იყო. ბავშვები შევიდნენ მდინარეში. დაიწყო თუ არა ხუცესმა ნათლობა და თქვა თუ არა „ჟამობა“ (ლოცვა): „სული წმინდა გარდამოვიდა, ვითარცა მტრედი, იორდანეზე, როცა ქრისტე ნათელს იღებდა. ანგელოზები გვერდით იყვნენ და გალობდნენ: ალილუია, ალილუია“... ამ დროს წყალი სასწაულებრივად გათბა, როგორც აბანოშია ხოლმე. ღვთის ბრძანებით, ანგელოზებმა სპეტაკი სამოსელი შემოახვიეს პატარა ქრისტიანებს, რა თქმა უნდა, კაცთაგან უხილავად.

ამ ნათლისღებისას მირონის ცხება არ ჩანს თხზულებაში, მირონის ცხება სავალდებულოდ დაადგინეს ლაოდიკიის კრებაზე (343-381).

## წარმართებმა პატარების წამების დღეც დანიშნეს

მაშასადამე, ეს ამბავი მოხდა უფრო ადრე.

ტექსტში ლოცვას „ჟამობა“ ჰქვია, როგორც შეამჩნია ნიკო მარმა. ეს მიუთითებს კოლაელ ყრმათა წამების ტექსტის სიძველეზე, რადგან შემდგომ საუკუნეებში სიტყვა ლოცვას გამოიყენებდნენ.

...აღარ მიბრუნდნენ ახალგაქრისტიანებული პატარები მშობლებთან და დარჩნენ ქრისტიანებთან, თავის ნათლიებთან.

პატარა ქრისტიანების მშობლებმა გაიგეს მათი შვილების გაქრისტიანების ამბავი და გაწრისხებულებმა ძალისძალად, შეურაცხყოფითა და გინებით გამოიტაცეს თავიანთი შვილები ქრისტიანთა სახლებიდან. მიიყვანეს შინ და სასტიკად სცემეს. შემდეგ შესთავაზეს ეჭამათ სამსხვერპლო შესაწირი. ეს იყო სარწმუნოებრივი გამოცდა.

პატარები საკვებს პირს არ აკარებდნენ და მტკიცედ აცხადებდნენ:

– ჩვენ ქრისტიანები ვართ და არ შეგვიძლია, ვჭამოთ და ვსვათ კერპთათვის შეწირულიო.

შვიდი დღე უსმელუჭმელად გაატარა ცხრა ყრმამ. მშობლები უამრავ საჩუქარს და ფერადფერად ტანსაცმელს ჰპირდებოდნენ, მაგრამ პატარები პასუხობდნენ:

– ჩვენ ქრისტიანები ვარ და არაფერი გვინდა თქვენგან, გაგვიშვით და წავალთ ქრისტიანებთანო.

წარმართმა მშობლებმა ვერ შეძლეს პატარა ქრისტიანების მტკიცე რწმენის შერყევა, ვერ დაიყოლიეს წარმართობას დაბრუნებოდნენ. წავიდნენ იმ მხარის მთავართან, რომელიც მათსავით წარმართი იყო და მოახსენეს თავიანთი შვილების ამბავი.

მთავარმა უპასუხა: თქვენი შვილები არიან და რაც გნებავთ ის უყავითო.

ეს რომაული კანონია. რეგიონის მმართველი არ იყო უფლებამოსილი, გამოეტანა რაიმე დადგენილება ბავშვების შესახებ, მამის გადაწყვეტილების გარეშე. იმ დროს რომში მშობელს შეეძლო თავისი შვილის ბედის, მეტიც – სიცოცხლის განკარგვაც კი. რომაული კანონებით, მამებს შვილის დასჯის, მოკვლის უფლება ჰქონდათ 319 წლამდე, თანაც სასამართლოს გარეშე.

ამიტომ, წარმართმა მამებმა უთხრეს მთავარს:

– მობრძანდი ჩვენთან და ჩვენ ქვით ჩავქოლავთ მათ, რათა სხვებმაც არ მიბაძონ და არ გაქრისტიანდნენო.

313 წლიდან, მილანის ედიქტის მერე, როცა ქრისტიანობა რომის იმპერიაში და მის გავლენის სფეროში ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა, ქრისტიანების სიკვდილით დასჯა შეუძლებელი შეიქმნა. ეს ნაწარმოები რომ ასახავდეს თუნდაც მეოთხე საუკუნის 20-იანი წლების შემდგომ მოვლენებს, მაშინ საქმე სხვაგვარად გვექნებოდა. ვერც მშობლები გადაწყვეტდნენ შვილების სიკვდილით დასჯას და ვერც რეგიონის ადმინისტრაციის მეთაური გაბედავდა ამის უფლების მიცემას. თუ ქართლის სამეფოს იურისდიქციაში იქნებოდა კოლას მხარე, მეოთხე საუკუნის 20-იანი წლებიდან ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია იყო ქართლში და ქრისტიანებს ვერავინ დასჯიდა სიკვდილით, მთებშიც კი. ასევე, იმ შემთხვევაშიც, თუ კოლა რომის (ბიზანტიის) გავლენის სფეროში იქნებოდა. ასე რომ, ეს ამბავი მანამდე მოხდა.

ამ არაადამიანური გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც მიიღეს მხეცად ქცეულმა, გონებადაბინდულმა წარმართებმა, შეიძლებო-

**(გაგრძელება 73-ე გვერდზე)**

# რისთვის იყენებდნენ ძველად მაიას ტომის ინდიელები „მსხვერპლთა ჭას“

მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, იუკატანზე დასახლებულმა ესპანელმა მემამულეებმა დიდი მოცულობის კოლექტიური ნაშრომი შეადგინეს ამ მხარეში არსებული მდგომარეობის შესახებ, რომელშიც „მსხვერპლთა ჭაც“ მოიხსენიეს:

„რაც შეეხება ამ ჭას, ყველა ამ პროვინციის მმართველსა და წარჩინებულ ადამიანს ჰქონდა ჩვეულება, ჩაეყარათ იქ ის ქალები, რომლებიც მათ მორჩილებაში იყვნენ; ისინი უბრძანებდნენ ამ ქალებს, ხვეწნით დაეყოლიებინათ ღმერთები წარმატებულ და ბედნიერ წელიწადზე თავიანთი პატრონის საკეთილდღეოდ. ქალებს გაუთოკავად ყრიდნენ ჭაში და ისინი დიდი ხმაურით ცვიოდნენ წყალში. შუადღემდე ისმოდა მათი ყვირილი, ვისაც კიდევ ჰქონდა ამის თავი. შემდეგ მათთვის ბაწარს ჩაუშვებდნენ ჭაში. მოათრევდნენ ზევით ნახევრად მკვდარ ქალებს, მათ ირგვლივ კოცონს აჩაღებდნენ და კეთილსურნელებას უკმევდნენ. როდესაც ისინი გონს მოეგებოდნენ, იწყებდნენ მოყოლას, რომ იქ, ქვემოთ, მრავლად იყვნენ მათი თანატომელები – ქალები და კაცები, რომლებიც მათ იქ იღებდნენ. მაგრამ, როდესაც ქალები ცდილობდნენ თავის წამოწევას, რათა მათთვის შეეხედათ, მძიმე დარტყმებს იღებდნენ.“ ხოლო, როცა თავს ქვემოთ დახრიდნენ, თითქოს წყალქვეშ ღრმულებსა და ვარდნილებს ხედავდნენ და ადამიანები წყალქვეშეთიდან პასუხობდნენ შეკითხვებზე, თუ როგორი წელიწადი ექნებოდათ მათ ბატონებს – კარგი თუ ცუდი. და თუ დემონი განრისხებული იყო მმართველზე, რომელმაც ქალი ჩააგდო სენოტში, ინდიელებმა იცოდნენ, რომ ეს ქალი უკან ველარასოდეს დაბრუნდებოდა.

1612 წელს ესპანელი მოხელე თომას ლოპეს მოდელი აღწერს მშვენიერ ქალიშვილებს, რომლებსაც „მსხვერპლთა ჭაში” აკვდინებდნენ:



„სხვა მსხვერპლშეწირვათა შორის, რომელიც ეშმაკმა მათ იუკატანის ამ პროვინციებში შესწავლა, არის ერთი, რომელსაც უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ – მაშინ, როცა თავიანთი სიმინდის ნათესებისთვის წვიმა ესაჭიროებათ. აღნიშნული წეს-ჩვეულების აღსრულების დროს, მსხვერპლად სწირავენ ერთ ან ორ ინდიელ ქალწულს. ამისთვის ისინი ყველასგან გამორჩეულსა და საუკეთესოს არჩევენ და საღმრთო, ქვის ფილებით მოგებული გზით მიჰყავთ ჩიჩენ-იცაში, სადაც მთავარი ტაძარია და ქურუმები იმყოფებიან... იქ მათ უხსნიდნენ, თუ რა უნდა გაეკეთებინათ, რა უნდა ეთხოვათ დემონებისა და ცრუ ღმერთებისთვის, შემდეგ, გრძელ თოკზე გამობმულ ქალიშვილებს ჭის სიღრმეში უშვებდნენ და მანამდე აყურყუმელავებდნენ წყალში, სანამ მოკვდებოდა – ასე გახდებოდა ის კარგი შუამავალი მათ ცრუ ღმერთებთან, რათა ბარაქიანი წვიმა ესხურებინა ნათესებისთვის. ამით მსხვერპლშეწირვა მთავრდებოდა და ქალწულის გვამს სენოტში ტოვებდნენ. ზოგიერთი მოხუცი ინდიელი ამტკიცებს, რომ ისინი დროდადრო ხედავდნენ ამ მსხვერპლშეწირვების დროს საშინელ და მძვინვარე ურჩხულს, რომელსაც ისინი ვეებერთელა ნიანგის სახით აღწერენ. ის ჭის სიღრმიდან თითქოს იმისთვის ჩნდებოდა, რომ მისთვის მიძღვნილი მსხვერპლი მიეღო...“

**პროვინციის მმართველები და წარჩინებული ადამიანები უბრძანებდნენ ამ ქალებს, ხვეწნით დაეყოლიებინათ ღმერთები წარმატებულ და ბედნიერ წელიწადზე თავიანთი ბატონის საკეთილდღეოდ**

ჭის არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა ბოლო მოუღო ყოველგვარ ლეგენდას. „ღვთიურ სენოტში ნამდვილად იპოვეს დიდი რაოდენობის ფასეული ნივთი და ხელოვნების ნიმუშები. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მრავალი მათგანი იყო დამტვრეული, თუმცა, საგნების „მოკვლის“ ტრადიცია მსხვერპლშეწირვის პროცესში მრავალი ხალხისთვის იყო დამახასიათებელი. სენოტში ადამიანთა ჩონჩხებიც იქნა ნაპოვნი, მაგრამ ანთროპოლოგებმა დაადგინეს, რომ 42 გამოკვლეული თავის ქალიდან დიდი ნაწილი ეკუთვნოდათ თორმეტ წლამდე ასაკის ბავშვებს, 13 ქალა – კაცებს და, მხოლოდ 8 – ქალებს, მათ შორის, ძირითადად, ხანში შესული ასაკის ადამიანებს. ამასთანავე, ამ რვა ქალიდან სამს ჯერ კიდევ სიცოცხლეში ჰქონდა მიღებული თავის ტრავმა, კერძოდ, ერთ-ერთს გატეხილი ჰქონდა ცხვირი, რამაც მთლიანად დაანგრია ლეგენდა ლამაზმანთა მსხვერპლად შეწირვის შესახებ.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | ბ | | ნ | | მ | | კ | |
| | | | | | | | ხ | ა | ლ | ი | ბ | ა | უ | რ | ი |
| | | | | | | ო | | დ | | ნ | | ი | | ე | |
| | | | | | | მ | ა | რ | ა | დ | ი | ს | ო | ბ | ა |
| | | | | | | ა | | ი | ნ | ა | | ი | ლ | ა | რ |
| | ა | რ | ა | ბ | ა | ნ | ა | | უ | | ჩ | | კ | | ჩ |
| ა | რ | უ | მ | | ს | ი | გ | ა | | ყ | ი | ყ | ი | ნ | ი |
| ვ | ე | რ | ო | ნ | ა | | უ | რ | ა | რ | ტ | უ | | | ლ |
| ზ | | უ | შ | | ნ | ა | ზ | ი | | მ | ი | ლ | ა | ნ | ი |
| ი | ვ | ა | ლ | ე | თ | | ა | მ | ლ | ა | | ა | | ა | |
| | ა | | ა | ს | ო | | რ | | უ | | კ | ბ | ი | ლ | ა |
| ა | ლ | ი | | ა | | რ | ო | მ | ბ | ი | | ა | ნ | ი | რ |
| ფ | ი | ა | ს | კ | ო | | ვ | | ა | | უ | | ვ | | მ |
| ლ | | ვ | | ი | ნ | უ | ა | დ | | ს | ტ | ე | ნ | კ | ა |
| ა | ნ | ა | ზ | ა | რ | კ | | ო | ტ | ი | ა | | ი | | ზ |
| | ო | | ო | | ა | ვ | ი | შ | | პ | | ტ | ა | ლ | ი |
| მ | ტ | ე | რ | ი | | ე | | ი | ც | ი | ფ | უ | | ი | |
| | ა | ლ | ო | კ | ს | | ვ | | უ | | ა | ფ | უ | ლ | უ |
| მ | | ბ | | ა | | თ | ე | ი | რ | ა | ნ | ი | | ვ | |
| ი | ვ | ა | ნ | | კ | | რ | | ი | | დ | | ბ | ი | ს |
| ქ | | ქ | | პ | ლ | ი | ს | ე | | ბ | ი | ჭ | ი | | ტ |
| ა | დ | ი | ღ | ე | ა | | ა | ლ | ვ | ა | | ა | ს | ლ | ი |
| ძ | | ძ | | რ | კ | ა | ლ | ი | | გ | ე | ლ | ა | | ლ |
| ე | ს | ე | ნ | ი | ა | | ი | ა | რ | ა | | ა | უ | ზ | ი |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 8 | 2 | 6 | 7 | 9 | 1 | 4 | 5 |
| 7 | 1 | 4 | 2 | 5 | 8 | 3 | 6 | 9 |
| 5 | 6 | 9 | 3 | 1 | 4 | 2 | 8 | 7 |
| 4 | 5 | 6 | 8 | 3 | 7 | 9 | 1 | 2 |
| 9 | 2 | 8 | 1 | 4 | 5 | 7 | 3 | 6 |
| 1 | 3 | 7 | 9 | 6 | 2 | 8 | 5 | 4 |
| 6 | 7 | 1 | 5 | 9 | 3 | 4 | 2 | 8 |
| 2 | 4 | 5 | 7 | 8 | 1 | 6 | 9 | 3 |
| 8 | 9 | 3 | 4 | 2 | 6 | 5 | 7 | 1 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 5 | 9 | 1 | 4 | 2 | 6 | 8 | 3 |
| 3 | 6 | 4 | 5 | 9 | 8 | 7 | 1 | 2 |
| 1 | 2 | 8 | 6 | 3 | 7 | 4 | 5 | 9 |
| 8 | 9 | 5 | 4 | 2 | 3 | 1 | 7 | 6 |
| 6 | 3 | 7 | 9 | 8 | 1 | 2 | 4 | 5 |
| 4 | 1 | 2 | 7 | 5 | 6 | 9 | 3 | 8 |
| 5 | 4 | 6 | 3 | 7 | 9 | 8 | 2 | 1 |
| 9 | 8 | 3 | 2 | 1 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 2 | 7 | 1 | 8 | 6 | 5 | 3 | 9 | 4 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. ადამი და ევა – ღმერთმა სამოთხიდან გამოყარა. 2. კიოსკი. 3. მალარიას. 4. წამლის მიღება ვეგეტარიანელებსაც შეუძლიათ. 5. კატას – მას ხელის გადასმით ბეწვი ემუხტება. 6. დასაბანი ცოცხი. 7. საშინელებათა ჟანრი. 8. დაბალი სტარტი. 9. ბავშვის მიერ გადაყლაპული დეტალის აღმოსაჩენად. 10. ტახტზე ასვლის მილოცვებს.**

**2015 წელი მოდის და წინა საახალწლო სამზადისიც აქტიურ ფაზაშია. ნინო ჩხეიძე, ყოველთვის განსხვავებულად ხვდება ახალ წელს და არა მხოლოდ ნაძვის ხეს, არამედ მთელ სახლს რთავს სხვადასხვა დეკორაციით. თოვლის ბაბუის არსებობის, მართალია, უკვე აღარ სჯერა, მაგრამ საკუთარ სანტას მან სურვილი უკვე გადასცა. როგორი იყო მისთვის 2014 წელი და რას გეგმავს მომავალ, 2015 წელს, ამას თავად გვიამბობს.**

# რა აუხდენელი ოცნება აქვს ნინო ჩხეიძეს და ვისთან ერთად ჩაწერა მან რამდენიმე ახალი დუეტი

– ბევრი სიახლე მაქვს. ახალი ალბომი 25 დეკემბრიდან გაყიდვაშია. სულ ცხრა ალბომი მაქვს, ეს მათგან განსხვავებულია. მასში შედის ახალი სიმღერები და ის ჰიტები, რომლებიც დღემდე მოთხოვნადი და პოპულარულია. ჩავწერე დუეტი: ლელა წურწუმიასთან, მომღერალ შალვა მორელთან, რომელიც ისრაელიდანაა და ვახო ბიჭიკაშვილთან. ლელასთან ერთად ვმღერი სიმღერას, რომელიც ახალი წლის ეთერში გავა.

**– ახალ წელს სად შეხვდებით?**

– ახალ წელს, როგორც ბევრი მომღერალი, მათ შორის მეც, ვერ მოვხვდი საახალწლო გალა კონცერტზე თბილისში. შესაბამისად, შევხვდები ოჯახში. იყო შემოთავაზება, რომ მემღერა რუსთავში. თბილისში ბევრი კორპორატიული კონცერტი მაქვს და ფიზიკურად ვერ შევძლებდი წასვლას. სხვადასხვა რესტორანში ვიმღერებ.

**– როგორ ფიქრობ, თბილისის საახალწლო გალა კონცერტზე, რატომ ვერ მოხვდი?**

– ნამდვილად არ ვიცი. რა კრიტერიუმებით აარჩიეს მომღერლები, ამაზე პასუხი არც თავად აქვთ. ძალიან სასაცილო იყო, როდესაც თქვეს, ვისაც ცოცხლად სიმღერა შეუძლია, სწორედ ის გამოვა კონცერტზეო. სასაცილოდაც არ მყოფნის ეს კომენტარი. წინა საახალწლო პერიოდში სულ ვმუშაობ, შესაბამისად, ახალი სიმღერები მაქვს, მათ შორის საახალწლოც. ამიტომ, ვერ ვხვდები, რატომ ვერ მოვხვდი იმ მომღერალთა სიაში.

**– ახალი წლისთვის სამზადისი როდის იწყება თქვენს ოჯახში?**

– ჩემს ოჯახში 15 დეკემბრიდან იწყება წინა საახალწლო სამზადისი. ახალი წლისთვის ყოველთვის განსაკუთრებულად ვემზადები, მთელ სახლს ვრთავ, უამრავ დეკორაციას ვაკეთებ. ნაძვის ხეც უკვე მოვრთე. ყოველდღიურად ვცდილობ, თითოეული კუთხის გალამაზებას. ძალიან მომწონს წინა საახალწლო სამზადისი და ჩემი მორთული სახლიც. ახალ წელს ოჯახში ვხვდებით და მერე გავდივართ კონცერტებზე. როგორც ვფიქრობ, წელსაც ასე იქნება.

**– რა გინდათ წელს, რომ სანტამ გაჩუქოთ?**

– რაც მინდა, ჩემი სანტა წელს ვერ მომიტანს *(იცინის)*.

**– ასეთი რა სურვილი გაქვთ?**

– მინდა, რომ სანტამ მანქანა მომიყვანოს. პატარა მანქანა მყავს და „ჯიპი" მინდა, მაგრამ ეს აუხდენელი ოცნებაა *(იცინის)*. ამიტომ, მირჩევნია, რაიმე რეალური საჩუქარი მივიღო. რაღაცას რომ მაჩუქებს, ეს ვიცი, მაგრამ რას, ჯერ არა. როცა მაჩუქებს, აუცილებლად გეტყვით, რაც იქნება *(იცინის)*.

**– ისე, სანტამ იცის, რომ მანქანა გინდათ?**

– იცის სანტამ, მაგრამ სამწუხაროდ, ახალი წლისთვის ვერ მოხერხდება. მეც შევძივარ ჩემი სანტას მდგომარეობაში *(იცინის)*.

**– 2015 წელს რა ცვლილებებს გეგმავთ?**

– ძალიან ბევრი გეგმა მაქვს, ალბათ, კიდევ ერთ ალბომს გამოვუშვებ. გავაკეთე ტელევიზია „დარდიმანდი", რომელიც ქართული მუსიკალური არხი იქნება. აქტიურად დავიწყებ მასზე მუშაობას. ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი პოპულარული ტელევიზია გახდება.

**– ტრადიციული მეკვლე თუ გყავთ ოჯახში?**

– რა თქმა უნდა, ჩემი მეუღლეა ოჯახის ტრადიციული მეკვლე. ოცდათერთმეტში გიორგია მეკვლე, ხოლო პირველში – მამაჩემი. ძალიან კარგი ფეხი აქვს, როგორც აფასებენ ხოლმე მეკვლეს *(იცინის)*.

**– ანუ, ძველი ხალხური მითის გჯერათ, მეკვლეს ფეხთან დაკავშირებით.**

– კი, როგორ არა. რას ამბობ, სხვა, რომ მოვიდეს, არ ვიცი რას ვიზამ *(იცინის)*.

**– რომელ საახალწლო კერძს გამოარჩევდით და თავად თუ ხართ კერძების მომზადების პროცესში ჩართული?**

**ჩემს გარდერობში იპოვით ყველანაირ ტანსაცმელს: შეკერილს, ბრენდულს, პატენტს**

– საერთოდ არ მიყვარს საახალწლოდ ბევრი კერძის მომზადება. ჩემს სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს საცივი, გოზინაყი და „ხალადეცი". პირადად, რასაც ვამზადებ ეს არის საცივი. საერთოდ გემრიელი ხელი მაქვს, ასე ამბობენ *(იცინის)*. თუ ვერ ვასწრებ საცივის მომზადებას, ბებია მიკეთებს და მიგზავნის *(იცინის)*. ხაჭაპურს არ ვაცხობ და საერთოდ, არც არასდროს გამიკეთებია.



**რაც მინდა, ჩემი სანტა წელს ვერ მომიტანს**

**– რომელიმე ბრენდის პატენტი ტანსაცმელი თუ გაქვთ?**

– კი, თან ბევრი. ზოგადად, არ მაქვს გართულება იმაზე, რომ აუცილებლად ბრენდი უნდა მეცვას. მაქვს ჩვეულებრივი ტანსაცმელიც და ორიგინალი ბრენდებიც. ჩემს გარდერობში იპოვით ყველანაირ ტანსაცმელს: შეკერილს, ბრენდულს, პატენტს და ასე შემდეგ. მთავარია, მიხდებოდეს, ლამაზად ვიყო, პრაქტიკული იყოს და მიხაროდეს ის, რაც მაცვია. მნიშვნელობა არ აქვს, ეს იქნება ბრენდი თუ პატენტი.

**– ითვალისწინებთ ვინმეს რჩევას ჩაცმულობასთან დაკავშირებით?**

– არა და საერთოდ, ერთადერთი საკითხია, როცა არავის აზრს არ ვითვალისწინებ. ვფიქრობ, ყველა ისე უნდა იცვამდეს, როგორც თავად სურს. ამ საკითხში, უბრალოდ, ვერ გავითვალისწინებ ვინმეს აზრს. მაცვია ის, რაც მომწონს და სხვას რომ არ მოსწონს, ნამდვილად არ გავიხდი.

**– ყველაზე უცნაური ახალი წელი თუ გქონიათ?**

– მქონდა ასეთი ახალი წელიც. როგორც უკვე გითხარით, გიორგია ოჯახის მეკვლე. თორმეტს ათი რომ დააკლდება, ვუშვებთ სახლიდან, ახალ წელთან ერთად შემოსაბრძანებლად. კარებთან ახლოს ვტოვებ ტკბილეულს და მასაც ეს სიტკბო შემოაქვს სახლში *(იცინის)*. ერთ წელსაც გავუშვი მეკვლედ. მოვიდა თორმეტი საათი, იყო მრავალჟამიერი. ახალი წელი მოგვილოცა პატრიარქმა, პრეზიდენტმა, კონცერტი დაიწყო და გიორგი არ ჩანს. სახლში ვზივარ მარტო. ხაზები გადატვირთული იყო, ვერც ვურეკავდი. ორის ნახევარზე შემოვიდა მეკვლე ოჯახში *(იცინის)*. თურმე გარეთ ხალხი ულოცავდა და ამიტომ დააგვიანდა. მე კიდევ მთელი ახალი წელი მარტომ გავატარე. სახლში რომ შემოვიდა, ძალიან ვეჩხუბე, მერე წავედი და დავიძინე *(იცინის)*.

**– ჩხუბით დაწყებული ახალი წელი, წლის ბოლომდე როგორი იყო?**

– სხვათა შორის, კარგი წელი იყო. თუმცა, ეს არ იყო სერიოზული ჩხუბი, უბრალოდ გაბრაზებული ვიყავი, მარტო შევხვდი ახალ წელს *(იცინის)*.

**– 2014 წელს როგორ შეაჯამებდით?**

– ჩემთვის ძალიან კარგი წელი იყო. ბევრი კონცერტი მქონდა, როგორც ადგილობრივი, ასევე გასვლითი. ბევრი ახალი სიმღერა ჩავწერე, გავაკეთე კომედი არხზე გადაცემა – „საქართველოს ფანოლი", რომელიც ძალიან რეიტინგულია. ყველა თვალსაზრისით, ერთიანობაში, კარგი წელი მქონდა.

**ეთო ხურციძე**



ფონდი ნატახტარი
ფონდი ნატახტარი გილოცავთ ახალ წელს!
NATAKHTARI
ნატახტარი
ლიმონათი-LEMONADE
25 ნოემბერი – 25 თებერვალი
იზრუნე მომავალზე
სერტიფიცირებულია

**ახალი წლის საზეიმო განწყობას ხშირად ახლავს უსიამოვნო ფიქრები, რადგან, შესაძლოა, რამდენიმედღიანმა დასვენებამ და ნაირ-ნაირმა საკვებმა, არასასურველი შედეგი მოგვიტანოს. ამ დღეებში, ალბათ, ვერავინ უძლებს ცდუნებას, რასაც საბოლოოდ მოჰყვება ზედმეტი წონა და, ხშირად – ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებიც. როგორ გავატაროთ საახალწლო პერიოდი, რომელიც ლამის ორ კვირაზე მეტხანს გრძელდება და როგორ ავირიდოთ თავიდან წონაში მომატება, ამის შესახებ რამდენიმე მნიშვნელოვან და საჭირო რჩევას გვაძლევს ექიმი-დიეტოლოგი, ნუტრიციოლოგი ნატა გაგუა:**

# რა უნდა გავითვალისწინოთ ახალი წლის დღეებში ზედმეტი კილოგრამებისა და სტრესის თავიდან ასაცილებლად და რატომ არ არის რაციონის მკვეთრად შეზღუდვა ახალი წლის შემდეგ საჭირო

– ახალი წლისა და შობის დღესასწაული, შეიძლება ითქვას, თითქმის ორი კვირა გრძელდება. საზეიმო განწყობას თან ახლავს უსიამოვნო ფიქრი – როგორ გავატაროთ ეს პერიოდი ისე, რომ რეგულარული სუფრიანობა არა მარტო ჩვენს კილოგრამებზე აისახოს უარყოფითად, არამედ, ჯანმრთელობაზეც, რადგან, ამ დღეებში ჩვენი ორგანიზმი კოლოსალურ სტრესს განიცდის ათასობით ზედმეტი კალორიის მიღებით. ამის თავიდან ასაცილებლად გთავაზობთ წინასაახალწლო რჩევებს და რამდენიმე კულინარიულ „მანევრს:"

* შებოლილი ძეხვეულის ასორტის ნაცვლად, გირჩევთ, სუფრა გაამდიდროთ საქონლის მოხარშული ენით; ასევე, მშვენიერი შემცვლელი იქნება ქათმის რულეტი ბოსტნეულის ან სოკოს შიგთავსით.

* მოამზადეთ რაც შეიძლება მეტი სალათა ბოსტნეულისგან, რაც ნამდვილად გაალამაზებს თქვენს საახალწლო სუფრას, თანაც, გამოიყენეთ არა მაღალკალორიული ტრადიციული მაიონეზი, არამედ, სასარგებლო ზეითუნის ზეთი. აგრეთვე, შეგიძლიათ, მოამზადოთ ნაკლებცხიმიანი სოუსი: ნატურალურ, არატკბილ 100 გრამ იოგურტს დაუმატეთ 1/2 ლიმონის წვენი, მდოგვი და ნიწაკა. ასე შეზავებული სალათის გემო არანაირად არ ჩამოუვარდება მაიონეზიანს და უფრო სასიამოვნო და ნაზია.

* ლიმონის წვენთან და პომიდორთან ერთად ფოლგაში გამომცხვარი თევზი ტრადიციული გოჭის მსუბუქი ალტერნატივა იქნება თქვენს სუფრაზე.

* დესერტებისა და ტკბილეულის სახით მოამზადეთ ხილის სალათები, ხაჭოს ჟელეიანი ტორტი ბისკვიტის თხელ ფენაზე ან, უბრალოდ, ეგზოტიკური ხილი.

სადღესასწაულო ვახშმის მომზადება მხოლოდ საქმის ნახევარია. ფიზიკური ფორმის შესანარჩუნებლად ძალიან მნიშვნელოვანია, დავძლიოთ ცდუნება და არ შევჭამოთ ყველაფერი, რასაც საახალწლო სუფრაზე ვხედავთ. ეს არ არის შეუძლებელი და, რამდენიმე წესს თუ დავიმახსოვრებთ, დროსაც საინტერესოდ და სახალისოდ გავატარებთ.

**– როგორ დავიცვათ ახალი წლის დღეებში კვების რაციონი?**

– წინასაახალწლოდ არ მიმაჩნია მიზანშეწონილად რაციონის განსაკუთრებულად შეზღუდვა. აუცილებელია ჩვეულებრივი ჯანსაღი, დაბალანსებული კვება და ნატურალური პროდუქტების მიღება. ასევე, არ დასხდეთ მშივრები სუფრასთან ახალი წლის ღამეს. მთელი დღის განმავლობაში შიმშილი ცუდი იდეაა. დღის განმავლობაში ზომიერად მიირთვით „სწორი საკვები" – ეს იქნება ერთგვარი გარანტი, რომ ზედმეტობაში არ გადავარდეთ. ალბათ, ყველას გვიყვარს, მაგალითად, გოზინაყი, მაგრამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ, რაც არ უნდა ნატურალური და სასარგებლო ინგრედიენტებისგან შედგებოდეს ესა თუ ის კერძი, თუკი დიდი რაოდენობით შევჭამთ, ის, უბრალოდ, საწამლავად იქცევა ჩვენი ორგანიზმისთვის და ეს ეხება გოზინაყსაც. სადღესასწაულო სუფრას კიდევ ის საშიშროება ახლავს, რომ, მრავალფეროვნების გამო, ადამიანს სათვალავი ერევა და სხვადასხვა სახეობის ვეღარ აკონტროლებს, ბევრი ჭამა თუ ცოტა. გარდა ამისა, კერძების შერევა კუჭ-ნაწლავისთვის არცთუ სასარგებლოა. ძალიან სასარგებლო წესია – „ორი ერთთან," რომელიც გულისხმობს ორი ბოსტნეულის კერძის დაგემოვნებას ერთ ხორცეულის კერძთან. ზოგადად კი, ნუ იქნებით გამუდმებით ჭამაში გართული ახალი წლის ღამეს. 30-40-წუთიანი მოლხენის შემდეგ კარგი იქნება ორსაათიანი ინტერვალის გაკეთება.



**არ დასხდეთ მშივრები სუფრასთან ახალი წლის ღამეს. მთელი დღის განმავლობაში შიმშილი ცუდი იდეაა**

კიდევ ერთი წესი: შერჩევითი მიდგომა. სადღესასწაულო სუფრა საშიშია სამი მიზეზით: ლამაზად გაფორმებული კერძები ძლიერად აღვიძებს მადას და, რასაც ვხედავთ, ყველაფრის გასინჯვა გვინდება. პენსილვანიის უნივერსიტეტის კვლევების თანახმად, მრავალფეროვანი საკვები ადამიანს სათვალავს ურევს და ამიტომ ზუსტად ვერ აღიქვამს, ბევრი ჭამა თუ ცოტა. ამიტომ, წინასწარ დაათვალიერეთ სუფრა, ამოირჩიეთ რამდენიმე კერძი, რაც ყველაზე მეტად გინდათ და დანარჩენს არ მიეკაროთ.

**„ორი ერთთან" – ეს წესი გულისხმობს ორი ბოსტნეულის კერძის დაგემოვნებას ერთ ხორცეულის კერძთან**

**– ამ დღეებში ადამიანები დიდი რაოდენობით იღებენ ალკოჰოლსაც, განსაკუთრებით – კაცები.**

– გირჩევთ, არ დაიწყოთ ალკოჰოლით, ანუ, ალკოჰოლი მიიღეთ მხოლოდ საჭმლის შემდეგ და, თანაც, არა დიდი დოზით. როგორც ცნობილია, ალკოჰოლური სასმელი, განსაკუთრებით კი ტკბილი ვარიანტი, არა მხოლოდ კალორიულია, არამედ თავშეკავებასაც ამცირებს საჭმლის რაოდენობის გაკონტროლებისას. ასევე, ნუ იქნებით გამუდმებით ჭამაში გართულნი, რადგან, ასე, შეიძლება, ახალი წლის ერთ ღამეში ორისამი დღის საკვების ნორმა მიირთვათ. ნუ დაივიწყებთ, რომ სადღესასწაულო განწყობის შესაქმნელად ხომ ბევრი სხვა რამაა მნიშვნელოვანი...

აუცილებელია რიტმში ყოფნა, ამიტომ, ფიზიკურად ნუ მოდუნდებით. ამისთვის სულაც არ არის აუცილებელი სპორტდარბაზი. ყოველდღიური სეირნობა ფეხით და მსგავსი აქტივობებიც საკმარისია. ჯანმრთელი ძილი არ მოიკლოთ საშობაო არდადეგების დროს. გახსოვდეთ, რომ გამოუძინებლობა მადისა და დანაყრების შეგრძნებაზე პასუხისმგებელი ჰორმონების დისბალანსის ერთ-ერთი მიზეზია.

**– ახალი წლის შემდეგ როგორ დავუბრუნდეთ ჩვეულ რეჟიმს?**

– ნელ-ნელა და შეუმჩნევლად. სიმსუქნისკენ მიდრეკილი ადამიანისთვისაც კი დიდი სტრესია ზედმეტი საკვების მიღება და ორგანიზმი მალევე დაიწყებს ზედმეტისგან გათავისუფლებას, ამიტომ, თუკი ახალი წლის დღეებამდე არ გიშიმშილიათ, მალევე დაუბრუნდებით მანამდელ წონას, ანუ, თუ სასწორის ისარი ამ დღეებში მეტობისკენ არის გადაწეული, ის აჩვენებს არა ახლად დაგროვებულ ცხიმს, არამედ, მოსაშორებლად გამზადებულ წონას, ასე ვთქვათ, მოლხენის შედეგებს. ამიტომ, ხელს ნუ შეუშლით თქვენს ორგანიზმს და ნუ გადავარდებით მეორე უკიდურესობაში: ანუ რაციონის მკვეთრად შეზღუდვა ახალი წლის შემდეგ დღეებში არ არის საჭირო, რადგან, ესეც სტრესი იქნება, ოღონდ, მინუს ნიშნით. თუკი ერთხელ მაინც განუცდია შიმშილი თქვენს უჯრედებს, ეს მათ ახსოვთ და, მსგავსის განმეორების შემთხვევაში, შეიძლება, სწრაფად გარდაქმნან ცხიმოვან უჯრედებად ის, რისგანაც ორგანიზმი გათავისუფლებას აპირებდა. ამიტომ, მსუბუქი, განმტვირთავი მენიუ მესამე-მეოთხე დღიდან ასე გამოიყურება: ჩვეულებრივი საუზმე, კეფირი, ხილი. მოკლედ, ჯერადი კვება – სადილი, ვახშამი.

**ნათია უტიაშვილი**

**ახალი წელი ახლოვდება და, შესაბამისად, თითოეულ ოჯახში სამზადისი აქტიურ ფაზაში გადადის. რაც უნდა ბევრი პრობლემით იყოს დატვირთული ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, ეს დღე მაინც ყველას გვახარებს და, ვცდილობთ, სადღესასწაულო განწყობა შევიქმნათ. ამჯერად, საახალწლო, პოზიტიური განწყობის შესაქმნელად დათო როსტომაშვილს მივმართეთ. აღმოჩნდა, რომ მას ახალი წელი ლაპლანდიაშიც ჰქონია გატარებული და თოვლის ბაბუად ყოფნის დროს სიცხიანი ბავშვიც განუკურნავს. მეკვლეც ბევრჯერ ყოფილა და მადლობის ნიშნად, ხუთიანებიც დაუმსახურებია.**

# როგორ განკურნა „თოვლის ბაბუა" დათო როსტომაშვილმა სიცხიანი ბავშვი და რომელი საახალწლო ტრადიციის სჯერა მას განსაკუთრებით

**– ბატონო დათო, რა გეგმები გაქვთ საახალწლოდ?**

– დალევას ვაპირებ ***(იცინის).*** ოჯახთან ერთად შევხვდები რომელიმე კარგ რესტორანში. მთელი ოჯახი ერთად შევიკრიბებით და ისე აღვნიშნავთ ამ დღესასწაულს.

**– რასთან ასოცირდება თქვენთვის ახალი წელი?**

– ახალი წელი დღესასწაულია, მაგრამ, რამდენჯერაც მოდის, იმდენი ერთი წელი გვემატება. ეგეც კარგია, ცუდი არ არის, უბრალოდ, ვბერდებით. ყველა ადამიანი უნდა დაბერდეს, აბა, ახალგაზრდა ხომ არ უნდა წავიდეს, ამ ქვეყნიდან?!

**– ახალი წლის შემდეგ ნაბახუსევი და ზედმეტი კილოგრამები არ გაწუხებთ?**

– ახლა მე გეტყვი. რა არის, იცი? შევემზადე უკვე ახალი წლისთვის – ერთი თვით ადრე დავიწყე მზადება და ახლა უკვე ოცდაათი კილოგრამი მაქვს მომატებული. ჰოდა, ახალ წელს ცოტასაც მივამატებ და, მერე ერთბაშად რომ დავიკლებ, ეგ უფრო ეფექტური არ იქნება?! იტყვიან, ნახე, რამდენი დაიკლოო ***(იცინის).*** მაგრამ, მინდა გითხრა, ამ ასოცირების ხელშეკრულებაზე რომ გვაქვს ხელი მოწერილი, ამიტომ, გოჭს აღარ შევჭამ. ამბობენ, სხვანაირად ევროპაში არ მიგიღებენო, მე კიდევ, ვიზა მაქვს და, რა გავაკეთო, ხომ არ გავაუქმებინებ?! ***(იცინის)*** ნაბახუსევს რაც შეეხება, კიდევ დავლევ. საერთოდ, ქართველებმა ნაბახუსევზე გამოსვლა არ ვიცით. ნაბახუსევი ცუდმა ღვინომ და უძილობამ იცის. ამიტომ, უნდა დალიო ცოტაოდენი, რომ მერე კარგად გამოხვიდე, მაგრამ, ჩვენ ბოლომდე ვსვამთ და ეს გრძელდება ერთი კვირა, სანამ არ დავცვივდით მაგდანას ლურჯასავით.

**– ახალი წლის ტრადიციული რიტუალებიდან რომელს არ არღვევთ არასდროს?**

– მეკვლის ტრადიცია არის ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. ამას შეიძლება ვინმემ ცრურწმენა დაარქვას, მაგრამ მე მჯერა, რომ მეკვლეზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. ჩემს ოჯახში ან მე შევდივარ ხოლმე სახლში მეკვლედ, ან – გიორგი, ჩემი შვილი. ჩემს დედმამიშვილებთან მივდივარ ხოლმე, დედაჩემთან და ახლობლებთან, ვისთანაც ვასწრებ მისვლას. ბროლიამ თუ არ დამასწრო ახალი წლის მილოცვა, მე ვულოცავ ხოლმე მათ ***(იცინის).***

**– რას გეუბნებიან, კარგი ფეხი გაქვთ?**

– რა ვიცი, ეგრე ამბობენ. ბევრი მთხოვს მეკვლეობას და ფეხსაცმელებსაც კი ყიდულობენ ხოლმე ჩემთვის, ოღონდ მოდიო. შენ იცი, სვანს რომ თოვლის ბაბუობა უნდოდა? ისე ძალიან უნდოდა, რომ შვილიშვილს „თოვლი" დაარქვა ***(იცინის).***



**საცივი მიყვარს მეშვიდე დღეს. კარგად არის ჩაბუჟბუჟებული კაკალში ინდაურის ხორცი**

**– რომელიმე ახალ წელს თუ გამოარჩევთ, რომელიც განსაკუთრებულად დაგამახსოვრდათ?**

– შარშანწინ ვიყავი ლაპლანდიაში. ძალიან მაგარი იყო. სანტა კლაუსმა მარხილებზე „გვაკატავა." წელსაც დაპატიჟებული ვარ და შეიძლება წავიდე. შენ გგონია ვხუმრობ? მართლა ვიყავი. ჩემმა მეგობარებმა – კახა ჯოხაძემ და მიშა კიკნაველიძემ მიგვიპატიჟეს მე და ჩემი კიდევ ერთი მეგობარი, გია დონაძე, მეუღლეებით ვიყავით წასულები. თოვლის პაპასანტა კლაუსმა „გვაკატავა" მარხილებით; ელფებიც იყვნენ და საჩუქრებიც მოგვიტანეს.

**– საახალწლო სუფრიდან რომელი კერძი გიყვართ განსაკუთრებულად?**

## ბევრი მთხოვს მეკვლეობას და ფეხსაცმელებსაც კი ყიდულობენ ხოლმე ჩემთვის, ოღონდ მოდიო

– საცივი მიყვარს მეშვიდე დღეს. კარგად არის ჩაბუჟბუჟებული კაკალში ინდაურის ხორცი ***(იცინის).***

**– სახიფათო მდგომარეობაში არ აღმოჩენილხართ ახალ წელს?**

– სახიფათო ფოიერვერკი თუ მოგხვდება, თორემ, სხვა რა უნდა დაგემართოს? ***(იცინის)*** ჰო, გამახსენდა: მარნეულში ვმუშაობდი. იმდენ ოჯახში მომიწია მისვლა, რომ, ძალიან დავიღალე და გზაში დამეძინა, საჭესთან. ცოტა ხანში გამეღვიძა, მართლა. 1996 წელი იყო. გზიდან რომ გადავედი, ხრეშის ხმამ გამაღვიძა. მერე რაღა დამაძინებდა შისგან, ძველით ახალ წელსაც კი უძილოდ შევხვდი ***(იცინის).***

**– განსაკუთრებული ისტორია არ გახსენდებათ ამ დღესთან დაკავშირებით?**

– სკოლაში ვსწავლობდი და „თოვლის პაპას" ფორმა მქონდა. იმ დროს ეს ძალიან დიდი რამე იყო. თეატრის გარდეორობიდან ვითხოვე და ახალ წლებზე ჩემთან იყო. მივადექით ბიოლოგიის მასწავლებელს სახლში, ახლა მისი შვილი ჩემი შვილის ნათლიაა, მაგრამ, მაშინ არ ვიყავით ნათელ-მირონები. მეუღლემ გამიღო კარი. ჩვენ არ გამოგვიძახებია თოვლის ბაბუაო. მე ვუთხარი, თქვენ არ გამოგიძახებიათ, მაგრამ, მე მოვედი-მეთქი. შევედი, დავლიეთ. შვილი ჰყავდათ ჯარში და, იმ წელს გამოვიდა კანონი, რომლის მიხედვითაც, ნაადრევად დააბრუნეს სახლში. გადარეული იყო ჩემი ბიოლოგიის მასწავლებელი – კარგი ფეხი გაქვსო და იმის მერე ხუთიანები არ მოუშორებია ჩემთვის. იქედან რომ წამოვედი, ისეთი მთვრალი ვიყავი, კიბეებს ვითვლიდი, ხომ არ მერევა-მეთქი. პირველ სართულზე რომ ჩამოვედი, კაცი გამოვიდა და მეუბნება: ვაიმე, შენ გენაცვალე, ბავშვი მყავს ცუდად და თოვლის ბაბუას ითხოვს, გეხვეწები, შემოდიო. დიდი სათამაშო მანქანა გამოიტანა სახლიდან, ვითომ შენ მოიტანეო. 40 გრადუსი აქვს სიცხე და გვიშველეო – ნამდვილ ამბავს გიყვები. შევედი მთვრალი, ძლივს ვიკავებ თავს, ბავშვმა რომ დამინახა, წამოხტა და ჩამეხუტა გულში. სამი-ოთხი წუთი არ იყო გასული, სიცხე გაუზომეს და აღარ ჰქონდა – სასწაული იყო. ბავშვი ემოციაა და, ნატვრა რომ შეუსრულდა, კარგად გახდა. მამამისი, თურმე, იმიტომ გამოსულა ქუჩაში, რომ საჩუქარი თვითონ შემოეტანა და ეთქვა, თოვლის ბაბუამ თვითონ ვერ მოახერხა მოსვლა და სხვას გამოატანაო. გამოვიდა და, მართლა არ იპოვა თოვლის ბაბუა?! ***(იცინის).***

**– თქვენ გჯეროდათ ბავშვობაში თოვლის ბაბუის არსებობის?**

– არა. ჭკვიანი ბავშვი ვიყავი ***(იცინის).*** ნაძვის ხის ქვეშ მხვდებოდა ხოლმე საჩუქრები, მაგრამ, დავინახე ერთხელ, დედაჩემმა ჩანთით რომ მოიტანა ***(იცინის).***

**– თქვენ თუ იყავით თქვენი შვილებისთვის თოვლის ბაბუა?**

– მე სულ თოვლის ბაბუა არ ვარ? უფრო სწორად, თოვლის პაპა – კახელი ვარ ***(იცინის).***

**– თუ დაიწყეთ ოჯახში საახალწლო სამზადისი?**

– სამზადისს ვიწყებთ ხოლმე ორი თვით ადრე. კანფეტებს წინასწარ ვყიდულობთ – ახალი წელი მოდის და მერე რიგები იქნებაო. მაგრამ სანამ ახალი წელი მოვა, ის კანფეტები უკვე შეჭმული მაქვს ***(იცინის).***

**ქეთი კაპანაძე**

**ჩვენს რუბრიკაში ერთი და იგივე კითხვებით მივმართავთ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე და სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე მდგომ ცნობილ ადამიანებს.**

# ვინ აპირებდა მზეო გოგოჭურისგან მიეღო ბანკის მმართველი და როგორ დასრულდა ეს ექსპერიმენტი

**– ვინ ხართ? გაგვეცანით.**

– მე ვარ დამოუკიდებელი ადამიანი – მზეო გოგოჭური.

**– ყველაზე მძაფრი შეგრძნება ბავშვობიდან...**

– სამწუხაროდ, ძალიან ცუდი სცენა. ჩემს უბანში მარტო, ფეხით მივდიოდი 4 წლის ბავშვი. უნდა მივსულიყავი ბებიასთან და ამ დროს დავინახე, რომ ჩვენს ქუჩაზე მოასვენებდნენ მიცვალებულს. მახსოვს, შემეშინდა. ისინი მოიწევდნენ ჩემკენ, მე მარტო ვიყავი და არ ვიცოდი, რა მექნა. მერე გადავწყვიტე, გავქცეულიყავი, მაგრამ წავიქეცი. წაქცეულმა თავი რომ ავწიე, ისინი ისევ ჩემკენ მოდიოდნენ. არ მავიწყდება, ასეთი განცდა არ მქონია მეტჯერ. ჩემი კივილი მესმოდა თვითონ მე. მერე მოვიდნენ, ამაყენეს, დამაწყნარეს, მაგრამ ეს მქონდა ჩარჩენილი ძალიან დიდხანს.

**– დაახასიათეთ საკუთარი თავი.**

– ყველაფერი არის ჩემში – ცუდიც და კარგიც. არ ვარ ინდური ფილმივით, ერთი რომ ძალიან კარგია და მეორე – ძალიან ცუდი. ეგეთი არ ვარ. როცა საჭიროა, უარყოფითი თვისებებიც იჩენს ხოლმე ჩემში თავს, როგორიცაა თუნდაც, შურისძიება. რა თქმა უნდა, ვიცი, რომ ცუდია და ვცდილობ, შევებრძოლო. კარგი თვისებებიც მაქვს – მიზანდასახული ვარ და შრომაც მიყვარს.

**– ყველაზე სასაცილო და არარეალური, რაც საკუთარ თავზე გსმენიათ?**

– უფრო სოციალურ საკითხებზე გამიგია. მაგალითად, ძალიან სასაცილოა, თითქოსდა მე, რაღაც გავლენიანი თანამდებობა მინდოდა და ამ საქმეზე თავქუდმოგლეჯილი დავრბოდი. სასაცილოა.

**– სწორი არჩევანი გააკეთეთ ცხოვრებაში?**

– ყოველ შემთხვევაში, რაც არასწორად ჩამითვლია, თვითონვე შემიცვლია.

**– როგორი ჰგონიხართ და სინამდვილეში როგორი ხართ?**

– აღმოჩნდა, ძალიან რბილი ვეგონე ადამიანებს და როცა მივხვდი, ბოროტად ისარგებლეს ამით, მაშინ დავანახვე, რომ არა ვარ ასეთი.

**– გაინტერესებთ, რას ფიქრობენ თქვენზე?**

– ნაწილობრივ, საზოგადოების გარკვეული წრის აზრი მაინტერესებს.

**– ვინ გინდოდათ ყოფილიყავით და ვინ ხართ რეალურად დღეს?**

– ბავშვობაში ვოცნებობდი საოპერო ჟანრის მომღერლობაზე. მქონდა მონაცემები, მაგრამ შემდეგ დავკარგე. ეს ჩემთვის ძალიან გულდასაწყვეტია.



**არ მინდა, მყავდეს არც მბრძანებელი, არც მიმთითებელი და არც ამკრძალველი. იმიტომ რომ, არც მყოლია და ვერც მეყოლება**

**– რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ საკუთარ თავში.**

– როცა რაღაც პრობლემებს ვხედავ, ვცდილობ ნაწყენმა დავტოვო ყველაფერი. სინამდვილეში, საჭიროა გავჩერდე, გავაანალიზო, ყველაფერს თავისი ადგილი მივუჩინო და ამას ვაკეთებ, ახლა უკვე ძალით, რადგან ვიცი ძალიან კარგად, რომ ეს ცუდი თვისებაა. ასე არ ხდება – თუ ნაწყენი ყველაფერს დატოვებ, მერე უფრო ზარალდები. ჯერ ერთი, – წყენა და მეორე, მთლად მარტო ხარ, არავინ გადაგყვება, სამწუხაროდ.

მომწონს, რომ შეუპოვარი ვარ, მიზანსწრაფული. ვიცი, ეს ახირება მაქვს, თუ რაღაც მინდა, გავაკეთო – გავაკეთებ.

**– ყველაზე დიდი სისულელე, რაც ცხოვრებაში ჩაგიდენიათ...**

– როცა სკოლა დავამთავრე და პროფესია თვითონ კი არ ავირჩიე, გარკვეულმა სანათესაო წრემ შემირჩია. ეს აღმოჩნდა დიდი შეცდომა. მერე დიდი დრო მოვანდომე მის გამოსწორებას. ეკონომიურზე შემიყვანეს, რაღაც ექსპერიმენტი ჩაატარეს. წარმოიდგინეს, რომ ჩემგან გამოვიდოდა ბანკის მმართველი. ეს იყო კატასტროფა.

**– ყველაზე მეტად მიყვარს...**

– კეთილშობილება.

**– რომელ ეპოქასა და ცივილიზაციაში იცხოვრებდით და რას გააკეთებდით?**

– ალბათ, ანტიკურ საბერძნეთში ვიცხოვრებდი. ჩემს წარმოსახვაში, რასაკვირველია, არ ვიქნებოდი რიგითი მოქალაქე *(იცინის)*. ალბათ, უფრო ხელოვანი ვიქნებოდი. წარმოდგენილი მაქვს, როგორ შევიმოსებოდი პეპლოსებით, რომლითაც დადიოდნენ წარჩინებული ქალბატონები. ყველაზე მეტად ჩემთან ახლოსაა ფილმები ანტიკურ პერიოდზე და მგონია, იმათი როლი ყველაზე ახლოსაა ჩემს წარმოსახვებთან, გაცილებით უფრო ახლოს, ვიდრე დღევანდელობაა.

თუნდაც იგივე მეცხრამეტე საუკუნე ავიღოთ. მახსოვს, ძალიან ხშირად, ტელევიზორს გადავრთავდი და ჩვენებს ვაიძულებდი ეყურებინათ, როგორ სხდებიან ლამაზკაბიანი დეკოლტემოღებული ქალები ეტლში და ინიავებენ მარაოს. ერთხელ ჩემმა დისშვილმა თქვა: ვაიმე, მოდით ხალხო, ერთი ასეთი კაბა ვუყიდოთ და ჩვენც დაგვასვენებს და თვითონაც დაისვენებსო *(იცინის)*.

**– დღეს, იქ ხართ, სადაც თქვენი ადგილია?**

– არა, წასვლა მინდა ძალიან შორს. გადავცურავ ზღვას... რეალობას გავურბივარ?... არ ვიცი, ეგებ ეგრეც არის.

**– როდის გრძნობთ თავს უხერხულად და როგორი ხართ ამ დროს?**

– უზრდელობასა და თავხედობას რომ წავაწყდები, იმ დროს ვგრძნობ თავს უხერხულად. იმიტომ რომ, ვიცი, მე ვერ გავჩერდები. ვრეაგირებ ამაზე და ვიცი, კონფლიქტში ვერთვები. ტელევიზორშიც რომ ვუყურებ ასეთ სცენას, აქეთ, ეკრანის გადმოღმა ვგრძნობ, ლოყები მეწვის.

**– საერთოდ, ფიცხი ხართ?**

– რაღაცას ვითმენ, იმიტომ რომ, დედაჩემმა მასწავლა თავის დროზე, თავი უნდა შევიკავო. თუმცა, შინაგანად ყველანი ფიცხები ვართ. ნასწავლი მაქვს, რომ არ შეიძლება და როგორი ვარ, არ ვიცი...

**– როგორი ხართ გაბრაზებული?**

– საშინელი. ნეტა, არასოდეს არავინ მნახოს გაბრაზებული *(იცინის)*. ყოველ შემთხვევაში, ისეთმა ადამიანმა, რომელსაც თავს ვაწონებ. საშინელი ვხდები, აღმოჩნდა, რომ სათნოება და ეს ყველაფერი, მერე თურმე ჩემს წინააღმდეგ მუშაობს. აღარ ვიცი როგორ მოვიქცე, დავიბენი, ცხოვრება სულ სხვა რამეა, დედაჩემმა სულ სხვა რამ მასწავლა. ისეთი შეუიარაღებელი, მოუმზადებელი ვიყავი კარგა ხანი, მთლად მარტო რომ დავრჩი ამ რეალობის წინაშე... ვახუშტის გვერდით მე ეს არ მაწუხებდა, ისე გავლე 20 წელი და ახლა აღმოვჩნდი მარტო ცხოვრების პირისპირ. საკმაოდ დაუნდობელია იგი, ხალხი და კარგადაც სარგებლობენ შენით – შენი კეთილშობილებით, მორიდებულობითა და ზრდილობით. ამით ნაწყენი შენს თავს ღალატობ. სხვანაირი ხდები. ცხოვრება გაიძულებს, რომ ისეთი გახდე, როგორიც არ მოგწონს.

**– რა შემთხვევაში კარგავთ თავს?**

– როცა ძალიან მიყვარს, მქონდა ასეთი ასაკიც. ახლა ასე აღარასოდეს მოვიქცევი *(იცინის)*.

## თეა ყარაშვილის გახსენება



თეა, შვილო, ჩვენო ერთადერთო ნუგეშო, ჩვენი ცხოვრების აზრიც და მიზანიც მხოლოდ შენთან იყო დაკავშირებული. ორმოცი დღეა, სხვა განზომილებაში მყოფს, ცოცხალივით გესაუბრებით. შენ ისევ ჩვენთან ხარ, შვილო! ისევ შენ გვაძლევ ძალას, ვიცოცხლოთ შენი სამი ანგელოზისთვის. თათია, ნიკა და ანა ღირსეული დედის სიცოცხლეს ღირსეულად აგრძელებენ, იცოდე. ტკივილი, რომელიც შენი მოულოდნელი წასვლით დაგვიტოვე, არასოდეს გაყუჩდება, შვილო. ეს მძიმე ჯვარი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე უნდა ვატაროთ შენმა მშობლებმა და ერთგულმა მეუღლემ. შენ ისეთი სიყვარულით იყავი გარემოცული ოჯახშიც და სამსახურშიც, რომ, წარმოუდგენელია, განელდეს მარადიულ სასუფეველში შენი გადასვლით გამოწვეული ამქვეყნიური დარდი და ტკივილი. ერთი ჭეშმარიტება გვანუგეშებს მხოლოდ: უფალზე უკეთ ვინ გიპატრონებდა, შვილო, ან მის ნებას წინ ვინ აღუდგება?!

ჩვენ აქედან ლოცვით გაგაძლიერებთ და შენ იქნები ისევ ჩვენი ცხოვრების აზრიც და მიზანიც. შენთან შეყრის დღეს ღირსებით დაველოდებით, ჩვენო თვალისჩინო!

**მშობლები – ლელა მათიაშვილი, ჰენრი ყარაშვილი**

## „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია" ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის – „თბილისი 2015-ის" მთავარი პარტნიორი გახდა

26 დეკემბერს, კომპანია „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია" ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის – „თბილისი 2015-ის" მთავარი პარტნიორი გახდა.

დოკუმენტს მძლეოსნობის სასახლეში „თბილისი 2015-ის" საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარემ ალექსი ახვლედიანმა და კომპანია „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას" გენერალურმა მენეჯერმა თემურ ჭყონიამ მოაწერეს ხელი.




იქ დამსწრე ჟურნალისტებს ბატონმა თემურმა შეახსენა, რომ „კოკა-კოლასა" და საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობას მრავალწლიანი ისტორია აქვს. 1896 წელს, როდესაც ათენში პირველი ოლიმპიური თამაშები ჩატარდა, „კოკა-კოლა" ამ სპორტული ღონისძიების მხარდამჭერი იყო, ხოლო ოფიციალური სპონსორი 1928 წელს, ამსტერდამში გახდა. მას შემდეგ „კოკა-კოლა" ოლიმპიური თამაშების მუდმივი პარტნიორია და მოუწოდებს ათასობით ადამიანს მთელ მსოფლიოში, მისდიონ ჯანსაღი ცხოვრების წესს.

როგორც ჩანს საქართველოში 2015 წლის მთავარი მოვლენა გახდება ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, რომელიც საზეიმოდ გაიხსნება თბილისის ლოკომოტივის სტადიონზე 26 ივლისს და დაიხურება 1 აგვისტოს.

საკმაოდ ბევრი უცხოელი სპორტსმენი და სტუმარი გეგმავს ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლას. მათ დასახვედრად და ღონისძიების მაღალ დონეზე ჩასატარებლად კი „თბილისი 2015-ის" საორგანიზაციო კომიტეტის მთელი გუნდი საკმაოდ მობილიზებულად ემზადება.

## ცხარე წიწაკის ფესტივალი „გუდვილისგან"

20 დეკემბერს, პირველად საქართველოში, გაიმართა ცხარე წიწაკის ფესტივალი ჰიპერმარკეტ „გუდვილში". შეჯიბრების მიზანი იყო „გუდვილში" დამზადებული მენიუს სწრაფად შეჭამა. მენიუში კი შედიოდა ოთხი ცალი ცხარე წიწა-



კა, ხარჩო, აჯიკა და ცხარე შოკოლადი. უამრავი მსურველი ცდილობდა, მათ დაგემოვნებას და ბოლოს, გამოვლინდა სამი ფინალისტი. პირველ ადგილზე გავიდა არჩილ კორძახია, მეორე ადგილზე ნოდარ შალვაძე, მესამეზე კი – ჯუმბერ გნოლაძე.

გამარჯვებულები „გუდვილმა" დააჯილდოვა სამახსოვრო პრიზებით.

ფესტივალის ორგანიზატორები იყვნენ: კავკასიის მსოფლიო რეკორდების ფედერაცია და სპორტული კლუბი „რეკორდი".

სანახაობა მართლაც სახალისო გამოვიდა, რასაც უამრავი ადამიანი ადევნებდა თვალს.

**– მინდა...**

– რაღაც ამბიციური სურვილები მაქვს ***(იცინის).*** მინდა, დავხატო, შევქმნა, ან დავწერო რაღაც ისეთი, რომელიც თვითონვე ძალიან დიდ აღტაცებას მომგვრის. სარკეში ჩავიხედები და საკუთარ თავს ვეტყვი, რომ ძალიან მაგარი ხარ-მეთქი. მინდა, მაგრამ რა იქნება, არავინ იცის.

**– მომწონს...**

– მოწონების უკან ყოველთვის დგას მოსაწონი საქციელი, მოსაწონი მანერა... ყველაფერი ესთეტიკურად გადაწყვეტილი.

**– მაღელვებს...**

– მაღელვებს ძალიან დიდ ემოციებზე შექმნილი ან შესრულებული ხელოვნების ნაწარმოები. მაღელვებს ისე, რომ შეიძლება, ერთხელაც ინფარქტი მივიღო და გაიგოთ, რომ მოუსმინა პლასიდო დომინგოს. ან ჩვენს გოგოებს, გინდა ნინო სურგულაძეს, ანიტა რაჭველიშვილს.

**– აღმაშფოთებს...**

– უტიფრობა.

**– კომფორტულად მაშინ ვგრძნობ თავს, როცა...**

– ვაკეთებ საყვარელ საქმეს ჩემთვის სასურველ გარემოში.

**– ვის ეკუთვნოდა რჩევა, რომელიც ცხოვრებაში გამოგადგათ და რა იყო მისი შინაარსი?**

– ბევრი რჩევა გამომადგა სხვადასხვა ადამიანების მიერ მოწოდებული. მამაჩემის რჩევა ჩამრჩა, რომელიც მეუბნებოდა: მძიმედ მოიქეცით და წონაში მეტი მოხვალთო.

**– ცხოვრებამ მასწავლა, რომ...**

– არ უნდა გაჩერდე.

**– რისთვის ღირდა ცხოვრება?**

– ცხოვრება ღირდა იმისთვის, რომ გამოვცადე სიყვარული. რომ არსებობს დედა, ახლობელი ადამიანები, მეგობრები... ძალიან დიდი ბედნიერებაა, უამისოდ ცხოვრება დიდი ტრაგედია იქნებოდა. აზრსაც დაკარგავდა.

**– რას არ გააკეთებთ არასდროს, რამდენი ნულით დაბოლოებული თანხაც არ უნდა შემოგაძლიონ?**

– ადამიანს არ გამოვუთხრი ძირს არასოდეს.

**– რა მიგაჩნიათ საკუთარ მიღწევად?**

– ის, რომ დამოუკიდებლად ვიღებ გადაწყვეტილებებს.

**– ყველაზე ჭკვიანური გადაწყვეტილება, რაც კი ოდესმე მიგიღიათ?**

– ის, რომ დავიწყე ხატვა. მაგრამ ეს ჩემთვის სუბიექტური განცდაა. ობიექტურად რას მივიღებ, მაგაზე პასუხს არ ვაგებ. მე არ მინდა ეს ვინმემ ჩათვალოს ისე, რომ ამით რაღაც განსაკუთრებული მოვლენა მოხდა მხატვრობაში. არა, – მხოლოდ და მხოლოდ ჩემს ცხოვრებაში.

**– რით ხართ მდიდარი?**

– ჩემი ახლობლებით და მათი სიყვარულით.

**– როგორი წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი სიბერეში?**

– ერთხელ, მე და ჩემი ბიძაშვილი ირმა ვუყურებდით საინფორმაციოს და გვაჩვენეს უცხოეთის ამბები. 90 წლის მოხუცები გამოდიოდნენ პოდიუმზე მთელი ამბებით ***(იცინის).*** ეს ხარ შენ, ეს არის შენი სიბერეო. ის ქალი, მართლა მგავდა გარეგნულად და ეცვა რაღაც ჩემს სტილში. ძლივს მოძრაობდა და თან, იპრანჭებოდა. არ ვიცი, ვინ იყვნენ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, თავდავიწყებით გამოდიოდნენ ამ პოდიუმზე. ასე მხედავენ ჩემი მეგობრები. შეიძლება, მართლები არიან. მეც მჯერა, რომ სიბერეს არ შევეპუები.

**– რელიგიური ხართ?**

– ეკლესიაში ვერ დავდივარ ინტენსიურად, აღსარებაც მითქვამს რამდენჯერმე, მაგრამ იმდენად სერიოზული იყო ჩემი მხრიდან და ისე ძალიან იმოქმედა ამ ყველაფერმა, გამიძნელდა ხელახლა იგივეს გაკეთება. ძალიან მინდა, ხელახლა შევუდგე ამ ყველაფერს, მაგრამ ვერ ვმაგრდები. ჩვეულებრივ, ყოფითმა ცხოვრებამ ჩამრთო თავის ორომტრიალში. წარამარა ვერც აღსარებას ვიტყვი და შესაბამისად, ვერც ზიარებას დავიმსახურებ. ისე შინაგანად ძალიან მაშინებს სამსჯავროს მოლოდინი. რადგან მჯერა ამ ყველაფრის. რელიგიურობაში არ ვგულისხმობ ეკლესიაში სიარულის სიხშირეს. ვიცი, რომ ყველგან ვჩანვართ და ვერსად დავიმალებით ***(იცინის).*** როგორც გოჩიაშვილმა თქვა თავის არჩევულებრივ ლექსში.

**– რას დაწერენ თქვენზე 22-ე საუკუნეში?**

– „ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა," – გალაკტიონმა რომ თქვა. არ ვიცი, რა გითხრათ... ალბათ, დაწერენ, რომ ჩემს თავს ძალიან ბევრ უფლებებს ვაძლევდი. განსხვავებით სხვა ადამიანებისაგან, უფრო თავისუფალი და დამოუკიდებელი ვიყავი. ახლაც თავისუფალი და დამოუკიდებელი ვარ და არ მინდა, მყავდეს არც მბრძანებელი, არც მიმთითებელი და არც ამკრძალველი. იმიტომ რომ, არც მყოლია და ვერც მეყოლება. უფალმა ყველა ადამიანი თავისუფალი გააჩინა.

**ეკა სალაღაია**

**ახალი წლისადმი ადამიანების მოლოდინი ყოველთვის, ყველა საუკუნეში განსაკუთრებული იყო და ამ დღეზე ისინი დიდ იმედებს ამყარებდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ როგორც შეხვდებოდნენ ახალ წელს, ისე გაგრძელდებოდა მათთვის მთელი წელი. როგორ ხვდებოდნენ ძველად ახალ წელს, როგორ იქცა ნაძვის ხე და ჩიჩილაკი ქართული ახალი წლის ატრიბუტიკად, ამის შესახებ გვესაუბრება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის გამგე, პროფესორი ქეთევან სიხარულიძე:**

# გაუკეთა თუ არა მართალმა იოსებმა პატარა მაცხოვარს გასართობად ჩიჩილაკი და რატომ აცხობდნენ ახალი წლის ღამეს ადამიანის ფორმის „ბასილას კვერებს“

– ახალი წელი ერთ-ერთი გამორჩეული დღესასწაულია, რომელსაც დიდი თუ პატარა განსაკუთრებული სიხარულით ელის. ბავშვებიც და ხანშიშესულებიც მას გამორჩეულად მიიჩნევენ, რადგან ახალ წელს წარსულის მოგონებებთან ერთად, იმედის სხივიც მოაქვს. თავის დროზე ახალი წლის დღესასწაული, როგორც სხვა წეს-ჩვეულებები, რელიგიურ საფუძველზე ჩამოყალიბდა. ახალი წელი, დროის ახალი მონაკვეთის დასაბამი, განსაკუთრებული მაგიური ნიშნით აღიბეჭდა ადამიანის წარმოსახვაში და ამიტომაც მას ყველგან გამორჩეულად ზეიმობდნენ. ეს იყო, ახალი წლის პირველი დღის მაგიაზე დაფუძნებული რწმენა, რომ ის განაპირობებდა დამდეგი წლის ბარაქიანობასა და საზოგადო ვითარებას. ამავე დროს აჯამებდნენ წარსულს და გეგმავდნენ მომავალს. საახალწლო რიტუალთა მთელ წყებას ღრმა რელიგიური ფესვები აქვს.

სამყაროს განზომილებებში მოქცევა, მნათობთა მოძრაობისა და დრო-ჟამის მდინარების აღქმა ადამიანის ცნობიერებაში ძალიან ადრე შემოვიდა. ამას ადასტურებს უძველეს არქეოლოგიურ ნივთებზე გამოსახული მოძრაობის გამომხატველი სიმბოლოები. ყველაფერს ღვთაებრიობასთან კავშირით ენიჭებოდა მნიშვნელობა. დრო-ჟამის მსვლელობაც უსახური და უსასრულო მდინარება კი არ იყო, არამედ პერიოდების მონაცვლეობა. გადასვლა-გარდასახვის ეტაპს აუცილებლად ახლდა რელიგიური შინაარსით გაჯერებული ტრადიცია. წელიწადის დროთა მონაცვლეობა დაუკავშირდა ნაყოფიერების ღვთაების მითოსს, რომლის მიხედვითაც ეს ღვთაება ზამთარში გადადიოდა საიქიოში, მიწისქვეშა სამყაროში და სასიცოცხლო ძალებიც წყვეტდნენ თავიანთ მოქმედებას. გაზაფხულზე ნაყოფიერების ღვთაება ბრუნდებოდა და ზამთარში მიძინებული ბუნება კვლავ იღვიძებდა. ძველების წარმოდგენით, სწორედ ამ დროს იწყებოდა სიცოცხლის ციკლის ახალი ეტაპი. ძველად ახალი წელი გაზაფხულზე დგებოდა. ეს იყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საზოგადო მოვლენა. ამიტომ, მას განსაკუთრებული რიტუალებით აღნიშნავდა მთელი კოლექტივი. ის იწყებოდა პირველი ხნულის გავლებით, რასაც საქართველოში მიწის გაღვიძება ერქვა. ხნული, იგივე კვალი, იყო ის გზა, რომელსაც მიწისქვეშეთიდან მოჰყვებოდა ნაყოფიერების ღვთაება. ის განახლებული უბრუნდებოდა თავის საუფლოს და თან მოჰქონდა ახალი სიცოცხლე. მას ხვდებოდნენ საჩუქრებით (პროდუქტით), რათა იგივე მიეღოთ მისგან. ამიტომაც გამოირჩევა ახალი წელი სანოვაგის სიუხვით. პირველი ხნული (კვალი) გაჰქონდა კაცს, რომელიც საზოგადოებაში ცნობილი იყო დოვლათიანობით (ბედის, ბარაქიანობის, ღვთის მადლის მქონე), რათა მის მიერ მოხნულ მიწას მოსავლიანობა დაჰბედებოდა. აქედან მოდის მეკვლეს სახელიც. როცა ამ რიტუალმა დაკარგა რელიგიური საფუძველი, ის გადავიდა სამიწათმოქმედო წეს-ჩვეულებაში. მეკვლეობის ტრადიციას დღესდღეობით ძველი სახე და ფუნქცია აღარ აქვს, თუმცა ახალი წლის ღამით მოსულ პირველ სტუმარს დღესაც მეკვლედ მიიჩნევენ და, ძველი წესის დაცვით, ისიც აუცილებლად ხელდამშვენებული შედის ოჯახში.

**– როგორ აღნიშნავდნენ საქართველოში ახალ წელს?**

– საქართველოში, ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, ახალი წლის დღესასწაული გამორჩეულად აღინიშნებოდა. მასთან დაკავშირებული რიტუალები ყველგან თითქმის ერთნაირი იყო, რადგან უმთავრეს მიზანს ამ რიტუალებისა შეადგენდა სიუხვისა და კეთილდღეობის მოპოვება. რასაკვირველია, იყო კუთხური თავისებურებებიც, მაგრამ ისინი მხოლოდ ნიუანსებში განსხვავდებოდნენ ძირითადი წეს-ჩვეულებებისგან. ახალი წლის წინა დღეებში იწყებოდა დიდი სამზადისი: სახლისა და კარმიდამოს დასუფთავება, სანოვაგის მომზადება საგანგებო სუფრისთვის, სხვადასხვა ფორმის (ცხოველების, ფრინველების, შრომის იარაღების) კვერების ცხობა და სხვა. ყურძნის უხვი მოსავლის მისაღებად საგანგებო პურს აცხობდნენ, რომელსაც ქართლში, იმერეთსა და რაჭაში ყურძნის მტევნის მოყვანილობა ჰქონდა. გურიაში კი კვერის სახით ცხვებოდა და მას აგუნას პური ეწოდებოდა. სამეგრელოში კი აგუნას სახელზე ოთხი ხაჭაპური ცხვებოდა. გამომცხვარი კვერები თუ პურები, ხონჩაზე დაწყობილ სხვა სანოვაგესთან ერთად მარანში შეჰქონდათ, სადაც საგანგებო ტექსტს წარმოთქვამდნენ, თან გადაბრუნებულ საწნახელს ნაჯახის ყუას უკაკუნებდნენ. შემდეგ იმართებოდა რიტუალური ჭამა-სმა. ოჯახის თავი გარეთ გადიოდა ხონჩით ხელში და ახალი წლის მოსვლას ულოცავდა შინაურ პირუტყვსა და ფრინველს, ვაზს, კარ-მიდამოს. ვენახში მიჰქონდათ ვაზის პური, ხელადა ღვინო და ნასუქი მამალი. გურიაში ამ დროს ღორის თავიც დაჰქონდათ. მოხარშულ თავს ხორცს მოაშორებდნენ და დარჩენილ ძვალს უკაკუნებდნენ, თან დააყოლებდნენ: „ჩვენს მამულში – ყურძენი, სხვის მამულში – ფურცელი“. ეზოს შემოვლის შემდეგ ოჯახის უფროსი სახლში შედიოდა სავსე ხონჩით, მიმოაბნევდა ხორბალს (ან სხვა მარცვლეულს) გამრავლების ნიშნად და დაილოცებოდა, ოჯახის წევრებს ულოცავდა ახალ წელს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რომ კერაში ცეცხლი ჩაუქრობლად შეენახათ. სიტყვიერადაც ცდილობდნენ ცეცხლისთვის ძალის შემატებას:

„ცეცხლო ელოდე, მელოდე, მე მელოდე, მზეს ელოდე, ადრიანად ავდგებოდე, დოჩხოურა (ანუ ნაკვერჩხლიანი) დამხვდებოდე.“



**დილით წყალსაც მიულოცავდნენ. დიასახლისები წყაროზე მიდიოდნენ, ულოცავდნენ და შინაური ფრინველისთვის საკენკს ალბობდნენ, რომ მათ გამრავლების უნარი მომატებოდათ**

ანთებული მუგუზლიდან დაცვენილი ნაპერწკლების სიმრავლე პურის, ღვინის, დოვლათის, ოჯახის გამრავლების სიმბოლო იყო. დილით წყალსაც მიულოცავდნენ. დიასახლისები წყაროზე მიდიოდნენ, ულოცავდნენ და შინაური ფრინველისთვის საკენკს ალბობდნენ, რომ მათ გამრავლების უნარი მომატებოდათ. ხევსურები მიდიოდნენ მდინარესთან, სიტყვიერად მიულოცავდნენ ახალ წელს და ძღვნად ერბოიან-ყველიან პურის ნაჭერს აგდებდნენ წყალში. როცა ახალი წლის ღამე იწურებოდა, სახლში შემოდიოდა პირველი სტუმარი – მეკვლე. ხალხის რწმენით, მის ნაფეხურს მოჰყვებოდა მომავალი წლის ბედი, რაც დიდად იყო დამოკიდებული მეკვლის პიროვნებაზე, მის ბედ-იღბლიანობაზე. ის ხელდამშვენებული მოდიოდა იმის ნიშნად, რომ ბარაქიანობა შემოჰქონდა ოჯახში. ხონჩაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო ვაზის ლერწი, თავის სურვილს კი აუცილებლად ლექსით გამოთქვამდა:

„ახალ წელიწადს წლის თავსა გიკვლევ ვაზისა რქითამცა,

შენიმცა სახლი ავსილა ტყავ-კაბა-ზარბაბთითამცა.

ცხენზედაც მოგადგებიან მშვილდისრიანნი ხმლითამცა.

ტახტზედაც დაგიდგებიან თავ-ოქრო-გვირგვინითამცა.

მოკეთე ღმერთმა გიმრავლოს, მოყვარე მრავალგზითამცა.

ასრე დასტკბი ამ ქვეყანას, ვით თაფლი ფუტკრის სკითამცა;

უხვათამც მოგეცემოდეთ თვალ-მარგალიტი ზღვითამცა“.

ახალი წლის დღეს საქართველოში ზოგან „ბასილის დღეს“ უწოდებდნენ, რადგან 1 იანვარს მართლმადიდებლური ეკლესია წმიდა ბასილი დიდს იხსენიებს. ამ დროს აცხობდნენ ადამიანის ფორმის „ბასილას კვერებს“, რომელსაც ასევე „კაცბასილას“ უწოდებდნენ. ჩიჩილაკსაც ბასილას წვერები ერქვა. ახალი წლის დღესასწაული უძველესი წარმოშობისაა და მასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა დიდი ნაწილი წარმართობიდან მომდინარეობს. მაგრამ, დღესაც არსებობს, რადგან მთავარი მიზანი ამ დღესასწაულისა – ცხოვრების განახლება, ბარაქიანობის მოთხოვნა, სიხარულის მოლოდინი – ადამიანის უმთავრესი მოთხოვნი-

ლებაა და ქრისტიანული რელიგიისთვისაც არ არის უცხო.

**– ახალი წლის უცვლელი ატრიბუტიკაა ნაძვის ხე და ჩიჩილაკი. საიდან იღებს ეს სათავეს?**

– საქართველოში ახალ წელს ახლდა მისი აუცილებელი ატრიბუტი – ჩიჩილაკი, რომელსაც „ბასილას წვერებსაც“ ეძახდნენ. ის წმიდა ბასილის სახელს უკავშირდება და, რასაკვირველია, ქრისტიანობის ხანაში უნდა დამკვიდრებულიყო. თუმცა, მორთული ხის სიმბოლიკაც ძალიან ძველია და ნაყოფიერებას უკავშირდება. ფიქრობენ, რომ ჩიჩილაკი თავისი ბურბუშელებით მზის სხივებსაც განასახიერებდა. მის თავზე ჯვრის გამოსახულებას აკეთებდნენ და ჩირით, ხილით, სუროს ფოთლებით რთავდნენ. მას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საახალწლო ხონჩაზე. ნათლისღების წინა დღეს კი ბასილას წვერებს წვავდნენ და მის ფერფლს ატანდნენ გასული წლის უსიამოვნებებს. ზეპირგადმოცემით, თითქოს პირველი ჩიჩილაკი ღვთისმშობლის მეუღლემ, მართალმა იოსებმა (ის ხომ ხურო იყო) გაუკეთა პატარა იესოს გასართობად. დროთა განმავლობაში საახალწლო მორთულობებში წამყვანი ადგილი ნაძვის ხემ დაიკავა. საიდან მოვიდა ეს ტრადიცია? გერმანული მოდგმის ხალხებში უძველესი დროიდან არსებობდა რწმენა, რომ მარადმწვანე მცენარეები სასიკეთო გავლენას ახდენს მოსავლიანობაზე. ამიტომ ტოტები ან მთელი ხეც მოჰქონდათ სახლში. ეკლესია ებრძოდა ამ წარმართულ ჩვეულებას, მაგრამ მერე დააკანონა და შობას დაუკავშირა. უჭკნობ სიმწვანეს აღიქვამდნენ, როგორც მარადიულ სიცოცხლეს. ნაძვის სამკუთხა კონტური წმიდა სამებას გამოხატავდა. ნაძვს რთავდნენ ვაშლებით, რითაც ის სამოთხის ხეს განასახიერებდა. ასევე, მასზე კიდებდნენ ვაფლის ნაჭერს, რომელიც ზიარების პურის სიმბოლო იყო. ნაძვის წვერს კი რთავდნენ „ბეთლემის ვარსკვლავით“.

რუსეთში ნაძვის მორთვა დაიწყეს მეცხრამეტე საუკუნეების შუა ხანებიდან. თავდაპირველად, ამას აკეთებდნენ გერმანულ ოჯახებში, რომლებიც მრავლად იყო როგორც პეტერბურგში, ისე მოსკოვში. შემდეგ ეს ახალი ჩვეულება გავრცელდა რუსებს შორისაც. სავარაუდოა, რომ საქართველოში ნაძვის ხის მორთვა საახალწლოდ რუსეთიდან შემოვიდა. დღეს ქართულ ოჯახებში ისევ მკვიდრდება ჩიჩილაკი და იკავებს ადგილს ნაძვის ხის გვერდით.

**– შობის დღესასწაულის მიმართაც დამოკიდებულება საკმაოდ მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო.**

– საქართველოში ახალ წელს სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა დროს აღნიშნავდნენ. მეოთხე საუკუნეში 6 აგვისტოს ზეიმობდნენ, მეშვიდე საუკუნიდან ის ბიზანტიურ-ქრისტიანულმა ინდიქტიურმა, ანუ სექტემბერის წელიწადმა შეცვალა. მეცხრე საუკუნის 20-იანი წლებიდან გაზაფხულზე მარტიდან იწყებოდა დროის ახალი ათვლა, მეთოთხმეტე საუკუნიდან კი მისი თარიღი საბოლოოდ დადგინდა ევროპული კალენდრით – იანვარში. 25 დეკემბერი (7 იანვარი) ეკლესიამ ქრისტეშობის დღედ მეოთხე საუკუნეში დააწესა. ის წინ უძღოდა ახალ წელს და მორწმუნისთვის მასზე უფრო მნიშვნელოვანიც იყო. რელიგიური თვალსაზრისით, ყოველგვარი განახლების სათავე ქრისტეს ამქვეყნად მოვლინებაა. მას მოსდევს ახალი სიცოცხლე, დროის განახლება. მეოცე საუკუნის დასაწყისში, ასტროლოგიური გამოთვლების საფუძველზე, დადგინდა, რომ კალენდარში ცვლილებები შეეტანათ. 1918 წელს რუსეთში შემოიღეს დასავლურ-ევროპული კალენდარი. მიღებული დეკრეტით, 31 იანვრის მომდევნო დღე იყო არა 1, არამედ – 14 იანვარი. აქედან მოყოლებული, დროის ათვლა გაიყო ორად: ძველი სტილი შეინარჩუნა ეკლესიამ, ხოლო ახალ სტილს მიჰყვება სახელმწიფო და სამოქალაქო მოსახლეობა. ასეა ეს საქართველოშიც. რეფორმის შედეგად ახალი წელი მოექცა შობისა და ნათლისღების დღესასწაულთა წინ. საქართველოში შობა უდიდესი დღესასწაულია და მას თავისებური რიტუალი ახლავს – კარდაკარ სიარული და მამაკაცთა მიერ „ალილოს” სიმღერა. ფიქრობენ, რომ მისამღერი სიტყვა და რიტუალის სახელი „ალილო,“ მომდინარეობს „ალილუიადან“. ეს წეს-ჩვეულება თითქმის ერთნაირად ტარდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ალილოს მომღერლები დახელოვნებულნი იყვნენ ტრადიციული გალობა-სიმღერის შესრულებაში. კარდაკარ ჩამოვლისას მათი ხმა მთელ მხარეს ეფინებოდა: „ოცდახუთსა დეკემბერსა შობა გათენებულაო,

ქვაბსა ბეთლემისასა ქრისტე დაბადებულაო.

მადლი მახარობელსაო, ქვეყნის გამხარებელსაო.

სახლო ღმერთმა აგაშენოს, მხიარულად დაგამშვენოს.“

ზოგჯერ ერთსა და იმავე სოფელში მომღერალთა 2-3 ჯგუფიც გამოჩნდებოდა ხოლმე. მოსახლეობა ხელგაშლილი ელოდა მათ, რადგან სჯეროდათ, რომ მეალილოების დასაჩუქრება ბარაქას შემატებდა მათ ოჯახებს. კარდაკარ ჩამომვლელები თვითონაც ითხოვდნენ საშობაო საჩუქარს: „ალათასა ბალათასა, ხელი ჩაჰყავ კალათასა,

ცოტა რამე გამოგვიტა, ღმერთი მოგცემთ ბარაქასა.“

ალილოს ლექსებში შექებულია პურადი და უხვი მასპინძელი, ძუნწი და ხელმოჭერილი კი – გაკიცხული. მეალილოები ზოგჯერ კატეგორიულებიც იყვნენ, თუ მასპინძელი საჩუქრის მიცემას აყოვნებდა: „ტყიდან მგელი გამოვარდა, თხა შეგვიჭამა ნისლაო,

თუ გამოგაქვთ, გამოიტათ, სხვაგანაც გვინდა მისვლაო.“

ალილოზე სიარულის ტრადიცია კვლავ აღორძინა საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ. შეგროვებული სანოვაგე და შესაწირი ურიგდებათ უმწეოებსა და პატიმრებს.

**ნათია უტიაშვილი**

**(64-ე გვერდიდან)**

და მხოლოდ მხარის ადმინისტრაციის მეთაურის თანხმობითა და თანდასწრებით, 260 წლიდან 303 წლამდე, ქრისტიანების ახალი დევნის დაწყებამდე.

ამავე დროს, ხუცესს მიუვარდნენ წარმართები, კინაღამ მოკლეს ცემით, გაძარცვეს მისი სახლი და მისი ქონება გაიყვეს. თვითონ კი, გააძევეს სოფლიდან. ხუცესის გაძევება 236 წლიდან მაქსიმინუსის კანონით იქნა დაშვებული, თუ ის „აწუხებდა” წარმართულ თემს (ასეთი რამე გამოირიცხა 313 წელს).

წარმართებმა პატარების წამების დღეც დანიშნეს. მოვიდა იმ მხარის მთავარი და უამრავი ადამიანი. მივიდნენ მდინარესთან, სადაც მოინათლნენ პატარა კოლაელნი. კერპთაყვანისმცემლებმა ამოთხარეს დიდი ორმო, მშობლებმა მოიყვანეს თავისი ქრისტანი შვილები, მათ მიერ განწირულნი სასიკვდილოდ და ორმოში ჩაყარეს. ზოგი მათგანი ცხრა წლის იყო, ზოგი შვიდის, ზოგი შეიძლება უმცროსიც.

პატარები თავისი გულწრფელი ბუნებით ამბობდნენ:

– ჩვენ ქრისტიანები ვართ და მოვკვდებით მისთვის, რომლის სახელითაც მოვინათლეთო.

მაშინ ულმერთო მშობლებმა დაჰკრეს ქვები ქრისტიან შვილებს და „განტვინნეს“, გაუხეთქეს თავები.

# რატომ დახოცეს კოლაელმა ქართველებმა შვილები, რომლებიც ეკლესიამ წმიდანებად შერაცხა

როგორც ამბობს, კოლაელ ყრმათა თანამედროვე და მათი მარტვილობის აღმწერი უცნობი ქართველი ავტორი, გველებმა და მხეცებმაც კი იციან შვილების სიყვარული, ხოლო ურჯულო მშობლებმა ჩაქოლეს საკუთარი სისხლი და ხორცი. მშობლებთან ერთად ურწმუნთა მთელი კრებული ესროდა პატარა წამებულებს ქვებს მანამდე, სანამ ქვებით არ ამოივსო ის დიდი ორმო, რომელშიც პატარა ქრისტიანები იყვნენ, აწ უკვე მიცვალებულნი ქრისტესთვის. შემდეგ მიწა მიაყარეს წამებულებს.

პატარა წმიდანების წამების ადგილი მათ საფლავად იქცა.

ეს ამბავი მოხდა რომსა და ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე და დაწერილი ჩანს თანამედროვის მიერ, რადგან ზეპირსიტყვიერებას რომ შემოენახა ეს ისტორია, „ჟამნობის“ მაგიერ იქნებოდა ტექსტში სიტყვა „ლოცვა“. გარდა ამისა, ვერც რომაული კანონები იქნებოდა ასე ზედმიწევნით სწორად გადმოცემული.

ყველაზე ძველი ხელნაწერი ამ თხზულებისა მეათე საუკუნისაა შემორჩენილი. რა თქმა უნდა, დაწერის მომენტიდან შემდგომი დროის გადამწერებმა ტექსტი შეცვალეს, შეამცირეს, ხანმეტი ადგილები გადაასწორეს, სხვა კორექტივებიც შეიტანეს თხზულებაში. ამიტომ, ის ძირითადად გადაწერის პერიოდის ენობრივი ნორმებითაა წარმოდგენილი.

„კოლაელ ყრმათა წამებით“ დასტურდება, რომ „წმიდა ნინოს ცხოვრების“ აღწერამდე და „შუშანიკის წამების“ შექმნამდე, უფრო ადრე გვქონდა ლიტერატურული ნაწარმოები. ნათარგმნი იყო რელიგიური ლიტერატურა, სახარება, ლოცვები და სხვა. საქართველოს ტერიტორიაზე ანდრია პირველწოდებულის მიერ დაარსებული ქრისტიანული თემები განაგრძობდნენ არსებობას.

„კოლაელ ყრმათა წამებაში“ პატარა წმიდანების სახელები არ არის მითითებული, მაგრამ ქართული ეკლესია ტრადიციით მათ ასე მოიხსენიებს:

ცხრა ძმა კოლაელნი: გუარამ, ადარნასე, ბაქარ, ვაჩე, ბარძიმ, დაჩი, ჯუანშერ, რამაზ და ფარსმანი - კოლაში, მტკვრის სათავესთან ქვით ჩაქოლილნი.

**გიორგი მახობეშვილი**

**მოცეკვავის ამპლუაში ნოდიკო ტატიშვილის ნახვა, ალბათ, ბევრისთვის მოულოდნელობა იყო, რადგან თვითონ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, არ აღიარებდა, რომ ცეკვის ნიჭი ჰქონდა. თუმცა, მან ნამდვილად შეძლო „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მაყურებლის გაოცებაც და ფინალში გასვლაც.**

# ვინ აგიჟებს და ვისზეა შეყვარებული ნოდიკო ტატიშვილი და როგორ ცდილობს ის ჯულიანასთან ნატურალური ემოციების გაჩენას

**ნოდიკო ტატიშვილი**: სიმღერის კონკურსზე ბევრჯერ ვყოფილვარ – ამ კუთხით დიდი გამოცდილება მაქვს, სიმღერის დროს იცი, რა და როგორ უნდა გააკეთო და მთელი სადავეები შენს ხელთ არის. „ცეკვავენს“ რაც შეეხება, სრული დილეტანტი ვარ და სადავეები მთლიანად ჯულიანას უჭირავს, კარგად მმართავს, თან, ისე მაგრად აქვს მოჭერილი... ჯულიანა რომ არ ყოფილიყო, ვერც ასე ვიცეკვებდი, სურვილიც არ მექნებოდა, ბევრი მემუშავა და ასე მომემზადებინა მაგარი ცეკვები. ძალიან კარგია, როდესაც შენი მეგობარია, რომელიც გიხსნის ყველა კომპლექსს, მაგრამ, გეჩხუბება კიდეც. ისე საყვარლად ჩხუბობს, მეცინება, ცუდად მხდის, ვბჟირდები და მერე, მე რომ მეცინება, იმაზე ბრაზდება. ჩხუბიც არ შეუძლია, ამას ჰქვია ცოტა ნერვული ალაპარაკება. კრიმინალურს კი არ ვაკეთებ რამეს, უბრალოდ, უფრო მეტი პრეტენზია აქვს – უფრო მეტი მოგეთხოვებაო. ჟიური რომ გადარეულა და ჩამოხოკილა, ჯულიანას მაინც არ უთქვამს – მაგარი იყოო. ერთხელ მითხრა: იმიტომ არ გეუბნები საქებარ სიტყვებს, სტიმული რომ არ დაკარგოო. ნახევარფინალის წინ კი მითხრა: შენ ღირსი ხარ, ფინალში გადახვიდე და, გაიმარჯვოო. მისი შეფასება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. არასდროს მძაბავს, მაგრამ, სულ მოჭიმული ვარ, მაგარია!

**– თურმე, ქალის ჭკუაზე სიარული არ ყოფილა ცუდი.**

– მშვენიერია. საერთოდ, არ მიყვარს ქალის ჭკუაზე სიარული, მაგრამ ახლა, სამი თვეა, დავდივარ ქალის ჭკუაზე. ჯულის არ ახსოვს, მეთქვას: ვერ მოვალ, არ მცალია ან ადრე გამიშვი-მეთქი... ჩვეულებრივად „დაჩმორებული” ვყავდი.

**– საკუთარ თავს, ალბათ, სხვა კუთხით შეხედე, სხვანაირი ნოდიკო დაინახე.**

– აბსოლუტურად სხვანაირი. რომ ვახვევ და ვუყურებ, არ მჯერა, რომ ეს მე ვიყავი და მე ვაკეთებდი ამ ყველაფერს. სარკესთან რეპეტიცია არ მიყვარს, მაღიზიანებს, მგონია, რომ საშინლად ვცეკვავ – მაკოპლექსებს სარკე. სცენაზე რომ ვერ ვხედავ საკუთარ თავს, უფრო გახსნილი ვარ. იქ რომ სარკე იყოს და ჩემს თეძოებს ვხედავდე, ალბათ, ვერ გავაკეთებდი ვერაფერს, ძალიან მომერიდებოდა. ისე დავიღალე, რომ ველოდები, როდის მოვილევ კონცერტებს, ჯერ უნდა დავიძინო და დიდხანს არ გავიღვიძო, მერე კი დავისვენო. ვიცოდი, რომ შრომატევადი იყო, მაგრამ, ძალიან რთული აღმოჩნდა ფსიქოლოგიურადაც და ფიზიკურადაც. რეჟიმი თავდაყირა დადგა, რაღაცეები მავიწყდება, თავში ყველაფერი არეული მაქვს.

**– ჯულიანას კი კარგად უწევ პარტნირობას, ისე გენდობა და ისეთ რაღაცეებს აკეთებს, ბევრ პროფესიონალ მოცეკვავეს გაუჭირდება მისი მეწყვილეობა.**

– ჯულიანა საერთოდ მაგიჟებს, ისეთ რაღაცეებს აკეთებს. იცი, ეთერის დროს როგორ გადაწვება ხოლმე? იატაკზე ადებს ლამის თავს და, მინდა, იმ წამის მეათასედში მოვკლა, დავუყვირო – სად მიდიხარ-მეთქი. ჯულიმ იცის ჩემი პასუხისმგებლობის ამბავი, მანამდე ეს ყველაფერი გამაკეთებინა და არცერთხელ რომ არ ჩამომივარდა, მიხვდა, რა შემიძლია.

**– რა მაგარ ფორმაში ხარ, როგორ გახდი!**

– სულ მაგას ვამბობდი: ფინალშიც რომც ვერ გავიდე, „იმედის“ მადლობელი ვიქნები, ჩემი სურვილი რომ აასრულა-მეთქი – 13 კილო მაქვს უკვე დაკლებული და ძალიან მიხარია. მომღერალს, ზოგადად, სჭირდება ასეთი რაღაცეები – ცეკვას ვგულისხმობ. ახლა შემიძლია, ისეთ რამეზე წავიდე, რაზეც ადრე მეგონა, რომ ვერ წავიდოდი. თუნდაც მიუზიკლებზე, რომელიც ჩემი სუსტი წერტილია, ნებისმიერ შემთხვევაზე, როგორი რთულიც არ უნდა იყოს, შემიძლია, ვთქვა: მე ამას გავაკეთებ.

**– ჯულიანა ვისთანაც ცეკვავდა, ყველასთან დააწყვილეს, თქვენზე კი ნაკლებად ჭორაობენ.**



**ვერ დავაფიქსირე ადამიანი, ვინც იტყოდა, შენი იმედი მქონდა, რომ კარგად იცეკვებდიო. პირველი ცეკვის მერე ყველა შოკში იყო**

– ჩვენზეც გავიგე რაღაცეები. დღეს ვისთანაც არ უნდა დამინახონ, ყველაზე იეჭვიანებენ – ასეთი ერი ვართ. ჩემზე და მარიამზე უფრო ჭორაობდნენ მთელი პროექტის განმავლობაში, დღემდე ბევრს ჰგონია, რომ შეყვარებულები ვრთ. ჯულიანას შეხედეთ, რა სილამაზეა და, თანაც, იმ რამდენიმე წუთში უნდა აჩვენო ნატურალური ემოცია, რომელიც უნდა ითამაშო, გაიჩინო – ეს აძლევს ცეკვას სრულყოფილებას. გოჩამ „რუმბაზე” რომ გვითხრა მე და ჯულიანას: რომ არ ვიცოდე, მეგობრები ხართ, ვიფიქრებდი, ერთმანეთზე გიჟდებითო. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი შეფასება. მე მართლა მიყვარს ჯულიანა, დიდ პატივს ვცემ, აბსოლუტურად განსხვავებული გოგონაა: სერიოზული, არ უყვარს ზედმეტი ლაპარაკი, ჭორაობა, ასეთი გოგონა ბევრი არ შემხვედრია.

**– ძალიან გესიამოვნა, როდესაც შორენამ გითხრა, რომანტიკოსი ხარ და ბედნიერი იქნება ის ქალი, ვინც შენ გვერდით გეყოლებაო.**

– ისე მესიამოვნა... თან, მინდოდა, ვიღაცვიღაცეებს ეს გაეგოთ.

**– ვიღაც-ვიღაცეებს თუ იმ ვიღაცას? არ სჯერა მას?**

– არა, როგორ არ სჯერა. ასეთი ტიპი ვარ – რომანტიკულიც და ზედმეტად სენტიმენტალურიც. შორენამ, ფაქტობრივად, გაშიფრა ჩემი შინაგანი „მე“. ვისაც უნდა გაეგო, გაიგო, კომენტარებიც კარგი იყო.

**– პროექტამდე შენს ცხოვრებაში არსებობდა ერთი კარგი გოგონა და, იმედია, ამ პროექტმა, შენმა მოუცლელობამ, არ შეუშალა ხელი თქვენს ურთიერთობას.**

– პროექტმა ბევრ რაღაცაში შემიშალა ხელი, მაგრამ, ურთიერთობის მხრივ არაფერი შეცვლილა, რეალურად ყველაფერი ისევ ისეა. ჩემი ეს ამპლუა დედაჩემისთვისაც აღმოჩენა იყო, რომელმაც გამაჩინა და გამზარდა. სხვებისთვისაც აღმოჩენა იყო, ვერ დავაფიქსირე ადამიანი, ვინც მეტყოდა – შენი იმედი მქონდა, რომ კარგად იცეკვებდიო. პირველი ცეკვის მერე ყველა შოკში იყო. ისე, მეცეკვა მანამდე!

**– და, ვიღაცეები უფრო ადრე აღმოაჩენდნენ შენს ბევრ თვისებას.**

– ფანების, გოგონების ყურადღებას თუ გულისხმობ, არ მიმაჩნია, რომ ალენ დელონი ვარ, მაგრამ, კონკრეტულად და ზოგადადაც გააქტიურებულები არიან სუსტი სქესის წარმომადგენლები – ეს მომწონს. მრცხვენია და ვიბნევი, როდესაც მაქებენ, მაგრამ, ვგიჟდები, როდესაც ჩემდამი სიმპათიებს გამოხატავენ.

**– ბინაც გჭირდება და ავტომობილიც.**

– არ მოვყვები მიზეზებს, მაგრამ, ერთიც კარგია ჩემთვის და მეორეც, ორივე ერთად ხომ – მთლად იდეალური ვარიანტია, დამხატავდა... არ მიწყინო, ზურა. მანქანა ახლაც არ მყავს, მაგრამ, ფინალამდეც ვფიქრობდი, რომ, თუ გამოვეთიშებოდი კონკურსს, არ იქნებოდა ეს ტრაგედია, რადგან, მაქვს კონკურსების გამოცდილება. ვერ წარმოიდგენ, როგორი ტკივილი იყო თითოეული მონაწილის წასვლა, ნუცას ფეხის მოტეხა ხომ განსაკუთრებით განვიცადეთ ყველამ. ეს პროექტი ორმაგად სტრესი იყო ჩემთვის, რადგან, ჩემი მეგობრები იყვნენ და, აღარ ვიცოდი, რომელზე მენერვიულა ან რაზე.

**– შენმა ცეკვამ ტრავმის გარეშე ჩაიარა?**

– ორი კვირა კისერს საერთოდ ვერ ვგრძნობდი, ისეთი დაჭიმული მქონდა. ლაივებზე წამალშესხმული გავდიოდი, რომ ტკივილი არ მეგრძნო. არ მიყვარს ლაპარაკი იმაზე, რომ ტრავმა მაქვს, ბეჭი მტკივა, კისერი...

**– შენი კისერი მაინც, ძალიან აქტუალური იყო.**

– რაც გოჩამ დამაკლო, შორენამ ამინაზღაურა – ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. არადა, მომწონს ჩემი კისერი. მერე დედაჩემმა და მამაჩემმა ხუმრობით შეუთვალეს გოჩას: ჩვენ როგორიც გვინდოდა, როგორი კისრითაც, ისეთი შვილი შევქმენითო. კიდევ კარგი, ცეკვის გაგრძელებას არ ვაპირებ, თორემ, მეც ძალიან ვინერვიულებდი ჩემს კისერზე... იცი, რა მიხარია ყველაზე მეტად? გარეთ როცა გავდივარ, სიხარულისგან და ემოციებისგან მტკივდება თავი, ისე თბილად მხვდება ხალხი და ამისთვის ძალიან მადლობელი ვარ მათი. ამიტომაც მინდა, ასჯერ მეტი გავაკეთო, ისეთი ღირებული რამ შევქმნა ჩემი ქვეყნისთვის, რომ, როცა გავა დრო და აღარ ვიქნები, ახსოვდეთ ნოდიკო ტატიშვილი. ამიტომაც, ყველაფერს გავაკეთებ – რაც შემიძლია და რაც არ შემიძლია.

**ნათია უტიაშვილი**

**თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ წლევანდელი სეზონი ერთ-ერთი განსაკუთრებული და გამორჩეული იყო. არა მხოლოდ ჩემთვის, ალბათ, ბევრისთვის, ნოდიკო ტატიშვილისა და ზურა მანჯავიძის ცეკვა სიურპრიზი აღმოჩნდა. საბოლოოდ კი მათ ყველა მონაწილე ჩამოიტოვეს და ფინალშიც გავიდნენ.**

# როდის არ იყო თავის „კამპოტში“ ზურა მანჯავიძე და რატომ ჰქონდათ მას და მზია ორველაშვილს „წამოფრენები“ და დიდი ორომტრიალი

**ზურა მანჯავიძე**: წარმატების იმედი მქონდა, მაგრამ, ნამდვილად არ ვფიქრობდი, თუ ფინალში აღმოვჩნდებოდი – ეს ნამდვილი გამარჯვებაა ჩემთვის, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავზე გამარჯვება და, მერე, ზოგადად – ძალიან დიდი მიღწევა. თან, ეს პირველი სერიოზული კონკურსია, სადაც ასე ინდივიდუალურად ვმონაწილეობდი, გამოცდილება არ მქონია ამ კუთხით და ალბათ, ეს ბოლო კონკურსი იქნება. ძალიან ბევრი ენერგია მიაქვს, სხვა არაფრისთვის აღარ მრჩება დრო, დავიწყებული მაქვს ოჯახი, სამეგობრო წრე – მოკლედ, ყველაფერი.

**– რა შეიწირა ამ პროექტმა?**

– სამსახურიც – ნაწილობრივ კი არა, აღარ ვარ იქ. რამდენ ხანს შეიძლება, ეს გაგრძელდეს? ოჯახში მიჩვეულები არიან ჩემს ასეთ რიტმს. შვილები კარგი გაზრდილები მხვდებიან ხოლმე. კვირაში ერთხელ, პირდაპირი ეთერი რომ გვაქვს, სამშაბათობით, მაშინ ვხედავ ბავშვებს, როცა მგულშემატკივრობენ. ყოველთვის კი ვიყავი დაკავებული, მაგრამ, ამ პროექტს სულ სხვა რეჟიმი სჭირდება, მთელი დრო და ენერგია მიაქვს. მაგრამ, ბევრი დადებითი მხარეც აქვს: გავხდი, რასაც ვერანაირად ვერ ვახერხდები. თან, დიდი გამოცდილება შემძინა და, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმდენი ცეკვა ვისწავლე.

**– ალბათ, ქეიფსა და დალევაზეც დროებით აიღე ხელი.**

– მოკლებული ვარ ამ ყველაფერს და 1 იანვრიდან ვიწყებ ანაზღაურებას. მათ შორის, წონაში მომატებასაც – ცოტა უნდა მოვიმატო, თორემ, ფერი აღარ მაქვს აშკარად.

**– მთელი შოუს განმავლობაში შენი მეგობრები და ახლობლები, ალბათ, სულ მობილიზებულები იყვნენ.**

– ძალიან დიდი მხარდაჭერა მაქვს. ისეთი რაღაცეები გააკეთეს ჩემმა მეგობრებმა, ვერც კი წარმოვიდგენდი: პიარ-აქციები ჩაატარეს, ხალხმრავალ ადგილებში იარეს, არიგებდნენ ჩემს ფლაერებს, ხალხს დახმარებას სთხოვდნენ, ორგანიზებული მხარდაჭერა აღმომიჩინეს. ეს ეტყობოდა კიდეც ნახევარფინალს: ხალხიც ამესიჯებდა, მაგრამ, მათაც დიდი მხარდაჭერა აღმომიჩინეს. ხალხის სიყვარულს ყოველთვის, ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდი, მაგრამ ახლა ასმაგად ვიგრძენი, რისთვისაც მათი დიდი მადლობელი ვარ. უღრმესი მადლობა, ვინც ერთი მესიჯი მაინც გამომიგზავნა. უფრო მეტი ენთუზიაზმით გავაგრძელებ ჩემს საქმიანობას.

**– თავად თუ გრძნობდი, რომ ცეკვაში ასეთი ნიჭიერი იყავი, ანუ, მანამდეც აღმოგიჩენია შენში ეს ნიჭი?**

– რაღაცეებს ვატყობდი ჩემს თავს მიხრა-მოხრაში. სამეგობროში ვიღაც რაღაცას რომ აკეთებდა, გამომდიოდა, პლასტიკისა და მოძრაობის პრობლემა არ მქონია. ცოტას ყველგან ვცეკვავდი ხოლმე, მაგრამ, ძალიან დიდი სირთულე იყო, როდესაც პროექტი დაიწყო; უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა. როდესაც პროდუქტს გამზადებულს უყურებ, მოცეკვავეები ისე დანარნარებენ, ფიქრობ, ამის გაკეთებას რა უნდაო, მაგრამ, როგორც კი თვითონ მოგიწევს ამის გაკეთება, იქვე ხვდები, რომ შეიძლება, კისერი წაიმტვრიო.

**– მიხვედი კისრის წამტვრევის მომენტამდე?**

– კი, როგორ არა. თავიდან ვფიქრობდი, წამოვალ-მეთქი, რადგან, ძალიან დიდ შრომ-



მეუღლემ „გამიჩალიჩა,“ სულ მეუბნებოდა: როდის იქნება, შენც გახვიდე ამ პროექტში; ვიცი, გამოგივა, მაგარი ხარ, შეძლებო. მაგრამ, მე სულ ვაშაყირებდი და არ ვუჯერებდი

ას მოითხოვს, თან, მე სხვა საქმეებიც ხომ მაქვს – ჩაწერები, ახალი წელი მოდის... მოკლედ, სრული საგიჟეთი მაქვს.

**– როგორ ეგუებიან „ფორტეს“ გოგონები ამ ყველაფერს?**

– შეწუხებულები არიან, მითმენენ, როგორც შეუძლიათ, მხარში მიდგანან, ძალიან მეხმარებიან. ჩაწერაზე ვიყავი გუშინ და კბილებს აკრაჭუნებდნენ.

**– მითხარი, ოჯახის წევრები მიჩვეულები არიან ჩემს რიტმსო, მაგრამ, მაინც, როგორ ეგუებიან იმ ფაქტს, რომ სულ დაკავებული ხარ და არაფრისთვის აღარ გაქვს დრო?**

– მეუღლემ „გამიჩალიჩა“ ეს ყველაფერი – სულ მეუბნებოდა: როდის იქნება, შენც გახვიდე ამ პროექტში, ვიცი, გამოგივა, მაგარი ხარ, შეძლებო. მაგრამ, მე სულ ვაშაყირებდი და არ ვუჯერებდი. საბოლოოდ, მაინც ახდა მისი სურვილი, მეც გამომივიდა და ფინალი სახეზეა. ჩემი უფროსი შვილები, გიორგი და ანი, უფრო ეჭვის თვალით მიყურებდნენ, მაგრამ, პირველი ცეკვის შემდეგ მგულშემატკივრობენ, მეხმარებიან, ისევე, როგორც ტყუპები – სანდრო და ლუკა. უფროსებს ძალიან არ უნდოდათ ჩემი მონაწილეობა, რცხვენოდათ – კარგად რომ ვერ მეცეკვა და ჩავფლავებულიყავი, ძალიან ეწყინებოდათ. რომ ნახეს, შემიძლია, ძალიან გაუხარდათ: ყოჩაღ, მიდიო.

**– მეწყვილეშიც ძალიან გაგიმართლა.**

– ძალიან გამიმართლა პარტნიორში – მაგარი მოცეკვავეა, ნამდვილი პროფესიონალი, კარგად მასწავლის, ნებისმიერ დონეზე გაქაჩავს ცეკვას. როგორი პარტნიორიც არ უნდა დაუყენო, მსოფლიო დონის მოცეკვავეც რომ იყოს, კაცმა არ იცის, ვინ იქნება მაგარი. ცეკვასა და კომპოზიციასაც ის არჩევს. გიგი და რეზი გვეხმარებიან, ცეკვას დგამენ, მაგრამ, მზია აკეთებს ქორეოგრაფიას და ყველაფერს ითვალისწინებს. წინა პლანზე თვითონ არასდროს გამოდის, თავისი ცეკვა არ გამოაქვს, უნდა, რომ მე უფრო კარგად გამოვჩნდე და ეს მისი ძალიან კარგი თვისებაა, თუმცა, ჩხუბი და კამათიც არის. მტკიცე ხასიათი აქვს, მაქსიმუმს ითხოვს ჩემგან. თავიდან უფრო იყო ჩხუბები, მერე – აღარ. ხანდახან გვაქვს „წამოფრენები” მასაც და მეც და მერე იწყება დიდი ორომტრიალი, ძირითადად მაშინ, როცა რაღაც არ გამომდის, თორემ, შრომისმოყვარეც ვარ, პუნქტუალურიც და საქმის სიყვარულიც ვიცი, თან სულ ვცდილობ, არავინ შევარცხვინო. ყველაფერი სირთულესთან იყო დაკავშირებული, ჩემს „კამპოტში“ არ ვიყავი; კიდევ, დამახსოვრება იყო რთული. ერთ დღეს მახსოვდა, მეორე დღეს – არაფერი, ამას ნერვიულობაც ემატებოდა და ამიტომ მინდოდა პროექტიდან გასვლა თავიდან.

**– როგორ ფიქრობ: ბინა თუ ავტომობილი (ინტერვიუ ჩაწერილია 25 დეკემბერს, – ავტორი)?**

– ბინა მინდა, მაგრამ, გული უფრო ავტომობილს მიგრძნობს. ყველა ტურზე ვფიქრობდი, რომ გავვარდებოდი, ბოლო ტურზეც ასე მეგონა, თუმცა, მაყურებელმა ასე გადაწყვიტა. ახლა მოგების შანსები ნახევარი-ნახევარზეა. როგორც ჩემგან არავინ ელოდა ასეთ ცეკვას, ისე – ნოდიკოსგან და მარიამისგანაც. ასე რომ, სრული სიურპრიზი იყო ჩვენი მხრიდან და სრული მოულოდნელობა. სასიამოვნოდ არის ხალხი გაოცებული, ისევე, როგორც ჩვენ.

**– გოგონები აშკარად დაჩაგრეთ.**

– დაგვეჩაგრნენ გოგონები. ძალიან რთული იყო და, რასაც ჰქვია, ვერ გავიხარე, როდესაც მარიამთან ერთად დავდექი. თან, დარწმუნებული ვიყავი, რომ დავტოვებდი პროექტს. ისე ძალიან მეწყინა მარიამის გავარდნა, რომ ჩემი გადასვლა აღარც კი გამხარებია. მომზადებული ვიყავი, რომ უნდა დამეტოვებინა პროექტი, მაგრამ, ასე მოხდა. ამიტომაც არ მიყვარს ეს კონკურსები და, ალბათ, არასდროს აღარ მივიღებ მონაწილეობას.

**– უკვე დაგეგმილი გაქვს, ახალ წელს როგორ გაატარებ?**

– დიახ, „ტაბლაში“ ვიქნები, წამყვანიც ვარ, „ფორტეც“ იქნება, სხვა მომღერლებიც, მოცეკვავეებიც... საინტერესო საღამო გელოდებათ და ყველას გეპატიჟებით.

***P.S. როგორც ზურას, ასევე ნოდიკოს არაჩვეულებრივი ფოტოები მოგვაწოდა ფოტოგრაფმა გიორგი ცაავამ, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით.***

**ნათია უტიაშვილი**

# ბრძნული აზრები

**ბოტიჩელი**: მხდალნი ერთმანეთს მუქარას უთვლიან, ვაჟკაცნი კი ებრძვიან.

**შექსპირი**: ფარ-ხმალი დედაკაცისა – ცრემლია.

**ბოსიუეტი**: ათასი მტრის გაწყვეტას ერთი მამულიშვილის დახსნა ჯობია.

**ბუასტი**: მაგალითი, რომელიც ბრძენისთვის სასარგებლოა, შესაძლოა, სულელისთვის საზიანო იყოს.

**დეკურსელი**: წესიერება ერის ჯანმრთელობაა.

**დელაბრი**: ვისაც საკუთარი აზრი არა აქვს, ის ყოველთვის უპირისპირდება სხვის აზრს.

**მოლიერი**: სიყვარულს განსჯა არ მართავს.

**ჯეფერსონი**: შენი საკუთარი გონება ცით ნაბოძები ერთადერთი ორაკულია და შენ პასუხისმგებელი ხარ არა გადაწყვეტილების მართებულობაზე, არამედ, მის პატიოსნებაზე.

**დოსტოევსკი**: გრძნობა მაშინ იწმინდება, როცა უმაღლეს მშვენიერებასთან და სილამაზის იდეალთან აქვს შეხება.

**ადლერი**: ის, რასაც ჩვენ ჩავდივართ, შეგვეძლო, გრძნობების გარეშეც გაგვეკეთებინა – გრძნობები, უბრალოდ, ჩვენი მოქმედების თანხმლებია.

**ავრელიუსი**: თუ რაიმე შენს ძალ-ღონეს აღემატება, ნუ იტყვი, რომ ის საერთოდ აღემატება კაცის ძალ-ღონეს, მაგრამ ის, რაც კაცისთვის მისაწვდომია, ის, რაც ხელეწიფება კაცს, შენც ხელგეწიფება, გწამდეს.

**ტოკვილი**: გულგრილობა სულის მძიმე ავადმყოფობაა.

**შილერი**: ფულის შოვნა უფრო ადვილია, ვიდრე გონივრული ხარჯვა.

**სპენსერი**: ყველამ იცის, ვისაც კი ბუნება უცვნია, რომ თუ სხვადასხვაობა არ არის, არც პროგრესია; სხვაობა რომ არ იყოს, სიცოცხლეს წარმატება არ ექნებოდა.

**შოუ**: გონიერი ადამიანი სამყაროს ეგუება, უგუნური – იგუებს სამყაროს, ამიტომ, მთელი პროგრესი უგუნურ ადამიანებზეა დამოკიდებული.

**ბერცენი**: მე საკუთარი გამოცდილებით ოჯახური ცხოვრების ყველა ფაზა გავიარე და დავინახე სისხლისმიერი კავშირების არამყარობა; ისინი მყარია მაშინ, როცა მას მხარს სულიერი კავშირი უმაგრებს...

**ბრეჰტი**: სიტყვებს საკუთარი სული აქვთ.

**ლაროშფუკო**: ჩვენი მტრების მსჯელობა ჩვენზე გაცილებით ახლოსაა ჭეშმარიტებასთან, ვიდრე საკუთარ თავზე მსჯელობა.

**ლაფარგი**: ეჭვიანობა კერძომესაკუთრული გრძნობის ნაირსახეობაა.

**ფურიე**: როცა კი ჰქონიათ ქალებს შესაძლებლობა, თავიანთი უნარი სრულად თავისუფლად გამოეყენებინათ, ისინი ყოველთვის მამაკაცებზე მაღლა ამოჩენილან ხოლმე.

# თუ გაგოიცნობთ

1. მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს გამოცემულ წიგნში „წმინდა ინკვიზიციის წარმოშობისა და განვითარების შესახებ“, სიცილიელი ინკვიზიტორი ლუიჯი პარამო ამტკიცებდა, რომ პირველი ერეტიკოსები მისი წინაპრები იყვნენ, რომლებიც თვით ღმერთმა დასაჯა. **დაასახელეთ ისინი.**

2. სულეიმან დიდებულის დროს სტამბულში გაჩნდა დაწესებულებები, რომლებსაც „კახვახანეს“ ეძახდნენ, ანუ ყავახანებს, სადაც ყავას მიირთმევდნენ. ამ დროიდანვე წარჩინებული თურქები თავიანთ მამულებს შემოსაზღვრავდნენ დეკორატიული ნაგებობებით, საიდანაც ტკბებოდნენ გარემოს ცქერით. ამ ნაგებობას კოშკი ერქვა. **დაასახელეთ,** რომელი სიტყვა წარმოიშვა აქედან, თუ ის მარტივი ნაგებობები, რასაც ამ სიტყვას უწოდებდნენ, ჩვენთან ძალიან მომრავლებული იყო 90-იან წლებში.

3. საქველმოქმედო ფონდის ერთ-ერთ პრეზენტაციაზე, ბილ გეითსმა წარმოთქვა: „მხოლოდ ღარიბებმა არ უნდა იგრძნონ ეს!“ და დამსწრე საზოგადოებაში გაუშვა კოღოების გუნდი. **რომელ დაავადებას ეძღვნებოდა ეს პრეზენტაცია?**

4. ინდოეთის ფარმაცევტული ფაბრიკების მიერ გამოშვებული პრეპარატების შეფუთვებზე გამოსახულია ლათინური ასო V მწვანე წრეში. **რას აღნიშნავს ეს სიმბოლო?**

5. უდიდესმა ამერიკელმა ელექტროტექნიკოსმა თომას ედისონმა ელექტროობაზე თავისი პირველი ცდების ჩატარება ჯერ კიდევ ბავშვობაში დაიწყო. ელექტროენერგიას ის იღებდა ყოველგვარი ხელსაწყოს გარეშე, ბუნებრივად და სახლიდან გაუსვლელად. **დაასახელეთ,** რას იყენებდა ელექტროენერგიის წყაროდ ედისონი?

6. მეცხრამეტე საუკუნის პეტერბურგში, იაფფასიან აბანოებში ის ბილეთის ღირებულებაში არ შედიოდა და მხოლოდ 1 კაპიკი ღირდა. **დაასახელეთ, რა?**

7. ცნობილი იტალიელი მეცნიერის, ლუიჯი გალვანის ცდებმა საფუძველი ჩაუყარა ახალ მეცნიერებას – ნეიროფიზიოლოგიას და ბიძგი მისცა ლიტერატურის ახალი ჟანრის ჩამოყალიბებას. **დაასახელეთ ჟანრი.**

8. 1888 წელს ამერიკელი მორბენალი ჩარლზ შერილი ავსტრალიაში ჩავიდა, სადაც კენგურუ ნახა, მის ქმედებაზე დაკვირვებით, შეიმუშავა და სირბილში დანერგა ილეთი. **რომელი?**

9. საბავშვო ფირმა „ლეგომ“, რომელიც ცნობილია თავისი სამშენებლო დეტალების ნაკრებით პლასტმასის დეტალებისგან, პლასტმასის შემადგენლობაში ბარიუმის სულფატის დამატება დაიწყო, რომელიც კარგად ჩანს რენტგენის დასხივებით. **რატომ?**

10. ნაბუქოდონოსორმა სხვა სახელმწიფოებისგან წლების განმავლობაში მიღებული თიხის ფილებით სასახლე ააგო. **რას წარმოადგენდა ეს ფილები?**

*პასუხები იხილეთ 65-ე გვერდზე*

# ქალთა გამოგონებები

* ასტროლაბი პირველადი აუცილებლობის საგანი არ არის, მაგრამ ასტრონომებისთვის ის შეუცვლელი ხელსაწყოა. ამ ხელსაწყოს გამოგონებიბისთვის კაცობრიობა მადლიერების გრძნობით უნდა იხსენებდეს ალექსანდრიელ მათემატიკოს ქალს – ჰიპათიას (370-415).

* აზარტული თამაშების მოყვარულთაგან ბევრმა, ალბათ, არ იცის, რომ ტოტალიზატორის იდეა (ცხენების დოღზე) ინგლისის დედოფალს – ანას ეკუთვნის (1702).

* ნიკოლ-ბარბიტე კლიკო 20 წლის დაქვრივდა, მაგრამ, გული არ გაიტეხა და... 1797 წელს გამოიგონა შამპანური – „კლიკოს ქვრივი“, რისთვისაც მეორადი დუღილის მეთოდი გამოიყენა ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელში. ამავე ქალბატონმა შეძლო კიდევ ერთი სასმლის – ვარდისფერი შამპანურის შექმნა.

* როდესაც ლეონარდო და ვინჩის მიერ გამოგონებულ წყალქვეშა ნავს ვახსენებთ, არ შეიძლება, დავივიწყოთ ამერიკელი გამომგონებელი ქალი სარა მეტერი – სწორედ მან დააპატენტა 1845 წელს პერისკოპი – სუბმარინის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი.

* ამერიკელმა მარგარეტ ნაიტმა 1870 წელს გამოიგონა რძის პაკეტების შესაკრავი (დასაწებებელი) მანქანა, რომელსაც დღესაც წარმატებით იყენებენ ამ საქმეში.

* 1907 წელს ამერიკელმა ქიმიკოსმა ქალმა მერი ინჯელ პენინგტონმა გამოიგონა კვების პროდუქტების გაყინვის მეთოდი.

* კარლ ბენცის მიერ 1888 წელს აწყობილი ავტომობილის პირველი გამომცდელი იყო მისი მეუღლე – ბერტა (ქმარმა ვერ გაბედა, „სამთვლიანი მოტორიანი ეკიპაჟის“ საჭეს მისჯდომოდა). ბერტამ გვერდით მოისვა ბავშვები და სტუმრად გასწია მშობლებისკენ, რომლებიც 120 კილომეტრის დაშორებით ცხოვრობდნენ.

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლa2-a5!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



ჩავიდა ტურისტი იერუსალიმში და უნდა, გოდების კედელი მოინახულოს. ტაქსიში მოკალათდა და მძღოლს ეუბნება.

– წამიყვანეთ, იქ სადაც თქვენ, ტირით, ყვირით და კედელს თავს ახლით...

მძღოლმა საგადასახადო ინსპექციაში მიიყვანა.

***





თაროზე ცოლის შამპუნი შევნიშნე, წარწერით: „სიგრძე და სიძლიერე"... მთელი ტანი დავიბანე... ყოველი შემთხვევისთვის...

***

ქმარმა ცოლის მობილურში უცნობი ნომერი ნახა, საღამოს 9-ზეა დარეკილი. გაუშვა ზარი და:

– შენ რომელი ხარ? – ეკითხება.

– შენ თვითონ ვინ ხარ?

– მე მაკას ქმარი ვარ?

– აუ... მე პიცის დამტარებელი ვარ... ტვინი წაიღეთ, რა!

***

შავკანიანი ბიჭუნა დედას ეკითხება:

– შენ თეთრი ხარ, მამაც, ბებოც და ბაბუაც... მე რატომ ვარ შავი?

– ოი, ის საღამო რომ მახსენდება, კარგია, რომ არ ყეფ...

***

ხშირად ქალები იმიტომ ვერ პოულობენ ქმრებს, რომ მთვრალი კაცები არ მოსწონთ, ფხიზელ კაცებს კი ის ქალები არ მოსწონთ.

***

– უკაცრავად, სამშობიაროში როგორ მოვხვდები?

– ბიძია, მაი უსექსოდ არ გამოვა.

***

– მამა, მინდა, რომ ჩემი ცოლი იყოს ლამაზი, რა თქმა უნდა, ჭკვიანი და მდიდარი...

– ეს არც ისე იოლია, შვილო, სამჯერ უნდა იქორწინო...

***

– დედა, შეყვარებული ვარ!

– რა? ვინ არის? რა გვარია? მშობლები ვინ არიან? ძლიერი ოჯახი აქვს? რა აქვს დამთავრებული? მუშაობს? პრეტენზიულია...

– დედა, შეყვარებული ვარ-მეთქი.!

– გოგოა?

– კი.

– კარგი...

## ანეკდოტი გია ზაოშვილისგან



კახელი ცოლ-ქმარი მუზეუმში შევიდა. ქალმა დაინახა შიშველი კაცის ქანდაკება, რომელსაც წინ ფოთოლი ჰქონდა აფარებული. დადგა, მიაშტერდა და უყურებს. ქმარმა უცადა, უცადა და ბოლოს გაბრაზდა:

– ჰა ახლა, გადმოადგამ ფეხს თუ შემოდგომას დაელოდები!

## როგორ მოილხინა გურამ ლორთქიფანიძემ ახალ წელს სხვისი ქეიფის ხმაზე

ქუჩის მხარეს ფანჯრის მინა იყო ერთ ადგილზე მტკაველის რადიუსით ამომტვრეული. ვერა და ვერ მოვახერხე შეკეთება. ასე დღესხვალიობაში მიმრჩა და მიმრჩა. ახალი წლის წინა დღეს კი მკაცრად გამაფრთხილეს ოჯახში – კაცო, ახალ წელს ასე ხომ არ შევხვდებით. წადი, მინა იშოვე, ისე არ დაბრუნდე სახლშიო.

მინა მალევე ვიშოვე და სახლში რომ ვბრუნდებოდი (ბედია ყველაფერი), სწორედ მაშინ „გავიჭედე". ძმაკაცები „გამეჩითნენ" (ესეც ბედია) ზუსტად რესტორნის წინ.

ამას რაც მოჰყვებოდა, მაშინდელი კი არა, ახლანდელი ბავშვებიც შეუცდომლად მიხვდებიან. ერთ ჭიქას მეორე მოჰყვა, მეორეს – დანარჩენი. რა კარგია, როცა „ნასილშიკი" მეზობელი გყავს. ქურთმა ჰაიკაზამ ზურგზე მომიგდო და ხვნეშით ამათრია დახვეულ კიბეებზე. ჩემს კართან, იქვე, კედელზე მიმაყუდა და კარზე დააზარა – ზრრ!

– ქალბატონო გურამის დედა, აგერ, შენი შული გურამა, ქუჩიდან ამოგიტანე.

დედაჩემს რომ ჩემთვის შეუხედავს – ჰაიკაზასთვის (ის რა შუაში იყო, მაგრამ მაინც) ქოქოლა მიუყრია:

– ეს ჩემი შვილი არაა, არა!

– ვაა, შეშინებია ჰაიკოს, როგორ თუ არა, ქალბატონო გურამის დედა... მა ვინაა?

– არა, შეხედე ერთი, შეხედე! – მინა უნდა მოეტანა, აქვს მინა? არა... ეს რა ჩემი შვილია?

– ვაა, შევხედე. გურამაა, დედაჩემის სულს გეფიცები, ავდექი, ამოგიტანე...

ამიკიდა თურმე იმ საწყალმა და სახლში, ლოგინზე მიმაწვინა.

ქეიფ-ღრიანცელის ხმამ გამომაღვიძა.

ჩემი სახლის წინ, ქუჩის მეორე მხარეზე სასტუმრო „საქართველოა". მეორე სართულზე – რესტორანი. თურმე ვიღაც „მელეხები" ახალ წელს იმ რესტორანში ხვდებიან.

იქ ალბათ დასცხათ, ფანჯარა ნახევრად ღია აქვთ და ხმა ზარივით შემოდის ჩემს ოთახში. თვალები გავახილე. ჩემს სახლში, მაგიდაზე შამპანურის ბოთლი დავლანდე. ვეცი, მოზრდილი ჭიქა შევივსე და როგორც ტრადიციულმა კაცმა – თამადის „რეჩს" ველოდები ახლა.





ისიც მალე გაისმა:

– ძვირფასო მაგიდის წევრებო, დამდეგ ახალ წელს გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

– ჯოს, ჯოს, ჯოს! – ავჭყლოპინდი და შამპანური ზათქით გავუშვი ყელში.

შოკოლადიც მივაყოლე. და როგორც წესიერი მოქეიფე, თამადის მორიგ „რეჩს" დაველოდე.

– ყველამ, ყველამ შევსვათ ბოლომდე – ბობოქრობს თამადა, – თქვენ რატომ არ შესვით, ყმაწვილო? თუ ვერ და არ სვამთ (ეტყობა, იმ ვიღაცა არამსმელს მიმართავს), ახლა ახალი წელია და ყველამ უნდა ვიმხიარულოთ. მაშინ, იცეკვეთ, ყმაწვილო!

– ცეკვა? – კი ბატონო, – მორჩილად დავხარე თავი და საოცრება... მოულოდნელად ისეთი „შალახო" დასცხეს მუსიკოსებმა, მკვდარს წამოაგდებდა საფლავიდან.

– ასე, არა?! – დავიკვანწე, დავიგრიხე. წამოვბზრიალდი (თამადას როგორ ვაწყენინებ!) და ჩავიმუხლე კინტაურად.... ჩამუხლულადვე ორმოცი გრადუსით დავტრიალდი, წამოვყელყელავდი და ავასხმარტალე ხელები და ფეხები – პარალელურად ჯერ მაგიდის ძგიდეს გავკარი გვერდი, მაგრამ არ შევიმჩნიე. მორიგი დაბუქვნა – შემოტრიალება-წამოყელყელავებაზე პიანინოს მივასკდი, მაგრამ ინსტრუმენტი მძიმე იყო და ვერ გადავაბრუნე... ტაშ, ტაშ, ლააშ! – არ ვიტეხავ იხტიბარს...

– ახლა ვიმღეროთ! – გამოაცხადა ბარიტონით თამადამ.

შეწყდა სიმღერა იქ და მეც შევივსე მორიგი ჭიქა – გისმენთ, ბატონო თამადა-მეთქი, ვიქეცი მოთმინებად.

– ახლა. ვინც ჩვენთან არ არის, ყველას გაუმარჯოს! – იყვირა თამადამ.

მაშინ კი მიმოვიხედე ირგვლივ. მარტო ვარ, მაგრამ თამადას რას შეუსწორებ, თამადაა ბოლო-ბოლო. ის ჭიქაც გამოვცალე და კვლავ სიმღერა მომინდა. ძალას მოსულმა მაინცდამაინც მრავალჟამიერი არ წამოვიწყე? გავუტიე, გავუტიე და... „ჭე" მაჟორში რომ გადავედი ხროტინით (ვეღარ ავწიე), ჩვენებიც შემოცვივდნენ მეორე ოთახიდან – ხომ არ არწყევსო...

– თქვენ გაგიმარჯოთ ჩემო-ჩემიანებო, მრავალ ახალ წელს დაგასწროთ ღმერთმა!

... დილით მიამბეს – ასე იქცეოდიო...

**გურამ ლორთქიფანიძის ნაამბობის მიხედვით მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

## მსგავსება

უნივერსიტეტთან შემხვდა გალაკტიონი, გამაჩერა და მითხრა:

– ჯანსულ, ნიკოლაი ეჟოვი თუ გაგიგონია?

– კი, როგორ არა, გამიგონია.

– ანდრეი ვიშინსკი?

– ვიშინსკიც გამიგონია...

– ლავრენტი ბერიაც?

– დიახ, ლავრენტი ბერიაც...

– ჰო და თუ დაკვირვებიხარ, რავა სტალინის კიტელებივით ჰგავნან ერთმანეთს?

ამ მსგავსებას მე არასოდეს დავკვირვებივარ, თუმცა გალაკტიონისა კი ძალიან გამიკვირდა და ცოტა ჩამაფიქრა ნათქვამმა, სულაც იმიტომ, რომ მაშინ 1956 წელი იყო – მარტი თუ აპრილი...

**ჯანსულ ჩარკვიანის მოგონებებიდან**

**ლალი მოროშკინა ის ადამიანია, რომელიც ცდილობს, გარშემო მყოფებს სრული კომფორტი და იდილია შეუქმნას. აქტიური ცხოვრების მიუხედავად, ყოველთვის რჩება დრო, საყვარელ ადამიანებს სიხარული მიანიჭოს და სითბოთი გაანებივროს. მართალია, 2014 წელი, მისთვის ადვილი გასავლელი არ ყოფილა, თუმცა, მიაჩნია, რომ, რაც ხდება, უკეთესობისკენ მიმავალი გზის თანმდევი ნაწილია და არასდროს კარგავს იმედს. მისთვის განვლილი წელი კომფორტული აღმოჩნდა, როცა მიხვდა, რომ მისი ცხოვრება შედგა – ყველაფერი თავის კალაპოტს დაუბრუნდა და ამისთვის ბრძოლა, ნამდვილად ღირდა. თუ რატომ არ შეხვდება ის ახალ წელს შვილებთან ერთად, როგორი მეკვლეა, რატომ აღარ რთავს ნაძვის ხეს და როგორი განწყობით ელის 2015 წელს, ამაზე თავად გვესაუბრება.**

# რატომ ხდებიან მატერიალურად წარმატებულები ლალი მოროშკინას გვერდით მყოფი ადამიანები და რა სვანური შუალედის დაცვით ხვდება ის ახალ წელს

**ლალი მოროშკინა**: ისეთი გარდამტეხი და მნიშვნელოვანი წელიწადი, როგორც 2014 იყო, ჩემს ცხოვრებაში იშვიათად მახსენდება. მე მაქვს ჩემი რამდენიმე ფრაზა, მაგალითად, ერთ-ერთია: „ცხოვრებაში, კარგ ქმარს, ჯობია, კარგი უფროსი შეგხვდეს!". 2014 წელმა კი, მე ორივე ერთად მომიტანა, ანუ კარგი ქმარიც და კარგი უფროსიც. თუ სამსახურიდან სახლში დაბრუნებულს სრული კომფორტი გხვდება, ჩათვალე, ბედნიერი ხარ და შენი ცხოვრება შედგა. ეს მე ნამდვილად შემიძლია, ვთქვა საკუთარ თავზე. 2015 წელს არ მინდა, რაიმე შეიცვალოს, რადგან მე ჩემი ცხოვრება ლოგიკურად, უკვე დავალაგე. თუმცა, უფრო მეტ წარმატებაზე, სითბოსა და სიმყუდროვეზე, უარს არ ვიტყვი *(იცინის).*

დღევანდელი გადმოსახედიდან, ზუსტად ვიცი, რა ნაბიჯებიც გადავდგი და რა გადაწყვეტილებებიც მივიღე, სწორი იყო. როცა ხედავ უსამართლობას, ამაზე თვალი არ უნდა დახუჭო, უნდა დააფიქსირო სიმართლე, მოქალაქეობრივი ვალი მოიხადო და იმოქმედო. ეს ჩემი ცხოვრებისეული კრედოა და ამას ვერ გადავალ. რასაკვირველია, ცუდი პერიოდებიც იდგა 2014 წელს ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ კარგიც მოხდა და ამისთვის, ღმერთის მადლობელი ვარ.



ყველას კარგად აქვს დაცდილი ჩემი ნაქონი საფულე და დიდი მოთხოვნაა, რომ ის გავაჩუქო

**– ახალ წელს ვისთან ერთად და სად ხვდები?**

– ახალ წელს სახლში, მეუღლესთან ერთად ვხვდები და მერე, მის უფროს ძმასთან მივდივართ სტუმრად. ასე დავგეგმეთ და ეს ახალი წლის ტრადიციად იქცა. შარშანაც, მის ოჯახში შევხვდით ახალ წელს. მიუხედავად ადაპტირებული სვანებისა, ისინი ინარჩუნებენ ძირძველ ტრადიციებს, როცა უფროსთან, ოჯახში ხდება შეკრება და ახალი წლის დახვედრა. ამ შემთხვევაში, ჯაფარიძეებს შუალედური ვარიანტი აქვთ – არც მამასთან, არც უმცროს ძმასთან, არამედ, უფროს ძმასთან ვიკრიბებით და ვხვდებით ახალ წელს. ახალგაზრდა თაობა სხვაგან ხვდება, ჩვენ კი, შუალედური რგოლი, ერთად ვიკრიბებით.

**– ესე იგი, ახალ წელს სვანური ტრადიციებით ხვდები?**

– სვანური ტადიციებით იმ გაგებით, რომ ჩემი ქმრის უფროს ძმასთან, ოჯახში.

**– შენი შვილები?**

– ჩემს ბიჭებს, თავისი ცხოვრება აქვთ. ურჩევნიათ, მეგობრებთან ერთად იყვნენ და დრო ატარონ. უკვე დიდები არიან.

**– სიმართლე გითხრა, შენი ბუნებიდან გამომდინარე, მეგონა, ახალ წელს უფრო რომანტიკულ გარემოში დაგეგმავდი, მეუღლეს სიურპრიზებს მოუწყობდი, ნაძვის ხეს მორთავდი, გამოეწყობოდი სადღესასწაულოდ, მოამზადებდი გემრიელ კერძებს და ასე შემდეგ.**

– ამას მე ყოველდღე ვაკეთებ *(იცინის).* ანუ, მიმაჩნია, რომ ახალი წელი, ჩემთვის და ჩემი მეუღლისთვის ყოველდღე თენდება. მიუხედავად გადატვირთული გრაფიკისა, ყოველთვის ვახერხებ ქმარს დღესასწაული ყოველდღიურად მოვუწყო. ტრადიციად გვაქვს რომანტიკული, განსხვავებული, გვიანი ვახშამი, როცა ერთად ვსხდებით და ამ განსაკუთრებული ვახშმით, ვტკბებით. ვფიქრობ, მე და ირაკლიმ საკმაოდ დიდხანს ვიცხოვრეთ უერთმანეთოდ, ამიტომ, ყოველი დღე ძალიან ღირებულია, რომ ავინაზღაუროთ ეს წლები.

**– ვფიქრობ, კარგი მეკვლეც უნდა იყო?**

– კი, ძალიან კარგი ფეხი მაქვს. ეს, წლევანდელმა „ბრავოს" პროექტმაც დაამტკიცა *(იცინის).* სხვათა შორის, ოთო ნემსაძის ლობისტი რომ გავხდი, მასაც ვუთხარი, ძალიან კარგი ფეხი მაქვს-მეთქი. სამ პროექტში მივიღე მონაწილეობა „რუსთავი 2-ზე" და სამივე მოვიგე. ასე რომ, ადამიანი, ვინც

## 2015 წელს არ მინდა რაიმე შეიცვალოს, რადგან მე ჩემი ცხოვრება ლოგიკურად, უკვე დავალაგე

ჩემს გვერდით ალმოჩნდება, მისთვის ფეხბედნიერი ვარ და ყოველთვის უმართლებთ. სულ ვხუმრობ, ჩემი წყალობით, ადამიანებს მატერიალური მხარე უუმჯობესდებათ-მეთქი *(იცინის).*

**– წარმომიდგენია, რამდენი მსურველი იქნება შენ ირგვლივ, ვისაც ახალ წელს შენი სტუმრობა მოუნდება.**

– ასეთი ძალიან ბევრია *(იცინის).* ბავშვობაში, მეზობლები დედას სთხოვდნენ, ლალიმ შემოგვირბინოს მეკვლედო. ვფიქრობ, ადამიანებისთვის დადებითი მუხტი მომაქვს და კარგი ფეხიც მაქვს.

სხვათა შორის, ყველას კარგად აქვს დაცდილი ჩემი ნაქონი საფულე და დიდი მოთხოვნაა, რომ გავაჩუქო *(იცინის).* ასე რომ, ერთი და იგივე საფულე, დიდხანს არ მიჩერდება.

**– ტრადიციულად, ახალი წლის დღეებში, უცხოეთში მიდიხარ ხოლმე. წელს არ გეგმავ მსგავს ტურს?**

– იანვრისთვის ვგეგმავთ მე და ჩემი ქმარი საფრანგეთსა და შვეიცარიაში წასვლას და ვნახოთ. ახალი წელი, ჩემთვის მოგზაურობასთან არის დაკავშირებული და ამ სიამოვნებას ვერც წელს მოვიკლებ *(იცინის).* პარიზში გვინდოდა, წელს შევხვედროდით ახალ წელს, მაგრამ სამსახურის გამო ეს ვერ მოხერხდა, ამიტომ, იანვრისთვის გადავდეთ. სხვათა შორის, ბევრჯერ შევხვედრივარ ახალ წელს უცხოეთში და ისეთი გრანდიოზული და ტემპიანი არ არის, როგორც საქართველოში. იქ უფრო შობაა დღესასწაული და ამ დღეს აღნიშნავენ. ახალი წელი, უცხოეთში ლამაზი საოჯახო დღესასწაულია, საქართველოში კი უფრო ტრადიციული.

**– საახალწლოდ როგორ ემზადები და თუ გაქვს შენეული, განსხვავებული ტრადიცია ან რიტუალი?**

– ტრადიციად მაქვს, ყოველ ახალ წელს ახალი სათამაშო ვიყიდო, მაგრამ ნაძვის ხეს აღარ ვაწყობ. ოჯახში ყველას ეზარება მისი აწყობა, გაიზარდნენ და ნაძვის ხისთვის ვის სცალია?! ამიტომ, უბრალოდ, ბარს ვრთავ საახალწლო ატრიბუტიკით და ფანჯარაზე ვამაგრებ წვიმებსა და ნაძვის ტოტებს. ბართან, ლამაზი ცხენი მყავს ამხედრებული, ანუ 2014 წლის სიმბოლო, ახლა კი მას ცხვრით შევცვლი. რაც შეეხება რიტუალს, საახალწლოდ, აუცილებლად ძველს ვიშორებ და ვყიდულობ ახალ ნივთებს, იქნება ეს ტანსაცმელი თუ სახლის მოსართავი ელემენტი. აღარ ვაკეთებ საჭმელებს. ვყიდულობ ნახევარფაბრიკატებს, დელიკატესებს და გემრიელ რაღაცეებს, რაც დიდხანს ინახება მაცივარში. ახალი წლის დღეებში, სულ გარეთ გვიწევს ყოფნა და საჭმელი რომ მიფუჭდება, მენანება. ამიტომ, მირჩევნია აღარ გავაკეთო. თუ სტუმარი მოვა, მაცივარში სულ მაქვს გემრიელობები.

**ნონა დათეშიძე**

**მომღერალი ნუკა კვალიაშვილი „ერთი ერთში“ პროექტის მესამე სეზონის მონაწილეა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მას ერთი ლაივის გამოტოვება მოუხდა, თუმცა პროექტში მდგომარეობის გაუმჯობესებისთანავე დაბრუნდა. პროექტის გარდა, მისი ცხოვრება საკმაოდ დატვირთულია. ნუკა დამოუკიდებლად ზრდის ათი თვის შვილს, უვლის ოჯახს და მხარში უდგას დედას, რომელსაც ბოლო პერიოდში ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა.**

# რატომ აქვს ნუკა კვალიაშვილს სახლში ყველაფერი ალაგებული და ვისთვის შეუძლია მას თავის ბოლომდე გაღადება

**– ნუკა, ადვილად მიიღე „ერთი ერთში“ მონაწილეობის გადაწყვეტილება?**

– სხვათა შორის, კი. ეს რომ ყოფილიყო მარტო სიმღერის კონკურსი, როგორიც იყო „საქართველოს ვარსკვლავი“, მაშინ ბევრს ვიფიქრებდი, იმიტომ რომ, არ მიყვარს კონკურსში ათასჯერ გამოსვლა. უბრალოდ, აქ სულ სხვანაირი ფორმატია, მნიშვნელოვანია არტისტიზმი და ბევრ რამეს სწავლობ. რომ წარმოვიდგინე, ცხოვრებაში ეს როგორ გამომადგებოდა, დავთანხმდი.

**– შენ უკვე მოგიწია მამაკაცად გარდასახვა, რაც ძალიან რთულია.**

– ყველაზე ცუდი ტური იყო ეგ ჩემთვის. როცა გრძნობ, რომ გარეგნულად ვერ ემსგავსები იმ ადამიანს, შინაგანადაც განსხვავებული გრძნობა გაქვს. აღარ ხარ მონდომებული. მაკიაჟი ვერ გამოვიდა ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო. ჩვეულებრივი მიკი რურკი ვიყავი და არა რობი უილიამსი. უკვე ისეთი მომენტი იყო, როცა აღარ გაინტერესებს, როგორი იქნება. ვერ ვიტყვი, რომ ყველაზე რთული იყო, თუმცა, არც ადვილი გახლდათ, ჩვეულებრივი ნომერი იყო. უბრალოდ, საერთოდ არ ვინტერესდებოდი იმ მომენტში. როცა დავინახე, რომ  არ ვგავდი, მონდომების უნარი დავკარგე.

**– ყველაზე მეტად რომელი ტური მოგეწონა?**

– უიტნი ჰიუსტონი და ფინქი. ყველაზე მეტად ფინქი ვიგრძენი.

**– ფინქთან შენი ვიზუალური მიმსგავსებაც არ იქნებოდა რთული.**

– ჰო *(იცინის).* ბედნიერებაა, როდესაც სახეზე სილიკონების გაკეთება არ გიწევს. ფინქზე და უიტნიზე გამიმართლა. ყველაზე ცუდი ის არის, რომ, როდესაც ამ ყველაფერს გიკეთებენ დილით და მერე ოთხი საათი ასე გიწევს ჯდომა, გენერალურ რეპეტიციაზე არ გაქვს უფლება ბოლომდე პირი გააღო, იმღერო. იმიტომ რომ, შეიძლება, მაკიაჟი დაზიანდეს და ველარ გაასწორონ.

**– მაინცდამაინც მაღალი ქულები არ გაქვს. ჟიურიც ცოტა კრიტიკულად არის განწყობილი. ამაზე გული გწყდება?**

– არა, არ მწყდება გული, ყოველთვის მიყვარს, როცა პირდაპირ ამბობენ, რასაც ფიქრობენ. ამიტომ ვაფასებ უცხოელ ჟიურის წევრებს. საქართველო ძალიან პატარაა და ჩვენთან ჟიური, პირდაპირ ვიტყვი, ცოტა შებოჭილია – იქ ვიღაც ახლობელს არ აწყენინოს. სანამ ასეთი დამოკიდებულებებია, სერიოზული კონკურსი ვერ ჩატარდება.

**– პატარა შვილი გყავს. ვინ გეხმარება მის მოვლაში, როცა საქმეებით ხარ დაკავებული?**

– ბავშვი დედაჩემთან მყავს დატოვებული და მეგობრები მეხმარებიან, როცა სამსახურებიდან სცალიათ. უკვე დიდია, ათი თვისაა და ეკასთვის არ შეიძლება, სიმძიმის დიდი ხნით ქერა. მესამე დღიდან, სამშობიაროდან გამოვედი თუ არა, რვა თვემდე დამოუკიდებლად ვუვლიდი. სამ თვემდე გაზებისა თუ კვების პრობლემების გამო, ტიროდა, ისევე, როგორც ყველა ბავშვი. ახლა მშვიდია და



**არ მწყდება გული, იმიტომ რომ ყოველთვის მიყვარს, როცა პირდაპირ ამბობენ, რასაც ფიქრობენ**

უმიზეზოდ არაფერზე არ ტირის. ძალიან ენერგიულია და უკვე თავისებურ სიტყვებს ამბობს. ფეხზე დგება და ნაბიჯებს დგამს, ოღონდ ჯერჯერობით, რაღაცაზე უჭირავს ხელი. ძალიან ცელქია და ყველაფერს ხელს ჰკიდებს. ამიტომ, სახლში ყველაფერი ალაგებული მაქვს და ზემოთ მიწყვია. გიჟი და არანორმალური დედა ვარ, ოღონდ, როგორც დედა და არა, როგორც ადამიანი. როდესაც

**ბევრ რამეს სწავლობ. რომ წარმოვიდგინე, ცხოვრებაში ეს როგორ გამომადგებოდა, დავთანხმდი**

საქმე ჩემს შვილს ეხება, გარშემო აბსოლუტურად ყველაფერი ქრება და მხოლოდ ის რჩება. მისთვის ბოლომდე შემიძლია, გადავდო თავი. ღამეების თენება იქნება, საჭმლის გაკეთება, გარეცხვა, დაბანა თუ სხვა. ყველაფერს ჩემს თავზე ვიღებ და სხვათა შორის, დღემდე კარგად ვუმკლავდები *(იცინის).*

**– გარდა ამ ყველაფრისა, ახლა დედასაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვს და მასაც შენი მხარდაჭერა სჭირდება.**

– კი. არ ვიცი, როგორ, მაგრამ ვახერხებ, სახლსაც მოვუარო, ოჯახშიც ვიყო და დედაჩემთანაც. მეგობრებთან ერთად ყოფნასაც ვახერხებ, მაგრამ, მერე, როდესაც მოდის ღამე და ძალიან დაღლილი ვწვები, ვითიშები. გადამწვარი მგონია ხოლმე თავი. მაგრამ, როცა იცი, რომ სხვა შანსი არ არის, ძალა უნდა მოიკრიბო და რაც შეგიძლია, ბოლომდე გააკეთო. მე ასეთი ვარ.

**– ეკას მდგომარეობა როგორია ახლა?**

– რამდენიმე დღის წინ, ბავშვი ჰყავდა გაყვანილი. მაღაზიისკენ მიდიოდა, რომელიც ჩვენგან ცოტა შორს არის. ცუდად გახდა. დაეწყო სპაზმური ხუთვა და ეგონა, რომ ვერ სუნთქავდა. ასე ემართება ხოლმე. ტელეფონი სახლში დარჩა, ვიღაც გაუჩერებია დახმარების სათხოვნელად და სახლამდე ასე ამოვიდა. მერე ამოვუტანე დექსამეტაზონი, რომელმაც სპაზმი მოუხსნა და ცოტა ხნის განმავლობაში რაღაცაზე მოჭიდებული იდგა და ცდილობდა, ესუნთქა. ხან კრიტიკული მდგომარეობა აქვს და ხან ნორმალური. კარგი ჯერჯერობით არ აქვს.

**– ამ ყველაფერის გადატანაში, ალბათ, მეუღლე გეხმარება. პროექტის სამზადისში თუა აქტიურად ჩართული?**

– კი, რა თქმა უნდა. უბრალოდ, პროექტების მომენტში ყოველთვის მქონდა პირადში არეულობა და უსიამოვნება. ეს ელემენტარული რამაა. ბევრ დროს ვუთმობ კარიერულ ზრდას და სხვათა შორის, ძალიან დაძაბული მომენტები მქონდა ამის გამო სახლში. მაგრამ, ღმერთის წყალობით, ყველაფერი დალაგდა.

**– ახალი წლისთვის რა გეგმები გაქვს?**

– ავად გავხდი, იოგების ანთება მქონდა და ჰაიმორიტი ახლაც მაქვს. ხმა საერთოდ არ მქონდა, ვერც ვლაპარაკობდი. ძალიან ბევრმა დამირეკა და შემომთავაზა კონცერტში მონაწილეობა, მაგრამ ეს ნაბიჯი ვერ გადავდგი – ვაიდა, არ გამოვრჯანმთელდე-მეთქი. „რუსთავი 2-იდანაც“ დამირეკეს, გალა-კონცერტიდანაც და სხვადასხვა ბარიდანაც, მაგრამ ფიზიკურად ვერ შევძელი. ახლა მდგომარეობა გამოსწორდა და იმედი მაქვს, რამე გამოჩნდება. ამ ასაკში, როცა მე თვითონ ვწყვეტ, რა გავაკეთო ახალ წელს, ეს უფრო სამუშაო დღედ იქცა, ვიდრე გასართობად. მე სხვანაირი სამუშაო არ მაქვს, ჩემი მეუღლეც სწავლობს და შემოსავალია საჭირო. მით უმეტეს, როცა ბავშვი გვყავს. ამიტომ, ამ დღეს მე უნდა ვიშოვო ის თანხა, რომელიც შემდეგ ჩემს ოჯახს უნდა მოვახმარო. ჩემს საქმეს რომ მოვაგვარებ, მერე თუ მექნება დრო, გავერთობი, როგორც ყოველთვის – მეგობრებთან ერთად.

**– სახლში თუ დაიწყე საახალწლო სამზადისი?**

– ნაძვის ხე ჯერ არ დამიდგამს, მაგრამ რაღაც დეკორაციები ვიყიდეთ. არც ვიცი, ნაძვის ხე სად უნდა დავდგათ, რომ ლუკა არ მივიდეს და არ მოგლიჯოს, დაამტვრიოს ყველაფერი. სამზადისი გვაქვს, იმიტომ რომ, ძალიან მიყვარს ეს დღე. ადრე არ მიყვარდა, მაგრამ ვხვედები, რომ ნელ-ნელა უფრო მიყვარდება. ამ დროს ყველა დადებითად არის განწყობილი, რაც ჩემზეც გადმოდის და შინაგანად მახარებს ეს ყველაფერი.

**ქეთი კაპანაძე**



**როგორ აერთიანებს გადაცემაში „მშვიდობით, იარაღო“ ადამიანებს ოლიკო ბაბლუანი, მიჰყავს თუ არა წამყვანს გადაცემა ბიძინა ივანიშვილის სასახლიდან და რას აკეთებს მისთვის მამუკა ხაზარაძე**

გვ. 14


საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * 29 დეკემბერი – 4 იანვარი * №52 (731) * ფასი 1,50 ლარი